შენიშვნა: ტექსტს წინ უძღვის: „თხზულნი, თარგმანებანია ძლითნი სიტყჳნი დასითეოსის მიერ. — ორწმენებოდეთ საქმენი, რამეთუ იყოს ესრეთ. სულმან მბერველმან მარად კეთილობათამან ანათლის სიტყჳა შინაგან განგონებაჲ, ყოველად მსიტყჳ მოკამკამებონი, ხე ცხებით გჳორგეინოსისა მეფის თეიმურაზისნი, ოომელი ფლობდა სა[ქ]ართველოსა და ძისა მისისა მეფისა ირაკლისნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი ფლობდა კაბთა და რანთა აღდგომად შარავანდისა თჳსისა, და ქართველ შუის ი ე ს უ ს ძის ა ნ ტ ო ნ ი ს, მაღლად მჩენსა სასანთლესა სანთელი მარად მაელვარე მოკენჭთა ნათლისათა.

აწ უკუე აღდგომითგან სანათლოსა მანათი ინათლის მჩენობასაცა. რაჲთა და ესეთითარითა ნათელ-შფენელობითა და ბნელ-მდევნელობითა ვითგან იგულისსიტყჳაჲს გულის სიტყჳსა მდიდარ-მოელვარესა, და ნათელი ტბათადმი შემცურვალესა, ნავნიავითა სასიბრძნოჲთა, ნავ-ნიავიჲთა სასიტყოჲთა და ნავ-ნიავითა სანათლოჲთა, რომელთამე სიტყჳერთათა, რომელ არს სიბრძნის-მოყჳარებითი იგი ძალი, ნათელი და ბრწყინვალება ჩ-ნ სიტყჳერთა:

ხოლო არამედ ამისდამი მეტრფობილმან მოგზადნა შინაგანნი თჳსნი განგონებითისა მის ძალისა სახლი, რომელ არს გონება, დაღაწინა (!) ორნი იგი ლამპარნი, რომელ ვიტყჳ ხედველთსა და ცნობითსა სულიჲსა ძალსა.

აწ უკუე შემყჳარმან და მომწუმველმან სახლად სძლად სიბრძნისამან განაბუნაცა დიაკონისნი კეთილ გულჩინსყოფათანი, რეცა შესვლად შემავალისა. და უჩინაცა მელამპრენი წუმელსა წინაშეძღომ, და შემდგომადცა არ უნათლო ყო, რომელ ვიტყჳ მეზიერებითსა და წარმოჩენებითსა ძალსა.

და ესრეთჳსობასა კეთილ-ზაეებათასა თანმზხუან ჯერ-ჩინებითა ირაკლი მეფისა ბრძენ გონებიანისათა, იწყო მიოსად არ ფრინველთ სატაცოჲ იგი, არამედ სიბრძნე და სიბრძე (!) ესე არს მეცნიერება ხედველითა და საქმითა.

ხოლო ვინათგან შემოჰქედა სახჳგარი სიბრძნისა, ჯერ-იყო, რათა სიბრძნისათჳსცა მცირედ რაჲმე გუესიბრძნისმეტყჳელა. გარნა კეთილ ვჰყოფებ მცირედ ერთ დაცადებასა, ვინათგან სჯა არს სასიბრძნო ჩ-ნდა და მისთჳსცა მეტყჳლებად. აწ უკუე ვინათგან აღიცისკრა სიტყჳათის მოფარდულობისადმი მოფრდულობად, რომელ არს ორღანო სიბრძნის-მოყჳარებისა და მან, ნათელმანცა აფროდიტებრმან არაჳრიდა სძლად მიმყვანსა თჳსსა და ალაგსა მისსა, მარად ჴოლნ მას.

ხოლო ვინათგან მუშაჲ იყო უმეტეს საკეთილოსა სამუშაოსა სიტყჳათის მოფარდულობისასა, ჳებნდაცა ძიებად: რაჲ სიტყჳა, ანუ რაოდენ გგარ და ანუ რაოდენ ნაწილნი სიტყჳსანი? ხოლო, არამედ ხედმიწევნილობით მასწავებელი პ-ლ თქჳენთა ასზედმიწევნელოჲანი არს მჭერდელობითი იგი ძველთაგანისა ბრძნისა უმიროსისჱი, რომელ არს ღრამატიკა.

და რამეთუ ამის ნათჳსმან ქართველთა ძველთა წერილთა შორის არცაღათუ ჴნინდეგან რაჲმე პოვა, თჳნიერ ბუნებრივისა, ენათა ჩუეულებისა წყობათა, მარცჳალთა, ლექსთა და სიტყჳათსა.

რამეთუ ძველთა მთარგმანებელთა არა ეზრუნათ გარდმოთარგმნად წიგნი ესე ანუ უცალობისათჳს და ანუ უმეტეს სიძნელის ძლით, რამეთუ ესრეთ ვგონებ მე. ხოლო ვინათგან ღრამატიკა არს ჴელოვნება წერილ-თქმობისა და უცთომელ-ქმნა, და პ-ლი ხარისხი უპჳიეს სიბრძნის მოყჳარებითისა სჯესისა, ამისთჳს ვინათგან სიტყჳაჲი იგი მოფარდულობა თქმობითად მეცნიერებად შეისმინების, და არიან ესენი მჭერდელობითი, დიალეკტიკებითი, რიტორებითი და განმსჯულობითი.

ესე სიტყჳისა შინა მოფარდულობასა პ-ლი იპყრა წესი მჭერდელობამან და ამისი წესდებით პ-დ ჯერ-იყო აღმოწერაც სჳფონებრთა გულისჴმის-ყოფათაგან სიბრძნის მოყჳარისათა.

და ვინათგან სახედმიწევნილოჲა არა იყო ხედმიწევნა ხედმიწევნელისა, ვითარ ვჰგებოდა და თუ არა ვჰგებოდა, მაშა საჭირო იქმნა ღრამმატიკა. ხოლო შეპყრობილმან ამით უეღონებითითა ჯერითა, იგულისსიტყჳა გულის სიტყჳა მხისა სხივითაგან უბრწყინვალეს მაბრწყინი ტრფიალთა სიბრძნისათა გარდმოკჳეთაჲ ღრამმატიკისა.

და რამეთუ დაკრდომილი წესაჲ ყოვლად წ-სისა სამებისა ეუბნა ძესა სიტყჳასა ზესთ სიტყჳსა: „სიტყჳაო ღმერთო, უკეთუ ვინ იყოს სრულიაჲ ძეთა შორის კაცთასა და განშორებულ სიბრძნისა, არა რადეგ შეირაცხოს.

ამისთჳს მეც მე სიმჴნე შემართვად საძნელოსა შესვლად ძველ შესავალსა, ანათლე განწყრნებაჲ ჩემი! ასიტყჳეთი ძალი! ამგზისიერ მეხილოებითი ორღანოჲ და წარმოჩენითითა მით ანათლის-კმაჩისე აღნენებაჲ ჩემი, რათა კე-

თილწყობითა მარცვალ-ლექს-სიტყვათითა იდიდებოდე შენ ზენაჲ სიტყუაჲ სიტყ-
ვაჲ და მიძღოდეს საქმეთა შინა ჭეშმა სიწმინდით, რომელ სათნო შენი ისწაონ
კაცთა და სიბრძნითა ცხონდენ.

და მერმეტა შეჰკადრა ძნიად შესაკადრისა საქმესა შინაით და სიხარულით, ში-
ნით, კანონითა სიმდაბლისათა და სიხარულით კანონითა სიმჭირისათა.

და პოიყუანა სიბრძნის-მოყუარეთაგანი ვინმე მღვდელი ჰრომანოზ, სახელით ფი-
ლიპე, ადგილობითისა ნათესაობისა სჩქესითა ჭართველი და ტომობითისა სქესითა
ძე ახნაურთა, და ურიად მეცნიერი ჩ-ნ ქართველთა ენისა ქცევათა, და ჰრომანულთა
უმეტეს ზედაჰიწყენილ იყო.

და რამეთუ იკადრა ეითარ მოსე სიბრძნისა სიბჭობითა ნასწაული შორის შეს-
ვლად აბოლინ გულის სიტყჳთა, და იწყო კეთებად ღრაშმატიკისა, თარგმანებითა
ზეჰო თქმულისა მღდელის ფილიპესითა. და გარდმოჰკუეთა ღრაშმატჳკა დი-
დითა ღაწაწითა და შრომითა და თანაწყობითა მეცნიერებისაჲთა, ვინათგან თა-
ნა ჴედიდად მას და მეფობისა განმგებელობითისა სქესითა, ეითარცა სატრფიალო-
სა ძმისა, და სასიბრძნოსაცა თანაწოდებულ და თანა-ტკბილთმოყუარე ეჸმნე-
ბოდა ძმასა მაშრალსა გონებისა სჯულთაგან და სხჳლთა ძუელთაგანეცა, ჰამთით კა-
თალიკოზი და ტაბლითი სამღთოთა, სიმჭნით ჭაბითა, ზოსაგებელთა ჭადებითა
თჳსით და ღ-ისაგანეცა, და ბრძნულითა ნეგჳმითა პირით აღესუბუქებდა, და რჭჳ
„ერიდი სიბრძნეს და შესძინო გულსა შენსა გულისჴმის-ყოფაჲ“.

ხოლო სასიბძნოსა დამჴვრეტი და მხილველი ახლის სახილაჲისა და უჩჳეველ-
ესა სენისა მსენელი, ეითარ უფალთაჲ ბრძანისა გონებისა თჳისისაჲსა სჯული-
სით შეიტკბობდა. ტრფიალებიხ შეიკონებდა შინაგან გონებისა წიაღსა და გარე-
გან სჳულისათა. და თქჳს: „ალ იყოს ცურნება ყორცთა ჩემთა და მოღეწება ძვალ-
თა ჩემთა“.

და რამეთუ უმეტეს და უმეტეს მრავლებითა ტრფიალებისათა მის ზედა უმეტეს
ახარებდა, ამჴროსა და ადგულმოდგინებდა მეშაკთა მათ სიბრძნისათა. ხოლო აწ
ესეცაითიოა მჭმეთა ნეფის, კათოლიკოზისხა და თარგმანისათა ჯარიმოქედთა
ღრაშმატჳკა ქართველთა ენასა ზედა, და სრულ იქმნა ძალითა დაუსაბამოსა სიბრ-
ძნისა ღ-ისათა, რამეთუ ესე კაცობრივთა ძალითა და სიბრძნითა არა ეგებოდა,
თჳნიერ ძალისა სიბრძნისა ღ-ისა, რამეთუ ესრეთ ბოსეს სიბრძნე და პირსა მისსა მეც-
ნიერება და გულისჴმა-ყოფაჲ. ხოლო ჩ-ნ ჴედ-ვაჲნ ჩ-ნ, ქრისეანენო ყორანი, დაველოენე-
ბელნი კანონებითი შემლეველობათაჲნ, ენაზჱენი შენლეველობით და პრ-
ბარბაროსეს ენად წოდებელნი, აწ, ეითარ ელლენი და ატტიკელნი, ლაზჱნ წყა[ლ]ო-
ბითა მარცვალ-ლექს-სიტყვათაო, თქჳსთა და თხზჳთა ეპატიკურებთ.

და რამეთუ ესეეითარითა შემჴლეველითა აღიმჴა ენა ქართველთაჲ ძალითა და
წყალობითა დაუსაბამოსა და ნიქ მომეცნელისა ყოველად ჭ-ისა სიბრძნისათა, ხოლო
ღუაწლითა და შრომითა ჭ-ისა მამათმთავრისა ანტონისათ. ხოლო არამედ მა-
რად მოძღუენეს კეთილ-ღმობითმან აწცა არ დაიეჩინა ბრძოლად კეთილობისა და თჳსთა
არმთჳებელ არამან იჳრათხიერნაცა[!] დ თანაჲ-ეურთ თჳით აღმობერნა ჭარ-
ნი სიბოროტესანი ოხრ კერძო საკუთრისნი, სიბრძნის უფსკრულითა ზემოსავებულ-
ისა მის ნავისანი და ბერად აღძღრულმან უმყუდროო ღღეთამან მიგჳტაცა
მაეთერე იგი ენათა ჩ-თა.

ხოლო მან, მზემან ჩ-ნემან აღიორიონა კერძოთა ეეროპიისათა და სრულიად რუ-
სეთის მპყრობელის იმპერატორის ელისაბედისა ჲანიშარავნდა და ისაჩინოა
ჴელთდებითა წჳსად სანწყსოთა ვლადიმერ ქალაქისა და სამრეელოსა მისისა-
თა. ხოლო ამის შეძდგომად კ-დ ისიბრძნების სიბრძნე, რამეთუ სიბრძნეს ეეროსად
მძლავრობს ბოროტი. და ამისთჳს ეტრფიალნენ სიკეთესა მისსა იოანე ორბე-
ლიანი, ბრძენ მსაჯულ-ქმნილი ქართველთა, და წ-ა მღუდელი ნიკოლოზ ჭი-
ხიყელი.

რაჲეთუ პ-ლ ხსენებულისა ფილიპე მღუდელისა თანა ჴელ-ყუნს ჴელყოფაჲ სა-
სურო კაცთა ხუნებისა და იწყეს აღმდაბლებად მენაკს ხედვაჲთისა სწაულებისასა,
როგორ არს კაეშირი, სიბრძნით სიტყუაჲ პლატონისი და ნამეტყრი პრო-
კლე დიადოხოსი მიერ, მისივე პლატონურისა ფილოსოფოსისა. ხოლო ამ[ა]თა

დიადოხობდა ეპისკოპოსი ჰრშანთა ტფილისელი ვ ე ტ ი ქ და თარგმანსა მღვდელი ფილიპეზე ისაკუთრებდა, რამეთუ მან, ეპისკოპოსმან, ქართველთა ენა არა უწყოდა. და რამეთუ მიმღებელთა შინაგან განგონებითისა ძალისა და მიმცემელთა ცნობითისა მის და მეხილველებითისა მის შორის საუნჯესა შინა და მამხსნელებელთა წარმოჩენებითითაცა ამოქმედესვე და აღმომცნობელთა ძნელ საეწოთათა გარდმოთარგმნესცა აღწერი იგი ახლად.

ხოლო ამას ადრევე ესრეთ, რამეთუ პ-ლ ქართველთა ენისა მხისა, ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ე წ ა დ წერდებულისაგან გარდმოთარგმნილ იყო ღვთდელთა ენაზეობისაგან ხედვითად საცნო ნათქჳ იგი.

ხოლო კ-დ მანვე, წ-ნ მღვდელმან ნ ი კ ო ლ ო ზ ქ ი ზ ი ყ ე ლ მან გარდმოიღო არისტოტელის თჳსთჳნი ფილასოფობანი რომენ არს პერი ერმენია. და კ-დ მისვე ფილასოფოსისა ნათჳსა ახრი, რომელ არს დიალუტჰკა, თარგმანებითა მისვე მღვდელისა ფ ი ლ ი პ ე ზ ი თ ა.

მერმეცა კ-დ მეუფემან და კაცმან საკეთილმან, ი რ ა კ ლ ი ბრძენ-გონებიანმან, ტრფიალმან სიბრძნისა ნათელთ-ფენთამან, მოწყოდა და მოვიდა მისდა სული სიბრძნისა განსაბრძნოდ და დამკჳიდრებად მის შორის სიწმიდისა ძლით, რამეთუ არა წ-ა გვანსა არა შეკალს სული სიბრძნისა.

და მოიყვანა იგიცა ჰრშანთა მღვდელი ფ ი ლ ი პ ე თჳსსა სამწყსოდ შინა კახეთს და დიდითა პატივითა პატივ-სცა, რამეთუ სიბრძნე მდაბლისა აღამაღლებს თავსა, და შორის დიდ შემძლეობასა დასვამს მას. და მ ი ს ვ ე სიბრძნისაგან ესეცა მღვდელი იდიდა. და შემოუკრიბნა ყრმანი საბრძანებელისა თჳსისანი და რამეთუ მცა, მდაბალი ვინმე ეპისკოპოსი წ ე რ ე ს ი ა დ ო ს ი თ ე ო ს თან ვედასხებოდი მათ შეკრებულთა ბრძანებითა მეფისათა.

ხოლო რამეთუ ვითარ შეკრიბა მწსოფლეთა და ვითარ შემხადება სხოლისა, და ვითარ თარგმანთა წყება და ვისნან და რომელსა აც და როდესა რიცხჳსა წელთასა და რომელსა ქორონკონსსა და ქრისტჱს აქეთსა მერამდენესა, ჩემ მიერვე გარდმოღებულის სახღვრის წყვნის სხენათა ძლითნი ბისენანი მოეთხრობენ.

ხოლო ჩ-ნ პ-ლისადეც სიტყჳსა მოვიჩქეთ. რამეთუ ნათლოვანებ-ა თანა შინაჳთასა (!) სხივთაგან მანათლოთა სიბრძნებისმოყვარებისათა, რომელთა დღითი-დღე შევიწყნარებდით, არა დავსცხრებოდი მე, მდაბალი, მეშაკობასაცა გარდმოღებისასა ფილასოფოსურთა ნათჳთასა, რომელნიცა აკლდენ ენასა ჩ-ნსა.

ხოლო ვითაგან წესდებით ჯერ-არს ყოველთა ფილასოფოსურთა მექმობათა ქმნა, თარგმანებაცა ჯერ იყო წესდებით მექმობად და ესრეთცა იქმნა. რამეთუ სიტყჳთასა მის თქმობისა არს კ-ლი მჭერდველებითი და გარდმოქცედა წ-ნა კათალიკოზისა ა ნ ტ ო ნ ი ს აგან. ხოლო მეორე არს დიალეკტიკობითი და გარდმოქცედა წ-ისა ნ ი კ ო ლ ო ზ ქ ი ზ ი ყ ე ლ ისაგან. ხოლო მესამე არს რიტორებითი და ამას უკუე კეთ ვიხე გარდმოღებად მდაბალ-ეპისკოპოსმან წ ე რ ე ს ი ა დ ო ს ი თ ე ო ს ს ბრძანებითა მეფისა ი რ ა კ ლ ი ს ა თ ა. და გარდმოვიღეცა ძალ-ცემითა დაუსაბამოსა წ-ისა საშებისათა და მეოხებითა სეპაბინთა უწმინდესისა მარიამ ქალწულისა, დედისა ძისა ღ-ისათა. ხოლო მღვდელი ფ ი ლ ი პ ე მსაზრ იყო თარგმანებისა; ხოლო მე ჩ-ნთა ენისა კანონთა ზედა წყობასა ვმეცადინეობდი. გარნა ჰრშანთა ენისა წყობა ჩ-ნსა ენასა ზედა ძნელ გარდმოვიდის და უფროსღა უჩინოა ხმნა და რთული ძნიად გარდმოსაკეთებელ იყვნიან, არწყობილ წყობად ქმნის გამო. ხოლო ჯოამედ ამის ძნით პირნი ფრიადნი შეგუმთხუოდეს ჩ-ნ გარნა ფრიადნი შრომანი აღვარჩიენით თარგმანმა მწერალისა თანა, ვიდრეცა შეცვლასა ნაკუთხწყობილებასა და ანუ უჩინოსა, ანუ რთულისა შერყვასა და ანუ ზედუე კეცვასა. არამედ მითუე წყობილებითა, და მითუე აღკმაზულობითა გარდმოვკმაზეთ სამეცნო ენე სანეოდ და ცნობითა მახარებელი ტრფიალთა ცნობისათა..." (გვ. 1—13. (ტექსტი დაბეჭდილია, იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, Q კ., ფ. I, № 329. გვ. 344—348.).

2. „რიტორებითისა კელოვნებისათჳს. წინასიტყვა. თავი ა. — პ-ლ ვიდრე განსაზღვრებად რიტორებისათჳს და მჭევრმეტყველებისა ჯერ-არს რომელთაცა უწყებად, ვითარ უკუე სასარგებლო იყოს რიტორებითი ხელოვნება..." (გვ. 14 — 16).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. „წინა-სიტყვის“ ავთორის ზემოთ, სინგურით, ტექსტის ხელით „ლოცვამან ანხა:

დ ო ს ი თ ო ს არს სურვილით მომძუშაკე,
დამთხუველ - დამწყობელ სიმკაცრით რიტორებისა
ჩ-ნ ქართველთამებრ ენათა კანონისა.
და ესე თარგმნილ ფ ი ლ ი პ ე ჰრმან ხუცისა,
ჰრომანელთაგან თან შრომითვე მისითა“ (გვ. 14).

იგივე ლექსი იხ. გვ. 192, 289, 392, 397.

4. ტექსტს ეთვის „ხანდუკი რიტორებისა“ (გვ. 405 — 412).

ანდერძი: (მთარგმნელისა): „ჩ უფალნო და ძენო თქუენ ქართველთანნო,ბრძენნო, გეევედრებით ჩ-ნ, მუშაკნი ამის ფილასოფოსურისა ნაკუსანი და ოთხსა რაჲვესა ვითხოვთ თქუენ მიერ: პ-დ ამას, რათა არა სცვლიდეთ ნაჭუსა წყობიერებისასა თუნიერ სრულიადის გარდაკმაზეისა; მეორედ, რათა არა ჰყოთ შეცდომა უჩინოსა, ზმნისა ანუ რიცხუსი, რეცა უშუარ სახედაობისათჳს. რამეთუ მრავალჯის ეგეთნი სახილველნი ძალისა მიმართ სრულისა აღვბრეტენ, რამეთუ ესრეთი ჩუენეული ბუნებაჲ აქუს ფილასოფოსთა თქმულთა; მესამედ, უკეთუ ჰპოოთ ეფოცანიები (!) რაჲმე, ნუ ჴდნეველ, რამეთუ არა ნებსით ქნილ არს, არამედ უნებლიეთ; მეოთხედ, ოდეს თჳსათა შეუთხზავთ და ეგრეთ გეევედრებით ქრისტესა სახელისათჳს და მისდაცი მოწყალისა ლოცვასა ჰყოფდეთ ჩ-ნთჳს, რამეთუ ამისთჳს იყო ესრი მუშაკობისა ჩ-ნისა, და ნურ-ცა ჩ-ნგან მოზრახულსა სენგესსა თარგმანთასა და მწერალთა სახულთა მოსცენებასა დაუტეეებთ გარდუწერელად. ჴკეთუ გარდაწერდეთ ვინმე წიგნსა ამას. ხოლო ამისცა ვიკადრებ და ვიტყჳ. უკეთუ წიგნი ესე გარდაწეროს ვინმე, და თავს აღწერილი იგი თარგმან-მწერალთა ძალთნი ხსენებაი არა დაწეროს (!), მას იფლს ღ-ისაგან დაღებულსა წინაშე ღ-ისა სასყიდლის დაკლებისათჳს მისცეს სიტყჳა.

სრულ იქმნა რიტორობა გარდმოთარგმნითა ჰრომანელთაგან ქართველთა ენასა ზედა თვესა იანვარსა ი-ზ, ქრისტეს აქეთ ქ-ესა ჩლჲა, დასაბამითგან წელთა ჱ ხჲთ“. (გვ. 412 — 413).

მინაწერი: 1. „ჩ. ზემოთ საყდარს ვიწყჳეით მუშაობა წელსა ჩლჲ და შეველი და დავისადგურეთ ჩლჲე, სეყდებრის კ-ვ. დღესა ვ-“ (გვ. 413).

2. ბეეულად: „დ ა ვ ი თ“, „ს ო ლ ო მ ო ნ“ (ყდის საცავი ფურცლის ɾ).

3. ასომთაერულით: „დ ო ს ი თ ე ო ს ი ნ-ოთქვობი“ (გვ. 414) იქვე მხედრულად: „რიტორება ესე“.

(521) **1138**

პავლე მოციქულის ეპისტოლენი. X

180 ფ.; 24×21,4; ტეტატი (უკანასკნელი ფურცელი ქაღალდია): ტყავგადაკეთებული შუაყის ყდა; ნაკლულია: ნუხერი, სათაურები სინგურით; [X ს.]; გადაწერილი — გაბრიელ (109 v); დახიანებული: მოხეულია 28-ე ფ.-ის კუნთი ნაწილი და 91-ე და 92-ე ფ. ფ.-ის მარჯვენა მხარე.

„ჩ. პ ა ვ ლ ე ს მოციქულისა წიგნი ჰრომელთა მიმართ. საკითხავი პირველი. — პ ა ვ ლ ე, მონაჲ იესუ ქრისტესი, ჩინებული მოციქული, რჩეული სახარებასა მას ღმრთისასა, რომელ-იგი წინაჲსწარ აღუთქუა წინაწარმეტყუელთა მისთა მიერ წიგნთაგან...“ 26 r — 179 v.

წყებაჲ: „...ამას მიესწერ წენდა და ვესავ ადრე მოსლეასა ჩემსა. უკუეთუ ეყოვნო, რაჲთა უწყოდი, ეთარ-იგი ჯერ-არს სახლსა შინა ღ-ისასა სლვაჲ, რომელ არს ეკლესი...“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა; 1. ხელნაწერი შეიცავს პაულეს 11 ეპისტოლეს: წიგნი ჰრომელთა მიმართ (26 r — 57 r), წიგნი კორინთელთა მიმართ ა (57 r — 86 v), წიგნი კორინთელთა მიმართ ბ (86 v — 110 r), წიგნი გალატელთა მიმართ (110 r — 121 r), წიგნი ეფესელთა მიმართ (121 r — 128 r), წიგნი ფილიპელთა მიმართ (128 rv), წიგნი კოლასელთა მიმართ (128 v — 136 v), წიგნი თესალონიკელთა მიმართ ა (136 v — 143 v), წიგნი თესალონიკელთა მიმართ ბ (143 v — 149 v), წიგნი ებრაელთა მიმართ (149 v — 176 r), წიგნი ტიმოთეს მიმართ ა (176 r — 179 v).

2. პაულეს ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ ნაკლულია.

3. ეპისტოლეებს წინ უძღვის ე. წ. „ევთალეს სტიქომეტრია", რომელსაც თავი აკლია (1 v — 25 v): პირველი გვერდი (1 r) წაშლილია და არ იკითხება. იწყება: „...საკითხავთაცა შინაგან ბეშმარიტებული განგებ[ა]ა] და განკუეთად [და] საღმრთოთა წა[მებ]ათა კეთილ]ად [ჰამოჰ]ინებისა პოე[ნა]... ოდ გამ[ოეთქუთ] და თავ[ად თავად] განვაგებ [და აღ]ვიბილეთ კარგ[ი]სა [ბის] საკითხავითა..." (1 v — 25 v).

4. ხელნაწერი აღწერილი აქვს თ. გორდანიას (იხ. Описание рукописей Церковного Музея духовенства Грузинской Эпархии, № 345, გვ. 329 — 345).

ანდერძი: ტექსტის ბოლოს, სინგურით: „ჴ"ᲘᲔ შეიწყალე გაბრიელ" (109 v).

მინაწერები: 1. თ. ჟორდანიას ხელით გაკეთებულია მინაწერები ტექსტოლოგიური ხასიათისა; 37 v, 38 v, 39 r, 101 v, 102 r, 103 r.

2. სხვა ხელით, მხედრულად: „ჴ. თქვენის შვილს გიორგის, კეთილად სახსენებელო, ახლა თქვენის მშვიდო..." (39 r).

3. მხედრულად: „ჴ. ღ"თს ბედნიერის კელმწიფის ჭირი მოსცეს მათს მტერს, ალმაშარის შვილს თედორეს. მერეთ ამას მოკვსენებით მათს სიმაღლეს, შვილი მოჰეცა და არაფინ არის შემწყნარებელი". (39 v).

4. მხედრულად „ჴ. ღმერთმან ჩემის ბატონის ჭირი მოსცეს იმნაძეს, მერმე ამას მოგახსენებ. ნათლოს (!) მიგიდოდ. ერთი ავი კაცი დამიხვდათ" (149 r).

5. მხედრულად: „ჴ. ტერეულნი, ჴ. ებრაელთა ეპისტოლისა წამებათა შინა გ წამებაში: ...და ყოველნი ვითარცა სამსჯელნი განკყდენ და ვითარცა ტერეულნი ჰსცვალნე იგინი და იცვალნენ", შესამოსელის ნაცვლად ძეს ტერეული.

რომაელთა, ა კორინთელთა, ბ კორინთელთა, გალატელთა, ეფესელთა, ფილიპელთა, კოლასელთა, თესალონიკელთა ა, თესალონიკელთა ბ, ებრაელთა, ა ტიმოთე, მხოლოდ სამი თავი აქ-ს შეხლადებდე. ეს სამოციქულო მხოლოდ ამის მეტი არ არის, რომელსაც აკლია საქმე მოციქულთა, ა ტიმოთეს მეოთხე თავი, ბ ტიმოთე სრულებით და ტიტეა თავი სრულებით. და არცა კათოლიკეებია არც ერთი. და ესეცა რაკი სწერია ამ სამოციქულოში, მოაველად სხვაობს ლექსების ცვალებაში და შემოკლებით აღწერაში აბლისა სამოციქულოსა თანა, რომელსაცა ვხმარობთ დაბეჭდილს. და ამით ჰსჩანს, რომ ეს სამოციქულო უფრო ადრე არის თარგმნილი და დაწერილი, ვიდრემდის ახალი. და ვინცადა ო[რ]სა და სამს ადგილს აწერს ამავე ხელით ამისი დამწერი ესრეთ: ჴ"ე, შეიწყალე გაბრიელ, ამით საგონებელ არს, რომ თვით წმინდისა და ღირსის გაბრიელისაგან იყოს თარგმნილი და დაწერილი, რომელსა ოდეს ზედით ხატი კარისა ღ"თისაჲ ხედვიერისა, და რომელიცა იყო ბრძენი ძმა მამისა იოანესი, რომლისა ძე იყო წ-ა ევთიმი მთაწმინდელი, მთარგმნელი ქართულის წერილებისა, და იგი ორნივე ძმანი იყვნეს მამულით საფაოელნი, საათაბაგონი. ამავე სამოციქულოს თავს, პაულე მოციქულის წამებას და წელსა წამებისასა მოიხსენებს; და შემდგომად ამაჲე სამოციქულოს წამებაებს ვინა მოწმობას, რაც ძველის სჯულისა და წინასწარმეტყველთაგან არის მოღებული მოწმობაები, პაულე მოციქულისაგან თვითოეულად აღწერს გამოკრებით ყოვლისავე ეპისტოლისას, და თვით უპისტოლეებშიაც ჩაურთავს ასრე წამებებს, თუ რომელი მოწმობა რომლის წინასწარმეტყველისა და ადგილისაგან არის მოღებული პაულე მოციქულისაგან" (180 r v).

მინაწერები არის აგრეთვე: 21 v, 39 v, 40 r, 85 r, 131 v, 132 r, 133 v, 165 r-ზე.

კრებული-სწავლანი. 930—940

448 გვ.; 26,5×21,9; ეტრატი; ტაეგადარული ტეიორული ხის ყდა (ტყავი მარკვეულ მხარეს აკლდება); თიხ-ბოლნისკლები; ნუსხური, სათაურები სინგურით; 930—940 წ. წ. (ვ. 18) დახატებულია გვ. 1—6, 27—28, 33—34, 39—42, 45—46, 83—84, 101—102, 163—164, 243—244, 259—260, 287—288 (თან ახლავს, მოხეული ნაწილი), 315—316, 337—338, 353—354, 401—402, 407—408, 423—424, 447—448. ამოცვლილია 329—330 გვ.

1. [თქუმული იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათჳს და განწმედისათჳს სულისა და ძჯრ-უკნენებელობისათჳს]. — „...ჩუენ მარადის ვიშ[უებთ] თქუმულითა მათითა და ვიხარებთ ნიჭთა მიერ მადლისაჲთა, რომელი გარდაემატა ჩუენსა ზედა ქრისტეს მოსლვითა...“ გვ. 1—7.

2. „სწავლაჲ წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სინანულისათჳს. — ფრიად ვცთდებთ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, ყოლადვე გონებითა, სიტყჳთა და საქმითა...“ გვ. 7—17.

3. „თქმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სინანულისათჳს და ლოცვისა მოწყალებელად. — ძმანო საყუარელნო, მოვისწრაფოთ ტარიელით სინანულად,..“ გვ. 17—23.

4. „თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ წყალობისათჳს ღმრთისა. — წყალობისა და სამართალსა დღითი-დღე გაქებდე შენ, უფალო...“ გვ. 23—27.

5. „თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ თარგმანებაჲ იოვანე მახარებლისაჲ და პალესი(!). — ამიერითგან ყოველსავე ვეჭმოდით, რომელსა შემძლებელ ვიქმნეთ მოღებად სულითა წმიდითა, და პატივს-ვსცემდეთ მღდელსა უზეშთაესითა პატივითა...“ გვ. 28—37.

6. „თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სინანულისათჳს. — გევედრებით თქუენ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რაჲთა იქცეოდთ წინაშე ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა უბიწოდ და შეუგინებელად...“ გვ. 37—39.

შენიშვნა: ბოლო აკლია.

7. [თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ მოწყალებისათჳს, მდიდრისა მისთჳს და ლაზარესთჳს გლახაკისა]. — „... ეგრეთვე წმიდასა ეკლესიასა ჰქონან საღმრთონი წიგნნი...“ გვ. 39—54.

8. „თქუმული იოვანე ოქროპირისაჲ სოფლისა ამისთჳს წარმავალისა, სიკუდილისათჳს და სამუკუნისა. — იხილეთ, საყუარელნო, რომელთა დაგიტეეებიეს ზრუნვაჲ ამის სოფლისაჲ...“ გვ. 54—70.

9. „თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სისტჯსა(!) მისთჳს მოციქულისა, რომელ თქუა, ვითარმედ ქრისტემან მშჯდობა ყო სისხლითა თჳსითა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. — მოვედით, ძმანო ჩემნო, და გამოიძიეთ სიტყუაჲ იგი მოციქულისა პავლესი, რომელ თქუა...“ გვ. 70—81.

10. „ებისტოლე წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ, რომელ მიუწერა თევდორეს მთავარსა ჰრომისასა, რომელი მონაზონებით კუალად იქცა სოფლადვე. — უკუეთუმცა შესაძლებელ იყო ჩემდა, ცრემლთაჲ და სულთ-

ქუმისაჲ წიგნითა აღ-მცა-მევსო ებისტოლე ესე ჩემი მათგან ესრეჲთ წარმომწ-
ცა იგი შენდა..." გვ. 82—105.

11. „ებისტოლე წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ თევდორესა მიმართ, რომელმან მონაზონებაჲ დაუტეჳა და ცოლი შეირთო, რომელი იყო დისწული იოანან ჭრომთა პაპისაჲ. თავი იბ. — იტყჳს უფალი პირითა ეზეკიელ წინაწარმეტყუელისაჲთა: უკუეთუ მოიქცეს მართალი სიმართლისაგან თჳსისა..." გვ. 105-123.

12. „თქუმული წმიდისა იოვანე ოქროპირისაჲ სინანულისათჳს. თავი იგ. — ისმინეთ საყუარელნო, სიტყუაჲ ღმრთისა, რომელი განგაღჳძებს თქუენ უდებებისაგან თქუენისა..." გვ. 123 — 145.

13. „თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოსისაჲ სინანულისათჳს და სიკუდილისა. თავი იდ. პირველი საკითხავი. — არა არს საშინელი კაცთა მბრძოლთათჳს არცა მახჳლი, და არცა ლახუარი, ეითარ იგი ჟამი სიკუდილისაჲ ცოდვილთათჳს..." გვ. 145—171.

14. „თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოსისაჲ შურისათჳს და სახეჲ სინანულისაჲ მორწმუნეთათჳს. თავი იე. — ვითარცა იგი რაჲ ორბი სპეტაკი იპოების ყოლადვე ადგილთა სულმყრალთა მწინკულევანთა და ერიდების იგი ბოსტანთა და სამოთხეთა და ადგილთა სურნელეთა, და ეგრეთვე მწერთა დაუტეევნიან გუამნი სურნელნი და ცოცხალნი და დაეხჯნიან წუთხსა წყლულებათასა..." გვ. 171—189.

15. „თქუმული წმიდისა მარკოზ მონაზონისა მდურვაჲ და ყუედრებაჲ ურთიერთას თავისა თჳსისაჲ სულისა და გონებისაჲ მხილებაჲ სამართლად. — ისმინე, სულო ჩემო, მეტყუელსა, თანაზიარო ჩემო, განზრახვასა და და განგებასა ცხორებისა ჩემისასა, და გითხრა შენ საქმეჲ საიდუმლოჲ ცხორებისა ამის ჩემისა და შენისაჲ შეერთებულისა და ურთიერთას ზიარისაჲ..." გვ. 189—199.

16. „თქუმული წმიდისა მარტჳრი მონაზონისაჲ სინანულისათჳს და სიმდაბლისა. თავი იზ. — რომეთუ ფრიად უბარიან ღმერთსა და მხიარულ არიედ ანგელოზნი მისნი გუამსა ზედა კაცისასა შრომითა განკაფულსა, რომელმან უბიწოდ დაჰმარხის სიწმიდე მისი..." გვ. 199—240.

17. „თქუმული წმიდისა საბაჲ მონაზონისა. თავი ით. — ძმანო, გაქუნდინ ესე საჴურველად უძლეველად, რაჲთა ეშოროს მონაზონი ხელვად პირსა დედათასა,..." გვ. 240—242.

18. „სინანული წმიდისა ეფრემისი, ვითარ იგი ტირილით ამხილებდა თავსა თჳსსა და გლოვით იტყოდა. თავი ით. — ჰ, სულო ჩემო, რომეთუ ღირსთა საქმეთ წარმართებულ არს და საქმეთა შენთა სირცხუელეული კუალად ქცეულ არს შენდავე..." გვ. 242—251.

19. „სწავლაჲ წმიდისა ეფრემისი მონაზონთა მიმართ და მარტოდ მყოფთა. თავი კ. — სწავლაშან ძისა ღმრთისაშან განანათლა ყოველი სოფელი და იხილა სოფელმან გზა ცხორებისაჲ,..." გვ. 251—275.

20. „თქუმულნი წმიდისა ეფრემისი თარგმანებული მეეკუსისა ფსალმუნისაჲ მარხვისათჳს და სინანულისა. თავი კა. — ჰ. კრებულო მორწმუნეთაო, საყუარელნო, ისმინეთ თქუმულთა ამათ ჩემთა შემოსლვისათჳს წმიდათა მარხვათაჲსა,..." გვ. 276—287.

21. „თქუმული წმიდისა ეფრემისი საყუარულისათჳს და სწანაულისა. თავი **კბ**. — ძმანო ჩემნო საყუარელნო, ნუმცა რაჲ აღგჳრჩევიეს ცხორებასა ამას ჩუენსა უფროჲს საყუარულისა...“ გვ. 287—305.

22. „თქუმული წმიდისა ეფრემისი სინანულისათჳს, ჯურისათჳს და პაპასკეევისა და კჳრიაკისათჳს. თავი **კგ**.—საყუარელნო, რომელ გნებავს მონებად უფლისა, მოიგეთ შიში ღმრთისაჲ ყოველთა დღეთა ცხორებისა თქუენისათა,...“ გვ. 305—316.

23. „თქუმული წმიდისა ეფრემისა სიკუდილისათჳს [და] გამოსლვისათჳს სულისა ჴორცთაგან, თავი **კდ**. — ვაჲ ჩუენდა შენ მიერ, ჲ სიკუდილო, რამეთუ თანამდები ხარ უწყალოჲ,...“ გვ. 316—322.

შენიშვნა: ბოლონაკლულია.

24. [თქუმული წმიდისა ეფრემისი სიცილისათჳს და უჯეროდ განცხრომისა]. — „... პირველი გლოვაჲ საღმრთოჲ ესე არს, რაჲთა განიხილოს კაცმან სული თჳსი...“ გვ. 323—328.

შენიშვნა: თავ-ბოლონაკლულია.

25. [თქუმული წმიდისა ეფრემისი მოძღურისა მის კურთხეულისაჲ]. — „... რამეთუ შევაწუხე და განვარისხე ღმერთი საქმითა ჩემითა შეგინებულითა,..“ გვ. 329—360.

26. „თქუმული წმიდისა ეფრემისი სინანულისათჳს. თავი **კზ**. — მო-ოდესმე-ეიდა ერთი ვინმე ძმათაგანი და ჰრქუა წმიდასა ეფრემს...“ გვ. 360—369.

27. „სწავლაჲ წმიდისა ეფრემისი სინანულისათჳს. თავი **კთ**. — ჯერარს ჩუენდა, რაჲთა ვწუხდეთ მარადის, რამეთუ შეთხზულებაჲ ესე ცხორებისა ჩუენისაჲ დღითი დღედ დაშალების...“ გვ. 369—375.

28. „თქუმული [წმიდისა ეფრემისი] მხილებისა[თჳს თავისა თჳსისა და აღსარებისათჳს] ცოდვათა, რომელნი სიმდაბლით აჩემნა თავსა თჳსსა. თავი **კთ**. — ვაჲ ჩემდა საწყალობელისა, რომელი ესე დღითი დღედ ვიკითხავ დაბადებასა, რომელი იგი შეემთხუა დათანს და აბიორნს, წინააღმდგომთა მოსესთა, ვითარ იგი განეღო ქუეყანაჲ და დანთქნა იგინი და ყოველნი სახლეულნი მათნი და მონაგები მათი...“ გვ. 375—382.

29. „თქუმული წმიდისა ეფრემისი დიდების მოყუარეთათჳს მხილებაჲ. თავი [. .]. — გაუწყეს თქუენ, ძმანო ჩემნო საყუარელნო, რომელი ღუაწლსა შინა მწუხარებისასა მოწყლულ ვარ სიტყჳსა მისგან წინაწარმეტყუელისა...“ გვ. 382—402.

30. „თქუმული წმიდისა ეფრემისი მხილებაჲ მონაზონთა და და(!) დაჴსნილთაჲ. თავი **ლა**. — რომელი აბრალებდეს სხუათა, ჯერარს მისა, რაჲთა არა იყოს იგი ბრალეულ...“ 402—428.

31. „სწავლაჲ წმიდისა ეფრემისი მონაზონთათჳს და სინანულისა. თავი **ლბ**. — რომელსა ჰნებავს განსუენების (!) სენაკსა შინა, ნუმცა ემღერიან მას ეშმაკნი საშუებელთა მიერ სოფლისათა, არამედ განეშორენ იგი კაცთაგან ყოვლითა საქმითა...“ გვ. 428—448.

წყუდეა: „... რომელსა ეწერა ყოველი ცოდვაჲ ავაზაკისაჲ მის ერთ კერძოსა მას ბუდესა სასწორისასა და დასძლია,..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: ხელნაწერი გამოცემულია პროფ. ილ. აბულაძის მიერ: „მასწავლებლის სწავლანი", X-XI საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით, 1955 წ., თბილისი.

მინაწერი (გადაწერის ხელით) ნუსხურით:—„დაიცვენ მამფალი დავით დღეგრძელობით და სიმრთელით, ამენ". გვ. 18.

სხვა მინაწერები, გვ. 70, 188, 232, 304, 308, 390 410.

(523) **1140**

ცხოვრება სიცილიელისა ქალისა. XIX

II + 398 გვ. 19,8 × 15,3; ქაღალდი; მუყაოს ყდა; აქვს ყდის საცავი ფურცელი მხედრული; [XIX ს.]; აქვს ჰვირნიშნავ; მთარგმნელი თავადი გიორგი ავალიშვილი (გვ. 1); თარგმნის ადგილი სანკტ პეტერბურღი (გვ. 1); დაუწერელია 1 v, II rv გვ. 4, 388 — 398.

„კეთილმოქმედი სიცილიელი ქალი ანუ შემთხუჱვაი მარკიზ ალბელინაჲსა.— აღეიარებდი მე თაესა თეისსა ბრალეულად დიდსა შინა უმადლოებასა წინააღმდეგად ღ[ა]ისა, უკეთუმცა არა მიმემცნო სრულისა ქუჱყანისადმი ყოველად უმაღლესისა მოწყალებისაგან მისისა შთამოვლენილნი ჩემზედა სახიერებანი..." გვ. 5 — 387.

შენიშვნა: 1. აქვს თავფურცელი: „ცხოვრება კეთილმოქმედისა სიცილიელისა ქალისა, ანუ შემთხუჱვაჲ მარკიზ ალბელინაჲსა. ნაწილი ა და ბ. წელსა ჩყთ. დეკემბერის ჳ დღესა ვიწყე რუსულითი თარგმანება სამეუფოსა ქალაქსა შინა სანკტ პეტერბურღსა თავადმან გიორგი ავალოვმან". გვ. 1.

2. იგივე ტექსტი, მხოლოდ დაუმთავრებელი მეორდება 1 r-ზე.

3. წინასიტყვაობა მთარგმნელისა: „მხილველმან როსსიისა ენასა ზედა შემდგომისა წიგნისა ამის (კეთილმოქმედს სიცილიელს ქალად წოდებულისა), და მას შინა მპოვნელმან განჱაკრუბებელთა შემთხუჱვათა მოთმინებისა ქალისა, არა მხოლოდ სამაკალითოჲსა კეთილმოქმედებისა, არამედ ურველთა ღირს განმალიებელობისა თჳსებათაცა მჭირნებელისა; ვიწყეე გარდმოღებად ქართულსა ზედა რაოდენცა მინადირებულნან, ეგოდენწუ ტყუე ქნილმან (თუცა ძნელ მისაბაძებელისა, გარნა ფრიად საჭებელ საგუაჯიობელისა), მომხიბლელმან ღ[ა]ითგ გონიერულისა ქცეულისადმი მისისა და დაჲებად თჳსდნა. უ მჱთხულნო! რომელნიცა ჰგებთ კეთილ-მამჭმეობასა შინა რაოდენმე მსგავს მძლეულობითა მოსულისა და მხიარულებისა დიადი-მაჲთა ბურულისა ამის ჩემისა ტერეზილლაჲსა რწმენებულმან მით, რამეთუ ოდესცა თჳთეული მყუარებელი კეთილისა ღირს ჰყოფი სიყუარულსა და პატივის ცემასა თჳსსა ასპარეზსა ზედა უბედურებისასა მწორებედს და შემდგომად საყუდელსა ბედნიერებისასა მიწყენილსა ქალსა, მაშინ ინებებითცა შემიმცენებელნი თჳსნიდამი მისისა მიზეზისა მიმარ[ა]თცა წერილსა ამას შინა პოვნილსა რაჲსამე ნაკლებობისა მიტეუებასა, ვინაჲთგან გონებაჲ შემსჭუალული კეთილთა მიმართ მისთა ეუარებოდა შემწეობასა შინა შემხუბჭებად ტჯრთისა ხელსა მხოლოდ მშრომელსა და ამად გთხოვჱთ ყოველსა შეზხუდვით თუცა რომელსა, ნუ ჰყოფთ გულსა მწყრომელსა, რისხჱთ დაეთრომელსა ამა სოფელს მომობელსა, მწირსა ქუჱყნის მხომელსა; მარად ღმობით მხმობელსა, მფარუელთა არა მგმობელსა, ვმოწმოთ ჩემსა მცნობელსა მრაუალ სახეთმთხრობელსა. რაოდენი შეძლო, ეცდილობდი უნაკლოდ გადმოთარგმნასა, გარნა სრული იგი არს, რომელიცა უძღუს და მართებს აღმოსჩნჟას ჩუენ მოკუდაეთასა და რომელისადმიცა დავმოება რწმენებითა ამით საუკუნოდ" (გვ. 2—3).

შატბერდის კრებული. 973—976.

287 ფ.; 28 × 22; ეტლატი; ტყავგადაკრული ტივიფრული ხის ყდა, რომელსაც შიგნით კრული ნაჭერი აქვს გადაკრული; ნაკლული; ასომთავრული (1 v — 126 r) და ხუსური (126 v — 286 v); სათაურები სინგურით, დაწერილია ორ სვეტად; 973—976 წ.წ.; გადამწერი იოვანე ბერი (105 v, 107 r, 234 r); გადაწერის ადგილი შატბერდი (285 v); აკინძულია 38 რვეულად: ამოვარდნილია 53, 60, 70, 77, 100, 107, 108, 115, 229, 244, 259 — 266, 267, 274 ფ. ფ. მოხეულია ფ. ფ. 58 და 125 (მეორე სვეტი), 159, 203-ის ქვეშ ნაწილი, 287; ამოჭრილია შუა ნაწილები ფ. ფ. 200, 267; გაჭრილია ფ. ფ. 133, 139, 161, 171, 174, 238, 241, 255, 256, 277.

1. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისაჲ კაცისა შესაქმისათჳს, რომელი მიუწერა ძმასა თჳსსა პეტრეს ეპისკოპოსსა სებასტიელსა. — უკუეთუმცა ჯერ იყო დიდებაჲ სათნოვების მომგებელთაჲ პატივითა მონაგებთაჲთა იპოვნესმცა ყოველნი სიქადულნი საფასეთანი...“ 1 v — 59 r.

2. „თუალთაჲ ეპიფანჱ კჳპრელისა თქუმული. — ეპიფანე ეპისკოპოსი კსტანტია(!) ქალაქისაჲ, რომელ არს დედაჲ ქალაქთაჲ..., რომელ თქუა ათორმეტთა მათ თუალთათჳს. უფალსა ჩემსა პატიოსანსა ძმასა და საქმის თანაზიარსა თეოდორჱს კეთილად მსახურსა ეპისკოპოსსა, ეპიფანჱ ეპისკოპოსი უფლისა მიერ გიკითხავ!...“ 59 v — 105 v.

3. „მჴეცთათჳს, სახისა სიტყუაჲ, წიგნთაგან, თქუმული წმიდისა ბასილი ეპისკოპოსისა კესარიელისაჲ. — არს რომელი იწოდების მსუენი მზარისაჲ, ვითარცა სახის მეტყუელმან თქუა...“ 106 r — 118 r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემული აქვს ნ. მარს. Физиолог. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VI, СПБ, 1904.

4. [ეპიფანე კჳპრელი. სახომთათჳს და სწყაულთა]. — ამას შენდა პატიოსანო შევსწერავთ, რომლისა მაღლისათჳს ჰკითხჱ მოჳსენებაჲ მისთჳს იყავნ...“ 118 v — 126 r.

შენიშვნა: სათაური გადასულია და არ იკითხება.

5. „იპოლიტეს განმარტებაჲ კურთხევათა მათთჳს მოსესთა ათორმეტთა მიმართ ნათესავთა, კ(ნ). — ნეტარისა მის ისაკისი ყოფილთა მათთჳს კურთხევათა ძეთა მიმართ თჳსთა, პირველთ მათ წიგნთა შინა გამოთქუმულ და ძალსაქმეთა მათ ყოფილთათჳს არა დადუმებულ, და იაკობისი იგიცა, რომელ ათორმეტთა ძეთა მიმართ მოჳსენებულ და მათვე სახითა გამოცხადებულ, ვითარ რაჲმე არიან კურთხევანი იგი ყოფილნი და ვის ზედა აღესრულნეს..“ 126 v — 140 v.

6. „წმიდისა იპოლიტეს თქუმული კურთხევათა მათთჳს იაკობისთა, ვითარ იგი ათორმეტნი ნახპეტნი აკურთხნა. — კურთხევათა მათთჳს იაკობისთა გამოთქუმად სიტყუანი ძე ღმრთისა მე რამეთუ კურთხევათა მათ ვეძებ...“ 140 v — 155 v.

შენიშვნა: იპოლიტეს ორივე ეს თხზულება გამოცემულია ჟურნალში: Patrologia Orientalis, t. — XXVII, fasciculus 1 et 2, Paris. 1952.

7. „თქუმული იპოლიტესი დავითისათჳს და გოლიადისთჳს განბარტებაჲ. — ზრახვანი იგი. ნეტარის ამის დავითნისნი ყოფილნი იგი ძუელსა შჯულსა, და გალობითა წინაწარმეტყუელ-ყოფითა და საქმითა, სრულ ადვილ არს ცნობად, რომელთა სარწმუნოვებით იცნან წმიდანი წიგნნი...“ 155 v — 162 r.

8. „ნეტარისა იპოლიტეს თქუმული თარგმა̀ნებაჲ ქებაჲ ქებათაჲ. — სიბრძნ̀ე აქუნდა სოლომონს, არა თუ თჳთ სიბრძნე იყო...“ 162 r — 177 r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემული აქვს ნ. მარს. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. III, Петербург, 1901.

9. „ნეტარისა იპოლიტეს თქუმული აღსასრულისათჳს ქრთაჲსა, თქუნული წიგნთაგან წმიდათა ქრისტესთჳს და ანტიქრისტესთჳს. — ...ბა... ეშენ (!) დამტკიცებულსა მაგას წინა მეცნიერებისა გულსხმისყოფად, რომელ ესე წინა გჳც შენ მიერ ჩუნდა თავსიყუარულს, რამეთუ ჩემდა, ძმაო თეოფანე, ღირსად და წესად შეჰრაცხე უხუად და უშურველად წარმოღებად...“ 177 r — 193 r.

10. „სიტყუაჲ წმიდისა იპოლიტ̀ესი სარწმუნოვებისათჳს. — გურწამს, ეითარცა ნათელ-ეიღეთ და ვადიდებთ, ეითარცა განვნათლდით...“ 193 v — 203 v.

11. „თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იპოლიტესი მთავარებისკოპოსისაჲ სახ̀ე აღთქუმისაჲ. — მართალ არს სიტყუაჲ ესე, რომელსა ეიტყჳ და ყოველთა წესიერებითა შესაწყნარებელ განღრძებად ჩუნდა ძილისაგან ამას ჟამსა...“ 203 v — 215 r.

12. „მოქცეაჲ ქართლისაჲ. — პირველ ოდეს ალექსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ღ̀ოთის შეილთანი წარიქცინა და შეჴადნა იგინი კედარსა მას ქუეყანასა...“ 215 v — 248 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. სამი ისტორიული ქრონიკა, 1890 წ. თბილისი, გვ. 1 — 39, და Описание рукописей... ტ. II, გვ. 708—813, Тифлис, 1906—1912 г.).

13. „ცხორებაჲ და განგებაჲ წმიდისა იაკობისი, რომელი ეპისკოპოს იქმნა ქალაქსა ნასიბინს. — მოსე დიდმან წინაწარმეტყუელმან, რომელმან განაღო ზღუაჲ მეწამული და განიყვანნა ჴელსა ძენი ი̀სრაელისანი, აღმოუცენა წყალი უდაბნოსა ურწყულსა კლდისაგან ჴელსა...“ 248 v — 256 r.

14. „თარგმანებაჲ დავითის ფსალმუნებისაჲ — „... [ნეტ]არ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა...“ 256 v — 285 r.

შენიშვნა: 1. განმარტებულია 1—6, 9, 17, 44, 49 ფსალმუნი.
2. ფსალმუნთა თარგმანება იწყება დაჩის წერილით ტბეთის ეპისკოპოს სტეფანესადმი (იხ. ანდერძი).

15. „... ვერ შესაძლებელ არსო ქალაქი დაფარვად, რომელი მთასა ზედა დაშენებულ იყოს და კლდესაი, აღაღადებს და იტყჳს დღესა მას უკუანაჲსკნელსა ...“ 286 r v.

წ ყ დ ე ბ ა: „... აღუიებიეს სახე და გჳჩუენებს თუ რომელთა ბრძოლითა იძლია მძლავრი...“

შენიშვნა: 1. შატბერდის კრებული აღწერილია თ. ჟორდანიას მიერ (იხ. კრებულები, ტ. I, გვ. 99—107, ტფილისი, 1893 წ.) და ე. თაყაიშვილის მიერ (იხ. Описание... т. II გვ. 632—651, Тифлис, 1906—1912).

2. კიდეებზე მხედრულად, ერთი ხელით, გაკეთებულია მინაწერები, რომლებიც ტექსტის გადასწორი და გაურჩეველი ადგილების აღდგენას წარმოადგენს.

3. ანდერძების ტექსტი აღდგენილია ე. თაყაიშვილის წაკითხვის მიხედვით.

ანდერძი: გადამწერისა (ტექსტის ხელით, სინგურით). 1. „ესე კაცისა შესაქმე დაიწერა დედითა ი[ხ]ნისათა. ვინ იკითხვიდეთ, მწერ[ლისათჳს] ლოცვა ყავთ.“ (59 r).

2. „უფალო ქრისტე იესუ, მეოფეო, ყოველთა დაბადებულთა წყალობით მოიკ-სენე ამის წიგნისა მწერალი დღესა მას ადგომისასა“ (88 v—89 r).

3. „ქრისტე, შეიწყალე ი ვ ა ნ ე, ამისი მწერალი“ (105 v).

4. „ქრისტე, შეიწყალე ბ ე რ ა ი, მწერალი ამის წიგნისაჲ, და შეუნდვენ ცოდ-ვანი მისნი, ა[მ]ნ“ (107 r).

5. „სამებაო წმიდაო ყოვლისა მპყრობელო. წყალობით მოხედენ ამისსა მწერალ-სა გლახაკსა მეოხებით რჩეულსა შენისა წმიდისა ბ ა ს ი ლ მთავარებისკოპოსისაჲ.“ (118 r).

6. „წმიდაო მამაო ი ა კ ო ლ ი ტ ე, მეოხ ეყავ მამასა ი ო ვ ა ნ ე ს წინაშე ო[ს]ა-ჩუენისა იესუ ქრისტესა. ესე ერთი წიგნი მათითა საფასითა დაიწერა. ვინ იკითხვი-დეთ, ულოცვედით“ (215 r).

7. „ესე დედაკაცი იყო ს ი დ ო ხ ი ა, მოწაფე წმიდისა ნ ი ნ ო ჲ ს ი, რომელმან ესე ყოველი აღწერა“ (230 v).

8. „ქრისტე, შეიწყალე ბ ე რ ა ჲ მწერ[ალი]“ (234 r).

9. ფსალმუნთა თარგმანების ბოლოს: „დიდებაჲ შენდა, ქრისტჱ, დაესრულა თარგმანებაჲ ფსალმუნისაჲ, თქუმული წმიდისა ეპიფანესი“ (285 r).

10. „ქ. სახელისა წმიდისა სამებისასა მქადაგებელნო, ზეგარდამო ქებულნო და დიდებულნო წმიდანო მღდელთ-მოძღუარნო ნეტარნო გ რ ი გ ო ლ ნ ო სე ეპის-კოპოსო და ღირსო ე ფ ი ფ ა ნ ე კ ვ პ რ ე ლ მამაო და მთავარო და განთქმულო (!) წმიდაო ბ ა ს ი ლ, მწყემსო ყოველთა მორწმუნეთაო, და დიდებულო (დ-ბლო) ი ო ა-ნ ე ს ი ტ ჱ, წინაწარმეტყველნო გამოუთქუმელთა მადლთა მეცნიერნო მეტყველნო, დიდად განსაკურველნო კაცნო, პოვნილნო გულითად უფლისად, წოდებულნო მო-ნად ქრისტესა, სამკუდრებელნო სულისა წმიდისანო], რომელნიცა გამოუჩინებელნი და დაფარულნი სიბრძნისანი გამოგიცხადნა და სული წრფელი განიბადა გუამთა თქუენთა.

და დაუწერენით ეკლესიასა ქრისტესსა პირად-პირადთა წიგნთა თარგმანებანი და შესხმანი წმიდისა და ყოვლად დიდებულსა ღმრთისმშობელისანი და ჩუენ გუა-უწყეთ წესი აწინდელისაჲ ღმრთისმსახურებით და მოსაგებელი ნეტარისა [მის] საუკუნოასა სასოებით ცხორებისაჲ.

ვითარცა ბილული დაუმტკიცეთ გულისხმისმყოფელთა, ვითარცა თქუა დანიელ საკრველმან წინაწარმეტყველმან, მაშინ გამობრწყინდენ გულისხმისმყოფელნი-ნი, ვითარცა მბრწყინვალებაჲ სამყაროასაჲ და რომელთა კეთილად ჴელ-ყვეს და-უნჯებაჲ ზეცისა სიმდიდრეთაჲ წარგებითა კ[ეთ]ილ[ისა] მონაგებთაგთა და კვლის-კუნისა მათისა აბოვნებაჲ. ვითარცა ნეს[ტ]ორის წინაშე ღმრთისა და კაცთა ყოველთა [ალი]ძღუას მიბაძვებად [მათა], და [ღ]აცათ]ე გლახაკ ვინმე იყოს, ვი-თარცა წერილ არს: მედგარო, ემსგავსე ჴნჭველსა და შებმა უყავ უფროჲს [ძალი]სა შენისა, რომელი ღმერთი არს მოძღებელი ძალისაჲ.

ამისთჳს მეცა არა დავფარ[ე] სწრაფაჲ სულისა ჩემისაჲ მიზეზითა ნაკლულევანე-ბისათა და შეუდგა კეთილსა გულსმოდგინებისა მე, ცოდვილი და უნარჩევესი ყო-ველთა მოწესეთაჲ ი ო ვ ა ნ ე ბ ე რ ა ი, და გავასრულე წიგნიაჲ ესე წიგნი კ ა ც ი ს ა შ ე ს ა ქ მ ჱ და მეორედ წიგნი თ ე ო ლ ო გ ი ა და ს ა ხ ა ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ი და ი ო ა-ნ ე ს ი ტ ე და ქ ა რ თ ლ ი ს ა მ ო ქ ც ე ვ ა ჲ და ც ხ ო რ ე ბ ა ჲ ნეტარისა მის და დიდებულისა მღდელთ-მოძღურისაჲ ი ა კ ო ბ ნ ა ს ი ნ [ი ნ ჭ ი ლ ი ს ა ჲ და თ ა რ გ მა-ნ ე ბ ა ჲ ზ ო ჯ ა რ ი ფ ს ა ლ მ უ ნ თ ა ს ა ჲ.

მოღუაწებითა [და თანადგომითა] დედის ძმისა ჩემისა მიჭაელისა და ძმისა ჩემისა დავითისითა და სტეფა[ნაწ]მიდისა არავის ჰრთავს თჳნიერ [სიგლახაკისა ჩემისა. და შეგ[წერე] [მატბეღ]ორს საყოფელსა წმიდისა [ღ]ოთისმშობლისასა], რომელსაცა შინა აღ[ეშარდე] სალოცველად სულისა [ჩემისა] ცოდვილისა და მშობელ[თა ჩემთა] და სალოცველად მეფეთა [ჩუენთა] ბაგრატ მეფისა და ყოველთა შე[ილთა] მათთაჳს და გეკდრები ყოველთა, ვინცა იმსახურებდეთ წმიდასა ამას..“ (285ᵛ).

ანდერძი (მთარგმნელისა, ტექსტის ხელით):

1. „უფალო იესუ ქრისტე, განუსუენე სულსა დაჩისასა“ (268 r).

2. „დაჩის ეთარგმნა ესე სომეხთა ენისაგან, ღმერთმან სული მისი დიდებულ ყავნ“ (285 r),

3. „პირველი სიტყუაჲ მიწერილი დაჩისი სტეფანეს ნეტარისა მტბევრ[ე]ლ ებისკოპოსისა:

ღირსო მამაო წმიდაო ებისკოპოს(!) სტეფანე, ქრისტჱს გამ[ორ]ჩეულო მამაფალო, კეთრთეულ არს ღმერთი, რომელმან გამოგაჩინა შენ კეთილად მწყემსად ჩუენდა და მჳფრნალად სულიერად, აღმაშენებლად ჩუენდა. მრავალგზის მინდა ბილვაჲ შენი კურნებისათჳს [სალ]მობათა სულისა ჩემისათა, არამედ სიშო[რისაგან და რუდუნებისაგან] უცალოებისა ჩემისა ვერ ღირს [ვიქმენ თაყუანისცემად შენდა აწ შენდობა იყავნ ჩემდა], ამისთჳს რომელ წიგნითა [მოგიძ]ურებ განსაკითხავ[ა] ამას ჩემსა, წმიდაო ღმრთისაო. მრავ[ლით ჟა]მითგან [გულ]მოდგინედ ვეძიებდ[ი] თარგმანებას[ა] ფასალმუნთასს, წიგნსა მას, რომელი დაწერა [წმიდამან] მამამან ჩუენმან] ეპიფანე [ქვპრელ ებისკოპოსმან და არა ვიოვე ქართულად]. ბერძენთა ენითა ვპოვე და ვერ შე[უძლე ცნობად], ვითარცა წყაროსა მიუწუდ[ომელ]სა და ფასსა [დაფარ]ულსა. მერმე ვპოვე სომეხურითა ენითა წე[რილი], სრულიად მითავე ბერძნულითა განბეჭითა და მითვე [რიც]ხჳთა. შემჳწერდა სომეხთათჳს და შემე შინა თარ[გმ]ანებად, რამეთუ დიდი ბ[ო]ლოძაჲ შეემთხ[ჳეოს თარგ]მანთა, რომელნი არა განექრძალნენ, და სრულად უკუეთუ ვისმე პირველად ეთარგმანოს, მეორედ თარგმანებული წინააღმდგომად გამოჩნდების, ვითარცა აკლებასი იგი და სუმაქისი [და ამით არა ჯერ-არს. ხოლო მე არა ვპოვე პირველ თარგმანებული და ამის]თჳს მცირედი ესე გემ[ოას ხილვაჲ] გამოვთარგმანე, და წინაშე ღმრთისმოყუარებისა [შენისა გან]საკითხავად მოგიძღუანე. [ხოლო] შენ მსგავსად მოცემულისაჲ მაგის სიბრძნისა შენისა [განკაცთხე] და ჯერ თუ იყოს, შენ მიერ დაენერგენ შორის ეკლესიასა და უკუეთუ არა ღირს ოდეც იყოს, წიგნი ესე დაწუ და სიტყუნ ჩემი დაფარე, და მე მამხილე და შევინანო.

ხოლო მე ასერგასისთა [მათგან საკი]თხავთა შორის შჳდნი ხოლო [გამომე]ხუთან, რომელ არს [აღ]მოძჱუენი ოდენ სრულიად, [და თჳნიერ] ბრძანებისა შენისა [არღა]რა კელჩჳყოფ, ვიფრქმდის] არა ვიცი, თუ მაქუს რაჲმე სასყიდელი და ვმჭერებოდი ანუ თუ [ცუდად] დავშურები, და ბრალობაჲ შემემთხუევის, რამეთუ დიდი წიგნი არს თარგმანი ასერგასისთა მათ ფასალმუნთაჲ, რომელნი დაწერნეს ქალკედონ ღმრთისამან დავით, სულისა მიერ წმიდისა შეთხზნა ბრაბიონი ქებისაჲ და დადგა იგი თხემსა ზედა ეკლესიისასა საძღეველად მტერისა.

ამის წმიდისა მამისა ჩუენისა ეპიფანეს თარგმანებული ყოველსავე კეთილად და განგებულად გჳჩუე[ნებს, თუ] ვითარ არიან ზედა-წაწერილნი იგი, ანუ ვითარ აჴსენებს ასატის და ძეთა კორესთასა და ედი[ოთმი]ს და სხუათა შემასმენელთა, [ანუ ოდეს და] რაჲსთჳს თჳრემულ არიან, ანუ [რაჲ ძალი აქუს] საწნეხ[ელ]თასა მას და ძეგლის წერასა]. და ყოველსა თითოეულ[ად გჳჩუენებს, რომლისაჲ არა დარჩების ერთიცა იოტა [ოდენი, რომელ]სა არა კეთილად განგჳმარტებს. ვითარცა იგი მოციქ[ულთა წმიდათა] უფლისა თანა ისადილეს კიდესა ტბისა მის ტიბერიასსა ასურგასის და სამითა თევზითა. ესრეთვე სახედ წმიდაჲ მამათმთავარი ეპიფანე შესხჳეს თევზთა მათ და [ა]სადილებს ყოველთა მორწმუნეთა, რომელ არიან წოდე[ნი] იგი ფასალმუნთანი პურ და მადლ საღმრთო [წ]მიდასა შინა ეკლესიასა.

ბოლო მე მსგავსად ძალისა ჩემისა მცირედნი ესე ასერგასისთა მათგან შენ-ფა-
გიძღუანენ. უკუეთუ ჯერარს განსრულებაჲ, სიწმიდემან შენმან განასრულენ. მე
უცალოებისა ჩემისაგან ვერა-რას შემძლებელ ვარ. თუ რაჲმე არა ჯერ-იყოს, ზე-
მომოწყალენებულისა მისებრ, დაწჯი და მე შენდობაჲ მომმადლეთ და ესენებულმცა
ვარ ლოცვათა შინა შენთა ღირსო მამაო, ა"ნ" (256 r v). ანდერძი დაბეჭდილია
პროფ. ი. აბულაძის მიერ. ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა-
ნი IX—X სს. გვ. 197.

4. „მიწერილი დაჩიჩი [მრ]ოველ ებისკოპოსისა ანტონისა. ჯერ
თუ იყო ანუ არა ნიშდებითა ამით გონებითა ჩემითა ესე ფერებ ვყავ და შენდა
(შ'და) შევწირე, ღირსო ღმრთისაო, და ვეედრები სიწმიდესა შენსა, რაჲთა განა-
შორო სიტყუათაგან ჩემთა ტკივანჭაჲ მტერისაჲ, და მომფინო ჩემ ზედა არაჲ ეგე
მადლისა შენისაჲ, და განანათლო ბნელი გონებისა ჩემისაჲ და ეტეროვან კეთილ
მეჭმენ მე, დაშიპყარ ჴელი მარჯუენე ჩემი და ეღმენებისად მიძღოდე მე წინაშე
ჩემსა, და განმავლენ მე გრებნი იგი ძნიად სავალნი, და მომიძღუე მე თემ[ს]ოფო-
რიონსა მას სამეუფოსა და გამომითხოვე მსაჯულისაგან პიტაკი განთავისუფლები-
საჲ, რაჲთა განვერე მე ჴელთა მათგან საშინელთა წვიდაო ებისკოპოსო, ღირსად
გმოსიეს ვაკანი ეგე სამღდელოჲ და სამართლად მიგიღებიეს დროატი სალმრთოჲ.
ჴელმწიფებაჲ გაჩუს, მჴნეო, განმათავისუფლე მე მონობისაგან ცოდვისა" (285 r).

მინაწერები: 1. მდივან-მწიგნობრული ხელით: „ჵ. ქრისტე ღმერთო, ადიდე დი-
დებითა საეკუნოთა ერისთავ-ერისთა[ვი] (ე"[ვი]) კუირიკე (კ"კე), რომლისა
ბრძანებითა და [ჩენით შეი]მოსა წიგნი ესე ჴელითა მათისა მწ... [მ]ღოცველისა
მიქაელისითა" (1 r).

2. ამ მინაწერის ზემოთ, გვიანდელი მხედრული: „ესე წიგნი დეკანოზისა ალ ე-
ქსისა, დეკანოზი" (1 r).

3. პირველი მინაწერის ქვემოთ, მხედრულად: „ღმერთმან მშჳდობაში ეს წიგნი
დიმიტრი პროთოპაპის პატრონს ახმაროს არა უკეთუ არა დაადგო(!),
ითხოვეთ სულიერი სახრდელი, რათა მიეპთხუნეთ სუფევასა ქუსყ[ნისასა]" (1 r).

ზეუულად, მეორე მინაწერის ხელით „ეს წიგნი" (1 r).

4. ნუსხურად: „წ. მე ყოველად ღირსმა [მ]ევსწირე ეკ"სთა დღე ესე სა-
დარსა.... [ღ]ისმშობელსა. ყოველად წვიდაო, შეიწყალე ცოდვილი ევდემოზ, ა"ნ"
(42 v).

5. მხედრულად: „ამ მე-6 რვეულს ამის წინ აკლია ერთი (მე-7) ფურცელი"
(46 r).

6. მხედრულად: „აქ არეკვით არის შეკრული, ოცდაოთხი ფურცელი, გარდაი-
თვალე ზედეთ და იქ შეამოწმე რომელ არს სიტყჳა ესე: და ქნის მრავალი სნეუ-
ლებათა კურნებაჲ" (70 v).

7. მხედრულად: „არეკვით შეკრულა ამის ფურცელი და ვითარცა ოცდაოთხს
ფურცელს ქჳით იძიე" (76 v)

8. მხედრულად: „შეიხსენე, უფალო, ცოდვილი ... ყოფილი ..." (126 r).

9. მხედრულად: „ხოლო იპოვების წიგნსა ამას შინა წერილნი ესე: 1. ეჭუსთა
დღე. 2. იპოლიტეს განმარტება, 3. ათორმეტთ თჳალთ განმარტება, 4. სახისმეტყუ-
ლება, 5. ნ ი ნ ო ს ცხოვრება და ქართლის მოქცევა და სხუა, 6. დავითნის თარგ-
მანი".

ამ მინაწერის ზეუით სხვა ხელით: „ებრაული და ბერძული ანბანიც არის ამ
წიგნში და ბრწყინულიაც ადამისითგან ვიდრე ნაკიუორე მეუღმდე" 287 r.

მინაწერები არის აგრეთვე შემდეგ გვერდებზე: ქართულად: 26 r, 32 r, 77 r, 91 r
104 v, 105 v, 123 v, 125 v, 126 r, 139 r, 152 v, 183, 184 r, 204 r, 206 v, 213 r,
251 r, 269 v, 279 v; სომხურად: 277 v, 278 r, 281 v, 282 v. ბერძნულად: 280 r.

(525) 1142

ანტონ I. გრამატიკა. XIX

104 ფ.; 33 × 20,8; ლურჯი ქაღალდი; ახალი მუყაოს ყდა; აქვს ზედა და ქვედა ყდის საცავი ფურცლები; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; 1808 წლის ჰვირნიშნი; დაუწერელია: 1 rv, 43 v, 103 v, 104 rv; სარდიონ ალექსიევ-მესხიევის წიგნთსაცავისაგან (ზედა ყდის საცავი ფურცლის r).

„თჳს ხელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა. ნაწილი პ̃ლი, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თჳთოეულნი ნაწილი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკოჲსა მოწაფე ქმნილთა. თავი პ̃ლი. ბრუნუათათჳს სახელთასა. § 1. — რაცხუსა შორის ჩ̃ნ მიერ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა...“ 2 r — 103 r.

შენიშვნა: 1. გრამატიკის ტექსტი მისდევს 1885 წ. გამოცემას.

2. ხელნაწერს თან ახლავს 22,6 × 17,8 ზომის ქაღალდის ორი თეთრი ფურცელი 1849 — 1852 წლებისათვის მოძრავი დღესასწაულების კალენდარით.

მინაწერი: „წიგნთსაცავისაგან სარდიონ ალექსიევ-მესხიევისა“. ზედა ყდის საცავი ფურცლის r.

(526) 1143

შემსგავსებათა წიგნი. 1807.

94 ფ.; 33,8 × 20,3; ლურჯი ქაღალდი; მუყაოს ახალი ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით; 1807, 28/VI (86 r); ჰვირნიშანი — 1806; გადამწერი დ̃ვითრეკტორი (86 r). დაუწერელია: 1 rv — 4 rv, 88 v, 89 rv — 94 rv.

„წიგნი პიროლი. ცათათჳს და ნივთათჳს. მრავალთა სრულებათათჳს და უაღრესობათათჳს ოჳწიდეისისა ქალწულისათა, იჳელყოფებიან რომელნიცა პირად-პირადისა შემჰსგავსებითა მზისა, მთოვარისა, ვარსკულავთა, ნათლისა, განთიადისა, ღრუბლისა, ზღჳსა და ქუჱყანისათა. მერმეცა უკუჱ თჳთებითა სინის მთისათა გონიერებიეი ჩუჱნების თავი პიროლი. — მარიამ დედა უფლისა შემსგავსებულ არს მზისა პ̃ლ სადამე, რამეთუ მზესა აქუნ უკუჱ ვემე პატიოსნებაჲ გამოკრთოლუასა შინა, მით რამეთუ გამოჰკრთის სიმაღლითგამ და მრავლითა შარავანდედებითა...“ 4 r — 88 r.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე აღმწერელი და მჴოომელი ამის უკუჱ ცხოველთა წიგნისა, რომელ არს შემსგავსებისა, მაღალ კეთილშობილი, სრულიად კახეთის სამეფოს დირეკტორი და მოძღუარი ღ̃ისმეტყუელებისა და ფილოსოფიისა. ალექსის ძე დავით, თთჳსსა იუნისსა, რიცხუსა კ̃ჱ. ხოლო განჴორციელებიდგან სიტყჳსა ღ̃ისა ჩ̃ჯ, ქ̃კს უჟე.

(ხელულად). მაღალ კეთილშობილი ალექსის ძე დირეკტორი დავით, 1807.“ (86 r).

(527)

1144

ქამნი. XVIII — XIX

618 გვ.; 14,5 × 10,2 ქაღალდი; სქელი ქაღალდის ყდა; თავი და ბოლო ნაკლულია; ნუსხური; სათაურები სინგურით; [XVIII]— XIX]; გადამწერი გიორგი (გვ. 14).

„ქამნი შუაღამისა კ[ა]ესა. — მ[ა]რ[ა]ნ: კურთხეულ არს ქრისტე ღმერთი. დ[ა]ჲ შენდა მეუფეო ზეცათაო, სრულიად წ[ა]რ ღმერთო მმ[ა]ო ჩ[ა]ნო. მოვედით თ[ა]ყნისცემ გ[ა] გზის. მიწყალე მე ღ[ა]ო ს[ა]დ...“ გვ. 21—618.

წყება: „...ბოლო იგი წ[ა]წ[ა] ბირებულ იყოჲ დედისაგან თჳსისაჲ და ჰ[ა]ქაჲ: მომეც მე აქაჲ ლაკნით თაჳი იოანე ნათლისმცემელისაჲ და შეჰ-თუ-წუხნა მეფე იგ.. “

შენიშვნა: 1. ხელნაწერის შედგენილობა: „ქამნი შუაღამისა კ[ა]ესა“, გვ. 21—28; „ქამნი ბერძულნი შუაღამისანი“, გვ. 29 — 57; „ქამნი შუაღამისა შაბათისა“, გვ. 57—76. „ქამნი პ[ა]ლ ცისკრისა“, გვ. 77—120; „ქამნი პ[ა]ლ ცისკრისაჲ, გვ. 120—129; „ქამნი სამ ქამისა“, გვ. 129—137; „ქამნი მეექუსისა ქამისა“, გვ. 137—149; „ქამნი ცხრა ქამისაჲ“, გვ. 149—177; „ქამნი მწუხრისაჲ“, გვ. 178—195; „ქამნი დიდისა სერობისა“, გვ. 195—229; „ქამნი მცირე სერობისა“, გვ. 229—246; „ობითა იბაკონი აღდგომისანი“, გვ. 246—257; „ობითა იბაკონი შჳდეულისანი მგზეფსისა“, გვ. 257—264 „განგებაჲ მარხვათა და ზადიგთასა“, გვ. 264—294; ხადილნი დიდისა აღდგომისანი“, გვ. 294—300; „აბალ კ[ა]ესა წინა მწუხრი შაბათსაჲ.“ გვ. 300—301: „მესამესა კ[ა]ესა წ[ა]თა მენელსაცხებელთა დედათა“, გვ. 301; „მეოთხესა კ[ა]ესა განძრეულისაჲ“, გვ. 301—302; „მეოთხესა ოთხშაბათსა“, გვ. 302—303, „მეხუთესა კ[ა]ესა სამარტილისაჲ, გვ. 303—304; „მეექუსესა კ[ა]ესა შობითგან ბრმისაჲ“, გვ. 304—305; „მეეჴსესაჲ ხუთშაბათსა(!) ამაღლებაჲ წ[ა]ჲ ჩ[ა]ნისა იესო ქრისტესი“, გვ. 305—307 „მეშჳდესა კ[ა]ესა წ[ა]თა ნ[ა]ელთ მამათა.“ გვ. 307—308; „მერვესა, მეცხრესა და ყოველსა კ[ა]ესა“, გვ. 308—312; „სახარებანი ათერთმეტთანი“, გვ. 313—339; „ყოველსა საუფლოს ბეღნიერს დღეს ეს ბრძანე ცისკრად“, გვ. 340—344; [თავით მეტყველება] სქ[ა]ტმპრიდან აგჳისტომდე“, გვ. 345—618.

2. ხელნაწერს წინ უძღვის: ა). თავნაკლული ტექსტი: „...ერებასა შენსა დაჲცენეს მ[ა]ცხ[ა]რ ხილო მათგან ქსნილნი ქმიბდეს ღ[ა]მ მშობლისა მიმართ...“ (გვ. 1—14).

ბ). „ლოცვა ზიარებისაჲ წ[ა]ჲ იოანე ოქროპირისაჲ. — მკჳდრ იყავ შეცოდებათა...“ (გვ. 15—20).

3. ხელნაწერი არ მისდევს ნაბეჭდ ტექსტებს.

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე გიორგი და იმის ძმასა დემეტრეს შეუნდვნეს ღმერთმან. ვინცა შენდობაჲ ბრძანოთ. თქ[ა]ნცა შეგინდვნეს ღ[ა]ნ“ (გვ. 14).

შენაწერები: 1. ნუსხურად: „ღმერთო შეიწყალე დემეტრე მ[ა]თი“ (!), გვ. 79.

მხედრულად: 2. „ჰ. ღმერთო შეიწყალ (!), ცოდეილ (!) გიორგი, ამინ“ (გვ. 93).

3. „ჰ. ესე ქამნი“ (გვ. 230)

4. „ჰ. ესე ქამნი გიორგისა არის“ (გვ. 532).

(528)

1145

კრებული. 1783.

272 გვ.; 15,9×10,5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტივიფრული ხის ყდა; თავნაკლული; **მხედრული; სათაურები სინგურით; 1783, 16 აგვისტო (134); გააჩნია ჭვირნიშანი; გადამწერი კორნელიოს ნიკოლოზის ძე ჩაჩავაშვილი (134):** დაზიანებულია: გვ. 47—48, 49—50; ამოვარდნილია გვ. 69—72, 133—136, 263—264; დაუწერელია გვ. 269, 272.

1. [ფირმალიანი]. <ამბავი დიფნის(!) ქალაქისა> „...რდნა და ესოდენს იტიებს რომ მისი ცრემლის ნაკადულსა მდინარესა ემსგავსება და მასა ხმაზს. ეს რა რისხვა ღ~თისა არის, რომ ძლივ ერთი შვილი ღმერთმა მიბოძა და ესეცა ასე საცოდავათ გამიხდაო...“ 1—134 გვ.

შენიშვნა: 1. თხზულება შედგება 11 თავისაგან. ხელნაწერი იწყება მეოთხე თავის ბოლოდან.

2. თარგმნილი უნდა იყოს სპარსულიდან (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1941 წ. თბილისი, გვ. 387).

2. <ხალუმჯანიანი>. „კარი პირველი და დასაბამი ხელმწიფისა დიდისა და ამაღლებულისა სახელკეთილისა გულაზარისა და ძისა მისისა ახოვანისა ხალუმჯანისა.—ესე დიდებული ხელმწიფე გულაზარ ფლობდა და ხელმწიფობდა განგებითა კეთილთა სრულიად ერანსა და ადრიბეჟანსა...“ 135—268 გვ.

შენიშვნა: თარგმნილი უნდა იყოს სპარსულიდან. (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1941 წ., თბილისი, გვ. 388—389).

ანდერძი (გადამწერისა): „განსრულდა დიფნის (!)ქალაქის ანბავი ხელითა ჩაჩაკასშვილის ნიკოლოზის ძის კორნილიოსისაგან, აგვისტოს ი9, ქ~ქ~ს უოა. ახლა სხვა დავიწყე“ (გვ. 134).

მინაწერები: 1. „ენენია [ნი]ნო ანდრონიკოვისაე, ბატონო მამიდავ, ლმერთმან ყოველს შეშძლებელმან ბედნიერ გყოსთ და მშვიდობაში მოგახმაროსთ წიგნი ესე და მეორე ვაჟის ყოლაში. შენი უამი ძნისწული მაიკო ანდრონიკოვნა.“ (გვ. 270).

2. „სოფიკო, ხაკრო შენი და...“ (გვ. 271).

3. „შენი სულისა დაო ნანო, ეს წიგნი მოგართვი. დაო, იმდენი იცოცხლე, რამ, დენი ამ წიგნის ნახვით და წაკითხვით შენმა უბედურმა ძმამ ისაამოვნა. იმისი გახარება მაშინ იყო, ეჩქირა და კითხულობდა ყოველდღე. შენი გულისა ნინო, სიცოცხლეში მოგხმარდეს. მენი უბედური და და რძალი სალომე ანდრონიკოვისა.“ (გვ. 271).

(529) 1146

ქ. ბაუმეისტერი. მეტაფიზიკა. 1813

X + 490 გვ.; 15,7 × 10,1; ქაღალდი. (ნაწილი ლურჯი); ტყავგადაკრული ტყიფრული ხის ყდა; აქეს ყდის საცავი ფურცელი; მხედრული; სათაურები ასომთავრულით; 1813 წ. (გვ. 486); აქვს ჰვირნშანი (გვ. 415—416); გადამწერი დიმიტრი ალექსიევი (გვ. 486); დაუწერელია: I rv, II rv, V v, VI rv — X r v, გვ. 250, 432 487—490.

„<ზედ-დადგინებანი მეტაფისიკისანი>. თავი პ~ლი. პირუველ[ე]ლთაჳს (!)დასაბათა (!) კაცობრივისა ცნობისათა—§ 9. ონტოლოლოგიასა თანა აცს დადგინებად უპირველესნი დასაბამნი კაცობრივისა ცნობისანი, ხოლო ყოველისა კაცობრივისა ცნობისა ორნი ვიდრემე არიან დასაბამნი...“ გვ. 11—486.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს წინ უძღვის: ორი წინასიტყვაობა. ა). „ზედდადგინებანი მეტაფისიკისანი წინასიტყუობა ბუნებისათჳს და თჳსებისა მეტაფისიკისა. § 1. დ~ლათუ ხელის-მსიტყუოლობენ რომელნიმე, ვითარმედ ყრმათათჳს სხოლათა შინა აზნაურთა სწავლათა მსწავლულთა არ სათანადო არს გარდამოვიღმად მეტაფისიკაჲ. მით, რამეთუ თავს შორის ურიცხუთა და ძნელთა წინადადებათა იპყრობს იგი...“ (გვ. 1—7).

ბ). „ზედ-დადგინებანი ონტოლოღისანი. წინასიტყუაობა. § 7. ონტოლოგიისა თანაარს განყოფითა ადრე განმარტუად უ-ბრალესნი და საზოგადონი ზედმიწევნილებანი ანუ ცნობანი...“ (გვ. 7—11).

2. პინაჯსი მეტაფისიკისა (III r—V r).

3. პინაჯსის შემდეგ გადამწერის ხელით სწერია: „მეტაფისიკა შრომილი ანტონის მიერ პატრიარხისა ყოვლისა საქართველოჲსა, მეფის ძისა“ (V-r).

4. კიდეებზე გადამწერის ხელით გაკეთებულია ანტონის შენიშვნები.

5. თარგმნილია ანტონ I მიერ. (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, წ. I, გვ. 350—351, თბილისი, 1941. წ.).

ანდერძი: 1. „**1792, 11/9**“ (გვ. 486).

2. „ხრულ იქმნა წელსა ჩყიგ-სა, ნოემბრის ით“ (გვ. 486).

მინაწერი: „პროტოიერეი დიმიტრი ალექსიევი. წელსა ჩყს, იანვრის აა“ (გვ. 486).

(530) **1447**

იოანე დამასკელი, წინამძღვარი. XIX

270 გვ.; 16,4 × 10,2; ლურჯი ქაღალდი; ტყავგადაკრული; ტეიფრული ბას ყდა; მხედრული; სათაურები ასომთავრულით, სინგურით; [XIX ს.]; გადამწერი ალექსიძე დიმიტრი (გვ. 268); დაუწერელია: გვ. 1, 2, 269, 270.

„დაწყება წიგნისა ამის, რომელს ეწოდების წინამძღუარი, თქუმული იოანე დამასკელისა. — თავი ა. პირველითგან იყო ღმერთი და ღმერთი იყო პირველითგან, რომელი იგი მარადის იყო და არს და იყოს...“ გვ. 5—268.

შენიშვნა: 1. აქვს შესავალი: „წ-ისა და ნეტარისა მამისა ჩ-ნისა იოანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისა თქმული მართლისა სარწმუნოებისათჳს. სიტყუისგება უთათოთა მიმართ მწუალებელთა, რომელნი ორთა მათ ბუნებათა კრისტესთა უარ-ჰყოფენ. — სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წ-ისათა...“ (გვ. 3—4).

2. კიდეებზე მიწერილია გადამწერის ხელით განმარტებები.

ანდერძი: „დიკასტირიის მწერალ-მწიგნობარი ალექსიძე დიმიტრი“ (დიმიტრი—ხევსულად). გვ. 268.

(531) **1148**

კრებული. 1807

86 გვ.; 20,7×17,1; ლურჯი ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული მუკაის ყდა; აქვს ყდის საცავი ფურცელი; ნესტური; სათაურები ასომთავრულით; 1807 წ. 28/VI (გვ. 83); აქვს ჰვირნიშანი (გვ. 7—8); თარგმნილია ბერძნულიდან იოანე პაპუაშვილი-ჭყონდიდელის მიერ იოანე ოსეს ძის თანამშრომლობით (გვ. 34.); გადამწერი დიმიტრი ალექსოვი (გვ. 83); დაუწერელია გვ. 30, 35—36, 84, 85—86.

1. „ნაწილი 1. სარწმუნოების ნაყოფთა კეთილთა საქმეთა წინააღმდგომთა ცოდუათა აღსარება. — წინააღდგომა ჭეშმარიტისა კეთილმსახურისა აღმოსავლისა ეკკლესიისა სარწმუნოებისა...“ გვ. 1—29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: შედგება 7 ნაწილისაგან.

2. <მანუილ ქსანთიოს>, „ქორწინებისა თავთავჯს მატთესი [ბლასტარისა]. — ხარისხნი ქორწინებისანი ამად ვიდრემე იწოდებიან ხარისხად, რამეთუ ვითარ იგი კიბეთა ზედა აღელენ ხარისხად და ჰშთამოელენ, ეგრეთვე არს ნათესაობაცა ხარისხად..." გვ. 37—83.

შენიშვნა: 1. შეიცავს ორ ნაწილს. პირველში აღნიშნულია ნათესაობის სხვადასხვა სახე: ამოღებულია მათე ბლასტარის სჯტაგმიდან (გვ. 37—67). მეორე ნაწილშია ნებადართულ ქორწინებათა დიაგრამები (გვ. 69—83), თვითონ მანუილის შედგენილი (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. 1941 წ. თბილისი, გვ. 363—364).

2. „ქორწინებისა თავთავჯს" წინ უძღვის: ა) მთარგმნელთა იოანე პაპუწიშვილი-ქსიფილინოსის და იოანე ოსეს ძის „მოხსენება" ანტონ I-დმი იამბიკოდ თქმული. — უნეტარესსა და უწმინდესსა პატრიარხსა ყოვლისა საქართუელოჲსასა მეუის ძჱს ანტონის, ჩლენსა უწმინდესისა სინოდისა უმოხნებრესი მოხსენება. უწმინდესო მეუეო. —

ზეაღმავლობა ალისა მასწავებდინ
და მიმართება კენტროისადმი ნივთთა
შემომიკრებდინ ქმათა რათმე მიზეზთა
ძღუნის მრთელობისა წინამდებარისათა,
რომლისა კადრი წარმოვებს სურვილისაგან..." გვ. 31 — 34.
შეიცავს 8 სტროფს.

ხელმოწერილია: „ულირსი ხუცესი იოანე ოსესძე, ბერძენი იოანე მიხაილის ძე პაპუწიშვილი ქსიფილინი" (გვ. 34)

ბ. მთარგმნელთა წინასიტყვაობა იამბიკოდ თქმული, რომლის კიდური ასოები (მარჯვნივ და მარცხნივ) გამოხატავს მათ სახელებს — იოანე— „ოქტომბერსა თთუესა, დღესა **17**, წელსა **1785**, ტფილისს.

ითარგნა ესე წიგნი წინამდებარე
ოდენ ბერძულითი, ნათესავით ბერძნისაგან,
ამასთანავე შრომითა და თანღუწითა
ნათხზად ქართულებრ ოსეს ძის მღუდლისაგან, ხოლო
ერთნი კიდურთა შეგასწონ სახელი" (გვ. 34).

ანდერძი: 1. „ჰაჰა, მაგალითისია ქორწინებისანი, რომელნიცა დასხნა უბრძნესმან და უსიტყჳერესმან დიდმან ბარტოფილაჭსმან (ესე იგი წიგნთა მცუსლმან) უწმიდესისა ქ-ლი დიდისა ეკლესიისა კოსტანტინუპოლისაჲ იერუსალიმთა შორის უფალმან მანუილ ქსანთიოს" (!) (გვ. 68—69).

2. (გადამწერისა) „წელსა ჩყზ, იუნისის კუ. აღსწერე ქორწინებისა სჯიმა ესე მისის უწმიდესობის არხიმანდარმა დეკანოზმა დიმიტრი ალექსოვმა, რომელსაც თჳნიერ აღწერისა ამის უწმინარეს არა ოდეს აღმიწერიეს ხუცური წერით წიგნი რომელიძე. მიზეზითია ამით, რომელნიცა არა ვეწყოდი ხუცურთა კალამთა და ასოთა გამოცდილებით დანაკლეობა და ამისთჳს ნუ მყოფთ უმადლოებისა ქუმსდებარე უმესაბამოთა ასოთა ნაკუსთათჳს. დიმიტრი" (გვ. 83).

(532) 1149

ზღვარხიტყვაობა. XIX

I + 58 გვ.: 21,2 × 16,8; ლურჯი ქაღალდი; ცყდა; მხედრული; სხვადასხვა ხელით დაწერილი; [XIX ს.] 1801 წ. — ჰვირნაშანი (გვ. 23 — 24, 25 — 26); მთარგმნელი დაჟით გიორგის ძე ბაგრატიონი (I v); გადამწერი დიკასტირიის მწერალ-მწიგნობარი დიმიტრი (გვ. 54); დაწერილია I r, გვ. 55—58.

„[მეტოლოღია ანუ ძუელი ზღაპარ-სიტყუაობა]— ა. აყვარდიოს კაცი ჩრდილოელი, რომელმანცა მოკლა ელლიდა ისრებითა და სტყორცა სიტყუაბითა რათმე გრძნებისათა. ხოლო ოდეს იყო სიყმილი, მიეიდა ავარ ელადად ემისდა აპოლონს და მისგან ისწავა სიტყუა ხრიზომთა...“ გვ. 2—54.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს წინ უძღვის „შეყუანილება მეტოლოღიისა საზოგადოდ. თავი I. მეტოლოღია, ანუ ძუელი ზღაპარ-სიტყუაობა, არს მოთხრობა ერთთაჳს ნივთთა და ბუნებითთა მოჴმედებათა, ღ~თად აღსარებულთა ძუელთა წარმართთაგან. მეტოლოღიურნი წარწერა მრავალთა ადგილთა ემსგავსების სამღუდელოთა წერილთა, რომლისაგანთა განყოფილება აქუს ამით, რამეთუ ნანდვილნი ისტორიულნი შემთხუეანი სუეტ არიან ზღაპარ-სიტყუაობათა და რომელიცა ზღაპარ-სიტყუაობა ესე შემოტანილ არს მელქსედეკისგან მიცემისათჳს უმეტეს შჳნიერებისა თჳსთა სტიხთასი. დასაწყისისათჳს მეტოლოღიისა. მეტოლოღია დაწყებულ იქმნა მოგონებითა მწერალთათა და მოწმობითა დაბადებისათა სჳრიასა შინა წელსა **2700** ვიდრე შობადმდე ქრისტესი მეფისა ნინისგან, რომელმანცა აღაშენა ტაძარი ცეზისათჳს მომკუდრისა მამისა სახელსა ზედა. რომლისაცა მამასა ეწოდების ვილ ანუ ნებროთ. ხოლო ეგვიპტესა შინა ჩუსულებისაგან თათჳსა მისცენ პატივი მამათა მათთა, მაგრა ჩუსულება ესე გარდაცვალებულ იქმნა ძეთაგან მათთა დ[იდა]დ აღსარებულ თაყუანის-საცემელად. უმჯობეს არს მოკლედ მოთხრობად, ვიდრე განვრცობაჲ მით, რამეთუ **ესე** იქმნა უმეტეს უგუ[ნურ]ებითა გარდაცუულებითა და ამპარტავანებითა, რომელიცა იყო ნამდჳლი მიზეზი დაწყებისა მეტოლოღიისა და რომელიცა მუნით გამოვიდა ფინიკისა შინაცა და მუნით უმეტესითა მომატებულება, რომელსა შინა, რომელთაცა უკანასკნელ შეკრებეს ყოველნივე ღმერთნი (ღ~თნი) და აღუშენეს მათ ტაძარი სახელწოდებითა პანტეონ სახელსა ზედა ყოველთა ღმერთთასა (ღ~თთასა); სადაცა შემოკლებისათჳს ამბობხსა დადგნეს მუნ ბრმანი ღ~თნი მათ შორის ფატუმად წოდებული, რომელიცა პატივ-იცემებოდა უფროს ყოველთა ზედა მოსამართლეთა და რომელსაცა აქუნდა გვერდით დადგმული ურნა დიდი, რომელსაცა შინა მოგონებისაებრ მათისა იცუმბოდა წილი ანუ კერძი თჳთეულისაჲ გუამისა, კელთა შინა ეპყრა წიგნი, რომელსაცა წარკითხვაჲ ჳერეს ძალ ედვა და რომელსაცა შინა იპოებდა ყოველი წარსრულეი და მომავალი, და ესრეთითა სახითა რომელთაგან განვრცობილ იქმნა, ვინაჲთგან ჰფლობდენ იგინი მრავალთა ერთა. საკართველოს მეფის ძე დავით. სახოგადო განყოფისათჳს ღმერთთასა. ღმერთნი განიყოფიენან ექუსად. „1. ცისად, 2. ჰაერისად, 3. მიწისად, 4. წყლისად, 5. ჯოჯოხეთისად და მეექუსე ნაბეჭრ ღთებად ანუ გმირებად“ (გვ. 1—2).

2. თჳმულებები დალაგებულია ანბანზე.

3. ხელნაწერს ჰჭონდა შუაჲს ყდა, რომლის დაშლის შემდეგ აღმოჩნდა სხვა ხელნაწერის ფურცლები ნუსხურად და მიხედრულად ნაწერი, (იხ. S-1149/3).

ანდერძი: „დიკასტირიის მწერალ-მჳოგნობარი დიმიტრი“ (გვ. 54).

მინაწერი: „დავითის მიერ დავითიან ბაგრატოვანსა, მეფის ძის, თარგმნილი მეტოლოღია ესე ანუ ძველი ზღაპარ-სიტყვაობაჲ რუსულით ქართულსა ენასა ზედა“ (I v).

1149 ა

ფრაგმენტები. XIII—XVIII

15 ფ.; სხვადასხვა ზომის; ჭაღალდი; ფრაგმენტები; ნუსხური; 1 ფ. მხედრულია [XIII—XVIII ს. ს.].

[თარგმანება კათოლიკე ეპისტოლეთა]. — „... ობისაებრ მადლთაჲსა. მცქ~სა ქ~ნ რაჲ ივნო ჩ~ნთჳს ჯორცითა და თ~ქნეა იგიეე ბუნებაჲ შეიჭურეთ...“ 1 r — 2 v.

შენიშვნა: 1. დანარჩენი ფრაგმენტები არ იკითხება; რაც იკითხება, ისიც არ ირკვევა საიდან არის.

2. ეს ფრაგმენტები ამოღებულია S-1149 ხელნაწერის ძველი ყდიდან, რომელიც დამზადებული იყო ქაღალდებისაგან.

(533) **1150**

კატიღორია-სიმეტნე. 1767

V+276 გვ.; 18,8×13,4; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები სინგურით, ასომთავრულით; 1767, 18 აგვისტო (გვ. 271); დაუწერელია: I r v, II r v, III v, V v, გვ. 212, 272—278; გვ. 271—272 ქვედა ნაწილი მოხეულია.

„გნოსის არისტოტელებითთა კატიღორიათა გარდმოცემისა შრომითა ანტონი არხიეპისკოპოსისა დავითიანისათა. § 34—ვინაჲთგან სათანადო ეჴჭვნინთ ჩ~ნდა გარდამოცემანი არისტოტელებრთა შესმენთანი, უფრორე ჯეროვნად ჰრაცხს დაკუშთებისა ამის (აწინდელისა) მიზეზისა განხილუა..“ 20—212 გვ.

შენიშვნა. 1. თავფურცელი: „სადიდებელად ცხოველსმყოფელისა თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა ანტონისგან არხიეპისკოპოსისა ყოვლისა ზემოსა საქართუ~ლოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა, ქმნილი ანუ თქმული წიგნი კატიღორია-სიმეტნე და ჰსჯილი მისგან ქმასა ზედა არისტოტელისსა შემდგომითავე მისითა, მაგრა სხუათაცა სხოლასტიკოსთა და ახალთა ფილოსოფოსთა განსაზღურებათაგან და გარდმოცემათა მოღებული. ხოლო წინადადებული თჳსისა სწორისა მოწაფეთად დროსა ყოველად ბრწყინუალისა უკეთილმსურველისა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოვლისა ზემოსა საქართუ~ლოჲსასა, ხოლო მამათმთავრობისა თჳსისასა. წელსა დასაბამითგან სოფლისა **7275**. ქორიკელითგან შობითგან სიტყჳსა ღ~ისა **1767**. თთუესა მერუესა, რიცხუსა **9**. დაიწერა ახალსა გნოსისსა შინა სამეფოსა მისისა მეფობის უმაღლესობისასა“ (III r).

2. წინ უძღვის: „წინასიტყუაობა წინამდებარისა წიგნისა ხუთტაეპოვანთა სტიხთა ანუ დასდებელთა ზედა ცხრა რიცხუთა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა“ (IV r-V r).

3. შესავალი. „ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიანისა კატიღორიათა არისტოტელითად შეყუანილება“ (გვ. 1—19).

4. ერთვის: „პინაკს-სიტყუაობა ჩუე მიერთა შეყუანილებათა, კატიღორიათა, სიმეტნეთა და რომელთამე ჰსჯილთა ჩუე მიერ ქართულსა ალფავიტასა ზედა“ (გვ. 213—270).

5. გვ. 48-ზე მოთავსებულია სქემა: „არსებითთა ნათესავთა და სახეთა“.

6. ხელნაწერის 271 გვერდზე (რომლის ქვედა ნაწილი მოხეულია) მიწერილია თარიღი — 1767, 18 აგვისტო.

(534) **1151.**

კონდილიაკი, ლოღიკა. XIX

195 ფ.; 24,7×20; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; 1805—ჰვირნიშანი (ფ. 2); მთარგმნელი იოანე ბატონიშვილი (3 r); დაუწერელია: 1 r v, 2 v, 3 v, 6 v, 24 v, 186 r v, 187 v—195 v.

„ლოღიკა.— მე უკუმ განგიმარტენ თქუმნ ძალნი სულისანი და წარ-
მოუდგინენ გამსჯულობასა თქუმნსა ყოველნი იგი მდგომარეობანი კაცთანი
საზოგადოითა ხატითა...“ 20r—185v.

შენიშვნა 1. ხელნაწერს წინ უძღვის: ა. თავფურცელი: „ლოღიკა ბაბატ კონ-
დილიაკისა, ჩლენისა ფრანციისა, ბერნილისა, პარიჟისა და ლიონ-
ისა აკადემიათა, მოძღვარ-ყოფილისა მათის უმაღლესობის მეფობითისა პარმე-
ლის პრინცის ინფანტ დონ ფერდინანტისა, აწ პარმის ღერცოღად მყოფისა
და სხუათა.

თარგმნილი ფრანციცულით რუსულსა ზედა სანკ პეტრებურღსა შინა
საფასითა საკელმწიფოს სამეცნიერო აკადემიისათა. დაიბეჭდა 1792 წელსა“ (2r).

ბ. „ჯგიდოთარგმნული რუსულისა ენიდგან ქართულსა ზედა. იოანემა დავი-
თიანთ-ბატონისა შვილმან და სრულიად საქართველოსა და სხოათა, მე-
ათცამეტის მეფის გიორგის ირაკლიევიჩის ძემან და კელერმან სხოათა
და სხოათა, დაგშოსრ და გარდმოვიღე წიგნი ესე ლოღიკა შესაწევნელად გან-
თლებისათჳს ერთა მემამოლეთა ჩუმნთა წელსა დასაბამითგან სოფლისა 7314, ქრო-
ნიკელად შობიდგან სიტყჳსა ღ-ისა 1806, თუესა დეკემბერისა, რიცხჳსა 10“ (3r).

გ. მიმართვის ტექსტი: „მის კეთილშობილებას უფალს კახთა სამეფოს ქალა-
ქის თელავის სემინარიის რექტორს ალექსის ძეს დავითს, მოწყა-
ლეს ჯელმწიფეს.—თუმეა უოჩმან დროჲ ითჳმედა ჩუმნდა საკანსაცოველოდ, მაგრამ
ოდესმე განსაცდელნი სარგებელ ეკუმნებიან კაცთა, იგინი გაუსწაველებენ ჩუმნ ცნობასა
ამა ქუეყანისა, ამაოებისასა, გუსწაველებენ ჩუმნ სიმტკიცესა ჭამსა თანა ბოროტ
შემთბუეცათასა, და რომელსაც გუცებენ(!) ჩუმნ მცნობელობასა, მით რამეთუ არა
დროჲთაითჳს, არამედ მიუწდომელთაცა და ნეტარისა საუკუნოსათჳს ვართ ჩუმნ შო-
ბილნი და რადგან ჯწყით ჩუმნ უკუე ესეცა, რომელ განსაცდელი დროსამებრ შებუ-
დების კაცსა, ვინაჲდგან კაცნი კუმნდებარე ვართ ბედნიეროსისა და უბედუროსისა,
მაშსადამე განსაცდელი დროსამებრ უკუნ იქცევის, ვინაჲდგან არა არს შემ-
თხუევა ესე ანაგებითად.

შეხდომამან ამან მომიყუანა მე ერგუარსა უკუმ სარჯებლობასა, რომელიცა
უმჯობეს ყოველთა საუნჯეთა არს, ესე იგი სწაელა, სწაელა, რომელიცა სცუალებს
გონებასა უვიცთასა; სწაელა, რომელიცა აღიყუანს ზე და დაახედებს ქუე, ვითარცა
იტყჳან აღქჳსნდრეს დიდისა მაკედონელისათჳს, ვითარმედ ჰკითხა ყო მისდაო
რომელგანმე თჳსთა მოიანხეთაგანმანო, რომელ მამაშენი უმჯობეს გირნს შენთა-
ნა მოძღუარი შენიო. მან უპასუხა მასო—მოძღუარი ჩემიო ამისთჳს, რომელ, თუმ-
ცა მამა ჩემი მიზეი იყო ჩემისა სოფლად შემოყუანებისაო, მაგრამ მოძღუარი ჩემი
მიზეს მექმნა ქუეყანადამ ზენის აღყუანებისაო. ეცეგუარმან უკუმ შეხდომამან მცა
გუერდსა და განღეიძებულ მყო, დავიწყე სწაველად რუსთა ენისა, და აგრეგე სხუ-
ათა ანხარეთა და გონებით და ხელოვნებათაცა, რომელიცა სრულ ჰყოფდა მდგო-
მარეობასა ჩემსა; და ამისთანეე შეუდგა მოციქულისა სიტყუასა, ვითარმედ: რო-
მელმან ჯწყოდეს კეთილი საქმე და არა ქნნასი, ცოდუა არს მისაო. და ვითარმედ,
რადგან უქმობა არს დედა მცონარებისა და მცონარება არს დასაბამი ყოველისა
უბედურობისა, ამის გამო ქელ-ეჰყავ წიგნსა ამას და გარდმოვიღე, რათა ერთმემა-
მოლეთაცა ჩუმნთა ეჭუმნის სარგებელ.ად და სცნან თავი თჳსი, თუ ვითარ განჰოფიან
უსიტყჳეთა. ვითარცა ატყჳის დიდი იგი მოძღუარი პლატონ; განვეყოფით ჩუმნ
ამით უბეჭს პირუტყჳეთა, ვინაჲდგან ჯწყინო წონაო და ხომაო. მაშსადამე წიგნი
ესე ლოღიკა უფროს შეჯუაბენებს ჩუმნ ცნობად ხომასა და წონასა, ვინაჲდგან
ამასგუარი გონებათოეებრივი.

შრომა ესე ჩემი არა არს ამაო, ამისთჳს, რომელ
ვინაჲდგან ბრძენი სოლომონ იტყჳს ამას:
ეც ბრძენთა მიზეს, და უბრძნეს იჭმნებიი,
აჰა, ბრძენს გიძღვნი წიგნსა ამას ლოღიკას
ჩემ მიერ თარგმნილს რუსულისა ენითდან
და ამისა ძალით მოვიგებ შენგან სიბრძნეს.

ორმან უკუე მიზეზმან მაიძულეს მე ხელ-ბებად ამისა, ესე იგი რათა სარგებელ ეჸნასთ ერთმემამულეთა ჩუენთა. და ისარგებლონ ამით, ვინაჲდგან ბუნებით სიყუარული მაიძულებს დაღლილად ფიქრთა შინა ბედნიერობისა მათისათჳს, და ამასთანავე ჩუენებულმან ერთგულობითმან სიყუარულმან შენ მიერმან, რომელმანცა სული შენი დასდე ჩუენთჳს, ვინაჲდგან შეუძლებელ არს ვისჯამმე ეისთჳსმე სულისა თჳსისა დადება, გარდა დიდისა სიყუარულისა კიდე. მიზეზმან ამან მაიძულა აწმყოსა ჟამსა ამას ძლუნად რაჲსამე, გარნა ამა წიგნსა ზედა სხუაჲ არარაჲმე უმჯობებს უკუე მეეროცე მორთმად შენდა, ვინაჲდგან ბარი ბრძენ. ბრძნულნი წუროილნი ბრძენთაგჳნი უმეტუეს ძლუნ არიან. ვიდრეცა სხუანი ნივთნი, იჯავი 14—15, ესე უმჯობეს არს, ხოლო მიზეზი—რადგან კეთილისა საქმისა მიბაძაჲ კეთილ არს, ამისთჳს მობაძაჲ ვეძებენ მეცა უწმინდჳსობასაა მისსა.

პირველს ანტონის, პატრიარხს კათალიკოსს,
ბიძასა ჩუენსა, თჳსსა აჴ ყოფის ჟამსა.
ყოველად ბრძენ გზომსა ეთარგუმნა აჴ წერილნი:
მეტაფიზიკაჲ, ლოღიკა ფიზიკითურთ
და ითიკაცა ბაგმგისტერისგან თხზულნი,
მან ყოველად ბრძენმან, გონება ნათელ-ვრცელმან,
მჴევრ-გამომოჭმელმან, მსმენელთ სატკბობოდ მთხუბუსმან,
ისტორივ ძველმან და ღრმამან ღ-ისმეტყუელმან
შრომა ჰყო მცდელმან, გულითად მომწადელმან,
რათა ნათელ-ღცეს(!) ქართუელთა სიბრძნის მზემან,
მისგან მდინარე წყარო მშუნ-მეტყუელების
მოკამკამებს, მომდინარობს სიბრძის წყლობით,
რათა მიმორწყოს ველნი მჴკნარ-უმეცრულნი.
და განმანგძელულ ჰყუნეს ჭკუნი მაშთეენი მათნი,
რომელთა ეჭმნა ანტონის კელი ნამგლად.

ვინაჲდგან უკუე ესგუარი მოძღუარი მოიპოვე. და მჴსოვს ეჭუმენ მოწაფე ესე რომელმანცა სრულად მოჲიწერენ გულის შენისა ფიცარსა ზედა სწავლანი ღ-თის მეტყუელ-ფილოსოფოსებითნი, და არა დაჰმარენ ეგე ხმიერსა ჭუშე. არამედ დასდევ სანაოთხესა ადგილს ზედა, და მიძინებე ნათელი ეგე მოწაფეთა შენთა, რომელთაგანცა ჲემოუცნენ ნაყოფნი, ამისთჳს მეცა ესე საჭიროდ შევრაცხე და მოგიძღუანე წიგნი ესე. რათა მისცე მათ მათემატიკური ცნობაჲ, რომელიცა ფრიად განაბრძნობს გონებასა მოსწავლეთასა, ვითარცა იყო ძველადვე ჩუენებაჲ ათინას შინა, რომელ არა მიიღებდენ მოწაფენი სიფილოსოფოსსა სკოლასა შინა, ვიდრემდის იგინი არა ისწავებდენ პირველად არითმატიკასა, ღეომეტრიასა და სხუათა მათემათიკურთა სწავლათა, რომელიცა აწ არს ეგსაბედევე ევროპასა შინაცა. მეცა მიმხედმან ამისამან, რათა იყოს ჩუენშიაც ესგუარი სწავლულება, ვიწყე ამისთჳს კეთილი საქმე ესე, რომელ

კეთილის საქმის დამწყებსა ჯერ-უნს ესე.
რათა დაწყება იყოს საფუძველიანი
და მასთანაც თანხმობდეს საშუალი
ამისთჳს, რომელ ოროთა მათ მიბაძჳთა
აქუნდეს მაღლება კარგისა დასასრულისა.

და რადგან კეთილი საქმე იყო, დავიწყე საფუძველიანადცა, ამისთჳს საშუალება კარგი შეგიძინე. რომელიცა მისცემ კარგსაცე დასასრულსა, ესე იგი ასწავებ მოწაფეთა შენთა. რომლითაცა იქმნების დაჯერებულ, და მე თჳსნი მიერ მარადის მოგონებულ სუეშრ დავშთები თქუენსა კეთილ-შობილებასა ჴელმწიფესა პატრონისებასა და მდაბალად ალაპარაკსა შინა აკადემიელსა ბერსა ძე იოანე; მარტის 5, წელსა ჩჟზ. სანქ პატრბურგსი(!) (4r-6r).

(ციტატები დაბეჭდილია ხელნაწერის აღწერილობის II ფონდის I ტ., № 195. თბილისი, 1946 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. სარჩევი (7r-19r).

2. ხელნაწერს დართული აქვს ნახაზები და სქემები (187r—195r).

მინაწერი: იოანე ბატონიშვილის ჯანმარტება: „რაცა ამას ზეით უცხო ენის ლექსნი არიან, ისინი მე ქვეყით სხოლიონით თავ-თავია ადგილს განვმარტე, ამიტომ რომ, საცა გასაკვეთია, იქ უფრო სახმარად აღმიჩნდა. იოანე" (19v)

(535)

1152

ანტონ I, კატეხიზმო. 1807

120 გვ.; 21×16,2; ჭაღალდი (6 ფ. ცისფერია); ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; აქვს ყდის საცავი ფურცელი; მხედრული; სათაურები ასომთავრულით; სხვადასხვა ხელით ნაწერი; 1807 წ. (გვ. 115); აქვს ჰეირნიშანი (გვ. 7—8); გადამწერი: ანჩისხატის დეკანოზი დიმიტრი ალექსიევი (გვ. 115); გადაწერის ადგილი, [თბილისი]: დაუწერელია გვ. 116—120.

„წიგნი კატეხიზმოს ანუ მოწოდება, რომელიც თანა-აძს ქრისტეანეთა კეთილმსახურთა აღსარებად და შეწყნარებად, რომლისა შორის სიმეოლიონ აღიქსნების 123 შინა კითხუსა მიგებათა, ქმნილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოველსა ზემოჲსა საქართუელოჲსა.—კითხუა. რაჲ არს სათანადო ქრისტეანისა, რათა ჰრწმენეს..." გვ. 2—103.

შენიშვნა: წინ უძღვის შეყუანილება ანუ წინასიტყვაობა წიგნისა კატეხიზმოსი: „სადიდებელად ცხოველსმყოფელისა, თანაარსისა და განუყოფელისა სამებისა — მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ზემოჲსა საქართუელოჲსა დავიოთ-ბაგრატოვანისა. წიგნი კატეხიზმო, რომელ არს მოწოდება თჳსთა მოწაფეთა ქრისტეანეთა მართ-სარწმუნოებისა და საქმის, რომელიცა სათანადოჲსა ქრისტეანეთა აღმოჩინებითა ღრსმეტყუელებითითა და ფილოსოფოსობითითა იპყრობს თჳს შორის კითხუა-მიგებებად. დროსა უკეთილმსახურესისა და უბაღლესისა ირაკლი მეორისა მეფისა ყოველთა საქართუელოჲსასა და მამათა მთავრობისა თჳსისა ყოველთა ქართუელთა ზედა, წელსა დასაბამითგან სოფლისა ჴჯზ, განსოროციელებითგან სიტყუისა ღრის ჩღჲთ, შეყუანილება ანუ წინასიტყვაობა წიგნისა კატეხიზმოსი..." გვ. 1—2.

2. დართული აქვს „ჰინაჭს-სიტყვაობა ჩრ მიერ ქმნილისა წიგნისა კატეხიზმოსისა, რომლისა შინა სიმეოლიონ აღიქსნებიან 123 კითხუა-მიგებითა" (გვ. 103—115).

ანდერძი: 1. (ავტორისა) „სრული იქმნა 1790, 23 -ჱ" (გვ. 115).

2. (გადამწერისა). „ანჩისხატის დეკანოზი დიმიტრი ალექსიევი წელსა ჩყზ" (გვ. 115).

(536)

1153

კრებული. 1840

106 გვ.; 21×16,9; ლურჯი ჭაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული მუყაოს ყდა; მხედრული; 1840 წ. 5/VII (გვ. 102); აქვს ჰეირნიშანი (გვ. 11—12); გადამწერი: დიაკონი მწერალ-მწიგნობარი ალექსიძე დიმიტრი (გვ. 102); დაუწერელია გვ. 103—106.

„მაგალობა სულისათჳს, შემოკრებული თჳთო სახეთაგან სიტყუათა და მოგონებათა ჩვენთა. წ̃თა მამათა ჩ̃თა მაქსიმე აღმსარებელისა და იოანე დამასკელისა.—ვინათგან მყოფნი ვიდრემე ყოველნი ანუ გრძნობით იცნობებიან, გონებითა მიიწთომენან(!), ხოლო მიწთომასა ზედა საქმისა რომლისასამე ანუ გრძნობითა, ანუ გონებითა მოსწრაფე ბ̃რ, უკუმ

უკეთუ არს, ეძიებს, ამისა შემდგომად, თუ რაჲ არს, გამოეძიებს, და შემრმე, თუ რომელი რაჲ არს, და ამათსა შემდგომად, თუ რაჲსათჳს ამას..." გვ. 1—61

2. „განრჩევა და გამოცხადება, რომელთათჳს ფილოსოფოსნი შთამოველენ ქმათა, და მხილება უთათა სეეერიანთა, ესე იგი არს იაკობიტთა, სულთაგან მხრწნელისა და წუალებისა.—ტრფიალთათვის და თან-მბრძოლთა ჭეშმარიტთა რწმენათასა საჭირო არს ქმათა, რომელთათჳს უფროს შთამოველენ ფილოსოფოსნი..." გვ. 62—102.

შენიშვნა: ხელნაწერის კიდეებზე გადამწერის ხელით მიწერილია შენიშვნები.

ანდერძი: 1. „წელსა ჩყჱ. იოლისს ე" (გვ. 102).

2. „დიკასტირიის მწერალ-მწიგნობარი ალექსიძე დიმიტრი" (დიმიტრი—ხვეულად). გვ. 102.

(537) 1154

ფ. ქ. ბაუმეისტერი, საზღვარი ფილოსოფიისა. 1797.

II+292 გვ; 21,5×16,7; ლურჯი ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიფრული ხის ყდა; აქვს ყდის საცავი ფურცელი: მხედრული; სათაურები ასომთავრულით; 1797 წ. (გვ. 284); 1794 წ.—ბეირნიშანი (გვ. 5—6.); გადამწერი: დავით რეტორი (გვ. 284), გადაწერის ადგილი—თელავის სემინარია (გვ. 284); დაუწერელია: Iv, IIv, გვ. 210, 252, 285—292;

„ფილოსოფია ახალ-პაექრობითი, მპყრობელი თჳს შორის განსაზღურებათა და დადებულებათა. განსაზღურება ლოღიკისა.—ცნობა ისტორიკებრი არს ცნობა ნივთთა მათ, რომელნიცა არიან და იქმნებიან, ანუ ნივთიერსა შინა სოფელსა და ანუ არსებათა შინა უნივთოთა შემთხუულ იქმნებიან..." გვ. 1—251.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს წინ უძღვის. თავფურცელი: „ფრიდერიკოს ხრისტიანოს ბაუმეისტრისა გორლიციურისა ღიმნასიის რექტორისა. დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა სარგებელად ყრმათა სხოლის შინათა კმნილი. წიგნი, განსაზღურება ფილოსოფიისა, მპყრობელი თჳს შორის საზღუართა 1263. ქართულსა ჴმასა ზედა გარდმოღებული შრომილი ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიან-ბაგრატოვანისა ძროსა ყოველად უბრწყინუალესისა და უმპყრობელესისა დიდისა კელმწიფისა იმპერატორიც ეკატერინა ალექსევნასა, თჳთმპყრობელისა ყოვლისა რუსიისასა, და მემკჳდრისა მისისა კეთილმორწმუნისა კელმწიფისა ცესარეევიჩისა და დიდისა მთავრისა პაულე პეტროვიჩისასა. წელსა დასაბამითგან სოფლისა 7270. ჴორციელად შობითგან სატყჳა ქ-ისა 1762. ინდიკტიონსა 10, თთუესა მეათორმეტესა 30-სა (Ir).

2. „ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიან-ბაგრატოვანისა წინასიტყუა წიგნისა განსაზღურებისა ფილოსოფიისა. ბუთუბუღნი დასდებელნი:—

ფილოსოფოსმან ბაუმეისტრ ფრიდერიკოს
საზღუარ-დებულ-ჰყუნა ნივთნი საბრძნოთ შინანი,
ახალ ხელ-ყოფით პაექრობითნი თქმანი
სამეოცდასამ და ორას და ათასნი.—
ესე ერთ წიგნად ქმნილი, სარგებლად ბრძენთა
რ ო ს ი ი ს ა ს ა, პორფირის ქალაქთასა
თარგმანებითა ლათინთა ენისაგან
გარდამოღებით ჩუენსა ზედა ენასა
იმხარკა ესე ტკივილ-მოყუარებითა
სარგებლად ჩუენთა, ტრფიალთა სიბრძნისათა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონი ვჰსურები, მთარგმანე სიყუარულით
თჳსუმწ, ჩუმნთა მაგათ თანა-მოჭალაქეთა,
ერთ-ნათესავთა, ერთ-მეყულეთა
ბრძენთა ქართუულთა მირთმად ძღუმწ სიტყჳერთა
დროს მეფობითსა ირაკლი მეორისსა". IIr.

2. ბელნაწერს ბოლოში დართული აქვს „პინაკს-სიტყვაობა ახლისა ფილოსოფიისა განსახლურებათა და დადებულებათა კმნილი ანბანთა ზედა" (259—284).

ანდრიძი: „დავშური ამის უყუ ბავშვისტრის ხრისტიანის ფრიდერიკოს ფილოსოფოსისა უილოსოფიისა საზღუართა წიგნისა გარდანუსხჳთა სამეფოსა კახეთის ქალაქის თელავის სემინარიის რექტორი ალექსის ძე დავით თჳთ თელავის სემინარიისა შინა. განხორციელებითგან სიტყჳსა ღ**1797**. ბოლო ქართულსა ქორონიკონსა ხედა **უჰე**. თუესა ფებერუარსა, რიცხუსა **3**. დავით" (გვ. 284).

(538) **1155**

ფენელონი, გარდახავალი თელემაკისა. XIX

510 გვ. 21×16,7; ლურჯი ქაღალდი; ქსოვილგადაკრული მუყაოს ყდა; აქვს ყდის საცავი ფურცელი; მხედრული; სათაურები სინჯრით; 1818 წ.—ჰვირნიშანი (გვ. 45—48); დაწერილია: 60, 82, 105, 121—122, 149—150, 179—180, 232—233, 266, 315—316, 356, 376, 508—510 გვ.

„წიგნი პირველი. გარდასაველი თელემაკისა, ძისა ულისესი—კალიპსო ულისეს წასულას უკან ვერღარა ნუგეშ-იცემს მრავლისა მწუხარებითა, თავსა თჳსსა საწყაულს ეძახის, რომელ უსიკუდილო არს, მისსა მღუიმესა შინა ტკბილნი ღიღინნი მხიარულებისანი არღარა არიან..." 1—505 გვ.

შენიშვნა: 1. შეიცავს 24 ნაწილს.

2. თარგმნილია რუსულიდან სარედან ჩოლოყაშვილის მიერ (იხ. ა. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1941, თბილისი, გვ. 70).

მინაწერი: 1. „ჩყმა წელსა, იანვრის ლ-სა დღესა, მთვარისას ოცსა დღესა კნიაზ-მა ადამმა სერგის ძემ ქობულოვმა იქორწინა კნეინა მარიამ დიმიტრის ასულზე ქობულოვისაზედ" (გვ. 506).

2. „წელს ჩყმ, იელისის კ წაუკითხე ეს თელემაკის ისტორია სრულად ქალაქსა ტფილისს ა. ბ." (გვ. 506).

3. „მაიორის და კავალერის უულის თელავის უეზდის მარშლის ეგვგენ ქობულოვისა არის თელემაკი ესე; პოდოლოკოვნიის დოხტურის სტეფან არტემიჩის მარიამანოვის მიერ მონიპებული წელსა **1830**-ს, იანვრის **15** დღესა" (გვ. 507).

4. „ჩყმ-ს წელსა, იანვრის კზ-ს რიცხვსა, ჯამსა მეოვესა, დღესა შაოსა(!) დღისსა გარდაიცვალა მაიორი და კავალერი სერგი დავითის ძე ქობულოვი, წლისა ჲგ-ის".

ქვევით მკრთალად: „ნეტარმცა იყოს ხსენება მათი" (გვ. 507).

5. ხელულად: „სერგის" (გვ. 507).

(539) **1156**

ფ. ქ. ბაუმეისტერი, ლოგიკა. 1801

I+280 გვ.; 16,4×9,5; ლურჯი ქაღალდი; ტყავგადაკრული ტვიერული ბის ყდა; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; 1801; (გვ. 271) ჰვირნიშანი—1800 (გვ. 21—22). გადამწერი: დიმიტრი ალექსიძე; გადაწერის ადგილი—ნათლისმცემლის მონასტერი; დაწერილია Iv, 27, 56, 273—280 გვ.

„ნაწილი პ̃ლი ლოღიკისა. სათეორეტიკო ანუ სამთათჳს მოკმედებათა გონებისათა. თავი პ̃ლი. მოგონებათათჳს ანუ იდეათათჳს. § 29—პ̃ლ̃ა ვიდრემე მოკმედებასა გულისხმის-ყოფისა ჩ̃ნისასა მარტივად მოგონებად ანუ იდეად წოდებულ ეჰყოფთ, რომელიცა არარაჲმე სხუა არს, თჳნიერ ნივთისა რაჲვესა გონებასა შინა გამოხატუა, გარდა დამტკიცებისა და უკუთქმისა...“ 57—271 გვ.

შენიშვნა: ხელნაწერს წინ უძღვის: 1. თავფურცელი „წ̃რიდერიკოს ხ̃რისტიანოს ბაუმეისტრისა გორლიციურისა ღ̃ი მ̃ნ̃ა ჩიური რეკტორისა დასაბამი ფილოსოფიისა ახლისა, სარგებელად ყრმათა სხოლის შინათა ქმნილი, და მრავალთა მიერ იგავთა და მაჯალითთა ძ̃ლ̃თაგან მწერალთა რომაელთასა მოღებულთა განმარტებული ქართულსა ენასა ზედა გარდამოღებით-შრომითა ანტონის მიერ არბიელის-კოპოსისა, დავითიან-ბაგრატოვანისა, დროსა ყოვლად უბრწყინუალესისა და უმპრობელესისა დიდისა კელმწიფისა იმპერატრიცა ეკატერინა ალექსეევნასა, თჳთმპყრობელისა ყოვლისა როსიისასა, და მემკუ რისა მისისა კეთილ̃ღ̃ორწ̃ებისა კელმწიფისა ცესარეჲრისა და დიდისა მთავრისა პაველ პეტროვიჩისა. წელსა დასაბამითგან სოფლის **7270**, ჯორციელად შობითგან სიტყჳსა ღ̃ისა **1762**, ინდიკტიონსა **10**, თთუესა მეშ̃ქდესა, რიცხუსა 30“. (გვ. 1—2).

2. წინასიტყჳაობა ანტონისა (გვ. 3—26.)

3. „წინასიტყჳაობა ფილოსოფიისათჳს და ნაწილთა მისთა“ (31—50.)

4. „წინასიტყჳაობა ლოღიკისათჳს და ანუ გულისჴმიერისა ფილოსოფიისა“. (50—55 გვ.)

5. პინაკსი ლოღიკისა (28—29 გვ.)

6. „ლოღუკაჲ გაკუთისა ყრმათათჳს სხოლათა შინა“ (Ir).

ანდერძი: 1 (სინგურით, ასომთავრულით). „დიდება ღ̃ჲ სრულმყოფელსა ყოველთასა, სრულ იქმნა ძალითა ღ̃ისაჲთა იანუარს ე. ქრონიკონს **ოჲთ**“ (გვ. 271).

2. „აღწერილ იქნა ჴელითა ალექსის ძის დიმიტრისათა ნათლისმცემლის მონასტერსა შინა. დიახ, მესწრაფებოდა ამის გადანუსხუა, და ორს კვირაზედ სრულ ეჰქუა ღოღიჲ ესე.

ამისჳე აღწერასა შინა მიიცვალა საქართუ̃ლოს კეთილმსახური მეფე გიორგი დეკემბრის კ̃ს, ქკს უჯ̃ს.

დიკასტირიის მწერალ-მწიგნობარი დიმიტრი“ (დიმიტრი ხვეულ). გვ. 272.

1158

ანტონ კათალიკოზის ორი წერილი ალექსი მესხიშვილთან

გადატანილია, სხვადასხვა № 55—56.

(540)

1159

კრებული. XIX

346 ფ.; 23×17,8 და 18,8×14,7; ქაღალდი; ახლად აკინძული; მხედრული; [XIXს]. დაუწერელია: 19v, 27v, 35r, 63rv. 78v, 86rv, 93v, 94rv, 99v, 100r, 105rv, 106v, 119v, 138v, 144rv, 174r, 175v, 181v, 182rv, 189v, 190r, 197v, 210v, 211rv, 219rv, 236v, 242v, 243v, 256v, 257rv, 262v, 263v, 282v, 285v. 298r, 316v, 332v.

1. „მიიქეც სახიდ შენდა და მიუთხარ, რაოდენი გიყო შენ ღმერთმან. ლუკას სახარებისა თავი მერვე, რიცხუი ოცდამეცხრამეტე.—სადაცა რომ საქმე საყოველსოფლად საქნელი წარმოუდგებოდა და ძისა ღ̃ისასა და ჩუენგან მისაღებელი საერთოდ იქნებოდა...“ 1r—6v.

2. „და ყოველსა მას ერსა უბაროდა ყოველთა მათ ზედა დიდებულებათა მისთა, რომელნი იქმნებოდეს მას მიერ. ლუკას სახარებისა თავი მეათცამეტე, რიცხუი მეათჩვიდმეტე.—რა რომ შეიქმნა პ̃ლი კაცი ადამ, მაშინვე მიჰყო მტერმან შურით დამდნარმან ჴელი კაცის მტერობასა-..“ 7r—14v.

3. „დღესა სულის წ̃ის მოსლვისასა.—და იყო მეყუსეულად ზეცით ხმა ორბევა, ვითარცა მოწევნა ქარისა სასტიკისა, და აღავსო ყოველი იგი სახლი, სადა-იგი იყვნეს მსხდომარე, და ეჩვენნეს მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი, და დაადგრა თითოეულად კაცად-კაცადსა მათსა ზედა, და აღიესნეს ყოველნი სულითა წმინდითა და იწყეს სიტყვად უცხოთა ენითა, ვითარცა სული მისცემდა მათ. მახარებელისა ლუკას სიტყვანი არიან წიგნსა შინა საქმე მოციქულთასა თქმულნი, თავი მეორე და რიცხვი 234.—თუმცაღა მრავალნი მაღალნი საქმენი წარმოდგეს და დაიბადნეს ღ̃თისაგან დაბალნი...“ 15r—19r.

4. „სეკდემბერის თოთხმეტსა, სიტყვა ჯვარისათვის.—აწ არს სამჯელი ამის სოფლისა, აწ მთავარი იგი ამის სოფლისა განიარდეს გარე, და მე, ოდეს ავმაღლდე ქეყანით, ყოველნი მოვზიდნე ჩემდა: იოანე 12, 31—32.—ნახან(!), რომ ყოველივე საღთო მოქმედება ზეშთა ყოველთა ცნობათასა მეტად ზე აღმატებით უზეშთაეს არს...“ 20r—27r.

5. „მამაო, ეცრდე ცად მიმართ და წინაშე შენსა და არღარა ვარ მე ღირს წოდებად ძედ შენდა, არამედ მყავ მე, ვითარცა ერთი მუშაკთაგანი სასყიდლით დადგინებული შენი. ლუკა, 15, 21.—ეი განუხველობასა გაველურებულის სულისასა...“ 28r—34v.

6. „აწ მხიარულება და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმა ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა. ლუკა 15, 32.—ზეშთა ყოველთა მაღალთასა უაღრესთა და გონებისაგან კაცთასა გამოსათქმელად ყოველად...“ 36r—43r.

შენიშვნა: გადამწერის ხელით: „უძღების კვირიაკესა“. (43v).

7. „სიტყვა სარწმუნოებისათვის კვირიაკესა მეათშვიდმეტესა.—ჰი, დედაკაცო, დიდ არს სარწმუნოება ეგე შენი! გეყავენ შენ, ვითარცა გნებავს. მათე 15, 28.—დღეს ნეტარი მახარებელი მათე სარწმუნოების სრულებას განმარტებით გამოგვიფენს...“ 44r—51v.

8. „რა სარგებელ არს კაცისა მის, უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თჳისი იზღვიოს. მარკოზ 8, 36.—თუმცაღა სოფელი და სოფლის სავსება თავისის სიმდიდრითა გონიერთათვის არის საჭმარებელად ღ̃თისაგან დაბადებული...“ 52r—59r.

შენიშვნა: გადამწერის ხელით: „კვირიაკესა მეათექვსმეტესა, შემდგომად ჯვარის ამაღლებისა, ვითარმედ არარად სარგებელ არს სოფლისა შეძინება“. 59v.

9. „სიტყვა მოკლედ სახარებაო(!) დღესა ქრისტეს შობისასა.—წარკდა და განვიდა ზამთარი სასოწარკვეთილებისა, შეჰგვეს, რომ უნდა განვიხაროთ...“ 60r—62v.

10. „კვირიაკესა ბაიობისასა.—მოიღეს რტოები დანაკის კუდთაგან, და განვიდეს მიგებებად მისა, ღაღადებდეს და იტყოდეს: ოსანნა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, მეუფე ისრაელისა. იოანე 12, 13.—ორთა მაღალთა საქმეთა და დიდად ღ̃თივშეენიერთა საიდუმლოთა ერთად აღასრულებს იესო ჩემი...“ 64r—70v.

11. „და გულმან უთქვას მეფესა სიკეთისა შენისა. ფსალმუნი 44, 11.—უუცნაურესსა და ყოველად უუსაკვირველესსა საქმესა გვასმენს ეს ზეშთა ყოველთა სიტყვიერთა სამგონებისა და ცნობისა მდებარე ჴმა...“ 71r—78r.

12. „აგვისტოს თხუთმეტს.—ვინ არს ესე აღმავალი განსპეტაკებულ და განმტკიცებული ძმისა ჩემისა მიერ: ქება ქებათა 8,5.—თუმცაღა ნიადაგ ყოველნი საქმენი ღ-თისანი დიდებულ და საკვირველ არიან..." 79r—85v.

13. „კვირიაკესა წ-თა მამათასა წინა ქრისტეს შობისა.—აღმობრწყინდეს ვარსკვლავი იაკობისაგან და აღდგეს კაცი ისრაელისაგან და წარწყმიდნეს მთავარნი მოაბელთანი და წარმოსტყუენნეს ყოველნი ძენი სეთისანი. რიცხვთა წიგნისაგან 24, 17.—მრავალთაგან მრავალჯერ მრავალს ადგილას ითქვა, მრავალგვარად და მრავალსახედ გამოიცა კეთილმსახურებისა სულითა..." 87r—93r.

14. „რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ. ლუკა 14, 25.—გარდამოვიდა ღმერთი სიმდაბლითა გამოუთქმელითა, რომელმანც რომ ჩვენი მიიღო კაცება დაგლახაკებულისა ბუნებისა..." 95r—99r.

შენიშვნა: გადამწერის ხელით: „კვირიაკესა წინა ქრისტეს შობისასა წმინდათა მამათა-მთავრისა." (100v).

15. „კვირიაკესა შემდგომად ნათლიღებისა.—შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა: მათე 4, 17.—გარდამოჭდა მაღალი ღმერთი გარდარეულისა კაცთმოყვარებისა სიტკბოებითა ძლეული, და ყოველივე სახე სიმდაბლისა მიიღო..." 101r—104v.

16. „ესე არს ცხოვრება საუკუნო, რათა გიცოდიან შენ მხოლო ჭეშმარიტი ღმერთი, და რომელი მოავლინე იესო ქრისტე: იოანე 17, 3.—მრავალთა მრავალი სჯულის-დება გარდამოსცეს სიტყვიერთა და გონიერთა სულთათვის საცხოვრებელად...." 107r—113r.

შენიშვნა: გადამწერის ხელით: „კვირიაკესა მეშვიდესა, შემდგომად პასკჳსა" (106r).

17. „აჰა ესერა მოვალს ღრუბელთა თანა და იხილოს იგი ყოველმან თვალმან და რომელთა უგმირეს მას და გოდებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი Ⴎეე(!), ამინ: იოანეს ღ-თისმეტყველის გამოცხადებისა თავი ა-ლი, რიცხვი მეშვიდე.—მოგონება იმ დღეს ახარებს მართალთა და წმინდათა განაფუფუნებს..." 114r—123v.

შენიშვნა: გადამწერის ხელით: „კვირიაკესა მეორეთ მოსლვისასა (123 v).

18. „მე ნათელ გცემ თქუენ წყლითა სინანულად, ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ ჴსნაღა მისთა ტჳრთავად, მან ნათელ გცეს თქუენ სულითა წმინდითა და ცეცხლითა: მათე თავი მესამე, რიცხვი მეათერთმეტე.—ნათლისღება თუ ნათლისცემა განბანასა ჰქვიან..." 124r—133v,

19. „იანვარს ა-ლსა.—და უწოდეს სახელი მისი იესო, რომელ-იგი ეწოდა ანგელოზისა მისგან ვიდრე ყოფადმდე მისა მუცელსა დედისა თჳისისასა. ლუკა თავი 2, რიცხვი 21.—საჭიროებამან ღ-თისა საუკუნოსა სამართლისამან აღძრა და ღმობიერ ყო..." 134r—138r.

20. „კირიაკესა მეხუთესა სამარიტელისასა.—სული არს ღმერთი, და რომელნი თაყუანის-სცემენ მას, სულითა და ჭეშმარიტებითა თანა-აცთ თაყუანის-ცემა: იოანე თავი მეოთხე, რიცხვი ოცდამეოთხე.—დღეს ამ ხუთჴრმიანმა საკვირველმა და მრავალგანთქმულებით დიდებულად სანატრელმა დედაკაცმა უცნაურად მაღლის საიდუმლოს სუფრა გაგვიშალა..." 139r—143v.

21. „სულო, გაქეს მრავალი ქეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთა განისვენე, ჰამე და სვი და იხარებდ. ლუკა, თავი მეათორმეტე, რიცხვი მეათცხრამეტე.—თუმცაღა სოფელში მრავალნი კაცნი იყვნენ და არიან დღესაცა...“ 145r—152v.

22. „აგვისტოს ოცდაცხრასა.—და მწუხარე იქმნა ჰეროდე მეფე. ხოლო ფიცისა მისთვის და მეინაჳეთა არა ინება შეურაცხყოფა ქალისა მის, და მეყუსეულად წარავლინა მეჳრლმე მისი და უბრძანა მოღებად თავი მისი. ხოლო იგი წარვიდა, და მოჰკუეთა თავი საპყრობილესა შინა და მოიღო ფეშხენითა და მისცა ქალსა მას და მან მიართუა დედასა თჳისსა. მარკოზის სახარებისა თავი მეექვსე, რიცხვი ოცდამეექვსიდამ ოცდა მეცხრემდის.—თჳითეე გაგონებაში ხარი გარდაეცემის ყოელის გამგონის სულსა...“ 153r—160v.

23. „ღ[ვ]თისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს. მათეს სახარებისა თავი მეათცხრამეტე, რიცხვი ოცდამეექვსე.—ღმერთი სიმართლის მხილებითა დასცემს კაცსა, და აღადგენს ლმობიერ კაცთმოყუარებითა...“ 161r—168v.

შენიშვნა: გადამწერის ხელით: „კვირიაკესა მეათხუთმეტესა პ[ა]ლ ჯვართ აპყრობისა“ (168v).

24. „რა ძეს ჩვენი და შენი იესო, ძეო ღ[ვ]თისაო, მოხვედ აქა უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩვენდა: მათეს სახარებისა, თავი მერვე, რიცხვი ოცდამეცხრე.—იცოდეს და აღიარებდეს ძედ ღ[ვ]თისა ეშმაკნი იგი და დიდათაც უთრთოდეს და ეშინოდათ...“ 169r—173v.

შენიშვნა (გადამწერის ხელით): „კვირიაკესა მეხუთესა შემდგომად ყოველთა წ[მ]ისა“ (174v).

25. „და ჰრქუა განრღეულსა მას: ნუ გეშინ, შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა. მათეს სახარებისა თავი მეცხრე, რიცხვი მეორე და მეექვსე—დღეს დიდად იშვიათსა და მეტად უცხოს ჴმას გვასმენს სანატრელი მახარებელი...“ 176r—181r.

შენიშვნა (გადამწერის ხელით): „კვირიაკესა მეექვსესა შემდგომად ყოველთა წმინდისა“ (175r).

26. „ბედნიერ იყვენით. მე ვარ, ნუ გეშინინ. მათეს სახარებისა თავი მეათოთხმეტე, რიცხვი ოცდამერვე.—რაც ქრისტემ ქნა, ვინემდის სოფელში იქცეოდა ჯორციით, დიდად სამოძღვრებელად ჩვენთვის არის სასმენელი და გასაგონი...„ 183r—189r.

შენიშვნა (გადამწერის ხელით): „კვირიაკესა მეცხრესა, შემდგომად ყოველთა წ[მ]ისა“ (190v).

27. „და სიტყუა იგი ჯორციელ იქმნა. და დაემკჳდრა ჩვენ შორის და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილისა მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა: იოანეს სახარებისა თავი პ[ირ]ველი, რიცხვი მეათოთხმეტე.—ეს ჴმა-სიტყუა ღ[ვ]თისა საკუთრად სახელი არის მხოლოდშობილისა ძისა ღ[ვ]თისა, და მოაქუს ამ ჴმის უუსაკუთრესი თვისება ბუნებითის მოქმედებისა...“ 191r—198r.

28. „იცემდა მკერდსა, და იტყოდა: ღმერთო მილხინე ცოდველსა ამას: ლუკას სახარებისა თავი მეთვრამეტე, რიცხვი მეათოთხმეტე.—თუმცაღა ყოველივე ღ[ვ]თისმოქმედება, ნიადაგ ყოელისა სიტყჳერის მოკუდავის კაცისაგან

დიდად გასაკვირვებელი და საქებელი საქმე არის და მეტად უფრო მრავლის მადლობით მისაღებელი...“ 199r—204v.

29. „ბრძის კვირიაკესა შემდგომ პასექისასა.—ხოლო მან თქვა: მრწამს უფალო და თაყვანი-სცა მას: იოანეს სახარებისა თავი მეოთხე, რიცხვი ოცდა მეთვრამეტე.—საკვირველი არ არის გასაგონათაცა, გონიერებით პატივცემულნო...“ 205r—210r.

30. „დღესა ქრისტეს ამაღლებისასა.—და იყო კ[ურ]ვასა მას იესოსა მათდა მიმართ, განეშორა მათგან და აღვიდიოდა ზეცად. და იგინი თაყვანის-ცემდეს მას: ლუკას სახარებისა თავი ოცდაოთხი, რიცხვი ორმოცდა მეათრთმეტე.—ღმერთი დიდებისა და უფალი ძალთა, რომლისაგანცა შექმნნა ღმერთმან საუკუნენი...“ 212r—218v.

31. „მეორესა კვირიაკესა დიდ მარხვისასა.—და იხილა იესო სარწმუნოება იგი მათი, და ჰრქვა განრღვეულსა მას: შეილო მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი: აღდეგ, აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა: მარკოზის სახარებისა თავი მეორე, რიცხვი მეხუთე, მეექვსე და მეათერთმეტე.—განამრავლნა ღმერთმან მართლის სარწმუნოების ნაყოფიერება... 220r—227v.

32. „უკეთუ გაქვნდესთ სარწმუნოება, ვითარცა მარცვალი მდოგვისა, ჰრქვათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარა შეუძლებელ იყოს თქვენ მიერ: მათეს სახარებისა თავი მეათჩვიდმეტე, რიცხვი მეოც.—არის უუმწყრესესი თანწარუჯდომელი საჭიროება, და არის საჭიროება საქნელადცა სათნამდებო და დასატევებელადცა შესაძლებელი...“ 228r—235r.

შენიშვნა (გადამწერის ხელით): „კვირიაკესა მეათესა, შემდგომად ყოველთა წ[მ]თასა“ (235v).

33. „რა ძეს ჩვენი და შენი, იესო, ბეო ღ[მრ]თისაო, მოხვედ აქა უწინარეს ჟამისა ტანჯვად ჩვენდა: მათეს სახარებისა თავი მერვე, რიცხვი ოცდამეცხრე.—იცოდეს და აღიარებდეს ეშმაკნი ძესა ღ[მრ]თისასა, და დიდათაც უთრთოდეს და ეშინოდათ...“ 237r—242r.

შენიშვნა: (გადამწერის ხელით): „კვირიაკესა მეხუთესა, შემდგომად ყოველთ წმინდათ კვირიაკისა“ (236r).

34. „და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ეროდიან მას, და მიგცენე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათასანი. და რომელი შეჰკრა ქვეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა, და რომელი განჰჭსნა ქვეყანასა ზედა, ჭსნილ იყოს იგი ცათა შინა: მათეს სახარებისა თავი მეათექვსმეტე, რიცხვი მეთვრამეტე.—და ასე სამართლის სიტყვითა და უცილოს ბჭობითა უნდა ჩვენ ქრისტიანეთ გვიხაროდეს, და კიდეც ვიტყვი—უნდა გეიხაროდეს...“ 244r—249v.

შენიშვნა (გადამწერის ხელით): „თვესა ივნისსა ოცდაცხრასა“ (243 r).

35. „იყვენით მოწყალე, ვითარცა მამა თქვენი მოწყალე არს: ლუკას სახარებისა თავი მეექვსე, რიცხვი ოცდა მეათექვსმეტე.—თუმცაღა იღწვის ბუნებით ტკბილი და სახიერი ღმერთი ჩვენის ცხოვრებისათვის გარდმატებულისა და გარდარეულისა სიყვარულისაგან...“ 250r—256r.

36. „ეგრეთ ბრწყინვედინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რათა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი, და ადიდებდნენ მამასა თქუენსა ზეცათასა: მათეს სახარებისა თავი მეხუთე, რიცხვი მეათექუსმეტე.—სანატრელ ხართ და საქებელ, სანატრელ ხართ და სადიდებელ, სანატრელ ხართ და საგალობელ? თქუენ გკადრებ, და არა სხუათ ვისმე...“ 258r—262r.

შენიშვნა (გადამწერის ხელით): „ოცდახუთს იანვარსა დღესა კვირიაკესა“ (263r).

37. „ადამის ექუსორიობის(!) კვირიაკესა.—და განავლინა იგი უფალმან ღმერთმან სამოთხისაგან საშვებელისა საქმედ ქუეყანისა, რომლისაგან მოღებულ იქმნა და გამოჰკადა ადამ: პ̃ლის მოსეს წიგნისა თავი მესამე, რიცხუი ოცდამეოთხე.—ეს დღეგანდელი დღე დღე არის მოსაგონებელად გლოვისა, და დღე ტყებისა, და ტირილისა...“ 264r—273v.

38. „თესესა აგვისტოსა ათხუთმეტსა, სიტყუა ყოველად წ̃ის ღ̃თისმშობლის მიცვალებისათჳს.—მრავალთა ასულთა მოიგეს სიმდიდრე, მრავალთა ყუეს ძლიერება. ხოლო შენ გარდაჰრიე და გარდაჰმატე ყოველთა ზედა: სოლომონის იგავთაგან ოცდამეფერთმეტის თავსა, მუჯლი ოცდამეათე.—ყოველნი საქმენი ღ̃თისანი დაბალ არიან და საკჳრველ...“ 274r—281v.

39. „და ვითარცა გარდაჰდა შაბათი იგი, მ̃არიამ მაგდალენელმან და მ̃არიამ იაკობისმან და სალომე იყიდეს ნელსაცხებელი, რათა მოვიდენ და სცხონ მას. და შე-რა-ვიდეს საფლავსა მას, იხილეს ჰაბუკი, მჯდომარე მარჯუენით კერძო, შემოსილი სამოსელითა სპეტაკითა, და განჰკრთეს, ხოლო მან ჰრქუა მათ: ნუ განჰკრთებით, იესოს ეძებით ნაზარეველსა, ჯუარცმულსა, აღდგა, არა არს აქა. აჰა, ადგილი, სადა დადევს იგი, არამედ წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა და პეტრეს, ვითარმედ: აჰა ეგერა წინა გიძღუის თქუენ გ̃ალილეაჲს, მუნ იხილოთ იგი, ვითარცა გარქუ(!)თქუენ. მარკოზის სახარებისა თავი მეთექუსმეტე, რიცხუი მესამე.—ღ̃თის სიტყბოებამ საკუთრად თავისის კაცთმოყუარებით მოგუიწუინა ენებისა და საცხოვრებელის ჯუარცხისა საიდუმლოსა სმენის ღირს-ყოფად...“ 283r—285r.

შენიშვნა (გადამწერის ხელით): „კვირიაკესა მესამესა შემდგომად პასექისა“ (282r).

40. „მამაო აბრამ, შემიწყალე მე, და მოავლინე ლაზარე, რათა დააწოს მწუერალი თითისა მისისა წყალსა, და განმიგრილოს ენა ჩემი, ხოლო ვიტანჯები მე ალითა ამით ცეცხლისათა: ლ̃უკას სახარებისა თავი მეათექუსმეტე, რიცხუი ოცდამეოთხე.—ვაი უბადრუკებასა, რა ურგებად იღალების, და ვერარას ირგებს, იჭირვის და ხომ აღარა ელხინება რა, ჰლამის რაღასაცა, და ან რაღა რამ ეშველების...“ 286r—291v.

41. „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელ მე სათნო ვიყავ,—მაგისი ისმინეთ: მათეს სახარებისა თავი მეათჳრიდმეტე, რიცხუი მეხუთე.—წარმოდგა და იხილვების დიდებულება კაცთაბუნებისა, განცხადდების და განიფინების სიყუარული გარდარეულის ღ̃თის სიტკბოებისა...“ 292r—297v.

შენიშვნა (გადამწერის ხელით): „თესესა აგვისტოსა ექუსსა, ფერისცვალებისათჳს“ (298v).

42. „და შეეწია გლახაკსა უბოვარებასა შინა მისსა: ფსალმუნი ას ექუსი, მუჯლი ორმოცდაერთი.—დიდებულად და საკჳრველად ჴელითა ღ̃თისათა დაბადებული კაცი ჯორცად სულიერად, და სულად სიტყჳერად, და გონიე-

რად აღმკული, და მორთული შვენიერად ხატებად, და მსგავსებად ღთაების დიდებისა ამაღლებული და პატივცემული აღიმკო...“ 299r—306v.

43. „ჰოი, ნათესავი ურწმუნო და გულარძნილი! ვიდრემდის ვიყო მე თქვენ თანა? ვიდრემდის თავს ვიდებდე მე თქვენსა, მომგვარეთ მე იგი აქა: მარკოზის სახარებისა თავი მეცხრე, რიცხვი მეათცხრამეტე.—რაღასა ვდგევართ გარინდებულებსაით, კეთილმსახურნო! ღმერთი მიგვიწოდს ჭმიერისა და საუკუნოს ცხოვრების საბოძებლათა...“ 307r—315v.

შენიშვნა (გადამწერის ხელით): „მეოთხის დიდმარხვის კვირიაკესა“ (316r).

44. „და აჰა ესერა გამოაჭენდათ მკუდარი, ძე მხოლოდშობილი დედისა თვისისა, და იგი იყო ქვრივი. და იხილა დედაკაცი იგი იესო, და შეეწყალა იგი, და ჰრქუა მას: ნუ სტირი. და მიეიდა ცხედარსა მას, და შეახო ჴელი. ხოლო რომელთა აქუნდათ ცხედარი იგი, დადგეს. და ჰრქუა მას: ჰაბუკო, შენ გეტყჳ, აღდეგ, და ზე წარმოჴდა მკუდარი იგი და იწყო სიტყჳად, და მისცა იგი დედასა თჳისსა, და შიში დაეცა მათ ყოველთა ზედა და ადიდებდეს ღმერთსა: ლუკას სახარებისა თავი მეშვიდე, რიცხვი მეათორმეტე მეათჳრიდმეტესაშვის.—წყარო ცხოვრებისა და უკუდავების მბოძებელი რომ დაიარებოდა ადგილითი-ადგილად, და ქალაქით-ქალაქად, და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა...“ 317r—324v.

45. „გამოვიდა მთესველი თესლისა თჳისისა, და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა და დაითრუგუნა და მფრინველთა ცისათა შეჭამეს იგი; და სხჳა დავარდა კლდესა ზედა, აღმოსცენდა და განჴმა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა, და რომელი დავარდა შორის ეკალთა, და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი. და სხჳა დავარდა ქვეყანასა კეთილსა და ყო ნაყოფი ასი წილი; ამას ეტყოდა იესო ჴმითა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ: ლუკას სახარებისა თავი მერვე, რიცხვი მეხუთე მეცხრემდის.—სული კეთილშობისაჲ ჩაისა და თუ კეთილმორწმუნისა დედაკაცისა არცა მოიწყინეს, არცა დაიღალეს...“ 325r—332r.

46. „კვირიაკესა წინა ქრისტეს განცხადებისასა.—მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მან ნათელს-გცეს თქუენ სულითა წმინდითა: მარკოზის თავი პ̃ლი, რიცხვი მეცხრე.—გამოვიდა დიდი იოანე ნათლისმცემელი საქადაგებელად და ნათლისსაცემელად თავი და უაღრესი ყოველთ წინასწარმეტყველთა...“ 333r—338v.

47. „სიტყჳა ზობისათჳს ყოველად წ̃ისა ღთისმშობელისა სეკდემბერს რჳასა.—აღდეგ და მოეგე, მახლობელო ჩემო, კეთილო ჩემო, და ტრედო ჩემო!: ჴეშა ქებაო, თავი პ̃ლი, რიცხვი მეათე.—წარმოდგა საქმე ყოვლად დაბალი და ღ̃თივ შვენიერი, და ყოველთა შინა საქმეთა ღ̃თისათა ზეშთა უაღრესად უზეშთაესი, და ჩვენ ცხოვრებად გვეზარების...“ 339r—346v.

შენიშვნა: ყოველი თავი იწყება სიტყვებით: „სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წ̃ისათა, ამინ“.

2. ხელნაწერი შეიცავს 47 რვეულს. თითოეული თავი ცალკე რვეულშია მოთავსებული.

მინაწერი: „ბრძენმა იმ ბრძნისაებრ მიიღე, ვითა მან ქვრივისა მისჯან, რამეთუ არ შემძლებელ იყო მეტის შეწირვად. ღ̃თნ გაკურთხოს ჴორცით და სულით“ (35v).

(541) **1160**

კრებული. XVIII—XIX

4 ფ.; 35,1×22; ქაღალდი; ცუდო; მხედრული, ხოგიერთი სათაური სინგურით. [XVIII—XIX]; დაუწერელია 4r-v.

„§ 1. ანასტასი სანატრელი პატრიარქისა დიდისა ანტიოქიისა და კირილე ალექსანდრიელისა განწესება სარწმუნოებისა და კითხვა-მიგება ღ[მრ]თსმეტყველებისათჳს.—კითხუა. რომლისა სარწმუნოებისა: ხარ: მიგება: ქრისტიანე ვარ...“ 1r-v.

„§ 2. წმიდისა მაქსიმეს თქმულთაგან სარწმუნოებისათჳს შემოკლებულად. კითხვა-მიგება თჳთეულისა მართლმადიდებელისა ქრისტიანობისა.—კ[ა]: რაოდენსა ბუნებასა აღიარებ წმიდისა და თანაარსისა და განუყოფელისა სამებისათჳს. მ[ა]: ერთსა ბუნებასა აღვიარებ...“ 2r-v.

„§ 3. სიმეონ წმიდათა შორის მამისა ჩუენისა ათანასი ალექსანდრე პატრიარხისა.—რომელსა უნდეს ცხოვრებად, პირველ ყოველთასა თანა აწ მას პყრობად კათოლიკისა სარწმუნოებისა“... 3r-v.

(542) **1161**

კრებული. 1782

19 ფ; 22×17,2; ლერწი ქაღალდი; ახლად აკინძული; მხედრული, სათაურები და სახედაო ასოები სინგურით; 1782 წ. 27.IV (5r); აქვს კვირისშანი (ფ. 8); გადამწერი: მანოელი(?). (15v, 17r); დაუწერელია: 1r, 2rv, 3rv, 17v, 18rv, 19rv, 20rv, 21r.

1. „წესი და განგება ხატის კურთხეჳსა.—ჰსთქუას მღუდელთმთავარმან კ[ი]რსი. იწყონ: წ[ა] ღ[მრ]თო, მამაო ჩუენო...“ 5v—6r.

2. „კურთხეჳა ახლად შექმნილისა ბარძიმ-ფეშხუმისა.—იტყჳს მღუდელთმთავარი: კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი ყოველადვე აწ და...“ 6r-v.

3. „წიგნი აღსარებისა.—მოიხსენე, ჳჱილო, ენება ქრისტესი, რომლის თოკი მოაბეს და ასე უწყალოდ შეუკრნეს ჴელნი..“ 6v—15v.

შენიშვნა: შეიცავს შემდეგ თავებს: ტყჳლისათჳს კითხუა სულიერისა მამისა მიერ მოწაფისა მიმართ, ფიცისათჳს, ზრახჳსათჳს, ამპარტაჳნებისათჳს, ნაყროვნებისათჳს, მცონარებისათჳს, გულისწყრომისათჳს, შურისათჳს, არაწმიდებისათჳს, მამათმავლობისათჳს, ბუშაკის სასყიდლის.

4. „კურთხეჳა ჯუარისა.—კურთხეულ ხარ, შენ, უფალო, ყოველთა დაბადებულთაო, ჰხილულთა და უხილაჳთაო. აკურთხენ, უფალო, წყალობითა შენითა ჯუარი ესე...“ 16r.

5. „წესი და განგება კურთხეჳისათჳს მეფისა დროსა თუ ეთარ დაჰსხდენ მღუდელთმთავარნი სრულიად საქართუ[ლ]ოჲ ანი.—მეფე მარჯუ[ე]ნე, მობრძანდეს კათოლიკოსი საქართუ[ლ]ოჲსა და დაჯდეს მეფისა ტახტსა ზედა მოკიდებით ნატითა და ბალიშითა. მარცხენე: მემოვედეს კათოლკოსი აფხაზეთისა და დაჯდეს ნატითა და ბალიშითა“... 16v—17r.

შენიშვნა: 1. დაწერილია ორ სვეტად.

2. ტექსტი გამოცემულია (იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტ. I. გვ. 45—46; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი, წ. I. გვ. 83—84).

3. ხელნაწერს წინ უძღვის: ა). „ბარალეთა თავი ია, მუხლი ლგ. ა. რომელნი სარწმუნოებით ერთ[ა]ს მეფეთა, ა. აბრაჰამ, მოსე და ი[ე]სუ...“ (4r-v).

ბ) „ეპისკოპოსისაგან მისაცემი წერილი და ნების მიცემა, რათა აღსარებასა აღჰმეტინებდეს მოწაფეთა. ამისთანას რუსნი უწოდებენ ღრამმატას. ეპისკოპოსისაგან ღოძღურად მღუდლის დადგინების წერილი.—ვინაჲთგან საჭირო ვიღრეშე არს ჴმიერ-ყოფაჲ ერსა შორის სიტყჳსა მის საუფლოსა, რომელ არს:... რაოდენი განჰჭსნათ ქუეყანასა ზედა, ჰჭსნილ იყვენ იგი ცათა შინა, და რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა. კრულ იყვენ იგი ცათა შინა“. (მატ. 16. 19). და ამის სიმეირისათჳს ეპისკოპოსთასა და სიმრავლისათჳს ერისა საიდუმლოდ განჰჭსჳსა შინა ცოდუათა აღსარებისა მონანულთასა ზუცესთადმი ეკლესიისათა იქმონენ ეპისკოპოსნი მიცემასა სამოციქულოჲსა ამის ჴელმწიფებისასა

ამისთჳს ჩუნც[ა] დიასტირისა შინა ჩ[ა]ნს განბილვითა დიასტირისა ჩუენისა მჰსაჯულეთასა დავდგინებთ (ბუცესსა დავითს) ერსა შორის, რათა ცოდუათა აღუარებდენ ამბერითგან და ჰყოფდეს ღირსად მათ შორის, რომელთამე მიტევებასა მონანულთასა განჰსჯითა წ[ი]ნა გულის-ჴმისყოფისათა და რომელთამე შჳბყრობასა, ვიე იგი შერისტუასა, არბენებებელთა სინანულისათა, სიტყჳსებრ უფლისა, რომლისა დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

თუეჲსა აპრილსა, რიცხუსა 27, წელსა განბრცელებითგან სიტყჳსა ღ[მრ]თისა 1782.“ (5r).

შინაწერები: 1 (ტექსტის ხელით, მხედრულად): „მანოელისა არის“ (15v) სინჯური ასომთავრულით-„მახოელისა“ (17r);

(543)

1163

ქრებული. XVII

167 ფ.; 15,4×10,4; ქაღალდი; ახლად აკინძული; თავბოლონაკლული; ნუსხური სათაურები სინჯრით; [XVII]; გადაწერილი დეკანოზი გიორგი (36r, 159r); აქვს თავკაზმულობა: 4v, 37r. 41r, 76r, 116r. 130r, 137r. 167v; დაუწერელია 62v რუსტავრირებულია.

1. <ქ[ა]მნი>“... ი[ე] სიღრმითა მ[ო]თ სიბრძნისა შენისათა კაცთმოყ[ა]რბით ყ[ო]ვე(!)გბ[ა]ნი, რომელი უმჯობესსა ყოველსაჲ განაწესებ მხოლოდ დამ[ო]ბდებელო ყ[ო]თჲო... 1r—106r.

შენიშვნა: ხელნაწერი არ მისდევს ეპიტანჯის სტამბის ნაბეჭდ ტექსტს.

2. <სა[ე]ტლო>. „ეტლი ს[ა]დიდო(!) მართალი და ჴეშმარიტი.—ერძსა ზედა, რომელი იშუას, მისი ყოფა ძნელ იყოს, მისთჳს დღე ბედნიერი შობილი არს...“, 107r—114v; 116r—123v.

3. „ვინ იხილნეს საყდარნი ღ[მრ]თისანი, იჴსნას იგი ღმერთმან, თუ უგალობდე, განგებუნენ კარნი წყალობისნი...“, 124v—129v.

შენიშვნა: ამავე ტექსტის დაწერისა 167r-ზე.

4. „ასოთ სამღ[მრ]თალი მართალი და ჴეშმარიტი. ვის თავი მრგლივ: ე: სახელოვნებაჲ და დდებაჲ მეცეს...“ 130r—136v.

6. „სამთ[ა]ვრო მართალი და ჴეშმარიტი.—მთ[ა]რისსა კეთილ არს ყოველივე ნერგი-თესვა, ცხოვართა რისჴვაჲ წარწყმედილი იპოოს, წარსრული მწყრფალ მოიქცეს, რომელი ეშუას, ბედნიერი იყოს...“ 137r—146r.

6. „კითხვა-მიგებაჲ იოანე ოქროპირისა.—ესე მაუწყე, წმ მამაო, თუ მოწესეთა ოდენ ჯერ-არს აღსარებაჲ ანუ ყოველთა კაცთასა. მიგებაჲ: მამაო საკჳრველო, ყოველთა უმჯობეს არს აღსარებაჲ, რამეთუ ყოველნი საუკუნეთა სატანჯველთაგან განბრწყინა მოველით, რამეთუ ყოველნივე გჳგიკითხეთ მსაჯულისა მისგან უეჭველად...“ 146v—148r.

7. „კითხვა-მიგებაჲ ბასილი და გრიგოლისი.—ბასილი ჰკითხა: მკუდარი ცოცხალსა ეძებს. გრიგოლი ჰრქჳ: მკუდარი მარიამ და ცოცხალი ქრისტე...“ 148v—149v.

8. „კურთხევა ზჳარაკისა.—კურთხეულ ხარ შენ, ღმერთო, იესუ ქრისტე, ძეო ღ^ჲსაო...“ 150r—151r.

9. „ქრისტეს შობისა, სამოციქულოსი, ჰრომაელთა მიმართ ებისტოლე პავლე მოცი[ქულისა].—ძმანო, ოდეს მოიწია აღსასრული იგი ჟამთა, მოაღლინა ღმერთმან ძე თჳსი, შობილი დედაკაცისგან და იქმნა იგი სჯულისა ქრისტე, რათა სჯულსა ქუეშე მყოფნი გამოიჴსნნეს...“ 115r.

10. [გამოჴსნისათჳს ქრისტეანეთასა]„... მოვიდა მოასა ზეთის ხილთასა და თქუა: სახელთა ღ^ჲსისა მამისა და ძისა და სულისა წ^ისთაო...“ 152r—167v.

შენიშვნა: ხელნაწერს კიდეებზე მიწერილი აქვს გადამწერის ხელით: „ქაღალდი არა მჭონდა და მისთჳს წურილებელ ვსწერე, ძმაო.“ (9v), „ქუეყრო ჰპოე, ძმაო“ (70v); „დედას არა ეწერა აქა უხითა“ (73v) „უკ^ედბარი არა ეწერა დედასა“, (91v), „აქა იწყების ბჭ^ეთ-კ^ეანი“ (102v); „აქა ფურცელი აკლია დედასა“ (116r და სხ.).

ანდერძი: 1. ნუსხურად: „ღ^ჲრო, შეიწყალე გიორგი, ა^მნ“ (4v).

2. მხედრულად: „ღ^ჲრთო, შეიწყალე გიორგი ამისი მწერალი“ (36r).

3. ნუსხურად. ყვითელი მელნით: „ღ^ჲრო, შეიწყალე ფრიად ცოდ[ილი] გიორგი“ (51r).

4. ნუსხურად: „წ^იღ ირ^მა, შეიწყალე გიორგი გ^ამოჰ^ხტჳი შენი“ (71v).

5. ნუსხურად: „ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდჳილი გიორგი“ (79v).

6. მხედრულად: „გიორგი მონა ღ^ჲსი მოიხსენე, ღმერთო“ (116r).

7. ნუსხურად: „ამისა მწერალსა, დიაკონსა გიორგის შეუნდნე ღმერთმან, ვისცა გრწმენ(!) წიგნი ესე, თქუნცა შ^ენდა ღმერთმან“ 159r.

მინაწერები: 1. მხედრულად: „ესე ქაღალდი განჯას ვიშუე“ (74r).

2. ნუსხურად: „ღმერთო, დაიცევ ბერაი“. (76r).

3. ტუქსტის ხელით: „ჰარა სწერ (სწ^ორ) ჩემო ქალამო (ქ^ალმო), რა^ზა იტყჳ ეი შენს წჳ^რსა, მე შ^ეგიცუმპ შ^ენა ხნესა“, 76r.

4. ნუსხურად: „ღ^ჲრო, ღმერთო, შეიწყალე სული ბერაი მეგრელისა შვილისა“ (96v).

5. მხედრულად: „ჭ. ღმერთო, შეიწყალე, სული ბერასა მეგრელის შვილისა. ცოცხლებით, დღეგრძელობით და ცოდვათა შენდობით, ამინ“, (99v).

6. ნუსხურად: „ჰჰა განჯა (გ^ან^ჯა) დარბია ქართლის მოურავსა და მეც იქ ვიყავ და იმასაც წამოვედი. მეც ქ[ართლით]ი გურიას სადიაკნოდ ვიყავ“ (104r). მიწერილია კეკნკლისხე „1626“, წლის გასწერიე.

7. „ტომ „1684.“ (106r).

8. მხედრულად: „ჭ. ამ დიდ მარხს წირვის მადლო ეზიაჲ და მეუღლეს მისა სული უცხონე. ააჲი წირვა მიანიჭე ღ^ჲთ Ⴗ ყ^ოვ^ელი მიცე(?)“ (115r).

9. მხედრულად: „ღმერთო და წჳნიდა მარინე, კაი სწაულა მი... შენს მადლს. ღმერთო, შეიწყალე ბერიაი მაჭუტაძე შენ...“ (123v).

10. მხედრულად: „ჭ. განათლი, განათლი, აახლო იერუსალიმს. დღეს დიდება უფლისა შენ ზედა გამობრწყინდა. განსცხრებოდე და იხარებ, სიონ, და აწ შენც იშვებდი, ღთისშობელო, აღდგომასა ძისა შენისასა, ჭ. ნათანაელისავით, ჭ. ღმერთო, შეიწყალე ფრიად ცოდჳილი მონა..“ 124r.

11. ნუსხურად: „ღმერთო და ყოველნო წ^ინ ღ^ჲსანო და რაცა ამაშიდ წ^ინ ხართ, იმის მადლო, მოიხსენე გიორგი ართმელაძე ცოცხლებით დღეგრძე-

ლობით და ცოდვათა შენდობით მას დღესა განკითხვასა ურცხვენელად ამყოფნა ჩუენ (124v).

12. ტექსტის ბელით: „ბ~რძენი იტყ~ნ: აჯა ეგმოჯოსთ; ჰინდონი იტყ~ნ: მოყვრე ნ~ბოსთ; სპარსნი იტყ~ნ: აღთქმა ყოსთ და სტ~რდთ“ (132r).

13. მხედრულად: „ქ. წმინდა იოვაკიმ, შეიწყალე ბერაი მეგრელისშვილ ბ.“. (134r).

14. მხედრულად: „თუესა მაისს კ~ბ ანა გათხოვდა ქს უე“ (134v).

15, ტექსტის ბელით: „თ~გნი ხ~ ქყ~ნისა ძრვა იყო, ამას დღესა აღსასრული არს ქყ~ნისა და მეორედ მოსლვა ღ~ჲ ს~რი...“ (146r).

16. მხედრულად „ეს წიგნი მხატურის გოგოლისა არს. უწყოდეთ, მკითხველნო და მსმენელებო...“ (151v).

მინაწერები: 43r, 55r, 58v, 71v, 73v, 79v, 80v, 83r, 93v, 108v, 115v, 128r 130r, 134r, 154r, 163r, 167v.

(544)

1164

ქადაგებანი. XVIII—XIX

152 ფ.; 22,1×17; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტივრული ხის ყდა: მხედრული; [XVIII—XIX]; აქვს ჰვირნიშანი (ფ. 104); ხელის მიხედვით გადაწერილი უნდა იყოს ამბროსი ნეკრესელის მიერ; ყდა შეხე გატეხილი და მოვარდნილია; ამოცვენილია: 59, 109, 110, 114, 115, 118, 119, 130, 131—136 ფ. დაუწერელია: 10v, 15v, 27v, 47v, 71v, 72v, 79v, 87v, 104rv, 108v, 134v, 137r, 144v, 145r, 150v, 152v; მოხეულია: 10, 27, 81, 144 ფ. 137 ფურცლიდან სხვა ხომის ქაღალდზე ცალკე რვეულზეა დაწერილი.

1. „ქადაგება ტაძრად მიყვანებისა. ნოემბერსა კბ.—აღდეგ, მოვედ მახლობელო ჩემო, კეთილო ჩემო, ტრედო ჩემო, იტყვის სოლომონ ქება ქებათაში...“ 2r—3v.

2. „მეზეერისა და ფარისეველისა ი~ე.—გეტყვი თქვენ, გარდამოვიდა ესე განმართლებული სახიდ თვისა, ვითარმე ფარისეველი იგი, რამეთუ, რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს. ლუკა, 18...“ 4r—5v.

3. „ი~ვ. ვერ ჴელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად, და არცა ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად. ნაყოფთა მათთაგან იცნეთ იგინი...“ 6r—7v.

4. „ი~ზ. ოსტატო, სრულ ღამე გაეისარჯეთ და არაფერი დაგვიჭერია...“ 8v—10r.

5. „რლ~ბ. და იხილო ყოველმან ჴორციელმან მაცხოვრება ღ~თისა. ლუკა 3. ჩი, რა გემრიელი ამბავი, ჩი, რა კაი ნუგეშინის-ცემა ჩვენთვინ, ქრისტიანენო, სწერია დღევანდელ წ. სახარებაში...“ 11r—13v.

17. „ჩ ი ქ უ ტ ს ძ ე ს ა გ ა ბ რ ი ე ლ ს ა გლდასა(?) შ-ნს ღ-ა,“ (390v, ნუსხურით).

18. (ამავე ხელით, რომლითაც წინაა დაწერილი) „ი რ მ ა ს ა ძ ე ს ა გ ი ა ნ ს ა მისა მეუღ[ლეს] შ-ს ღ-თა“ (393v).

19. „ჲ ღმერთო და ამ ნებისყოფის მადლო. შემიწყალე მე ცოდვილი მ ა რ კ ო ზ მ ო ძ ღ ვ ა რ ი. ამინ.“ (407v, XVIII ს. მხედრულით).

(სხვა მინაწერები: 195v, 328r, 330v, 332r, 336r, 360r, 372v, 373r, 419v, სომხური მინაწ. 262v).

(594)

1250

მარხვანი. XVII—XVIII

439 ფ.; 29×20; ქაღალდი, აჭა-იქ ჭიანჭამი. ჩასმული ყოფილა ტყავგადაკრულ ყდაში; ყდა ამჟამად აღარ აქვს, შემორჩენილია მხოლოდ ტყავი და მის ქვეშ მოთავსებული ქსოვილის ნაწილი; თავსკლული, ფ. 1—21, 366, 435 ამოცვენილია; ნუსხური, სათაურები სინგურით; [XVII—XVIII]; სხვადასხვა კვირნიშანი—სამი ნახევარმთვარე (ფ. 435, სხვა ნიშნები იხ. 16, 17); შემკობილია—მოყდულმონახაზნი მათე (ერისკაცობაში მახარებელი) სალუქაძე (439v, 176r).

[მარხვანი] „... და მეზუ(ო)რისაებრ. შემუსრვილითა გულითა ღმერთსა უგალობ. ზუაობისაგან ყოველი სათნოებაჲ ცუდ არს...“ 1—406v.

შენიშვნა: 1. ერთვის „ტიპიკონი მარკოზის თავთაგან, თუ ვითარ იკითხვების მარხვანი წმიდასა და დიდსა ხარხვასა შინა.“ (402r—439v).

2. ჩართული დამწერლობით: „აღესრულა“ (439r).

ანდერძი: „ღმერთო, მოიკსენე ამ წიგნის შემკრელი მათე მღდელ-მონაზონი სალუქაძე სიცოცხლით, ცხონებით სასუფეველსა შენსა. ამინ და კირიწს. ვინც წაწდობა მიპრძანო, თ... თქვენცა.“ (439v).

შენაწერები: 1. „ღმერთო, მოიკსენე მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი ყოფილი მ ა თ ე სალუქაძე სასუფეველსა“ შენსა სიცოცხლით, სიმრთელით, ცხონებით. ღმერთო და ამ მარხვანის მადლო, მაცხოვნეთ.“ (176r).

2. „წმიდაო ღმერთო და ამ მარხვანის მადლო, მოიხსენე გ რ ი გ ო ლ ბერი წ დ ცოდვილი სასუფეველსა შენსა ყ ვ ე ა ნ და მარადის... ამინ“ (4r).

3. „ჴ. ღმერთო და ამ მარხვანის მადლო, მოიხსენე ბატონისშვილი დ ო მ ე ნ ტ ი(? სასუფეველსა თვისსა ყოველთავე ა წ და მარადის და შეწყალე უკუნისამდე.“(174r)

4. „ჴ. ღმერთო და ამ მარხვანის მადლო, მოიხსენე ფრიად ცოდვილი ბატონისშვილი ს ი მ ო ნ სასუფეველსა შენსა ა წ და მარადის, ა ნ.“ (186v).

5. „ღმერთო, მოიხსენე ა რ დ ა შ ვ ი ლ ი ა ნ დ რ ი ა, აცხონე, აცოცხლე(!).“(209v)

6. „ღმერთო, მოიხსენე ყოველად სამღდელო შამოჰმედელი(!) მიტროპოლიტი.“ (210r).

7. „ჴ. ღმერთო და ამ მარხვანის მადლო, მოიხსენე ორთავე შინა ცხოვრებასა გ ო გ ი ტ ი ძ ე გ ა ბ რ ი ე ლ.“ (228, 227v-ზე ამავე ხელით „... მოიხსენე ცოდვილი დიაკონი, ღმერთო მომიხსენ“.).

8. „ჴ. ღმერთო და ამ მარხვანის მადლო, მოიხსენე ბატონიშვილი ქ ა ი ხ ო ს რ ო სასუფეველსა შენსა ყვირიელეიანს.“ (304v).

9. (იმავე ხელით, რომელიც წინა მინაწერია დაწერილი): „ჴ. ღმერთო და ამ მარხვანის მადლო, მოიხსენე ბატონიშვილის ქ ა ი ხ ო ს რ ო ს გამდელი.“ (303v).

10. კრიპტოგრამა (368v).

(955)

1251

ჟამნი. XIX

312 გვ.; 12×10,5; ქაღალდი მოლურჯო ფერის; ტყავგადაკრული ხის ტვიფრული ყდა, დაბიაზებული; თავწაკლული, ნუსხური, დასაწყისები სინგურით; [XIX].

[ჟამნი] „ლოცვათა წმიდათა მამათა ჩვენთა უფალო... წმიდაო ღმერთო, მამაო ჩვენო, აღდგომილ... ღისაგან შეგივრდები შენ სახიერ და ანგელოზთა გალობასა გიღაღადებ..“ 1—312 გვ.

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი მისდევს 1717 წლის ვახტანგ VI-ის ნაბეჭდ ჟამნს.

(596)

1252

ჟამნი. 1765

261 ფ.; 26×10; ქაღალდი; უყდო; ნაკლული; კიდეებშემომწყვარი; ნუსხური, დასაწყისები სინგურით; გადა ნწერი: ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი (198v); 1765 წ. (198v.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

<ქამ-თვენი>.—„...ღ~ისმშობელო, რათა რომელი ესე შ~ნ გესვა, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინაღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთისა...“ 1r—261v.

წყდება: „... შეისმინე ჩვენი, ღმერთო მაცხოვარო, ჩუენო სასოო ყოველთა კიდეთა ქვეყანისათაო, და რომელნი არიან ლოკეათა შინა შორის და მხილებულ...“

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი მისდევს 1717 წელს ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილ „ჟამნს“.

ანდერძი: „გასრულდა ღმრთისა ციდგებაჲ ქ ა მ-თ ვ ე ნ ი ჩემ ცოდვილ ნ ი კ ო ლ ო ზ ჩ ა ჩ ი კ ა ს შ ვ ი ლ მღვდელისათა თვესა იანვარსა კ~ა. ქორონიკონს უნგ“(1983).

(597) 1253

ფრაგმენტები. XVIII—XIX

37ფ.; 31,5×21; ჭაღალდი (სხვადასხვა); ერთად არის აკინძული ორი სხვადასხვა დროისა და შინაარსის ფრაგმენტი. 1—8 ფ. ნუსხურით; [XIX ს]. 9—29 ფ. მხედრულით; [XVIII ს.].

1. [აღდგომის წირვა].—„ჟამსა ცისკრისასა მიიღებს პარეკლესიარხი კურთხევასა უპირატესისაგან, განვალს და დაჰრეყს დიღსა ზარსა საკმაოდ, და შევალს ეკლესიად და აღანთებს ყოველთა სანთელთა...“ 1r—8v.

2. [ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის საძიებელი].—„... ქ. კიდეე უხდურობისათვის. სომხისა ტნიგ. კათალიკოზისა 0...“ 9r—37v.

(598) 1254

კრებული. XVIII

206 ფ.; 21,5×15; ქაღალდი; დაშლილი; უყდო; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; ხელნაწერში გვერთიანებულია ხუთი სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტი, ხუთივე XVIII საუკუნისაა; თავ-ბოლონაკლული; აქლია ძალიან ბევრი შიგნითაც; პირველი ფრაგმენტის გადამწერი უნდა იყოს საბა დიაკონი (2r).

1. [მარხვანი]. „... ანი აღსარებად ჩემდა დაშრაკხლ ცხორებასა შინა ჩემსა და შეიწირე, ვითარცა საკმეველი, წინაშე სახიერებისაჲ შენისა...“ 1r—66v.

წყდება: „... რომელი მიუჴუამს სულთა მთავართასა, ანუ ვითარი სამოსელი შევ...“

2. [ზატიკი]. „... [ა]ვაზაკისა თანა. საღ~თოსა შევსწირვიდეთ და ვღაღადებდეთ: მომიჴსენე, მჴსნელო, სასუფეველსა შენსა...“ 67r—134v.

წყდება: „... ვითარ მიწოდო ძედ შენდა...“

3. [ზატიკი]. „... გალობანი წმიდისა დიდისა პარასკევისა შემდგომად მწსამისა ჟამისა სრული; რეკონ ცისკარი და შეიმოსოს მღდელი და თქუას...“ 135r—181v.

4. „... თუესა დეკემბერისა კდ. წინა დღე ქრისტეს შობისა აო[სა]მეტ გარდაიცვლების. ხოლო უკეთუ წინა-დღე ქრისტეს შობისა მარხვის ა დღე იყოს, ესრეთ იქმნას შობისა წესი ლოცვისა...“ 182r—201v.

5. [საგალობელთა ფრაგმენტები]. „... გალობაჲ წმიდისა სამებისაჲ უ[გა ვ]ჲ ა.—ერთსა დასაბამსა დაუსაბამოსა სამარადისოსა მეუფესა მოუწდომელსა, სამგვამოვანსა...“ 202r—206v.

წყდება: „... შენ ხარ სასო ჩუენ ცოდვილთა და მაცხოვარი განსაცდელთა შინა მხოლო, ყოველად უბიწო..“

ანდერძი: „ღმერთო, შეიწყალე საბა დიაკონი“ (2r).

შენიშვნა: ხელნაწერში გაერთიანებულია ხუთი სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტი. I ფრაგმენტი—1—66 ფ. ფ. (იწყება დ რვეულით, დანარჩენ რვეულებს არა აქვთ რვეულებრივი აღრიცხვა); II ფრაგმენტი—67—134 ფ.ფ, იწყება მბ რვეულით თავდება რე რვეულით; შიგადაშიგ ბევრი მრავალი რვეული და ფურცელი; III ფრაგმენტი—135—181 ფ.ფ.; IV ფრაგმენტი—182—201 ფ.ფ.; V ფრაგმენტი—202—206 ფ.ფ.

(599) 1255

კრებული. XVIII

267 ფ.; 19,5×15,5; ქაღალდი; ლიდერინგადაკრული მუყაოს ყდა; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; სხვადასხვა ხელი; ქაღალდი გაყვითლებული და დაზიანებულია, რესტავრირებულია ყოველი ფურცელი; თავ-ბოლო ნაკლულია; ბევრი აკლია შიგნითაც; რვეულების თანმიმდევრობა დარღვეულია. ხელნაწერი არ არის სწორად აკინძული;

1. [ქამნი]. ...ხლუდენი იერუსალემისანი. მაშინ გთნდეს მსხუერპლი სიმართლისაჲ...“ 1r—113v.

შენიშვნა: ერთვის „თვეთა მეტყველებაჲ“ (113v—154r).

2. „ოხითაჲ იბაკონი მარხვათაჲ და ზატიკთა მეზუერისა და ფარისეველისა კჳრიაკესა.—ოხითა აღდგომისაჲ. იბაკოჲ. არა დააკლდი. ღმერთო ყოველისა მპყრობელო....“ 154r—265v.

წყდება: „... თესვაჲ ვაჭრობაჲ, რომელი და..“

შენიშვნა: „... უკანასკნელი ორი ფურცელი (266—267) „ქამნის“ ნაწილია; მაგი ადგილია მე-24 ფურცლის შემდეგ.

(600) 1256

კრებული. XVII—XVIII

221 ფ.; 21×16; ქაღალდი; ლიდერინგადაკრული მუყაოს ყდა; ნუსხური, დასაწყისები და მთავრული ასოები სინგურით; ფერადი თავსამკაული: 1r, 57r; ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია, რესტავრირებულია ყოველი ფურცელი: შიგადაშიგ აკლია ფურცლები; პირველი ნაწილის გადამწერია გიორგი (1r); [XVII—XVIII ს.ს.]

1. „იბაკონი წმიდისა ღ[ის მშობელსა, რომელსა დაუჯდომელი ეწოდების, ჳ[ა დ გ[ი.—[ხ]ენთა მბრძოლისა ჩემისათჳს და მოღვაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ხსნილნი განსაცდელთაგან...“ 1r—4v.

2 [ჯამნი]. „ჯამნი შუაღამისანი შაბათისაჲ. მ̅ღ̅ნ: კურთხეულ ჴრ̅ ღმერთი ჩ̅ნი...“ 4v—56v.

შენიშვნა: ეროვნის „თვეთა მეტყველებანი 57r—120r.

3. „ოხითა იბაკონი მარხვათა და ზატიკთანი. კჳრიაკესა მეზვერისა და ფარისეველისასა. ოხითა აღდგომისა ჴმისა. უწყოდეთ, რამეთუ ამიერ კჳრიაკითგან ვიდრე ბზობის კჳრადმდე, ნაცელად მოციქულთა, ვიდრე ბითა ეიტყუთ ამათ სამთა მუქლთა... კჳრიაკეთა, შემდგომად მოწყალესა. დ̅ბი ჴ̅ჲ ი̅.—მსწრაფელ განუხვენ სინათლისა ბეჭენი...“ 120r—195r.

4. „კჳრიაკისა წინა ქრისტეს შობისა წმიდათა მამათ მთავართა. სამჴრად წარდგომაჲ. კ̅ბლხარ შენ, უფალო ღმერთო,...“ 195r—216v.

5. „ლოცვა დღითი-დღე სათქმელი წმიდისა ღმრთის მშობელისა მიმართ, უკუეთუ გსურის ხილვა მისი ჟამსა სულისა შენისა განყოფისასა.—შეიწყნარე აწ, დედებულო დედოფალო ჩემო...“ 216v.

6. „ლოცვა მამისა ჩ̅ნისა იოანე ოქროპირისა. მონაზონი ყოველსა ჟამსა იტყოდის ცრემლითა და ლმობიერად, ხოლო მღვდელი უწინარეს ჟამის წირვისა იტყოდის.—გმადლობ, შენ, უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო...“ 218v—220v.

7. „ლოცვა, თქმული წმიდისა მაკარისი.—გმადლობ შენ უფალო ჩემო, ყოველითა გულითა ჩემითა...“ 220v.

8. [„კითხვა-მიგება]. „... უფალო ჩ̅ნი იესუ ქრისტე ბრძანებს. ყოველი კაცი, რომელიც იქს ცოდვასო, მონა არის ცოდვისაო...“ 221r-v.

წყება: „... მოძღუარი ასწავლის: ადამ აღმოიკუანა და მიერ...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერი გადაწერილია ორი სხვადასხვა გადამწერის მიერ; I ხელი—1—56 ფ.ფ.; II ხელი—57—220 ფ.ფ.

2. ხელნაწერის უკანასკნელი ფურცელი სხვა ხელნაწერის ფრაგმენტია.

3. ფ. 127 უადგილოდ არის ჩართული.

ანდერძი: (სათაურის შემდეგ გადამწერის ხელით); „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე გიორგი, ამენ“ (1r).

(601)

1257

კრებული, XVII

75 ფ.; 21×14,5; ქაღალდი; ლიდერინგადაკრული მუყაოს ყდა (ახალი); ნუსხური, დასწყისები სინგურით; ერთად არის აკინძული ორი სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტი. პირველი ხელნაწერია 1—14 ფ.; II—15—75 ფ.; ხელნაწერის დახიანებული ფურცლები რესტავრირებულია; [XVII ს.].

1. [ლოცვანი]. „... უფალო ღმერთო ძალთაო, არა დასდევე სინანული მართალთათჳს აბრაჰამ, ისაკ და იაკობისათჳს, რომელთა არა შეგცოდეს...“ 1r—14v.

წყება: „... ლოცვა საცართა სიზმართა უფლისაჲ. მრავალ მოწყალეო უფალო, უხრწ...“

შენიშვნა: ლოცვანში ჩართულია: ა. „სათვალავი დასაბამითგანთა წელთანი. ქრისტეს მოსვლისა დასაბამითგანნი წელნი იყუნეს ჩ̅ფ̅ და ოდეს ქართლი მოიქცა ნინოს მიერ ქრისტეს ამადლებითგან ხლ̅ე̅-სა წელსა, დასაბამითგანთა წელთა. ჩ̅ყლ̅ე̅-სა მოსლვაჲ იქმნა-შჳ-ია-სა კრ̅ნესა. და მუ[ა]მედ იყო ბა-სა, და წმიდამან

ნინო დაყო ქართლსა შინა წულიწადი ოდ. ამასვე ჟამსა იყო კოსტანტინე დიდი, და დრიდტ(!) სომეხთა მეფე გრიგოლის მიერ მოიქცა. მირიანისითგან ვიდრე ვახტანგის მეოთხისა შვილისა ფარსმანისამდე გარდავედეს წელნი ხნ-ნი და მეფენი ოდ-ნი. ამასვე ჟამსა მოვიდა იოანე შუამდინარით. დასაბამითგანთა წელთა ხავ იყო მუხმდ ბროტი. და შემდგომად ამისსა დისწულმან ამისსამან ყრუმან წაიღო ყოველი ქ'ყანაჲ, რომლისა მიერ იწამნეს დავით და კოსტანტინე. ამისა შემდგომად გამოჩნდა დავით წინასწარმეტ'ლისა ტაძი სახელით ადარნასე, დისწული ადარნასე ბრმისა, რომელი ეხლაჲს შეიღია ვახტანგისთა. აჰა იწყო ტომებმან დავით წინასწარმეტყ'ლისამან, რ'ლ რ'ს(!) ბაგრატიანნი და დედით ვახტანგიანნი. და ოდეს ბაგრატიანთა მეფობაჲ დაიწყეს, მე-ოგ ქმენი იყო მვ. მეფე იყო ა მოტ. რომელი მოკლეს მეუ'ლეთა, ბაგრატ გურგენის შვილი, რომელმან მეფობაჲ აღებაჲა და ქართველთა ერთ-ყო ქრ'ქნა სლდ. ამისთა ჟამთა იყო ეფთჳმე მთაწმიდელი, ძ'თარგმნელი ტაოთ; ბაგრატ სევასტიასი, კრ'ნჳსა სგბ. ამისთა ჟამთა იყო გიორგი მთაწმიდელი. დიდი დაჲით კრ'ნჳსა ტმე. ამისთა ჟამთა იყენეს ეფრემ მცირ(!), თეოფილე, არსენი იყალთოელი, იოანე ტარიჳსძე. დავით ტფილის გამოიღო კრ'ნჳსა ტმბ. ესე დავით დ(!) წინასწარმეტ'ყლისა ოხ შვილი იყო. ოდეს მიეცვალა—კორონიკონსა ჳძ, დიმიტრი მეფე მიიცვალა ტოფ, გიორგი მიიცვალა კორონიკონსა ჳძ, ლაშა დაიბადა კორონიკონსა ჳთბ. თამარ მიიცვალა კრ'ნჳსა ჳკზ. ერთ ჯუმლად მუ'ლნე'დავითისნი უსაქეცოდ" (5r—6r). ამას მოჰყვება დღესასწაულთა და ზედდებითა გამოანგარიშება (6—11ფ.ფ.)

ბ. „როდენი სახელი ეწოდების წმიდასა ღ'სა მშობელსა" (11v—12r.)

2. [გამონაკრები სჯულის კანონებიდან]. „... ჭმისა დაქცევისა მართალსა სამართალსა ბჭობდით, უსამართლოდ შვილსაც ნუ მოუდგებით. ბასილი თქუა: მეფე ასრე წმიდაჲ და ღირსი უნდა, რომ ჟამი ეწიროდეს..." 15r—32r.

3. „განგება ზეთის კურთხევისანი. აღანთონ ზეთი და ზჳდი უღელი და ზჳდი ლერწამი შემზადონ..." 32r—46r.

4. „ლოცვა ნათლისღებისა აღბეჭდვასა ყრმისასა, ოდეს მიიღებდეს სახელსა დღესა მერვესა ზობისა მისისასა.—უფლისა მიმართ ვილოცოთ..." 46r—49v.

5. „ლოცვა შემდგომად კათაკმეველთა დადგენისა.—უფლისა მი. რომელი ეგე ხარ უფალი და მეფე..." 49v.

6. „ლოცვაჲ კუნკულისა აჳდასა დღესა მერვესა.—უფლისაჲი. რომელმან გამოჰსწნა ცოდვათაგან წმიდისა შენისა ნათლისღებისა მიერ, მონათა შენთა მოანიჭე..." 54v.

7. „განგება გკრკჳნთ კურთხევისაჲ.—მოვიდენ სიძე-სძალი ეკლესიად..."

8. „პანაშჳდი მიცვალებულისა.—უფალო შეისმინე ლოცვისა ჩ'ნისა ყურად..." 60v—70v.

9. „განგებაჲ წმიდა დიდებულისა ღ'რთისა გამოცხადებასა უკეთუ ჯერ-არს.—ვითარმედ წინა დღით მწუხრსა წ'ისა ღ'რთის გამოცხადებისასა..." 70v—74r.

10. „ლოცვა წყალთა ზედა განცხადებისათა, თქმული გრიგოლი ანძიანძოსათა(!)..." 74r—75v.

11. „ლოცვაჲ წმიდისა ნათლისღებისა.—დიდ ხარ შენ, უფალო, და საკჳრველი, რომელმან საქმენი შენნი..." 75v.

წყდება: „... რამეთუ შენ ხარ ღ'რთი ჩ'ნი გარეშეუწ'რელი, დაუსაბამოჲ და გამოუთქმელი, მოხუცჲ ქ'ყნად..."

შენიშვნა: ხელნაწერის ფურცლის კიდეებზე ცენობ პირს უკარნახია სატრფიალო ლექსების წერაში. ლექსები დაწერილია გაუმართავი, ძნელად საკითხავი ხელით.

1258

მარი პროსეს წერილები სხვადასხვა პირებთან. გადატანილი მ. პროსეს პირად არქივში (№№ 3,7—19,21—22, 152, 159—160).

(602)

1260

ჟან-ჟაკ რუსო. ჰსჯა. 1849

52 გვ.; 22×18; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; მთარგმნელი—დავით ესტატეს ძე ციციშვილი; 1849 წ. (52 გვ.);

(ჟან-ჟაკ რუსო). „ჰსჯა. კითხუასა ზედა აღდგინება ჰსწავლათა და ჴელოვნებათა შემწე ექმნებოდა წარმართუასა ქცევათასა. ითხოვს გამოძიებასა, აღდგინება ჰსწავლათა და ჴელოვნებათა შემწე ექმნებოდაა, გინა წარმართავსა ქცევათა, ანუ თუ განკრწნის მათ...“ გვ. 10—49.

შენიშვნა: 1. თავფურცელზე სწერია: „ჰსჯა. დაჯილდოებული დიჟონის აკადემიისაგან 1750 წელსა. კითხუასა ზედა ამის აკადემისასა წინადადებული, რამეთუ აღდგინება ჰსწავლათა და ჴელოვნებათა შეუწუოდა წარმართუასა ზნეთა ანუ ყოფაქცევათასა, შეთხზული უფლის ჟან ჟაკ რუსოს ძიერ, თარგმნილი პავლე პოტემკინის მიერ. მეორედ გარდამოცემული მოსკოვს სტამბასა შინა ტიპოგრაფიის კომპანიისასა 1787 წელსა. ხოლო რუსულით ქართულსა ენასა ზედა ითარგმნა თავადის დავით ევსტათის ძის ფანასკერტელ-ციციანოვის მიერ 1849 წელსა, მაისის იგ-ს ს. ქარელში.“

2. წინ უძღვის რუსულად მთარგმნელის პ. პოტემკინის წინასიტყვაობა-„მკითხუელთა მიმართ“ (1 გვ.)

ანდერძი: „სრულ ვჰყავ წიგნისა ამის გარდამოწერა წელსა 1849-ს, თთჳსა იუნისსა ჲ-სა დღესა, დავით ციციანოვი“ (გვ. 50).

მინაწერი: „ესე წიგნი ჰსჯა უ. ჟან-ჟაკ რუსოს თხზულებასა ზედა თარგმნილი ქართულად მოვიპოვე და ვუძღვენი ქართულის წერა-კითხვის გამავრცელებელის სახოგადოების ბიბლიოტეკას 31 ოყტომბერს 1889 წელსა. თავადი დავით როსტომის ძე წერეთელი“ (გვ. 51).

(603)

1261

დავით ბატონიშვილი, თორმეტი ხაუბარი. 1888

27 ფ.; 18×11; ქაღალდი; ქაღალდის ყდა; მხედრული, გადამწერი დავით როსტომის ძე წერეთელი (26ვ): 1888 (26ვ).

„წიგნი პირველი. იმისის უგანათლებულობისა მეფის ძის დავითისაგან ქმნილი ათთორმეტ წარწერილებანი მოცალება კაცთა შესაქცეველად უქმთათვის. წიგნი პირველი.—ოდეს გონება ჩემი უზომოთარე მწუხარებითა შფოთიერ იქმნა და ვერა დავჰხშენ საგრძნობელნი, რათამცა არა განღვიძებულიყო ჩემ შორის ენებაჲ, ამად მივყავ კალამსა ჴელი და ვაცნობე ყოველთა მახლობელთა და მორიელთაცა ჩემთა ურუა, მწუხარება და ჭირი ჩემი...“ 1r—26v.

შენიშვნა: თავფურცელზე სწერია: „თორმეტი საუბარი ბატონიშვილის დავით თისაგან დაწერილი.“

ანდერძი: (გადაწერისა) „ეს გადაწერე 1888 წელსა, იანვრის 22 დღესა, დ. საჩხერე. დედანი მთხოვა მღვდელმა საარხეს ციურთის მამულზედ მოსახელემ ალექსი ჯაფარიძემ, რომელიც უნდა იყოს თვით ავტორის ნაწერი და იმ ხანთვეე გადაწერილი, ამიტომ, რომ სწერია ქართლ[ონ]ოსნა უფ, ესე იგი 1802 წელსა აოის ეს წიგნი დაწერილი. თუ გადაწერილი და ხელჩართული ის სამი ასო. მერე აქ ვისმე ჩაწერილი თუ არა, არა ვიცი. ასომთავრულია, ჩაწერილს არ გავს.. თ[ი] დავით თოსტომის ძე წერეთელი“ (26r).

(604)

1268

პანთეონი ქართული პოეზიის. 1832

62 გვ.; 22×17; ქაღალდი (ლურჯი); უყდო; მხედრული; 1832 წ. (თავფურცელი).

1. „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა ერთმანერთის თავის ქებით, ჯობნის ბა[ა]სი და ცილობა (მეფის თეიმურაზის მიერ ლექსათ თქმული).
ღმერთო, რომელსა გაქებენ ზეცისა ძალთა კრებულნი...“ 1—15 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. თეიმურაზ I, 1934 წლ. გამოცემა, გვ. 99).

2. „ანბანთქება (მეფის თეიმურაზის მიერ თქმული).—
აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო!...“ 16—21 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. თეიმურაზ I, 1934 წლ. გამოც. გვ. 149).

3. „დიდება და ქება წმიდისა და ერთარსისა სამებისა (თქმული მეფის თეიმურაზის მიერ). ჩახრუხაული.—
აღვაღო პირი, სიბრძნე და ძვირი...“ 22—25 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. თეიმურაზ I, 1934 წლ. გამოცემა გვ. 161).

4. „(ოდეს მეფე თეიმურაზს თამარ მეფის სახე უნახავს დავით გარესჯას, ეს ლექსი უთქვამს).—
მეფენი მოელენ სურვილით, შენსა სახელსა მონებენ...“ 26 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. თეიმურაზ I, 1934 წლის გამოც., გვ. 145).

5. „(თქმული მეფის არჩილის მიერ.)—
კარგსავე დროსა ჰსჯობს სიკუდილი, ავთ დროთა შემოსწრებასა...“ 26—27 გვ.

6. „(ანბანთქება სულხან ორბელისშვილის მიერ).—
ალმას ბასრი გალესული დაჰკეცეს ენათ ვამით ზმნათა...“ 28 გ.

7. „(თქმული მეფის ვახტანგისა).—
სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა გებული...“ 29 გვ.

შენიშვნა: S—1535 ხელნაწერის მიხედვით ლექსის ავტორია იოსებ ტფილელი.

8. [დ. გურამიშვილი]. „ჰსწავლა ყრმათათვის მოსწავლეთა და ათთა სახმართა საქმეთა შეგონება.—

ისმინე ჰსწავლის მძებნელო, მიჰყევ დავითის მცნებასა..." 30—34 გვ.

9. „მოჯნურთ ბადია(!). კარი პირველი. შესავალი.—წიგნსა ამას ეწოდების მოჯნურთ ბადია ამად, რომე მოჯნურობას ბევრი საცდომელი ჰსდევს და თავის შენახვა ჰმართებს, რათა თუმცა ბადესა შინა არ გაებას, თორემ გამოხსნა ძნელია ამათ, რომ არა ყოვლისაგან შესაძლებელია მოჯნურობა. და თუ ვისმე მოჯნურობა გწადდესთ, ეს წიგნი აღმოიკითხეთ, და რაც ეწეროს, თუმცა სრულიად გჰირდესთ, ჴელჰყავით საქმესა. და თუ არ, თავი ამოთ შეინახეთ.—

ახლა გამოვჩნდი, დამერქო სახელად მოჯნურთ ბადეა..." 34—39 გვ.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, ტ, II, 1928 წ, გვ. 257)

10. [დავით ბაგრატიონის ეპიტაფია]. „ეპიტაფია საფლავსა ზედა მისსა წარწერილ არს სახითა ესევითარითა და არს 203 რიგი გალექსულ ცხრაკვეცილ ლექსად ე. ი. იამბად, ანუ იამბიკოდ.—

1. შემწყლი(!) ხატად კეცისაგან თიხისა,
შედგმული ნივთად ოთხთა მიერ კაცშირთა..." 39—41 გვ.

შენიშვნა: 1. დავით ბაგრატიონის ეპიტაფია შესულია თეიმურაზ ბაგრატიონის ისტორიაში (იხ. შემოკრებული მოთხრობა საქართველოსა, გამოცემული მ. ბროსეს მიერ პარიზში 1833 წ.).

2. ეპიტაფიას სათაურის გასწვრივ მიწერილი აქვს სხვა ხელით: „დავით ბატონიშვილისა, გიორგის ძისა".

3. ეპიტაფიის ბოლოს მიწერილია: „სრულ იქმნა წელსა ქრისტესით ჩყლა-სა, ქართულს ქორონიკონს იდ-სა, მოკვეთისასა ფთ, თვესა მარიამობისასა, რომელ არს აგვისტო".

11. „თქმული საქართველოს მეფის იესეს ძის კათალიკოზის ანტონისა პირველისა ბაგრატოვანისა.—მოვედ ევროპით ანტონი აზიადვე,
შეერთევ წერასა ბუნებით შენაერთსა..." 43—44 გვ.

12. „ეპიტაფია დათა ჩემთა მეფის ასულთა ანასტასიასი და მარიამისა (თქმული მისივე ანტონის მიერ).—

1. ჯი, რაბამ არს ამისთჳს თქმანი ჩემი,
ვითარმედ ხელშეხებული კალმისად..." გვ. 44—48. გვ.

შენიშვნა: ეპიტაფია გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, 1928 წ., გვ. 230—231).

14. „იოანეს მიერ ჯანბაკურიან-ორბელიანისა ქართველთა ნამსაჯულევისა სიტყვა პირველი.—ეტრფიან და ესურვიან მყოფნი ყოველნი კეთილსა..." 49—60 გვ.

შენიშვნა: 1. იოანე ჯამბაკურ-ორბელიანის „სიტყვა" შესავლად წამძღვარებული აქვს პროკლე დიადოხოსის „კავშირნის" სიმონ ჯულფალისეულ რედაქციას (იხ. ხელნაწ. S—192).

15. [ბესიკი]. „მე შენმა ფიქრმა მომარინდა, მიმცა ჰირებსა..." გვ. 61.

შენიშვნა: 1. თავფურცელზე სწერია: „პანტეონ ქართული პოეზიისა. ტფილისის(!) 1832 წ".

2. სავა ფურცელზე ქართული ასოებით უწიგნურად წერია დამაბინძურებული იტალიური ტექსტი, რომელსაც მიწერილი აქვს შემდეგი: „ჯუთაისში ნიკო ქორქაშვილს ჰქონდა ქართული ხუცური ხელთნაწერი კონდაკიანუ წირ-

ვისწიგნი ძველი და იმახედ იყო ესე წარწერილი მხე დროულის ასოებით: Сенг. 1865, Кутаиси" (საცავი ფურცელი).

მინაწერი: „შემოწირულ იქმნა ლუკასტეფანისძისიასარლიშვილისაგან" (თავფურცელი).

(605) 1269

წიგნი სამეცნიერო. XIX

208 გვ.; 21×18; ქაღალდი (ბოლურჯო); ქაღალდგადაკრული მუყაოს ყდა; სათაური, დასაწყისი ასოები მთავრულით, ჭედნიშანი—1815 წ. (გვ. 5—6); [XIX ს.].

1. „სიტყუანი და ჰსწავლანი სამეცნიერონი, ფრიად მარგებელნი სულ-ს ხე[უ]ლობით ორკერძოვე, ძველისა და ახლისა წმიდათა წერილთაგან ჰრიფეთ გამოკრებულნი: კლემაქსისაგან, და დიდისა ვასილისა და გრიგოლი ღუთისმეტყველისა, და იოანე ოქროპირისა, და მამისა ეფრემისა და მაქსიმესი, და ცხოვრებისაგან მამათასა და სხეათა წმიდათა მღვდელთმოძღუართა მამათა მოციქულთა, წინასწარმეტყველთა სოლომონ და ზირაქისა და გარეშე წიგნთა —პლატონ, სოკრატი და მენიადროს და სხეათა ფილოსოფოსთა მიერ თქმულნი.—ყოველთა, რომელთა ენებოს და ეძიებდენ ღმერთსა, ეპოების მათ..." 1—87 გვ.

შენიშვნა: ტექსტის დასასრულს: „სამეცნიერო. აღიწერა წიგნი ესე ბრძანებითა ბაქარ საქართველოს მეფის ვახტანგის ძისათა, მრავალჟამიერ ყოს უფალმან და სუფევნო ცხოვრება მიანიჭოს წელსა 1749, მარტის 15-სა" (87 გვ.)

2. „აბოთეგმატა, რომელ არს შემოკლებულთა რიტორებრივთა და წესისა მასწავლელთა სიტყუსბთა წიგნი სამი. ხოლო მათ შინა არიან დადებულ თვითოეულნი კითხვა-მიგებანი, ცხოვრება და ქცევა და იგანენი (რომელ არიან სახისმეტყველებანი) და მეტყველება სხვათა და სხვათა ფილოსოფოსთა. შემოკლებულთა სიტყვათა და მიგებათა. წიგნი პირველი. ჰსწავლა სოკრატისა.

ბ. შოკლედ სიტყვის-გება სოკრატისი სწავლა პირუსლი, თარგმნილი სხვათაცა ფილოსოფოსთა რუსულისაგან ქართულს ენასა ზედა ერასტი თურქისტანიშვილისაგან.—კეთილის კაცის წესი არ არის, კაცს პირში აქებდეს და უკან კი ზრახეედეს..." 88—172 გვ.

შენიშვნა: 173 გვერდზე: „თქმულნი სწავლანი იგავად დავით რეკტორის ალექსის ძისა მიერ.—
1. გულისა შენისა საიდუმლოთა განეკრძალე სხვათადმი ზრახვად..."

ბ. „შოკლედ გამოსაკსნელი ამბავი, წიგნი მეორე, რომის კეისრებისა სხვათა მეფეთა, მთავართა და მჭედართა და მთავრობისა.—იგლიანე კეისარი ერთხელ ნაწი იჯდა და დიდი ღელეა აღუდგა..." 174—192 გვ.

გ. „წიგნი მესამე. რომელთა შინა არიან ჰამბავნი ლაკედემონელთანი.—ლაკედემონელნი (ვინემედის ბერძენთ ქვეყანა იდგა), ყოველთა რიტორებითა აღმატებობდენ..." 192—205".

მინაწერი: „Сиа(!) книга принадлежит князю Вахтангу Эристову. წიგნი ესე ეკუთნოვის თავადს ვახტანგს ერისთავსს" (თავფურცლის შიდა მხარე).

(606) 1270

კარაბადინი. XIX.

8 ფ.; 22×18; ქაღალდი; უყდო; ფრაგმენტი; მხედრული; ჰვირნიშანი—1841 (ფ. 4); [XIX ს.]

[კარაბადინი]. „... თავი მეათოთხმეტე. იდ.—ათეშანგის სნეულებისათვის და წამლობის მისი. § რკდ. რიცხვთა მორის ყოველთა სნეულებათასა, რომელნიცა მავნებელ არიან კაცთათვის, არცა ერთი ეგოდენი ძლიერ შესაყარ და გადამდებ არს, როგორც სნეულებაჲ ესე. ამისთვის ეწოდების ამას მომწამლავი სნეულებაჲ ანუ ათეშანგი...“ 1r-8v.

წყება: „... **სიი.** მოიღე ვართკაჭების ძირი, ძირხვენის ძირი, ღვის ხე (?), თითო-თითო ნახევარ-ნახევარ მუჭა, ძირტკბილის ძირი, სამი თითით ასაღები, ქოთანში მოხარშე, ერთი ჩარეკზე მეტი წყლითა სანამ ნახევარი დადგეს. ტილოში გაწურე და ასეი დღეში სამჯერ თითო ფინჯანი ათ დღემდინ. ანუ მეტს...“

(607) 1272

ანტონ I, მარტირიკა. 1768

I—II + 828 გვ.; 22×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ბის ყდა მხედრული, სათაურები და დასაწყისები მთავრული, სინგურით; გადამწერი—ტრიფილე (გვ. 44, 105); 1768 წ. (გვ. 44, 105).

[ანტონ I, მარტირიკა.] „შესხმა და მოთხრობა ღუაწლთა და ვნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა დედოფლისა ქეთევანისა, ქმნილი ანტონისაგან არხიეპისკოპოსისა ყოველისა ზემოჲსა საქართუელოჲსა, დავითიან-ბაგრატოვანისა. სიტყუა პირველი.—ვიძლიე მე ჰსჯულისაგან ბუნებითისა და ძლეულებასა ჩემსა აღვიარებ...“ 1—826 გვ.

შენიშვნა: ერთვის „პინაკსიტყუანბაჲ წიგნისა მარტირიკჲსაჲ ოცრიცხუმეტთა სიტყუათა“ 827—828 გვ.

ანდერძი გადამწერისა: 1. „სრულ იქმნა წელსა განკორციელებითგან სიტყჳსა ღ~ისა 1768, თთუესა ოცდამბერსა 31 ტ რ ი ფ ი ლ ე ს გ ა ნ“. (გვ. 44).

2. „სრულ იქმნა წელსა განკორციელებითგან სიტყჳსა ღ~ისა 1768, თთუესა ნოემბერსა 22 ტ რ ი ფ ი ლ ე ს გ ა ნ“. (გვ. 105).

მინაწერი: „ჩ ყ მ წელსა იანვრის კ-ს ეს წმიდა მარტირიკა ებოძა ჩემთჳს და ა ვ ი თ ლ ე ო ნ ი ძ ეს დ ა დ ი ა ნს სახსოვრად მისსა თ~ა გ რ ი გ ო ლ წ ე რ ე თ ე ლ ი, რომელი ვიყავ დედით ბიძა მისი“ (II v).

(608) 1273

კვინტოს კურციოსი, საქმეთათჳს ალექსანდრე დიდისა. 1811

434 გვ.; 29×21,5; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; სათაურები ასომთავრულად, სინგურით; გადამწერი: ოსე გაბაშვილი (427 გვ.); 1811 წ. (427 გვ.). დაუწერელია: 428, 430, 432, 433 გვ.

„კვინტოს კურციოსისა, საქმეთათჳს ალექსანდრე დიდისა მეფისა მაკედონელისასა. წიგნი პირველი. თავი I.—ცხოვრებასა და

საქმესა ალექსანდრესსა, სპარსეთისა სამეფოსა საბერძნეთისად დამამორჩილებელისასა, მრავალნი ბერძენნი აღწერდენ, რომელნიცა მასე რიცხუსა შინა უფროსი ნაწილი იყუნენ თჳთ მხილველნი...“ 19—427 გვ.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შედგება 10 წიგნისაგან.

2. ხელნაწერს წინ უძღვის: ა. მთარგმნელის ანტონ I წინასიტყვაობა (წინასიტყვაობის ტექსტი იხ. S—410 ხელნაწერის აღწერილობაში, შენ. 3). ბ. „ნათესავთ-სიტყვაობა ალექსანდრე დიდისა რეინგტციით.—ალექსანდრე დიდი იყო მამული ტომისაგან ირაკლის და დედულ ახილვსისა, ვითა კუმშორე ჩუსენებულ არს...“ (3—18 გვ.).

3. ხელნაწერს აქვს ანტონ I შენიშვნები.

4. ხელნაწერი აწერილი აქვს ეკ. თაყაიშვილს (იხ. Описание рукописей... ტ. II, 818—819 გვ).

ანდერძი: „დასრულდა წიგნი ესე ბრძანებითა სახლთუხუცეს წერეთლის ძის გრიგოლისათა ქელითა ოსე მღუდლის გაბაშვილისათა თთუსსა აგვისტოსა ად, წელთა ჩყჲა“ (427 გვ.).

მინაწერები: 1.[ლეკ.ი]:—„სტეფანი ბულბულო ჰამონია, ახარებს გულთ ყრმათასა,
იადონნი და მერცხალნი გალობენ მეტსა ხმათასა,
ყრმანი ჰაბუკნი უქვერტენ სანდ მიჯნურთა სხვათასა
და გონება ერცელი აქა სდევს, პოებს უმჯობებს ქნჱთასა.
„ვის ყრმათა ყრმული საქმენი გულთა აქუს შთანათესია,
იგი უგულოდ იკითხავს, აქა იქ სძებნის ესია,
სხვათა დაფარაეს ახრებთა, ზარმაცებს, მარად მკვნესია,
და ესე სჯობს იცნას კურციოს ამტკიცოს უმჯობესია“.
აქუე ფანქრით მიწერილია: „ეხ შემარტი არს სიტყუა იგი გ. გ.“(1გვ.)

2. „სალთხუცის ძის წერეთლის გრიგოლისა ვარ“ (3 გვ. აქვეა ბეჭედი პატარა ზომის; მ-კუთხოვანი, მხედრული, ლეგენდით: „გრიგოლი“).

3. „პატიოსანო მკითხველნო, ამ წიგნის გადმომწერელს შეედომით მომიხდის მაგიერ (მომიხდა) უწერია, რომლისაგან დიდი უსამართლობა გამოსწყდის როგორც ახრში, ისე თხზუაშიდ, და ყურადღება უნდა კითხვაზედ: მომიხდა მოკრძალებას ეწოდება და მომიდგა—მოთრევას, და ესენი ერთიმეორეს ადგილს დადებული ახრს შეადმღვრევს“. (18 გვ.).

4. „თ“დი გრიგოლ წერეთელი“ (აქვეა 8 კუთხოვანი ბეჭედი მხედრული ლეგენდით: „გრიგოლ“) 19 გვ.

5. „ოსე გაბაშვილი“. „გრიგოლ წერეთელი“ (ხელით) 427 გვ.

6. (ხარიხმარდიტი), „ნარკვევი.
ვაქებ დიდსულობასა ალექსანდრესსა, სიმხნესა მისსა, სიყვარულსა მხედართასა, განსჯასა მოუწყენელსა, გულსმოდგინებასა, სჴნიდისსა.
ძლეულთად წყალობასა, მძლეართადმი სიყვარულსა, სიუბვესა,
საკუთართა და მოყვარეთა სიხარულსა, მჴედართასა იმედსა და ტყეეთა წყალობასა.
განსაგდებელ და საძულელ დიდების-მოყუარება მარად განუძღომელი, მრავალშეფოთება,
სიმთვრალე და სილიზღე გამოუსელედი, სარება და მედგრობა,
მისთჳს სისხლის დამთხეველთა დასჯა და სიკვდილი, ცუნდრუკებით მეგობრობა...
უკანასკნელ საცინელი მსახურება, ღმერთ-ყოფისა ღმენებლობა“. ქნილი არხიმანდრიტისა ზაქარიასგან“ (429 გვ.)

7. „ჩყკა წელს მოიწია ამბავი კოსტანტინუპოლით, ვითარმედ აღდგენ ბერძენნი მებრძოლად პარისპარ ისმაიტელთა, რომელ არიან აგარიანნი თათარნი. ქრისტე ღმერთო, მოიხედე შენის სისხლით სყიდულს სახლსა მართლმადიდებელ[ა]ს ქრისტიანეთას. ხონთკრის სახრძანებელში ექვსი მილიონი არისო ბერძნები. 6000000. მოჰკლეს პარმენიონ და ძე მისი ფილოტოს გამოუძიებლად ანუ გამოუკვლეველად ჩყკა მაისის კზ...“ (431 გვ.).

8. „... მიდელი იტყვის: თავსა მეათოთხმეტესა, წიგნსა მეშვიდესა მეორის ტომისასა იგივეს შახტრიანულსა:

ძაღლი მოშიში უდიდესად-რე ჰყვეფს სადამე, ვიდრეღა ჰკბენს.

ყოველი ღრმანი წყალნი კიდეგან ჩქერისა ჰსდიან.

ტაიჩსა კეთილსა მათრახისა ირდღილიცა კეთილად წარმართებს, ვანაღა ჰავსა დეზებისაცა არა რაჲ...

მწიგნობარი (ესე იგი) მეკაპარჭე; ელილედის ხე—ტომი პირველი წიგნი მეხუთე, თავი მეხუთე—ცგონებ იყოს ზეთის ხე.

წელსა ჩყიზ... 9 აპრილს“ (434 გვ.).

(609)

1274

ხაჭიმო წიგნი. XV—XVI

406 ფ.; 30×20; ქაღალდი; ნაკლული; ხის ტყავგადაკრული ტაიფრული ყდა, ნუსხური; სათაურები სინგურით; [XV—XVI ს.]. დაუწერელია: 28r; 406r;

(წიგნი ხაჭიმოჲ.)—„... ზართხანი ედგას, და თუ მტერი დაემართოს, გაჴსნას აბრტიხანი და აბჯარი თავის ყმათა ზედა გაყოს. და თუ მტერი არა დაემართების, ზართხანი ცუდი და ბედითი არს...“ 12v—393v.

წყებაჲ: „... კურნებაჲ მისი იგი არს, რომელ წყლისაგან მით იშიშვების, რომელ ძაღლისა ცოფისა სახესა ჰნახაეს წყ...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერი აღწერილი და გამოკვეთებული აქვს ექიმ ლ. კოტეტიშვილს (იხ. „წიგნი ხაქიმოჲ“, ტფ. 1936 წ.): ამ ხელნაწერის დაწერილებითი აღწერილობა იხ. ეჭ. თაყაიშვილის წიგნში „Описание рукописей...“ ტ. I, გვ. 640—686).

2. ხელნაწერს წინ უძღვის: ა. ანდერძი მთარგმნელისაჲ: „ესე წიგნი ხაქიმოჲ, ოდეს ⁘ უკანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გაკქცეს, მუნით ალაფად მოიღეს. ქ-ს მიერ პატრონი ჰ-, მისსან მწიგნობართუუცესმან, პროტოპაპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან კაცმან, გორგიჲა მოხუცმან და საღთოსთა მსჯავრთა მართლმსაჯულმან და ჴელის აბჯროსელმან უღორთოთა და ქურივთამან ქართულად მათარგმნინა მე მიწასა მათსა ხოჯა ყოფილსა“ (7r).

ბ. სარჩევი: „კრებაჲ ასოყრად ქჳ, რომელი საძებნელად და სამკურნალოსა დარაცა უნდეს ადვილად პოოს წამალი სნეულთანი...“ 7r—12r.

მინაწერები: 1. ხელნაწერს წინ უძღვის XIX-საუკ. ხელით დაწერილი სამკურნალო მცენარეებისა და ტერმინების ლექსიკონი (1v—6r).

2. ცალკეულ ტერმინთა განმარტება მიწერილია: 184v, 192r, 213r, 303v, 304rv 307v, 308r, 361r.

3. სამკურნალო ხასიათის მინაწერები მოთავსებულია ზემო ყდის შიდა მხარეზე: 1r, 9r, 394r—405v;

4. „არხიმანდრიტი გერმანე“ (ხელნაწერად), 6v.

5. მინაწერი ბერძნულად (7r).

6. „უფალო ღმერთო, მოიხსენე ფრიად ცოდვილი სიმონ ⁘ ტონ ღონაუონ აფტუ, ა-ნ“ (114r).

7. „ჯალინოზ, ბაყრატ დაიანნა მასარჯო, მაჰმად ხაქარიას ძე, ანდრომაზოს და აბუჯარია, თიადაჲ, ფილოს მასოჲს ძე, არბასიოს მადიანული, თუბითყურ ისაკ თუბითყურას ძე არხივან, დეყვან, ჰუნან, მესიაჲ, იბნიმას, რუფოს სინაჲს-ძე—ესენი დიდნი ფილოსოფოსნი ცდილობდენ კაცთა უკეთოჲსა. ეძიებდიან ხასიადებსა, ხეთა, ბალახთა, ყოველთა მოყოფათასა(!). მოულბინებდეს, ნუკეშის-ცემდეს, ჭირს განსდევნიდეს, ავათ... (238 v).

8. „ეს კარაბადენი მარტვილთა მღუთის მშობლის შეწირული არის და დავით ლეონის-ძემ დადიანმა ამით უნდა უკანმოს ის ხატი, როცა ავათ გახდეს [ბიძა]. თ-ა გრიგოლ წერეთელი“ (398r).

9. „ბერენტიოსის(!) წვალებამ იწყო, ოდეს განვარდა წ-ის რომის ეკალესიისგან (ესე იგი ანლიკიოს), იყო ქეს-ით წარსული წელი 1004 ჩ. ღ.“ (398r).

10. „ლეტერნეული აღდგა გმობად ქრისტესთჳს წელს 1027“ (398r).

11. „კონსტანტინუპოლი აიღო მხედრობამ სულთან მაჰმუდ მაისის წელსა 1453 ჩინგ“ (398r).

12. „ნაპოლეონმა აიღო სამეუფო ქალაქი მოსკოვი და დააკლია წელსა 1812 ჩყიბ“ (398r).

13. „ჩყიგ წელს იანვრის კგ იშვა დავით ლეონის-ძე დადიანი ბუკდიდს. აბლა არის კგ წლის ღ-თით“ (398v).

14. „ჩყლე-სა წელს, ი-ს ფებერვალს გასტეხეს ანტონ ღოდაბერიძის სენაკი და წაიღეს ფ. სახელმწიფო. მათ მოეწია არხიმანდრიტი სიმონ წულუკიძე. აიკლო, დაიპირა კურდნი კიხარიანი და მოიქცა გამარჯვებელი ქუთაის. ხუნწიდან გელოვანთა იმერთ მხედრთა ჯურდთა იმხდოეს ლომი ფული“ (406v.)

(610)

1275

ვახტანგ VI, სამართლის წიგნთა კრებული. XIX

694 გვ.; 33 × 22,5; ქაღალდი; თვე-პოლონკული; ხის ტყავგადაკრული ტვიფრული ყდა; ნუსხური; სათაურება და მეხლების დასწყისები სინგურით. გადამწერი—მიტროფანე გოგიბერაშვილი (22 და 605 გვ.); [XIX ს.]; აქვს ჭვირნიშანი; დაუწერელია: 141, 156—158, 405, 413, 434 გვ.

«სამართალი მოსესი», „პირველი დასაწყისი წიგნისა სამართლისა, რომელი მოსცა ღმერთმან მოსეს, რომელი დაწერა მან მოსე წიგნსა მეორე სჯულისასა და გამოსულათასა. მცნება ღ-თისაგან. სამართალი მოსესი.—ა. მცნება ღ-თისაგან: თავ უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა გამცნო შენ უფალმან ღმერთმან შენმან, რათა კეთილი გეყოს შენ...“ 3—22 გვ.

2. «სამართალი ბერძნისა». „ლევან ბრძენისა და კოსტანტინესი და სხვათა ჭელმწიფეთა მიერ თქმული და განწესება სჯულისა კანონი მეფეთა და სიმართლისა მოსამართლეთათვის, რათა რაოდენსა ეწეროს წიგნსა ამას შინა, მცირედცა არა განვაგდოთ, არამედ ყოველივე ვისმინოთ და ვყოდეა.—ა. რომ მოხდეს და დადგეს მსაჯულად კაცი ვინმე სასამართლოდ კაცსა ზედა, უკეთუ ენებოს კაცსა მას მსაჯულად საჭელის წოდება, ამა წესთა და რიგთა ნუ განაგდებს...“ 23—155 გვ.

შენიშვნა: ბერძნულ სამართლის ტექსტს აკლია მუხლები 351-დან 362 მდე. მათთვის დატოვებულია თავისუფალი ადგილები.

3. «სამართალი სომხისა».—„ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა სამართლის წიგნთა ზედა გარდმოთარგმანებული და ეწოდების სახელი სამართლისა...“ 159—404 გვ.

4. «სამართალი კათალიკოზისა». „საბელითა ღმრთისათა მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისა...“ 406—412 გვ.

5. „ძეგლის-დადება მეფეთ-მეფის გიორგის მიერ.—ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთ-მეფის დიმიტრისამან, დავიდევით ძეგლი, განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან...“ 414—433 გვ.

6. «სამართალი აღბუღასი». „შევიყვარენით(!) ჰოლთა მინდობილნი ღ-თისანი და აწყვერისა ღ-თისშობლისანი და გაჭცევისა. დავიდევით

წინა პატრონისა პაპის ჩემისა მანდატურთუხუცესის ბექას განაჩენი და აგრეთვე სრულობით და უკლებლად დავსწერეთ...“ 435—484 გვ.

7. «სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა». — მყოფისა უმყოფისა, არსისა დაუარსისა დამაარსისა მქნები, არა თუ ღირსად, და შეძლებისა ჩემისაებრ მქებელი და მმონებელი, უდებად მჭონე მპოვნელ ვიქმენ, ვითარცა მეფენი დღითი-დღე მრეველნი ჴელთა მარგალიტთა შინა, და პოებენ მბივთა რათამე...“ 485—605 გვ.

შენიშვნა: 1. ხელნაწერს უძღვის კრებულის თავნაკლული შესავალი (1—2 გვ.);

2. ერთეის კრებულში შემავალ სამართლის წიგნთა მუხლების საძიებელი (გრაფებში), 607—694 გვ.

3. ხელნაწერს ზემო ყდის შიდა მხარეს დაკრული აქვს წერილი გრიგოლ გურიელისა დიმიტრი ბაქრაძისადმი.

„ბატონო დიმიტრი!

ამასთანავე მიაბრძანა ძველი ქართველთა კანონის წიგნი, რომელიც მე აღგითქვით; ეს წიგნი, როგორც გავიგე, ყოფილა თავდგირიძეების ოჯახის დანაშთი ძველთაგან; ვინაიდგან თავდგირიძეები ძველთა ყოფილან აზნაურშიდ, ქობულეთშიდ და გურიაშიდ მემკვე-მოსამართლეებათ და მდივან-მწიგნებათ, და უკანასკნელი გურიის მთავრის დროს გიორგი თავდგირიძე იყო მდივან-მწიგნებათ, რომელიც ჩუენ ქარგათ გვახსოვს და როგორც იყო გამოძიებით მე ვპოვე ეს წიგნი.

თავდგირიძეების ოჯახებშიდ სხვაც მრავალი ყოფილა ძველი წიგნები, მაგრამ დროთა ვითარების გამო გაბნეულან და მე რამდენიც ძალმიძს ვსცდილობ მოვიპოვო და თუ კი რამ ვიპოვე შესამჩნევი, გაახლებთ.

ვისურვებ თქვენს მრავალს წელს დღეგრძელობას. თქვენი მარად ერთგული გრიგოლ გურიელი. მარტის 14-ს, 1886 წელს, ქ. ოზურგეთი“.

წერილის ზემო კიდეზე გრიგოლ გურიელის ხელით მიწერილია:

„საძიებელი სჯულ-კანონთა:

1. სამართალი მოსესი	1—22
2. სამართალი ბერძული	23—155
3. სამართალი სომხური	159—404
4. სამართალი კათალიკოზისა	406—412
5. სამართალი მეფის გიორგისა	414—433
6. სამართალი აღბუღასი	435—484
7. სამართალი ვახტანგისა	485—605
8. შედარება საგანთა სხვა და სამართალში მუხლების ჩენებით	607—695“.

წერილს წარწერილი აქვს დ. ბაქრაძის ხელით: „Получена книга 19 марта 1886 г“.

4. ხელნაწერი აწერილი აქვს ეკ. თაყაიშვილს (იხ. Описание рукописей... ტ. II 620—621 გვ.).

ანდერძი: „აღიწერა ჴელითა მიტროფანე გრიგოლაშვილისათა“ (22 და 605 გვ.).

მინაწერი: 32 გვ.

(611)

1276

მეტაფრასი. XI—XIII

220 ფ.: 35×24; ქაღალდი; ტყავგადაკრული ტეიფრული ხის ყდა; ნუსხური, სათაურები მთავრულით და ნუსხურით, სინგურით; ხელნაწერი რესტავრირებულია და ხელახლად აკინძული ძველი ტყავით ხელნაწერთა ინსტიტუტის ლაბორატორიაში; ხელნაწერში ერთად არის აკინძული ორი სხვადასხვა ხელნაწერი. პირველი

(1—115 ფ.), ძირითადად, ჰომილეტიკური ხასიათისაა, მეორე (117—220 ფ.) — ჰაგიოგრაფიული. პირველ ნაწილში სათაურები დაწერილია მთავრულით; მეორეში—ნუსხურით; პირველი კრებული მეორისაგან გამოყოფილია სუთა დაუწერელი ფურცლით. პირველი ნაწილი—XI საუკუნის II ნახევრისაა; მეორე ნაწილი XII—XIII ს.ს.; პირველი ნაწილი დაწერილია ოთხი სხვადასხვა ხელით, რომელთაგან მესამე ეფრემ მცირეს უნდა ეკუთვნოდეს (იხ. ე. მეტრეველი, ეფრემ მცირის ავტოგრაფი; ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, გვ. 115—125) მეორე ნაწილი დაწერილია ერთი ხელით; პირველი ნაწილი თავნაკლულია, იწყება დ საკითხავით.

[ჰომილეტიკური მეტაფრასი] 1. [სეკდემბერსა იდ]. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ [სი]ტყუაჲ სატფურებისათჳს იერუსალემისა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა აღსადგომელისა და ამაღლებისათჳს პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისა. გ. მ.—რაოდენნი ღმრთის-მოქალაქე ხართ მრჩობლთა ქალაქთაგანნი ამიერ დიდით და სახელგანთქმულით იერუსალემით...“ 1r—24r.

შენიშვნა: 1. „სიტყვის“ სათაურის გასწვრივ მიწერილია მთავრული დ—საკითხავის რიგითი ნომერი.

2. „სიტყუა თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, V, გვ. 67 : 13).

3. „სიტყვას“ აქვს ხუთი შეისწავნი.

4. 10r-ზე ტექსტის ხელით მიწერილია: „ო“ შეიწყალე ეფრემ“

2. [სეკდემბერსა იდ]. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ანდრიაჲ იერუსალემელისაჲ, კრიტელ მთავარეპისკოპოსისაჲ სიტყუაჲ ამაღლებასა პატიოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯუარისასა. გუაკურთხენ მამაო—აღვძრნეთ დღეს, საყუარელნო, ბაგენი სახედ ბობღნისა, აღეჳღოთ საფსალმუნე და ორღანოჲ...“ 24r—28r.

შენიშვნა: ანდრია კრიტელის „სიტყვა“ თარგმნილი უნდა იყოს ეფრემ მცირის მიერ (იხ. ე. მეტრეველის დასახ. წერილი, გვ. 119—120)

3. „დღესასწაულსა ჯუართა აპყრობისასა საკითხავი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ. გუაკურთხენ მამაო.—ყოველივე უდარესთაგან უმჯობესთა მიმართ შეცვალებაჲ ფრიადისა შუბისა და მხიარულებისა მომატყუებელ ეკმნების ნათესაჲსა კაცთასა...“ 28r—32r.

4. [ნოემბერსა კაა]. „გეორგისი, რომელი იყო კოსტანტინებოლით წიგნის მცველი წმიდისა ღმრთისა ეკლესიისა სიტყუაჲ ყოვლად წმიდისა ღმრთის წმობელისათჳს, რაჟამს მიყვანებულ იქმნა სამისა წლისაჲ ტაძრად უფლისა წმობელთა მიერ მისთა.—გ. მ.—კეთილთა მიზეზთა სიტყუად დაწყებისათა მიჩუენებს ჩუენ მოწევნული ესე დღესასწაული...“ 32r—41v.

შენიშვნა: 1. სათაურის ზემოთ, კიდეზე, ნუსხურით (პირველი „სიტყვის“ ხელით) მიწერილია: „ესე თჳთ არს გეორგი ნიკომიდელ მთავარეპისკოპოსი, რომელ წიგნის მცველ[ი იყო], ვითარცა თუალეთა წიგნსა წერია“ (32r).

2. სათაურის გასწვრივ მარჯვენა კიდეზე მინაწერისეე ხელით მიწერილია: „წაკ[ეთსა შეევ]ლაჲ სჯობდა“.

3. გიორგი ნიკომიდიელის ეს „სიტყვა“ ეფრემ მცირის თარგმნილია (იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდ. V, გვ. 24: 1).

5. „კერძოდ შეკრებული და მცირედ რაჲმე მოკსენებული სიმრავლისაგან ცხორებისა მისისა წარმატებითა და ნამუშაკევთაგან მრავლებათაჲსა წმიდისათჳს და ნეტარისა მამისა ჩუენისა ი ო ა ნ ე მონაზონისა და ხუცისა დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს ა, აღწერილი მ ი ქ ა ე ლ ი ს ა გ ა ნ ხუცისა სჴმ ე ო ნ წ მ ი დ ე ლ ი ს ა, ენისა ზედა არაბთასა, რომელი ესე ითარგმნა ს ა მ ო ე ლ ი ს გ ა ნ წმიდისა მეტროპოლიტისა ადანელისა ბერძენთა ენად.—გ. მ.—სწავლის-მოყუარეთა და სმენის-მოყუარეთა კაცთა სიმრავლისათჳს არაარაჲ არს ესრეთ საწრაფო და სასურველ, ვითარცა ბრძენთა და საღმრთოთა კაცთა ცხორებაჲ..." 42r—56r.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს მიწერილია ეფრემის ანდერძი: „ლოცვა ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, ი ო ა ნ ე მ ო ნ ა ზ ო ნ ი ს და მონაზონისა, რომლისა ბრძანებითა მე ულირსმან ე ფ რ ე მ მ ი ც ე რ ე ნ ვითარგმნე ბერძნულისაგან მცირე ესე ცხორებაჲ დიდისა ი ო ა ნ ე დამასკელისაჲ, აწ ჩუენთა ქამთა სურვილით აღწერილი მ ი ქ ა ე ლ ი ს ა გ ა ნ ხუცისა სჴმ ე ო ნ წ მ ი დ ე ლ ი ს ა სამდლობელად ტკუეობისაგან ჴსნისა მისისა, რამეთუ დგებერვისა ერთსა შემოსრულთა თორმეტთა სულიმანეთთა ამას დღესა დაიპყრეს ქალაქი და მთით ჩამოასხეს ერი დღესასწაულსა ამას წმიდისა ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი ს ა ს ა. ოთხაჲე მისე დგებერისასა, რომელთა თანა უვნებელად დაცვულსა მას ხემოჴსენებულსა მ ი ქ ა ე ლ ხუცესსა, სჴმენ წმიდას ძმასა, და მაშინ ქალაქს დახუდომილსა, აღ[ე]წერა ესე საკითხაი არაბულსა ენასა ზედა, ვინაჲ-ცა ბერძენთა ენად გამოთარგმნა და შეამკო ს ა მ ო ე ლ წმიდამან მიტროპოლიტ ა დ ა ნ ე ლ მ ა ნ, რომელი-ესე აწ ქართულ[ა]დცა ითარგმნა ლოცვათა ბერთა ჩუენთა ს ა ბ ა ჲ ს ი ო ა ნ ე მ ო ნ ა ზ ო ნ ი ს ა ბრძანებითა და საჴმრითა ი ო ა ნ ე ხემოჴსენებულისა და კ ჳ რ ი ე ს ხუცად შესწავებულისათჳს, უფალმან მიეცინ მადლი შრომისა და წარსაგებელისაჲ, ამინ" (56r).

2. ითარგმნა დამასკელის ცხოვრება თარგმნილია ეფრემ მცირის მიერ. „ცხოვრების" ტექსტი გამოკვეყნებულია. (იხ. К. Кекелидзе, Грузинская версия арабского жития Иоанна Дамаскина: Христианский Восток, т. III, вып. 2, გვ. 119—174.)

6. „თთუესა დეკემბერსა თ. საკითხაი თქუმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ე პ ი ფ ა ნ ე კ ჳ პ რ ე ლ მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა ჲ მუცლად-ეგისათჳს ანნაჲსა, რაჟამს ეხარა შობაჲ წმიდისა ღმრთის მშობელისაჲ. გ. მ.—რა არს საიდუმლოჲ ესე ახალი და დიდებული ღმროისა ქმუყანად გარდამოსლვაჲ და დაბუელებულისა მის ბუნებისა ბრწყინვალედ განახლებაჲ..." 56r—64r.

შენიშვნა: 1. ამ საკითხავთან დაკავშირებით 56 r-ს კვემო კიდეზე კრებულის რედაქტორის ეფრემ მცირის ხელით მიწერილია: „შემინდეთით, სხუაჲ საკითხაი მეცნაჲ და ეხლაჲ ვერ ვპოე, რ[ა]ლმცა ვეთარგმნა. ეს მე ე თ ი ო ჭ ი ს თარგმნილ შემომატყუეს. გა[რნა?] მგონია თ[ე] მრეკალსა ჭ ბ რ ძ ა ნ ე ბ ი ნ ა.

2. საკითხავი თარგმნილია თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ (იხ. კ. კეკელიძე, ტ ე ო ფ ი ლ ე, V, გვ. 47).

7. [დეკემბერსა კ]. „წინა დღით ქრისტეშობისა საკითხაი თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა ა თ ა ნ ა ს ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა ჲ ს ი ტ ყ უ ა ჲ აღწერისათჳს ყოველად წმიდისა ქალწულისა და ღმრთის მ[შ]ობელისა მარიამისა და იოსებისთჳს, რომელმან მითხოვა იგი. გ. მ.—ვითარცა მუშაკნი იგი, რომელნი აღმოჰკუეთდიან მიწასა გამოსადროებელსა ოქროჲასასა ..." 64r—71r.

8. [დეკემბერს კთ]. „წმიდისა მამისა ჩუენისა ბ ა ს ი ლ ი ი ს ა ვ ი ე ლ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა ჲ ს ი ტ ყ უ ა ჲ ჩჩლთათჳს ბეთლემს მოწყუედილთა.—კუალად მეე ბერი სიტყუათ-სტადიონად შევიყვანები..." 72r—74v.

9. [დეკემბერს კდ]. „წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისაჲ სიტყუაჲ შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა და ჰჩჲლთათჳს ბეთლემს მოწყუდილთა. გ. მ.—დაჰბერეთ ახლის თჳს თავთა ნესტჳთა, იტყჳს დავით ბრწყინვალესა დღესა დღესასწაულისა ჩუენისასა...“ 74v—80v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს ეფრემ მცირის ანდერძი: „უფალო, შეიწყალე მღდელი იოვანე მბრძანებელი ჩუენდა ამათ საკითხავთა თარგმნისაჲ“ (80v).

10. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე მონაზონისა და ხუცისა დამასკელისაჲ სიტყუაჲ ღმრთისმეტყუელებისათჳს და შობისათჳს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესსა.—დასაბამად იყო სიტყუაჲ, სახარებისაებრ ჴმა ყო მეცა დღეს...“ 81r—89v.

შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სიტყვის მთარგმნელად შეცთომით მიჩნეულია გიორგი მთაწმიდელი (ქ. კეკელიძე, ეტიუდ., V, გვ. 67:7).

11. [იანვარს ვ]. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სოფრონ იერუსალიმელ პატრიაქისაჲ სიტყუაჲ წმიდისათჳს ნათლისღებისა მაცხოვრისა ჩუენისა. გ. მ.—პირველ ჩუენ ბეთლემმან ზეციერმან საღმრთოდ სერობად მოგვიწოდა...“ 89v—98v.

12. [იანვარს ვ]. „მისიცე წმიდისა მამისა ჩუენისა სოფრონ იერუსალიმელ პატრიაქისა ნათლისღებისათჳს მაცხოვრისა და ზედა აღდგომისათჳს სარკინოზთაჲსა.—კუალად ნათელი გამოგჳჩნდების და კუალად მე განვნათლდები...“ 99r—106v.

13. [იანვრის კე]. „წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა სოფრონ იერუსალიმელ პატრიაქისა სიტყუაჲ შესხმისაჲ წმიდისათჳს და დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა.—გ. მ.—საყჳრი დიდი და ზეცისაჲ ღმრთისმეტყუელებისათა ქუეს ქადაგებათა, ზეცით ჩუენდა მოიწია დღეს...“ 107r—115v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს მთარგმნელის ეფრემ მცირის ანდერძი: „უფალო, მეც მადლი მამასა იოვანეს მღდელსა, მბრძანებელსა ამისისა თარგმანებისასა და მე წმიდაჲ ლოცვაჲ მისი“.

[აგიოგრაფიული მეტაფრასი]. 14. „... ზეზისათჳს ყოფაჲ ორთა მათ საქმეთაჲ განცხადებულად ისწავოს...“ 117r.

შენიშვნა: 1. აქედან იწყება მეორე ხელნაწერი, დაწერილი XII—XIII საუკუნის მსხვილი ნუსხურით.

2. 116r-ზე მიწერილია გვიანდელი ხელით: „ჯ. ამ მეორის წიგნის რიცხვი სხვა არის, პირველის წიგნისა სხვა. და ამ ორის წიგნის შეკერა ღ-თის შეწევნით ერთად ვინებეთ.“

15. „ოკტომბერსა იგ. წამებაჲ წმიდისა მოწამისა ლონგინოზისი, რომელი იყო ასისთავი ჯუარცუმასა უფლისასა. მ. გ.—სათნო იყო(!) რაჲ სიტყუამან ღმრთისამან მსგავსებაჲ ჩუენი ურჩებით შემთხუსულისა მისთჳს ჩუენდა...“ 117v—124v.

16. „ოკტომბერსა იე. მოსაჴსენებელი წმიდისა მოციქულისა და მახარებლისა ლუკაჲსი. მ. გ.—უკუეთუ საჴსენებელსა მართლისასა საღთოჲ ვინმე და ბრძენი კაცი საღმრთოდ შჯულის მდებლობას...“ 124v—130v.

17. „წამებაჲ წმიდისა მამისა და მოწამისა ანდრიასი, რომელ არს კრისეს. მ. გ.—მრავალ არს სიბოროტე ეშმაკისაჲ...“ 130v—139r.

18. „წამებაჲ წმიდისა მოწამისა ვაროზისა და მისთანათაჲ. მ. გ.—მაქსიმიანეს მძლავრისა ბოროტად მსახურისა ბრძანებისა, ყოველსა სოფელსა განსმენასა და ეგჳპტისა მთავართა მიმართ წარვლინებასა...“ 139v—148v.

19. „ოკტომბერსა კ. წამებაჲ წმიდისა და დიდისა მოწამისა არტემისი. მ. გ.—შემდგომად უფლისა და მაცხოვრისა ჩუენისა ზეცად ამაღლებისა...“ 148v—174v.

20. „ოკტომბერსა კა.—ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა ილარიონისა. მ. გ.—პალესტინეს ქალაქი არს არაუადრეს ორმეოცდა ხუთისა სტადიონისა შორს ღაზისაგან...“ 174v—199r.

21. „ოკტომბერსა კბ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა აბერკი ეპისკოპოსისა იერაპოლელისაჲ. მ. გ.—მარკოზს, ანტონინეს და ლეჳკიოვიროსს ეპყრა თჳთმპყრობელობაჲ ჰრომთა მეფობისაჲ...“ 199r—219r.

22. „ოკტომბერსა კგ. მოსაჴსენებელი იაკობ მოციქულისა, ძმისა უფლისა. მ. გ.—არა-რაჲ არს ესრეთ საწადელ სათნოების-მოყუარეთა...“ 220r—227v.

23. „წამებაჲ წმიდისა და დიდისა მოწამისა არეთაჲსი და მის თანა-მოღუაწე ქრისტესა წმიდათა მოწამეთაჲ და თხრობაჲ მაშინ სოფელსა მას ქმნილთა საქმეთაჲ. მ. გ.—წელიწადი სადმე აწღა მეხუთე დადგებოდა კეთილად მსახურისა იუსტინე ჰრომთა სამთავროჲსა სკიპტრის მპყრობელისაჲ...“ 228r—249v.

24. „ოკტომბერსა კე. წამებაჲ წმიდათა მოწამეთა მარკიანე და მარტჳრისი მწიგნობართაჲ. მ. გ.—მოცეულ უკუე იყო და პირველცა საბრძანებელი ბერძენთაჲ არიანოზთაჲთა...“ 249v—252r.

25. „წამებაჲ წმიდისა და დიდებულისა ქრისტეს მოწამისა დიმიტრისა. მ. გ.—აწუნდა რაჲ სკიპტრაჲ ბერძენთა მეფობისაჲ მაქსიმიანე ერკულსა...“ 252r—262.r

26. „ოქტომბერსა კზ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ და წამებაჲ მოწესე მოწამისა ანასტასია ჰრომისაჲ. მ. გ.—მრჩობლნი ანასტასიანი უწყნის ჩნდა უწყებად სიტყუაჲთ, ორნივე სადმე საჩინონი...“ 262r—270v.

27. „ოკტომბერსა კთ. ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა აბრაამისი. მ. გ.—კაცთა სათნოების-მოყუარეთა ცხორებაჲ და მათისა მოქალაქობისა მოთხრობაჲ...“ 270v—287r.

შენიშვნა: 1. ჴელნაწერის პირველი ნაწილი დაწერილია ოთხი სხვადასხვა ხელით. პირველი ხელით დაწერილია: 1r—24r, 81r—99r; მეორე ხელით—24r—71v; მესამე ხელით—72r—80v, 99r—106v, 111r—115v (ეს ხელი ეფრემ მცირეს უნდა ეკუთვნოდეს); მეოთხე ხელით—107r—110v;

ხელნაწერის პირველი ნაწილი ეფრემის მიერ უნდა იყოს შედგენილი და რედაქტირებული, კრებულში „შესულ სიტყვათა უდიდესი ნაწილი ეფრემის თარგმანია (იხ. ე. მეტრეველის დასახ. ნაშრომი).

2. ზოგიერთ სიტყვას კიდეზე მიწერილი აქვს „შეისწავენი“, რომლებიც ეფრემს უნდა ეკუთვნოდეს: 1. „შეისწავენი, ვითარმედ [სახისმეტყუელებით]... მდინარისა სიმქნისაგან უწოდს ერიასა სიპრავლესა, რომელნი ყოველით კერძო შესდებატკბილსა მას ზღუასა იორუსალემისასა დღესასწაულსა სატფურებისა და ჯუართა

[ამაღლებისასა. ეს საკითხავი თჳთ... შინა უთ... მას დღესა... დიდსა ოჭრონეკტარი წოდებულსა წმიდისა ღ~ის მშობელისა ციურ იე~ნეს დამასკ(ე)ელსა]". (1r).

✗3. „შეისწავნე, რამეთუ ენებად აქა არა ცოდვათა იტყჳს, რომელნი იგი არა-ბუნებითნი არიან, არამედ ბუნებითთა და უცოდველთა, ვითარ იგი არიან შიმშილი და წყურვილი, ძალი და დაშრომაჲ და სხუანი ესეცითანი" (4 r)-

✗4. „შეისწავნე, რამეთუ სიტყუაჲ ესე—ვითარმედ არა ველსა ზედა დაბაკუნე-ბელ ეკმნა თმათა თხემისა მისისათა—საწარმართოჲსა წიგნისაგან არს, რომელსაჲ ლაკოჭისს უწოდიან, რამეთუ ლაკოფრის ეინმე წარმართი შეასხამს ხოცნებათა ღ~თისა მათისა ირაკლისთა, ვითარმედ მახჳლითურთ თჳსით შთაჴედ ბრძოლად მუ-ცელსა დიდისა რაჲსაღე ეშჳპისასა და ესოდენ განჴრძობილად შჳრიდა შინაგანსა მისსა, ვიდრემდის რაჟამს მოკლა იგი, თმანი თხემისა ირაკლისისანი შემწუველო-ბისაგან ეშჳპისა ნაწილებრ ეყარნეს ველსა ზედა მუცლისა მის ეშჳპისასა დაცვნე-ბულ იქმნნეს, რამეთუ ესოდენ დიდად იტყჳსან იგინი ეშჳპთა მათ ეგეთითართა, ვიდრეცა ველსა და ჴნარეულთა ახმნობენ ყოფად მათ შინა. ვინაჲცა დიდი დამასკელი იოვანე ყუმბარებით იტყჳს წარმართთა, ვითარმედ არა ვითარ თჳენ ბუკარობთ ირაკლისთჳს, არამედ იონა მრთელად და უნაკლულოდ გამოიყვანა ჴრისტემან სიღრმეთაგან ზღჳსა და ეშჳპისათა.

ესე სიტყუაჲ ბერძულად ესოდენ ძნელი იყო, ვიდრემდის თანაწარვლნა უსაზღ-ვრებანი ანტიოქიისა ცნელისოფოსთანი და თჳთ წმიდისა პატრიარქისა იოვანეს მიერ განგუმშარტა ჩუენცა და მათცა. იოვანეს ვიტყჳთ ახლად ოჭროპირისად გამორჩინებულსა და ძუელისა მის მისუსპჳლისა წმიდათა მიერვე მაშინ მისუსპჳლეით სამეფოჲთ კუალად უკმოხულსა, რომელისა დღენი გრძელ და ჭ~დ... და მოკა-ლაკობაჲ წმიდათ მობაძავ, რ~ჲ ნეტარებაჲცა მათ თანა [იყო]". 9v.

5. „შეისწავნე, ვითარმედ ზოგად ყოველსა სოფელსა ცათა დაჭ~ნის სახე მოაჴენდა კარაჲსა მას მოსესსა". (12 r).

✗6. „შეისწავნე: ტაბლით მუცდომ მათ ეწოდების, რომელნი ოჭროსა და რვალ-სა სცელიდენ". 18 r.

✗7. „შეისწავნე, რამეთუ დასთჳ მაღნარისა და ფიზჳსის სახელი არს". (76 v).

✗8. „შეისწავნე, [რამეთუ] ბერძულად დატკრთვად უწოდენ აჲიდებასა, ბოლო გარდატკრთჳა—მოჴდასა ნეტკრთისასა". (78 v).

▲9. „[შეისწავნე... ულისაგან... ფთდი ბედად ითარგ... ს, ბოლო ბჳს... ბედ... ად ამის... წ~ჲ ესე... ბელობი...ს ეეტკჭჳს არა ბედეკე... უწოდს... ნელბედ" 111 v (ტექს-ტი ერთი ნაწილი შეჴონილია, გაბმული ტექსტის აღდგენა ვერ ხერხდება).

✗10. „ვინაჲთგან კჳნაკულთა, რ~ნი სძალღოდ გამოითარჯმანებიან, მათისა სწაელულებისაგანი იყო ცაჭიმე, ამისთჳს ძაღლ(!) უწოდს". 113 v.

მინაწერები: 1. (XV—XVI ს.ს. ნუსხური): „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე სული ოჭრაჲი, ა~ნ ა~ნ, ღმერთო შეიწყალე მარინე, ა~ნ." 3 r.

2. (წინა მინაწერის ხელით): „მწყალ~ო ღმერთო შეიწყალე ოჭრაჲი, ა~ნ" (15r).

3. (XV ს. ხუცურით): „სულსა სუბატჳსა, ურმიზსა, წუმედასა, ბო-ცოს, ხაზას შეუნდოს ღმერთმან", (31v, 47v, 55v, 74v—75r, 81r, 89v, 98v).

4. (მოლურჯო მელნით, მთავრული): „ქ~ს ესე წომედის ძე წომედი, ძე სომბატისი, და სობატ(!) ძე ბოცოსი, და ბოცო, რომელ შიბა(!) ურდოს და დარჭა(!. ჭა მეფეოლად უნდა იყოს—ე. მ.). ალი ფაშა და ჯადიდად ოლოს ბეგი შიბასან მოვიდა შინა, უხოლად ნაცემი იყო და მიიცვალა და ნათული დადგა დიად-დი, წყალობა მოიტანა ურდო დაღმა, ღმერთმან ნათლით შეხლო და პატრონმა ამირ~ბაჲ ამა სოფლისა დიდითა პატივითა მას და მისთა შვილთა [აბატიჟა]" (უკანასკნელი სიტყვა წითელი მელნითაა ნაწერი). 41v—43r.

5. (წინა მინაწერის მელნით და ხელით): „წომედსათჳის შნდობა ბძანეთა ღთსა და მისისა დედისა, ან" (64r).

6. (მესამე მინაწერის ხელით, ძნელად იკითხება. ტექსტის დიდი ნაწილი დაკარ-გულია ფურცლის დახიანების გამო): „ხუდნდ... ცოდ... პატრ[ონსა] წ~მ დასა ნიგნი ეშოი(!) სპარსთაგან, რომელ ურდო ეხდაეულნი ოხნან და დაჴდა სახლ ...დიდ... სა მეორესა წყლიწადსა პატრონ... ხდანა დაბა... ათეოთმეტი... ჴეო ოშაკი მოსცე. ...მოჭცეკა... ათოთხმეტსა და აღაშენა..." (71v).

7. (წითელი მელნით): „ქ~ს მეცნიერ შეუნდნეს ღთმ~ნ მისნი ცოდვანი". (86v).

8. (გვიანდელი XVII—XVIII სს. ნუსხურით): „ქ. შ̃ე თ̃ქ̃ლ̃ა დ̃ა ნ̃არ̃ი̃მ̃ან̃ დ̃ა ვ̃ინ̃ც̃ა მ̃თ̃ო̃ს̃ შ̃ნ̃ო̃მ̃ა ბ̃რ̃ა̃ხ̃ნ̃თ̃ო̃, თ̃ქ̃ნ̃ც̃ა შ̃ჯ̃ნ̃დ̃ნ̃ს̃ ღ̃ნ̃“ (100v).

9. (წინა მინაწერის ხელით): „...ობითა ცოდვილი ჯ̃ერ̃ა̃ს̃ი̃მ̃ე მე, ვინცა წარა-მავალი მომომავალთა(!) შენდობით შემიბრალოთ, თქ̃ნ̃ც̃ა შ̃ჯ̃ნ̃დ̃ნ̃ს̃ ღ̃ნ̃“ (101v).

10. (წესამე მინაწერის ხელით): „ღმერთო, დასცენ მტერნი წ̃უ̃მ̃ე̃დ̃ა̃ს̃ნ̃ი̃, ს̃უ̃ლ̃ს̃ ა̃ს̃უ̃მ̃ბ̃ა̃ტ̃ს̃ა̃, უ̃რ̃მ̃ი̃ხ̃ა̃ს̃ა̃, წ̃უ̃მ̃ე̃დ̃ა̃ს̃ა̃, ბ̃ო̃ც̃ო̃ს̃, ხ̃ა̃ხ̃ა̃ს̃ დ̃ა მ̃ი̃ს̃თ̃ა̃. მ̃შ̃ო̃ბ̃ე̃ლ̃თ̃ა̃ შ̃ე̃უ̃ნ̃დ̃ე̃ს̃ ღ̃თ̃ნ̃, ა̃მ̃ნ̃.“ (106v).

11. (მხედრულით): „ჩ̃ყ̃ა̃ წელს მოვაქედინე [ა]მა მონასტრისა ხატი ვეცხლით და მომივიდა(!) დეკემბრის ა“. (287r).

(612)

1277

გულანი. XVII ს. მიწურული.

შეიწირვისა მოწყალება ანუ არა“; 15. „ესეცა ვჰსთქუათ“; 16. „აწ პირველთაჳე სიტყუათა ვიქცეთ“; 17. „სწავლა წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებელისა“; 18. „წ̃ი იოანე მახარებელი და ღთისმეტყუელი ეტყჳს“; 19. „იტყჳს ღმრთისმეტყუელი ვასილი“; 20. „სხუა სწავლა წმიდისა მაქსიმე აღმსარებელისა“; 21. „სხუა სწავლა წმიდისა მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსაროებელისა“; 22. „სათნოებათაჲს წერილ არს“; 23. „სწავლანი იოანე ოქროპირისანი ფიქრისათჳს, გ. ს.“; 24. „სწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა წოწყალებისათჳს“; 25. „სწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა, თუ ვითარ ადიდებს ღმერთსა“; 26. „სწავლა წმიდისა იოანე ოქროპირისა სწავლისათჳს ღმრთისა სიტყჳსა“; 27. „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემ ასურისა“; 28. „მისვე, იოანე ოქროპირისა“; 29. „სიტყუანი მოციქულისა სასოწარკვეთილებისათჳს“. 30. „სხუა, კუალად იოანე ოქროპირისა, ქადილისათჳს სიწმიდისა“; 31. „მისვე, იოანე ოქროპირისა ლოცვისათჳს“; 32. „ლოცვისათჳს თარგმანი, რომელი ეიწყო ღ̃ისა მიერ“; 33. „სარწუნოება ერთარსებისათჳს წმიდისა სამებისა“; 34. „თქმული წმიდისა იოანე ოქროპირისა მარხულისა და ცოდვილისათჳს“; 35. „თქმული მისივე იოანე ოქროპირისა“; 36. „წმიდის და ნეტარის მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა ოთხშაბათ-პარასკევისათჳს და შერჯულისათჳს“; 37. „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა გრიგორი ნოსელისა ეკლესიის ბილწება და ლოცვისათჳს“; 38. „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ოქროპირისა კჳრიკეს კრძალულებისათჳს“; 39. „მცნება წმიდისა ვასილისა ბუდეელთა მიმართ, თარგმნილი არს იოანესი“; 40. „სწავლა წმიდის იოანე ოქროპირისა და სხუათა ფილოსოფოსთა მეორედ მოსლვისათჳს, ფრიად შუენიერი“; 41. „სწავლანი სულიერნი გამოკრებულნი თითოსახედითგან წიგნისა“; 42. „სახისმეტყუელებით სიტყჳს-გება წმიდათა ბუდეელ-მოვაერთა ვასილი დიდისა და გრიგორი ღთისმეტყუელისა“; 43. „კუალად კითხვა-მიგება წმიდისა ვასილისი და გრიგორისა“; 44. „კუალად კითხვა-მიგება წმიდისა ვასილისა და გრიგორისა“; 45. „წმიდანმან გრიგორი განმანათლებელმან ორმეოცს დღეს და ორმეოცს ღამეს პური არა ჭამა და წყალი არა სვა და ითოჯა ღ̃ისაგან ანგელოზი, რათა ამენოს მას სიკუდილი მათოლთა და ცოდვილთა და მოუკლინა ღ̃ერთმან მიბაძილ მთავარანგელოზი. კითხვა-მიგება გრიგორი განმანათლებელისა და ანგელოზისა“; 46. „ეთანასე ალექსანდრიელისა თქმული, კითხვა-მიგება“; 47. „სიტყუანი წმიდათა მამათანი“; 48. „კითხვა-მიგება წმიდათა მამათა“; 49. „სიტყუანი გამოკრებულნი სახარებისანი წმიდათა მამათა მიერ“.

2. „უწყებაჲ პეტროს მკაწურალისათჳს (!) და ალაჯორი სათჳს და ალაჯორისა მარხჳსათჳს.—იყო პატრიარხი, კაცი წმიდა, უბიწო და მართალი და ჰრწმენა სიტყუათა მისთა ყოველსა...“ 81 v—88 r.

შენიშვნა: „უწყებაჲ პეტროს მკაწურალისათჳს და ალაჯორისათჳს“ გამოცემულია, იხ. მ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“, გვ. 629—631; Меликсет-Беков Л. „Грузинский извод сказания о посте „араджавор“: Христ. Восток, т. V, вып. 2. стр. 85—90.

3. „უწყებაჲ სუბალის ძისა სუბ სარკისისათჳს.— მითჳე ვამთა შინა კაცი ვინმე იყო ნაგმირევი...“ 83 v—85 v.

შენიშვნა: „უწყებაჲ სუბალის ძისა, სუბ სარკისისათჳს“ გამოცემულია, იხ. მ. საბინინი „საქართველოს სამოთხე“ გვ. 631—633; Меликсет-Беков Л. Грузинский извод сказания о посте „араджавор“: Христ. Восток, т. V, вып. 2, стр. 90—96.

4. „თარგმანებაჲ სომეხთა წჳალებათათჳს და თუ რომლითა პირითა შეიჩენებიან სომეხნი.—ვითარმედ ვითარცა უკრწნელებისა არა მგონებელნი შეიჩენებიან...“ 86 r—88 r.

შენიშვნა: ეს თხზულება გამოცემულია, იხ. მ. საბინინი „საქართველოს სამოთხე“ გვ. 633—635.

5. „განჩინებანი ქრისტე იესოსთვის, რომელიცა განაჩინეს დასჯად და სიკუდილად მისთჳს უსჯულოთა მსაჯულთა ურვათასა. — ნიკოდიმოს ჰსთქუა: სჯული გვაძლევს მაგას, რომ დაუნაშავებელად მოვკლათ...“ 89 r — 90 r.

შენიშვნა: ხელნაწერის კიდეებზე გაკეთებულია მინაწერები გადაწერის ხაჭარიას მიერ, იხ. 2 v, 8 r, 13 r, 21 r, 27 v, 39 r, 43 v, 45 r, 46 r, 49 r-v, 54 r, 62 r, 78 v.

ანდერძი: „სამყაროჲსა ჩვენო ქრისტე მიერ სულითა, ესო დიდით, მშვიდობა შენდა. მაიძულე მე წიგნისა ამის წერად, თუმცაღა საკმეზელი წიგნი არს ფრიად, გარნა დედასა შინა მრავალნი სიცრუენი ეპოვნეს შეფუძნარებელნი და რაცა შესაფუძნარებელი, იგიცა უკანონოთ წერითა განრყუნილ იყო, ხოლო მე, რაოდენ ძალ-მედგა, განსწორებულ ვჰყავ და მრავალი მიგებანი ახალნი დაურთე არა გამოცდილობითა, არამედ ფრიადცა დიდითა გამოძიებითა და დახელოვნებითა წერილთათა და ესრეთ წარმოგიდგინე სასოებად. ჩუენ. მდაბალი ეფრემ არხიმანდრიტი განვათავე ხაჭარიან“ (90 r).

მინაწერები: 1. (წითლით) „სწორელანი გამოკრებულნი დიდთა და დიდთაგან თარგმანებისა და დაბადებისაგან. მე ესრე ვგონებ და არ ვიცი, თქუენ როგორა ბრძანებთ? ნ ა ყ ო ნ“ (1 r).

2. (ფანჯრით). „ძლიეს არ ეღირსა ამ წიგნს მოტანა! დიდება შენდა ღმერთო!“ (11 r.).

3. (ფანჯრით) „გ ი ო რ გ ი ხ ა ლ ი ყ ა ლ ი ა ნ ი. 1885 წელსა თებერვლის პირველი“ (11 r).

4. (ფანჯრით და მელნით) „გ ი ო რ გ ი ვ ა ს ი ლ ი ს-ძე ხ ა ლ ი ყ ა ლ ი ა ნ ი“ (1r, 44 r, 59 r, 28 r).

(667) **1388**

ანტონ I. ქართული ენის გრამატიკა. 1784

VII ფ. + 380 გვ.; 21,5 × 17,5; ქაღალდი; ტეიფრული ტყავგადაკრული ხის ყდა მხედრული (სათაურები და დასაწყისები სინგურით, მთავრულით); 1784 წ. (374 გვ.), ჰვირნიშანი აქვს; გადაწერი: „მიხაილ“ (374 გვ.); დაუწერელია: I v, II v, IV v, VII v, 375 — 380 გვ.

[ანტონ I]. „თჳს ჴელოვნებისა ღრამმატიკოსობითისა. ნაწილი პირუელი, რომელსა შინა მარტივად მდებარე არიან თითოეულნი ნაწილნი სიტყუათანი მაგალითებითურთ, რომელნიცა ზეპირებად სათანადო არიან ღრამმატიკაჲსა მოწაფე-ქმნილთა. თავი პირუელი ბრუნუათათჳს სახელთასა. § 1. რიცხუსა შორის ჩუენ მიერ განჰსჯითა შემოყუანილნი ბრუნუანი სახელთანი არიან რუა...“ გვ. 1 — 373.

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ტექსტი მისდევს 1885 წლის გამოცემის ტექსტს (ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბ., 1885).

2. წინ უძღვის: ა. თავფურცელი (სინგურით, მთავრულით): „სადიდებლად ცხოველს-მყოფელსა, თანა-არსისა და განუყოფელისა სამებისა მამისა, და ძისა, და სულისა წმიდისა. ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოველისა ზემოჲსა საქართუელოჲსა, დაეთით-ბაგრატოვანისა ახლად ქმნილი, წიგნი ღრამმატიკაჲ ქართულისა-მებრ ენისა, დროსა უკეთილ-მსაზურესსა და უმაღლესისა ირაკლი მეორისა, მეფისა ყოველისა საქართუელოჲსასა და მამათ-მთავრობისა თჳსისასა ყოველთა ქართუელთა ზედა. წელსა დასაბამითჲთ სოფლისა 7275, ხოლო განკურიელებითგან სიტყჳსა ღ-ისა 1767. თთუესა მეათერთმეტესა რიცხუსა 20“.

ბ. „შეყუანილება წიგნისა ღრამმატიკაჲსა, მიწერილი მოძღუართად და მოწაფეთად ღრამმატიკაჲსთა ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა ყოველისა ზემოჲსა საქართუელოჲსაჲსა“ (III r — IV r).

გ. „პინაკსი ღრამმატიკისა“ (V r — VII r).

2) II r-ზე და 374 გვ.-ზე მოთავსებულია ოვაკუთხა ბეჭედი წარწერით: „ქ. ჭ. ს.“

3. III r-ზე და 374 გვ.-ზე მოთავსებულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ ბეჭედი.

ანდერძი: „სრულ-იქმნა 17 $\frac{7}{22}$ 84. იყავნ სადიდებელად შენდა იაბრძოლ და სიტყუაო ღ[მრ]თისა და უბიწოდ მწობელისა შენისა. მიხეილ“ (გვ. 374).

მინაწერები: 1. „მიხეილ ქაიხოსროს-ძე ყიფიანის წიგნთაგანი“ I r.

2. „შეესწირე ქართულს საზოგადოებას წ.—კითხვის გამავრცელებელს 1891 წ. იანვრი. მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი“ (I r).

(668) **1389**

ჩარდავრიშიანი. XIX

114 ფ.: 21 × 17; ქაღალდი; წყვანი ფერისა, დალაქავებული. შიგადაშიგ გაბეული ფურცლები; ტეიფური ტყავგადაკრული ხის ყდა. შერჩენილი აქვს ერთი ტყავის საკეტი, ყდა მოგარდნილი აქვს, დაშლილია; თავ-პოლონკულია; მეიდრული; [XIX ს.], ჩვენიშიანი აქვს.

[ჩარდავრიშიანი]. „... მტრებნი დათამამდებიან და წამოქელვას ... შენნი მრავალჯერ გამარჯუებულნი ლაშქა...“ 1 r — 114 v.

წყდება: „... წადით, თუ ნებით მოგცესთ, კარგი და, თუ ნებით არ მოგცეს, საშინელი რისხვა ჩემი იმაზედ მიაწვიეთ და ქალი წაართვით...“

მინაწერი: „ნიკოლოზ ბაქრაძეს იოვანეს ძეს ეკუთვნის დავრიშიანი ეს“ (ქვემო ყდის შიდა გვერდი).

იხ. ანგრეთვე მინაწერები ამავე და ქვემო ყდის შიდა გვერდებზე.

(669) **1390**

ფლორიანოვი. იკონომია. 1772

197 ფ.: 33,5 × 21; ქაღალდი; ტეიფური ტყავგადაკრული ხის ყდა, შერჩენილი აქვს მარტო ქვედა ყდა (მოგარდნილი); მეიდრული; 1772 წ. (189 r), ჩვენიშიანი აქვს; გადამწერი. „გიორგის მეილი ზაქარია მალეთოვი“ (189 r); დამკვეთი: ალავერდელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი“ (189 r); გადაწერის ადგილი: მოსკოვი (189 r) დაუწერელია: I r — V v, 46 r-v, 47 v, 48 v, 49 r, 189 v — 197 v.

„ფლორიანოვის იკონომია. ფლორიანოვის გამოჩენილი იეკონომია, ვითარცა კეთილმოსახლეობა. თავი პირველი. სასახლის აღშენებაზე ან რაგვარათაც ეგე მოხაზულობა ექმნების. — მწდომელი მაგრის მხიერებით აღშენება მართებს. ამისთვის პირველად მაგარი მოხაზულება დასდეა... 3 r — 188 v.

შენიშვნა: 1. შედგება 9 ნაწილისაგან: ა. „ფლორიანოვის გამოჩენილი იეკონომია ვითარცა კეთილმოსახლეობა“ (3 r — 28 r); ბ. სახლის შენობაზედ, ანუ რა მასალები მოუნდება; გამომეცნიერება დარისა, ანუ რა სრულსა წულსა ზედა, გინა ყოველსა თვესა რა ქმნელობა გვართებს“ (29 r — 26 v); გ. მიწის მსაქმელობა, რომლისაგან აღმავალი არს კეთილი საქმე და სარგებელი“ (87 r — 141 v); დ. „ბაღებზედ და ყურძნებზედ“ (115 r — 136 v); ე. „ცხენებზე დარრომაზე“ (137r—157v); ვ. „აბრეშუმის ჭიაზედა და მათსა ჯანმრთელებაზედა. მერმე ფუტკარზე, თაფლზე და წმინდა სანთელზედა. ტბებზე და თევზებიცა“ (158r — 162r); ზ. „გამოცდობაზე შაეის პურისა, მოსაბრეშზე ფიცის, ანუ იგინი როგორ შეინახო, დამარილიანება ყორცისა, ეგრეთვე მომზადებულება სასმელებისა, ხოლო სახელით ქაჟე, ჩაი, შეკოლათი და სხვანი“ (163r — 166r); თ. „ჯაცის ანტიმონიზე, რომელსა ჰქვიან ქაცის გამოშიგნვა და მისი ყოველს ასობის დასნჯვა და მისი შესაფერი წამლებიცა“ (167r—184v); თ. „სამხრეულოზედა“ (185r — 188v).

2. წინ უძღვის: ა: თავფურცელი წარწერით: „ქ ლ ო რ ი ნ თ ი ს ი კ ო რ ნ ე ლ ი ფრანგულითგან თარგმნილი რუსულს ენაზე. დაბეჭდილი არის ბრძანებით. მისის იმპერატორობის დიდებულების ყოვლთმოწყალის, დიდის კეთილშობილის ანნა იოანეს ასულისა, ყოველის მპყრობელს დიდის რუსეთისა, პეტრებურხსა, ამ სახელწოდით აკადემიის მასწავლელთაგან. 1771 წელსა".

ბ. რუსულ ენაზე მთარგმნელის სერგეი ეოლკოვის (აკადემიის სწავლი, მდივანი) მიმართვა იმპერატრიცა ანნა იოანეს ასულისადმი (IV — 3 რ).

3. 47 r, 48 r. 49 r, 56 r, 141 v, 142 r, 167 v-ზე დატოვებულია თავისუფალი ადგილები სურათებისათვის, რაზედაც მითითებულს ფურცლებზე გადმოტანილი სათანადო წარწერები.

ანდერძები: 1. ქ. საქართველოს მეფის ბაქარის ბრძანებითა გადმოთარგმნა რუსულისაგან ქართულად წიგნი ესე იერემონია, რომელი არს წესისახელდება უმცირესისა მათის სიმაღლის მონისა ქელთა სვიმონ მაცაცობისაგან განსრულდა, დაბა ღ[ორ]ის, ქ[რის]ტ[ე] შ[ემ]დ. დასაბეჭდავად ეიდრე აქამდისდე 1748 ჰწნე" (189 r).

2. „სამეფოსა ქალაქსა მოსკოვს, წელსა, 1772. მათის მაღალის მღვდელმთავრობისაგან, ალექსანდრ მიტროპოლიტისა იეროლოზისა მიერ მებრძანა ბე წიგნისა ამის აღწერად, რომელი არს იერემია, და აღვსწერე წიგნი ესე მისის მაღლისა მღვდელმთავრობისა უმცირესმან მონამან და მსახურმან გიორგის შვილმა ბაქარიამ შალვაოვმა. ევედრები მკითხველთა ყოველთა, უკეთუ ვინმე შეცთომილი ჰპოოთ რამე, ნე წყრეთ სიყუარულისათვის ღთისა" (189 r).

მინაწერი: „ხ. ჯაჯანიძესი" (1 r).

(670) **1391**

ქ. ბაუმეისტერი. მეტაფიზიკა. 1819

198 ვგ.: 29,3 × 20; ქაღალდი (ყდა და 1—8 გვ. თაგვის ბერი არის უალრღნილი, დალაქავებული); ქაღალდის ყდა (დახიანებული); მუქდოლი, სათაურები და დასაწყისები ასომთავრულით; 1819 წ. (193 გვ.). კერძონაკლი აქვს: გადაწერილი ბაქარიას გაეანთის არხიმანდრიტი (193 გვ.); მთარგმნელი: ანტონ I (გვ. 3); დაუწერელია: გვ. 4, 194 — 198.

[ბაუმეისტერი. მეტაფიზიკა]. „ხედდადგინებანი მეტაფიზიკისანი. წინასიტყუაობა ბუნებისათჳს და თჳსებისა მეტაფიზიკისა. § 1. დაღათუ გულისმსიტყუელობენ რომელნიმე, ვითარმედ ყრმათამი სხოლათა შინა არაზურთა სწაელათა მსწავლელთა არ სათანადო არს გარდამოცემად მეტაფიზიკისაა..." გვ. 5 — 193.

შენიშვნა: 1. მეტაფიზიკა შედგება 4 ნაწილისაგან. ხელნაწერის ქიდებზე მოთავსებულია მთარგმნელის, ანტონ I, და გადაწერის ბაქარია გაეანთის არხიმანდრიტის სქოლიოები.

2. წინ უძღვის „პინაკსი მეტაფისიკასა" გვ. 1—3. პინაკსის ბოლოს ნაწერია: „მატაფისიკა შრომილი ანტონის მიერ პატრიარხისა ყოვლისა საქართუელოსა მეფის-ძისა" (გვ. 3).

ანდერძი: „იყავნ სადიდებელად შენდა სიტყუაო და საბრძნო ღ[მრ]თაო და უბიწოდ შობელისა შენისა. 18 $\frac{10}{16}$ 19. მადაბალმან გაეანთის არხიმანდრიტმან ბაქარია აღვსწერე ეს მეტაფიზიკა და რაოდენნიმე სხოლიონი ზედა დაეწერე და საჭიროდ ვრაცხე. და თქუენ, საკუთათა სიბრძნის-მოყუარეობით თანაზიართა, უკეთუ სათნო გჩინდესთ, ღ[მრ]თისთა მოშიშენო" (გვ. 193).

(671) 1393

ისტორია ფრანცილ ვენციანისა და რენციენანი. XIX

I + 116 გვ.; 22 × 16; ქაღალდი; უყდო, დაშლილი; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია: Ir-v, გვ. 52—53, 113 — 116.

„ისტორია ვაშკაცისა და გოლიათისა ფრანცილ ვენციანისა და შვენიერის კაროლის ასულის რენციენანი. — ღიშვანის საკაროლოში იყო კაროლი, სახელით ბრამბეუზ, ქებული ყოველს საკელმწიფოში და ვაშკაცი სამხედრო საქმეში"... გვ. 1—112.

(672) 1398

სამოციქულო. X

146 ფ.; 25 × 20; ტყრატი, (ფ. ფ. 129 — 146 დალაქვებული და დახიანებულია); უყდო, დაშლილი; თავ-ბოლონაკლულია; ნუსხური, ორ სვეტად, სათაურები სინგურით; [X საუკ.]; მომგებელი: თეოდორე (76 v).

1. [პავლეს ეპისტოლენი]. „... ცუმულ-არს და მეს სოფლისა. მოსეს სიადუმლოსა..." 1 r — 76 r.

შენიშვნა: შემონახულია შემდეგი ეპისტოლეები: 1. წიგნი ეფესელთა მიმართ (1r—11r).

2. წიგნი ფილიპელთა მიმართ (11 v—18r); 3. წიგნი კოლასელთა მიმართ (18r—25r); 4. წიგნი თესალონიკელთა მიმართ ა (25r—31r); 5. წიგნი თესალონიკელთა მიმართ ბ (31r—39v); 6. წიგნი ებრაელთა მიმართ (34 r—57 r); 7. წიგნი ტიმოთესი მიმართ ა. (57 v—65 r); 8. წიგნი ტიმოთესი მიმართ ბ (65 v—71 r); 9. წიგნი ტიტუსი მიმართ, (71 v—74 v); 10. წიგნი ფილემონისა მიმართ (75 r—76 r).

2. „საქმე წმიდათა მოციქულთა. საკითხავი ა. პირველად ესე სიტყუაჲ ყოე ყოვლისა მისთჳს..." 77 r — 146 v.

წყდება: „... ესმა ჩუენთჳს და მოვიდეს შე..."

შენიშვნა: ამ ხელნაწერის შესახებ იხილე „საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილია აბულაძემ. თბილისი, 1950 წ., გვ. 018—019

ანდერძი: „დიდებაჲ ღმერთსა. ყოველსა კეთილისა მიზეზსა, განსრულდა პავლწ. იესუ ქრისტჱ. ადიდე ორთავე სუეტჱთა მონაჲ შენი თეოდორე მომგებელი ამის წიგნისაჲ, ამინ" (76 v).

მინაწერები: 1. (ნუსხური) „სულსა თადეოზისა შეუნდოს ღმერთმან" (45 v).

2. პავლე მოციქულისა მადლი და პეტრე მოციქულისა მადლო, მიშუელე ზენაჰაო ცოდჳილთა უცოდჳილესსა დათუძესა იოანესა. და მშობელნი მისნი დაიცჳენ, უფალო ღმერთო, ამინ. წმიდაო გიორგი, თქუენცა ეკჳენ შემწე და მფარველ. სუეტისა ღ[ირ]სმობელო, თქუენ ნუ განმიშორებთ თქუენის მარჯუნისაგან (!)"(76v —77r).

3. „ღმერთო, აცხოვნე ამისი მწერალი იობი. დიაკონი, კარგი საქმე მოგუარე ამინ და კირიალეისონ..." (97 v—98 r).

4. „ღ[ო]ა, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იასე, ღმერთო შეიწყალე" (1 r).

(673) 1399

ოთხთავი (ფრაგმენტები). XIII

20 ფ.; 22.5 × 20; ეტრატი; უყდო, დაშლილი, ნაკლული; ნუსხური, ორ სვეტად, დასაწყისები სინგურით, ასომთავრულით; [XIII საუკ.].

[ო თ ხ თ ა ვ ი]. „... საქორწინე. და ჰრქუა მას: მოყუასო, ვითარ შემოხუედ აქა, რამეთუ არა გჳსიეს სამოსელი საქორწინეჲ? ხოლო იგი დუმნა...“ (მათე, 22, 11—12) 1 r — 20 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... და მე გეტყჳ თქუენ: ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონაჲსა მისგან სიცრუჲსა, რაჲთა, რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ შე...“ (ლუკა 16,9).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ხელნაწერი წარმოადგენს მათეს და ლუკას თავის ფრაგმენტებს.

(674) **1400**

ვ ა ხ ტ ა ნ გ VI, კ ვ ი ნ კ ლ ო ს ი. 1749

50 ფ.: 19.8 × 15.5; ქაღალდი; შერჩენილი აქვს ქვემო ყდა (შეკოწიწე გადაკრული ტივტორული ტყავი); ამოცვენილია ფ. ფ.: 148, 50; მხედრული (კალიგრაფიული); ხელთა (1 r), თეჳსი გამოსაბეჭდება (48 r); 1749 (1 r, 47 v), ჰვირინმანი აქვს; გადამწერი: ნიქიფორე გიორგი ლუკაძე (47 v); დამკვეთი: ლავრენტი ბერი (47 v); დაუწერელია: 50 v.

„უწყოდეთ, ესე კ ი ნ კ ლ ო ს ი არს ყოველთა მარხვათა, სხნილთა (!), მთოვარისა გამოცლისა და თჳს დადგჳსა და ხმა სახარებისა, როდისაც დღესასწაულს სახარება აქუს მათი შეტყობა უცთურად აღწერილი. და უქუეთუ ვისმე ენებოს სწავლა ამისი, პირველად ეს უწყოდეთ...“ 3 r — 46 r.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1. წინ უძღვის: ა. ხელთა ასეთი წარწერით: „კ. ეს კელთა რომ დავხატე, დასაბამთგან იყო აქამდინ ქნნვ, კრისტეს აქეთ ჩ ლ მთ, ქართული ქრონიკონი ჯდებოდა უხლ. ამ წელს კელთა მაქუს მარცხენის კელის შუა თითზედ“ (1 r)

ბ. წერაში ჩასატყლი დღესასწაულების გამოსაანგარიშებელი სქემა განმარტებითურთ (2 r-v).

2. ბოლოს ერთგან ვ ა ხ ტ ა ნ გ VI-ის: ა. ლ ე ქ ს ი ს:

„მიწა ვართ კაცი ყოველი, მიწისგან დანაბადია,
სახელოვნება კაცისა ყვავილია განბნევადია,
ბოლო ყოველთა ნაცარი, ვინც ვისმე მწერთა ხადია,
და მაშ რაღას ვსწუხებართ, თუ ცოდვა შემჭონდეს განახადია.

ვსწუხთოა, საცთურითა ვარ საქმისა უნაწილო,
მოყვარეთა ცრემლი ცვივა, მტერთა გავხე სასაცილო,
ჭაში ვხვივარ უსაბოლოსა, არვინა მყავ ამაცილო,
და თუ ღმერთსა სწადს, ადრე იქნას, რომ, სოფელო, გაგაწბილო.

რაღა დარჩათ სვედის წამლად, რომ არ მეთქვა სულიერი,
ზღაპრობას შლის ესაია, მცნება არის ხელიერი,
თუცა იყო თემსა ჩვენსა კინკლოსები წესიერი,
და ეს მათშიგან ვ ა ხ ტ ა ნ გ შეუთუ სახსოვარი ჩემიერი.

ქება მეცმა ბევრთ კაცთაგან აქაური, მრავალფერი,
ტკბილია და მოალერსე მენებური ცრმა და ბერი,
ვინც მიენდოს, არ ეტყუენ, პატივი სცენ შესაფერი
და რა მართლა თქვეს, მატიანეს მათთანმც არი დასაწერი“ (47 v);

ბ. ა ნ დ ე რ ძ ი: „ოდეს გარდავიმატე ცოდვათა ტომსა მას ჩემსა მ ა ნ ა ს ე ს, ამისთჳს მზგავსად მისა მივეცი მე კელთა უცხო თესლთათა. კრისტეს აქეთ ჩ ლ ბ, აპ. კბ წამოველ ტ ფ ი ლ ი ს ი თ და ივლისის დ მოველ ი ს ა ა ნ ს და აწ ვიმყოფები აქა. დაღაცათუ პატიჟცემულ ვარ, არამედ მიწა ვარ. წესია ჩემებრთა მწირთა თავისწინობა და ხალვა, ვინათგან ესე ესრეთ არს, უქმად ყოფასა ეუფლების მოწყინება და ვინათგან მოწყინება დედა არს ყოველსა ცოდვისა, ნუთუ შევსძინო ცოდვა ცოდვასა ზედა, აღვიღე კელთასაქმრად წინამდებარე ესე. უკეთუმცა არს ჭ ა რ თ ლ ს ა შინა კინკლოსნი, კელთა და კრონიკონი მიზეზითა მრავალნი ვერა-

სცნობენ და არცა იცნობება რაოდენი ამაშინა წერილ არსა დაღაცათუ სხუანიცა
იშოებოდა საქმენი უქმობისა წამლად; იტყჳს მოციქული: შეეწყოდეთ ურთიერთისა.
თუცა ხშიად მის მსმენელსი ჩემთჳს თჳსთა და ძძთა ჩემთაგანი არაჟინ არს და
განგდებულ ვიქმენ, ვითარცა მცდარ მოძაგებული მათგან, ხოლო მე არავე დამა-
შორად ვარ შეწევნისა მათსა, რაოდენი რა ძალ-მიც, ხოლო ყელისაჭმარი ჩემი
აქათგან ვერა რომელი ცხრეი შეეწეოდა, ვითარ ესე, და ამად დაშვერ და აღსწყა-
რე და გამოვიღე თჳთ თავით ჩემით მე, მეფეჲმან ვახტანგ. ვინც გამოიყე-
ნოთ. რასმე შენდობასა ყოფდეთ ჩემთჳს, ქრისტჱს აქათ ჩნდგ. ჩემდეცა ჯერ-იყო
აღწერა, ნუუკეე რისხვასა შინა არა მოიხსენოს წყალობა, ასე მოიხდეს საქმე,
სამდელოთათჳნი აღარავინ მყვანდეს" (47 r-v); (ეს ლეჩსი და ანდერძი გამოკვეყნე-
ბული აქვს თ. ჯყონაის საქართველოს ცენტრალური ხელნაწერის (ფონდი 233/8
№ 484) მიხედვით „ლიტერატურულ ძიებანი"-ში ტ. VI, 1950 წ., გვ. 288—291).

ანდერძი: (გადაწერისა) „ქ. ეს კანკლოზი ლავრენტიმ ბურნაძემ, ღო-
ბეწველმა ბერმა, მე, ნეძველს გიორგი ლუკაძეს, მეფის კინკლოზიდამ
გარდამაწერინა წესსა ქრისტჱს აქეთ ჩნდომ. ვინც წარიკითხევდეთ, შენდობასა ჴვი-
ბძანებდე. არის ნაწერი ფურცელი ბზ" (47 v).

მინაწერები: 1. „ქ. იოანე ნებითა ღ-თისათა და უბიწოდ მშობელისა მისისათა
წარემართა ტფილისით რუსეთად წელსა 1792 ქ-ს უჳ, თუესა ოქტომბერსა
კ. დღესა ე, ჟამსა ნწუხრისასსა, მთოვარის რიცხჳსა კდ, ხელდაუბი იდ, ნაკი" (1r).

2. „ქ. სადიდებელად წმიდისა სამებისა დაიბადა ძე იოანე ლარაძისა პა-
ტარა მერკერი თუესა იანვარსა ! იზ. ქ-ს უჳა, დღესა ბ, ჟამსა ა ღამისასა,
მთოვარის რიცხჳსა ივ, წელსა ჩლჳგ" (47 v).

3. „მეფე გიორგი მეათჱსამეტე, ძე ირაკლი მეფისა, მიიცვალა წელ-
სა ქრისტჱსით ჩყ, დეკემბერსა კ. დღესა პარასკევსა ქ-ს უჳე" (48v).

4. „ჩემი ერთგული გიორგი გარდაიცვალა წელსა ჩყქ, მარტსა კზ, დიდი შა-
ბათი რა განთიდებოდა, ღ-თჱ საკუთრო განსვენება მისცეს. ქ-ს ფჳ" (48 v).

5. (სინგურით) „ქ. ღ-თით ყოველად წმიდის ხარების დეკანოზის გიორგი ლა-
რაძის შვილების დაბადება: დავით დაიბადა ივნისის (კბ) დღესა კვირიაკესა
წ-ისა დღესა ევსევისსა, მთოვარისსა (იზ). მეფობასა ცხებულისა მეფისა
თეიმურაზისასა. ქალაქსა ტფილისსა, ქ-ს უ-მე".

„ქ. პეტრე და პავლე მარჩიბენი დაიბადნენ აგვისტოს ზ, ქრისტეს აქეთ
წელსა (ჩლჲ)".

„ქ. იოსებ დაიბადა ნოენბერს (გ), ქ-ს (უნ)".

„ქ. იოანე დაიბადა მარტის (კზ), ქ-ს უნგ, მთოვარის იზ".

„ქ. მეორე იოსებ დაიბადა ნოემბერს (თ), ქ-ს აქეთს წელსა ჩლგზ, მთოვა-
რის ლ".

„ქ. მეორე პეტრე დაიბადა იანვარს (კგ), კლიმობას, მთოვარისა რიცხჳსა (თ),
მეუობასა კეთილმსახურისა მეფისა ირაკლისასა, ქალაქსა ტფილისი-
სასა ქ-ს აქეთს წელსა (ჩლ-ო) ქ-ს (უნზ).

„ქ. ნინა დაიბადა ივლისის (იე), დღესა კვირიაკესა, ქ-ს (უჳ), მთოვარის კზ"
(49 r).

6. „ქ. სადიდებელად წმიდისა სამებისა. დაიბადა შესაკუთრებული მამისა თვი-
სისა იოანე ლარაძისა ძისა, ხარების უკანასკნის დეკანოზის გიორგი ლა-
რაძისა პატარა, ახლად ფუნჯული პაპეტა, მეფედ ყოფასა მეფის ირაკლი
მეორისასა, თთჳსა ივნისისასა" (თავზედ აწერია „მკათათჳსასა"). „(გ), წელსა
ჩლჳზ, ქ-ს უოე, მთოვარის აზ" (49 r).

7. „ქ. ბატონიშვილი ვახტანგ მიიცვალა ყვავილითა ფებერვლის ა
რიცხვსა, ქ-ს აქეთ ჩ-დგ, ქართულსა კოირონიკონსა უმთ, დღესა გ." (49 v).

8. „ქ. ბატონ ბაგრატ მიიცვალა ივლისის კთ, დღესა შაბათსა, ჟამსა განთიად-
ისასა, ქრისტეს აქეთ წელსა ჩლჲგ, ქ-ს უნდ" (49 v).

9. „ქ. თამარი მიიცვალა იანვარს კბ, ქ-ს უნვ" (49 v).

10. „ქ. ქეთევან წელიწის რძალი მიიცვალა მარტის ით, ქ-ს უნვ" (49 v).

11. „ქ. მელიქიშვილი გიორგი და იოანე მოსწყდენ ლეკთაგან-
ივლისის კბ, ქ-ს უოე" (49 v).

12. „ქ. ოვაჲ სოდალი მიიცვალა ნოემბერს კგ, ქ-ს უნზ" (49 v).

13. ქ. „დიმიტრი ყაფლანისშვილი მოიკლა ლეკთაგან იენისწყალსა ... ჩქ-კს უჲე" (49 v).

14. „ქ. მეთაური იოანე მოიცვალა ივლისის ვ. ქ-კს უჲე" (49 v).

15. „ქ. იოანე ჩაჩიკაშვილი მოიცვალა იენისის ზ, ქ-კს უნზ" (49 v).

16. „ქ. პატიოსანი მღუდელი ჩაჩიკაშვილი ნიკოლოზ მოიცვალა წელსა ჩჟი, მარტის ა. ქ-კს უჲმ" (49 v).

17. „ქ. ხარების ეკლესიას მიყუეს ხელი დასაქცეველად რუსთ წელს ჩჟი, მარტის ა" (49 v).

18. „ქ. ნეტარად ხსენებული მეფის თეიმურაზის ასული ანნა ბატონიშვილი მოიცვალა დეკემბერს (დ). ქ-კს უოვ" (50 r).

19. „თავადი ჯანდიერი ველისციხის მოურავი სუმეონ მოიცვალა დღესა ოთხშაბათს, თვესა იქლის ზ. წელსა ჩჟი" (50) r.

20. „ქ. დიდის გარისის ჭალაში ჩვენის სასახლისა და საყდრის დაწერილობა არის ათურის ლორფინხედ. იქ მოძღებნეთ სულის წრე მისავლსა წინ მოწაე" (50 r).

21. „ქ. ბორეშან დაიბადა დეკემბრის თ, კრისტე აქეთ წელსა ჩლლდ" (50 r).

22. „ქ. მეფის ირაკლის ასული ქეთევან და იმისი ძალი ივლონის მეუღლე წარვიდნენ რუსეთსა დღესა კჲთაკესა პირველსა, თვედროზობისასა მარხეთასა, წელსა ჩჟი, ქ-კს უჲმ" (50 r).

6 75)

1401

ოთხთავი (ფრაგმენტები). XII—XIII

9 ფ.; 23 × 18; ეტრატი; უყდო, დაზლილი, ფრაგმენტებად; ნუსხური, დასწყისები სინგურით; ტექსტი 5 v-ზე გადასულია და არ იკითხება; [XII — XIII]. დაუწერელია: 2 r, 5 r.

[ოთხთავი]. ფრაგმენტები: ა) კამარა 2 ფურცლად (1 v, 2 v); ბ) სამი მახარებლის სურათი: მათე (3 v), მარკოზი (4 v), ლუკა (5 v), გ) სახარების საკითხავების ნუსხა-საძიებელი (6 r— 9 r).

შენიშვნა: ხელნაწერი დაბრუნებულია სახელმწიფოდან.

მინაწერები: „ჩრ(ისტ)ე ეკითხებიდეთ უფროსსა, უმცროსისაგან ედვას პატივი და უმცროსთა უფროსისაგან ედვას პატივი. რომელმანცა ესე წიგნი სიძოუდამი გავტეხოთ, პატრონი და კუეი ცალეე დაგრომოდეს და მამეულისგან და სახლისაგან გამოსრული იყოს და პატრონსა შემცოდე..." (1 r).

2. „ქ. ესე სამაღლებო არის და აწ ეს სალ(ოც)ოსმობლოდ პატრონის კელეუცასა სულისათვის ერთი ზრონა, ერთი ცხუარი და მისი პური და ღვინო და სანთელი, და თუ ვინ მოუშალოთ, ღ-ს მისად და ჩემად... გიკითხოს" (4 r).

3. „ქ. ბერებისათუის სასენაკოდ და სალოცურად გაგუირნია ათი კოკა ღუინო და რვა გუერდი პური სოლი. ნუ ვინ მოუშლით ღ-თის მადლსა და ამ ჯუარცმის ხატსა" (4 r).

4. „მისი ამა სოფელსა და მას საეკლესიოს აწ ორად ზრახად და ორად ცხრად შემოწირია. ვინცა დგაკლოს და წესი არა ქნას. შენ მას ჰკითხე შენით რისხვითა. ჩვენ არა ოდეს დაგაკლებთ, შენძან მადლმან. ერთი ზრონა და ერთი ცხუარი და ძისი სანთელი ახლად შეემატე ბატონის კელეუცას სულისათუის, ნუ ვინ, მოუშლითი..." (4 r).

5. (ნუსხური): „ოთხთავთა სახრებმ, შეიწყალე ს-ლი შალესა, ეგრ-ტნგის შლ-ისა".

6. „ქ. არის მონასტერს ხუთი ... ხატი, ოცდაექუსი სხეილი მოჰედილი ხატი. არის ხატს ზედან ოცდათრთხეტა ... ... კანდელი ვეცხლისა და ერთი ჭიქასა. ერთი ბარძიმი ვერცხლისა, კამარაი ვერცხლისა, თეფში ვერცხლისა, სამი სიწ-

მინდისა, სამას... ბეთი სასწაფლე, ორი სურაი, ერთი კოდი, ერთი მაშრაბა, ერთი ... ერთი თეფში ბიქისა, ერთი მაშრაბი და ერთი... ... ორი თეფში ბეთსულისა... ერთი, დიდი ბელქაში სპილენძისა..., სამი... ... საცეცხური ვერცხლისა, ერთი ...., ..., ...' ერთი მარხუანი, პალაკლიტონი ერთი ... ... ოქული, ერთი სვინაჯარი ... ... ჯუარ ცხის საკათხაჲი... ... მეტ ეგისა მთავარ... ... ბასილ[ი] დამიწერია" (9 v).

იხ. ადრეთვე მინაწერები: 3 r, 7 v, 9 v.

(676) **1407**

ლოცვა სნეულისა. XIX

1 ფ.; 21,2 × 17; მოლურჯო ფერის ქაღალდი; დახიანებული და დალაქავებული; უყდო; მხედრული; (XIX ს.), ჭვირნიშანი აქვს.

[ლოცვა სნეულისა].— „მკურნალო სულთა და ჴორცთაო, ვედრებითითა შემუსრვილითა გულითა შეგივრდებით შენ და სულთქმით გიგალობთ..." 1 r-v.

მინაწერი: „ესა წიგნი გაბრიელს ბერს მიერთვას, ი. ფ." (1 r).

(677) **1408**

კრებული. 1823

26 ფ.; 22 × 18; ქაღალდი (ლურჯი ფერის, დაცვეთილი); უყდო, დაშლილი, ნაკლული; მხედრული; 1823 წ. (11 v), ჭვირნიშანი აქვს; დაუწერელია: 8 v.

1. [ლექსი იობზე]. „... იობ იყო მღვთის მლოცავი, აქა ჰყვანდა მრავლის გზისა,
მეტის-მეტი სიმართლითა თავზე ოქროს თმა ესხმისა..." 1 r—2 r.

2. [ამბავი ჯუმჯუმ ჭელმწიფისა]. „ესე ამბავი ჯუმჯუმ ჭელმწიფე დიდისა მდიდრისა. ჯერ ჭორციელობისა მოყვარე იყო, არც ღმერთი იცოდა, არც მოძღვარი"... 2 r—11 v.

შენიშვნა: ბოლოში ერთის ანდერძი: „დაიწერა ესე წიგნი... კაცთათვის. დამწერს ღმერთმან უშველოს. დაიწერა კრისტეშობის ჩჟგ-სა, ქ[რ]ს ფთა, წელსა ჩყკჱ-სა"

3. [მანანას თქმული შაირნი].
„[ეჳა] გარდახდა მცნებასა, ჰამა ურჩივის ხილია,
წაულო, ადამ მიაჭოთ, ნახე როგორი ტკბილია..." 12 r.

შენიშვნა: ბოლოში ერთის, ალბათ, გადაწერის მიერ მიწერილი სტროფი:
„ვინც ამისი ძალი შეიტყოთ, ნუ[რ]ავინ გაიკვირვებსა,
თუ გული მოვწყდინე, მეც ლექს დავწყობ ხანებსა,
ესე წერილი დასრულდა დღე იანვრის ცამეტსა,
ქორონიკონსაც მოუსომ ფარსა, ინსა დ ანებსა".

4. [ხილ-თ-გაბრჭობა] „ქ. ახლად გამოღება ლექსისა სალაყბო და შესაქცეველი ხილთ-გაბრჭობა მოსკოვს დაღელი ჰაბუკა შვილი გიორგისაგან.

„მაშინ ვთქვი, ოდეს მოსკოვსა ვიყავ სენთაგან ვნებული,
ნაღველმა ფიქრმა მიმწურა, ვიყავ გულ-ცეცხლმოკიდებული,
წამლად ვარჩიე ეს საქმე, ვიყავ-რა შეწუხებული,
და ეგები რამე მეკურნოს, სევდაზედ ეიქმნა შეებული..." 19 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდება: „... ღვინისა სმულნი მრავალნი გონგაყოფილი ჰკვისაგან, და ეგები ვინმე ვენახოსთ გასცრილიყოს ლაპისაგან. ზღმარტლმა...“

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. ქუთათელს: თაყაიშვილს: „Описание,“ т. II გვ. 389—390.

(678) 1409 ა

ალხარების წიგნი. XIX

7 ფ.; 17,9 × 11; გახუნებული ლურჯი ქაღალდი; უყდო; ფ. 1 მოვარდნილია; მხედრული; (XIX ს.); დაუწერელია: 7 v.

[ალსარების წიგნი]. „კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი, რომელსა ნებავს ყოველთა კაცთა ცხოვრება და მეცნიერებისა ჭეშმარიტებასა მოსლვა. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა, ამინ...“ 1 v—7 r.

მინაწერი: „წერა-კითხვის სახოგადოებას ი. ფ.“ (1 r.)

1409 ბ

ალხარების წიგნი. XIX

7 ფ.; 17,5 × 10,8; გახუნებული ლურჯი ფერის ქაღალდი; უყდო; დაშლილი, აკლია 6-სა და 7 ფურცლებს შორის; მხედრული; [XIX ს.]; გადამწერი: ოქროაძე დიმიტრი (7 v).

[ალსარების წიგნი]. „კურთხეულ არს ღმერთი ჩუენი, რომელსა ნებავს ყოველთა კაცთა ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლუა, სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა, ამინ...“ 1r—7r.

მინაწერები (ტექსტის ხელით): 1. „იოანეს მღვდლისა ვარ, თუ წამიღო ვინმე, ღ[მ]ნ ახმარნეს სიგრძესა შინა დღეთასა. ამინ და კიოლელისონ“ (7 v).

2. „კარგი როდგიწერე, განა, კარგს ტყაოში გამონგზავნი ბატონისას ან ბუთსა და ან ეკვს. თალ... და თქვენებს ცდელს ნოყითხა ბოგანსენო, ოქროაძ მღვდელი დიმიტრი“ (7 v).

(679) 1410

ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. XIX

56 ფ.; 22,5 × 17,6; ქაღალდი, დალაქვებული და ხახიანებული; ფ. ფ. 52—53 გახეული; უყდო; ნაკლული; ამოცენილია ფ. ფ.: 53—56; მხედრული, დასწყისები სინგურით; [XIX ს.]; ჰვირნიშანი აქვს.

[ვახტანგ VI. სამართლის წიგნი]. „... ს, და უბრალო იქნების. მათ იციან და მათმან სულმან და მან საუკუნოსან. გ. პირველ ესე, რომე მოსამართლე...“ (მუხ. ბ), 1 r—54 v.

წყდება: „... ხპვ. თუ დიდებულმა და სხუა თავადმან, გინა ახნაურმან ერთი მეორეს ჯოხით ან მაცარახით თავი გაუხეთქოს, მისი საქმე ასრე იქნას, თუ დიაღ დიდი დაკრულობა ქონდეს, რომ ან დიდად აჩნდეს, ან იმითი დიდი სნეულება გარდახთოდეს, ის გამონახეთ ბჭეთ კაცთაგან...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. ბოლოში ერთვის ხანდაკი. 55 r—56 v.

2. ხელნაწერის კიდებზე გვიან გაუკეთებიათ მინაწერები, რომლებიც მიუთითებენ ამა თუ იმ მუხლის შინაარსზე.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ეკვთიმე თაყაიშვილს, იხ. „Описание", т. II, вып. 1—4. 1906—1912 г. გვ. 624.

(680) 1411 ა

წმიდის გიორგის პარაკლისი. XIX

16 ფ.; 18 × 11,2; ქაღალდი, გაყვითლებული; უყდო; მხედრული; [XIX ს.]. ჭვირნიშანი აქვს; დაუწერიათ 16 v.

„წმიდის გიორგის პარაკლისი. მღუდელმან: კურთხეულ-არს. მკითხველმან: ამინ, უკეთუ ამაღლებამდის ენებოს—ქრისტე აღდგა, სამგზის..." 1 r—16 r.

1411 ბ

წმიდის გიორგის პარაკლისი. XVIII—XIX

8 ფ.; 18 × 11; ქაღალდი, გაყვითლებული; უყდო, თავ-ბოლონაკლული; ფ. 7,8 ამოცვენილია; მხედრული, დასწყისები სინგურით; [XVIII—XIX ს.].

[წმიდის გიორგის პარაკლისი]. „... წერა, ღირს მყვენ ლოცვითა შენითა. ა. დიდებით დიდებულო, ღ-ვ ბრწყინვალეო დედოფალო მარიამ, წ-ისა მოწამისა ლოცვითა დიდებისა შენისა ხილვად ღირს გვიჩინე..." 1 r—8 v.

წყდება: „... ოხითა შე..."

შენიშვნა: ბოლო გვერდი (8 v) ძნელად იკითხება.

(681) 1412

საეკლესიო კალენდარი. XIX

8 ფ.; 15,6 × 10,5; ლურჯი ფერის ქაღალდი, დაქავებული; უყდო, თავ-ბოლონაკლული; მხედრული; [XIX ს.]. ჭვირნიშანი აქვს; შემოწირულია ფურცელაძისაგან

[საეკლესიო კალენდარი]. „... აღდგომას უკან ორმოცდაცხრა დღე დასთვალე, ყველიერის ღამე იქნება. იმას უკან სწორი, ჯორცის აღების ღამე იქნება..." 1 r—8 v.

წყდება: „... ქორონიკონს ფ, ნაკი, ზედნადები ოცდახუთი, შობა უფლისა-ორშაბათს, დიდი აღება..."

მინაწერი: „წერა-კითხვის სახოგადოებას ფურცელაძისაგან"

(682) 1413

ჭალ-ვაჟიანი. XIX

16 ფ.; 17 × 11; ქაღალდი (თეთრი და ლურჯი ფერის); უყდო; მხედრული [XIX].

[ჭალ-ვაჟიანი] ერთი ხემწიფე იყო მდიდარი, მრავლის მქონებელი. და მოხუცებულნი იყვნენ ცოლი და ქმარი..." 1 v—16 v.

თავდება: „... ის ქალი ცოლათ შეირთო ყრმამა, დედაცა დაიხსნა ყრმამა, მამაც დაიხსნა ყრმამა, დიაღ დიდათ გამდიდრდა“.

(683) 1414

თარგმანი საუფლო ლოცვისა. 1820

12 ფ.: 17.5 × 11; ქაღალდი ლურჯი ფერისა; უყდო; მხედრული, სათაური სინგურით; 1820 წ. (10 v); გადაწერა: მღვდელი დიმიტრი ოქროაშვილი (10 v); დაუწერელია: 1v, 11 r—12 v.

„სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ. მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა. ჰოი, მამაო მოწყალებათაო და ღ˙თო ყოვლისა ნუგეშინის-ცემისაო“... 2 r—10 v.

ანდერძი: „აღიწერა მაისის 12 დღეს, 1820 წელსა ქველითა დიმიტრი მღუდლის ოქროაშვილისათა“ (10 v).

მინაწერი: „წერა-კითხვის სახოგადოებას ისაია ფურცელაძისგან. 27 ივლისს[ი] 1888 წ.“ (1 r).

(684) 1415

კარაბადინი. XIX

24 ფ.: 17 × 11,5; ქაღალდი ლურჯი ფერისა, დალაქაგებული; უყდო; მხედრული; [XIX].

[კარაბადინი]. „ჭ. კარაბადინი მართალი და გამოცდილი და ჭეშმარიტი, რომც ახსენა ღმერთი; თუ თმის ამოსულა არ გინდოდეს, თეთრი ღამურა დასწუა...“ 1 v—24 r.

თავდება: „... ვისაც შარდი შეკრული ქონდეს—კაბის სკინტლი მოატაინე, წმინდათ დანაყე და წყლით დაალევინე“.

შენიშვნა: ხელნაწერი აღწერილი აქვს ეკვთ. თაყაიშვილს იხ. „Описание“, т. I. გე. 610—611.

მინაწერი: „კარაბადინი ეფემია ჩოხტვისა“ (1 r).

(685) 1416

შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა. 1819

10 ფ.: 17.5 × 11; ქაღალდი. ლურჯი ფერისა; უყდო; მხედრული; 1819 წ. (10 r); გადაწერა: მღვდელი დიმიტრი ოქროაშვილი; დაუწერელია: 1 v.

[შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა]. „უპირველესი ყოველთა შვიდთა მომაკვდინებელთა ცოდვათა ესე არს. ამპარტავანება...“ 2 r—10 r.

ანდერძი: „აღიწერა დიმიტრი მღვდლის ოქროაშვილისაგან 1819 წელსა, ოქტომბრის 9 დღესა. მათს პატიოსნებას უფალს ითხოვ მღუდელს ფურცელაძეს მიერთვას უმდაბლესად“ (10 r).

მინაწერები: 1. „წერა-კითხვის სახოგადოებას ისაია ფურცელაძისაგან“ 1 r).

2. „ჯალ ნახო და ლამაზო, კეკლუცო სანდომიანო“ (10 v).

(686) 1417

მოძღვრება ეკლესიის მნათეთათვის. XIX

7 ფ.; 21,7 × 17; ქაღალდი (დალაქავებული); უყდრო; მბედრული: [XIX]; გადაწერი: გორის ბლაღოჩინი იესე გარსევანოვი; მთარგმნელი: იერონიმე ალექსიევი (7 r); დაწერილია: 1 r-v, 7 v.

[მოძღვრება ეკკლესიის მნათეთათვის]. — „ა. მნათე არს ჰრწმუნებული ეკკლესიის მრეულთა, აღმორჩეული რიცხვისაგან მათისა...“ 2 r — 6v.

ანდერძი: „ნამდვილითგან თანასწორად არს თარგმნილი კოლლეჭკის სეკლატორის იერონიმე ალექსიევისაგან. გორის ბლაღოჩინი იესე ბღდელი გარსევანოვი“ (7 r).

მინაწერი: „წერა-კითხვის სახოგადოებას. ი. ფ“ (2 r)

(687) 1418

რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი (ფრაგმენტები). XVII—XVIII

10 ფ.; 26,9 × 19,7; ქაღალდი; ფრაგმენტები; მბედრული, სათაურები და სტროფების დასაწყისები სინგურით; [XVIII—XVIII]. ჰვირნიშანი აქვს.

[რუსთაველი შოთა. ვეფხისტყაოსანი].

„... ზარი გაისმა, შემოკრბეს ქალაქისა ერნი სრულად,
იქით აქათ იჯრებოდეს, უჯურიტოთო ამას სრულად,
ზოგნი ნდომით შეფრფინვიდეს, ზოგნი იყუნეს სულწასულად,
და მათთა ცოლთა მოიძულეს, ქმარნი დარჩეს გაბასრულად...“
1 r — 10 v.

წყდება: „... მოიღეს, ტანსა ჩააცუეს შესამოსელი ტანისა,
მას ზედა შუქი მრავალი ჩნდა მნათობისა თუალისა,
დაადგეს თავსა გუირგუნი, ერთობილისა ლალისა,
და მუნ ვარდსა ფერი აშუენებს ბროლისა გამჭურვალისა...“

შენიშვნა: ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წ. გამოცემის მიხედვით შეიცავს 1075 — 1125 და 1153 — 1187 სტროფებს.

(688) 1419

ქართული ენის გრამატიკა. 1828

12 ფ.; 22 × 17,5; ქაღალდი (ლურჯი ფერის, დახიანებული. 1 და 6 ფურცლის ბეოთხედია დარჩენილი); უყდრო, თაქმაკლული; მბედრული (სათაურები და დასაწყისები ასომთავრულით); 1828 (11 r), ჰვირნიშანი აქვს; დაწერილია: 11 v —12 v; შემოწირულია ი. ფურცელაძის მიერ.

[ქართული ენის გრამატიკა]. „... სხჳსა და სხჳსა პირისა, ანუ ნივთისანი დაიდებიან სიტყ... თჳნიერ კავშირისა...“ 1 r — 11 r.

ანდერძი: „ჩყკზ წელსა. თიბათვის გ-სა დღესა აღწერილ აოს ... ძეს მიერ“ (11 r).

მინაწერი: „წერა-კითხვის სახოგადოებას ი. ფურცელაძისაგან“ (3 r).

(689) 1420

ქართული ენის გრამატიკა. XIX

15 ფ.; 21,5 × 18; ქაღალდი (თეთრი და ცისფერი ფერის, ჰუასკიანი); უყდრო: მბედრული: [XIX ს.]; დაწერილია: 9 v, 12 r — 13 v.

[ქართული ენის გრამატიკა]. „ლექსთხზულება არს მეორე ნაწილი ღრამატიკისა. ლექსთხზულება არს მეორე ნაწილი ღრამატიკისა, რომელიცა ასწავებს კანონიერსა შეერთებასა ლექსთასა...“ 2 r—11 v.

მინაწერები: 1 r-v, 14 r — 15 v.

(690) **1421**

ჟანლისი. ველისარი. 1848

87 ფ.; 21,3 × 18; ქაღალდი; წითელი ფერის მუყაოს ყდა, ყუა არა აქვს; მხედრული; დაწერილია მთარგმნელის, დავით ციციანოვის ხელით (85 v); 1848 წ.(85v); დაუწერელია: 1 v, 2v , 3 v, 86 r — 87 v.

[ჟანლისი]. „ველისარი. თავი ა. ეჰა საღმრთოო მყუდროებაო ამის უდაბნოსაო! ვერა რაჲმე შეიძლებს აღწერითებასა შენსა...“ 4 r — 85 v.

შენიშვნა: 1. წინ უძღვის: ა. წარწერა: „ველისარია, შეთხზული უფალს ჟანლისისა მიერ. თარგმნილი და მეორედ გამართული და გარდამოცემული ნაწილი პირველი, ბოსკოვს, ტიპოღრაფიასა შინა სიმეონ ხელივანოვისასა, 1821. ხოლო მეორედ თარგმნილი თავადის დავით ევსტათის ძის ფანასკანტელ-ციციანოვისა მიერ რუსულისაგან ქართულსა ენასა ზედა“ (2 r).

ბ. „მონაკუთნი წინასიტყუაობისა უფალს ჟანლისისა“ (3 r).

2. ტექსტი მთარგმნელის—დავით ციციშვილის მიერ უანგრითაა ნასწორები.

ანდერძი: „აღესწერე განკორციელებიდგან სიტყუისა(!) ღ[მრ]ისა წელსა 1848-სა, თთუესა ოქტონბერსა 16-სა დღესა. დავით ციციანოვი“ (85 v).

მინაწერები: 1. Из книг князя Давыда Цицианова“ (ყდის საკავი ფურცელი).

2. „წიგნთაგან თავადის დავით ციციანოვისათა“ (ყდის საკავი ფურცელი).

იხ. აგრეთვე მინაწერები 1 r.

(691) **1422**

ავგაროზი. XIX

4 ფ.; 21,5 × 17; ქაღალდი; უყდო; მხედრული; სათაურები ასომთავრულით [XIX]; დაშლილი;

„მოთხრობა ქელითუქმნელისა ხატისა.—იყო ვინმე მთავარი ერთი სახელით ავგაროს, რომელი სცხოვრებდა ქალაქსა ედესიას, და იყო იგი კერპთმსახური. ხოლო შემთხვევამან სოფლისამან აწვია მას სენი წყლით მანკიერებისა, რომლისა განკურნებად ვერა რომელმანმე მკურნალმან ვერ უძლო...“ 1 r—4 v.

შენიშვნა: შეიცავს ავგაროზის ეპისტოლეს, ქრისტეს ეპისტოლეს და ბეჭდების ახსნა-განმარტებას.

(692) **1423**

კრებული. XIX

16 ფ.; 20,3 × 13,2; თეთრი და მწვანე ქაღალდი; უყდო; მხედრული, სათაურები ასომთავრულით; [XIX ს.]

1. „სტიხნი ქრისტესშობისათჳს. — მხიარულებით მთურალ-საგონებო სუ-ლით-ყუ ხენა აღცამფრინები...“ 1 r — 7 r.

შენიშვნა: 2 v-ზე ხვეულად მიწერილია „დავით“.

2. „სტიხნი ბედნიერებასა ზედა, თქმულნი დერჟავინის მიერ. — მარად საქებო, პატიჳსადებო, სრულისა სოფლის სათავეზებო, ბედნიერებავ! ყოველის შემძლებო, ყოველთა მიერ მოსაწონებო..“ 7 v — 9 r.

3. „სიტყუა, თქმული საქართუელოს ეგზარხის ევგენი არხიეპისკოპოსის მიერ, ოდეს იმპერატორი ნიკოლაოს **ჩყლზ**-ს წელსა მოსრული საქართუელოდ შევიდა სიონის სობოროსა შინა. — ყოველად უმოწყალესო ჴელმწიფეე! ძველცა ივერია ღირს იქმნა ხილვად შენ პირველისა როსსის გვრგჳნოსანთაგანისა. ეჰა, ვითარ სიხარულევან არს და რაბამ აღსატყინებელ ჩ̃ნთჳს მოსულად შენი...“ 9 v — 10 v.

4. „სიტყუა, თქმული მოსკოვის მიტროპოლიტის პლატონის მიერ 1801-ს წელსა, ჟამსა იმპერატორის ალექსანდრეს დაგჳრგჳნებისასა. — ესრეთცა ღირს გუყუნა ჩ̃ნ ღმერთმან ხილვად შეჴისა თჳსისა გვრჳნოსანისა...“ 10 v — 16 v.

(693) 1424

პავლე პირველის სიკვდილი. XIX

16 ფ.; 17.5 × 10.7; ქაღალდი; უყდო; დამლილი; ბოლონაკლული; მხედრული; [XIX];

„სიკუდილი პავლე პირველის იმპერატორისა. — შეუდგა რა მემკჳდრედ პავლე პირველი ეკატერინას, პირველი ჰაზრი ყოველთა მათ იყო, რომელთაცა კეთილად უწყოდნენ რუსეთის ისტორია და ბუნებითნი ვითარებანი ახლისა მის ჴელმწიფისანი...“ 1 r — 16 v.

წყდება „... იმპერატრიცამან მოითხოვა ერთი სტაქანი წყალი, ერთმან უკუე სალდათმან გამოსტაცა ჴელთაგან მსახურსა, რომელსაცა მოჰქონდა...“

(694) 1425

უბის კალენდარი სიმრთელისა. 1852

24 ფ.; 22 × 17.8; ქაღალდი; უყდო; მხედრული; 1852 წ. (1 r); დაუწერელია 24 rv.

„უბის კალენდარი სიმრთელისა 1852 წლისა ანუ სახალხო წამლობა და აფთეკა, ნაწილი პირველი. — თეორეტიკებრი გამოცხადება ჩუენთა სნეულებათა მიზეზისანი და საზოგადოთა და ღიღიენებრთა საშუალებათა, კმარებულთა წინადდებისაცუნლად და წამლობისათჳს...“ 9 r — 23 v.

შენიშვნა: წინ უძღვის: „წინასწარი მოთხრობა ანუ პირველ დაწყებითნი შენიშვნანი. — § 1. ღიღიენა (ესარჯებლიანესი) არს ჰსწავლა სიმრთელისა თჳსის დაცუჳსა. მკურნალება არს ჰსწავლა - აღდგინება დაკარგულისა ანუ დაბსნილის სიმრთელისა...“ (1 r — 8 v.)

(695)

1426

განზრახვანი. XIX

134 ფ.; 21,5 × 17,4; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული (ხოგიერთი სათაური ასომთავრულად); [XIX].

[განზრახვანი]. — „აღვასრულოთ და დავიწეროთ ესე მზა ცხოვრების წიგნი. განზრახვა პირველი. — რაოდენ მიუცილებელ არს ცოდვილთა კაცთათჳს სინანული. გახსოვდეს, მსოფლიოთა განცხრომათა შინა დანთქმულო სულო ჩემო...“ 1 r — 134 v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი შეიცავს ეჭვს განზრახვას.
2. ტექსტი ნასწორებია.

(696)

1427

საგალობლები. XIX

7 ფ.; 22,2 × 17; ლურჯი ქაღალდი; უყდო; დაშლილი, თავნაკლული; მხედრული; აჭვს ჰეირნიშანი — 1810 წ. (ფ. 4,6.); [XIX].

[წმ. ევსტათის საგალობელი]. — „... ლისა გამოუცდელად, ჩი ქალწულო, და შემდგომად შობისა ქ-დ გამოსჩნდი მჭალწულებელი, რომლისათჳს ჴმითა დაუდუმებელითა გიხაროდენსა შენდა, დედოფალო, თჳნიერ იჭვისა გიხმობთ სარწმუნოებით. გალობა ე. სძლის პირი...“ 1 r — 3 v.

შენიშვნა: შეიცავს 5—9 გალობებს.

2. „წ-ის გიორგისა გალობა ა. სძლის პირი. — ღელეათა დაანთქა პირველად ფარაო ეტლებითურთ და ელჩურეილნი ძლიერად სპარაზენონი. სიტყვამან მაისამან, რომელი განჴორციელდა ჩენ ცოდვილთათჳს, რომელსა უგალობთ: უფალო დიდებულო, დიდებული ხარ შენ...“ 4 r — 7 v.

მინაწერები: 1. „ქ. თექუსმეტს აპრილს მოვიდა აგურის ოსტატი, ოთხშაბათს დღეს“ (2 v).
2. „ქ. ოცდახუთს ივნისს მოვიდნენ კალატოზები, ორშაბათს დღეს“ (3 r.)
3. „მოციქული კრისტესგან გამორჩეული, ჰადგი სიტყვიერა მეთისა, გასწავლული მახარებელი, ცხოვრებისა წინამძღვარი ქარველთა ერისა გზათა სიმართლისაია. დედისა მეთისა საკუთარი მოწაფე, ნინა. შევამკოთ დღეს ყოველთა მონობითა მეორი, მხურვალე მცველი, დაჭირნებელი...“ (7 v).

(697)

1428

ბარამ-გულანდამიანი. 1862

1 + 43 ფ.; 21,1 × 17,4; ქაღალდი; უყდო; მხედრული; სათაურები წითელი მელნით, ორშოს ფერი გადასულია; 1862 წ. (42 v); გადამწერი ანდრია დავითიჩ ეფსატუროვი (42 v); დაუწერელია: 1 v, 1rv, 43 rv; თარგმნილია სპარსულიდან ვახტანგ მეფის ბრძანებით. (2 r). აკინძულია ოთხ რვეულად.

[ბარამ-გულანდამიანი]. — „ქ. ქარი პირველი ბარამისა და გულანდამისა პარსულისაგან(!) ქართულად გარდმოთარგმნილი ბრძანებითა ქართველ მეფისა ვახტანგისაგან. — იყო ქვეყანასა ურმელთასა ხემწიფე ქი'შვარ სახელოვანი, უკლებელი, მორჭმული და სიმდიდრისაგან გალაღებული...“ 2 r — 42 v.

შენიშვნა: 1. ტექსტი მოკლე რედაქციისა (იხ. ქ. კეკელიძე, ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, გვ. 364, 1941 წ. თბილისი).

2. აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ. იხ. Описание т. I, გვ. 541—542.

ანდერძი: „ეს წიგნი დაწერა ანდრია დავითიჩ ხეჩატუროვმა. წამკითხველო, სანამ ცოცხალი იყვეს. მშვიდობა უბრძანეთ და სიკვდილის დროს შენდობა. საწუთრო გარდუბრუნდათ და ამის სოფლისა ბეგარა გარდაიბადეს. **1862**, წელსა. მარიამობის თვის **15** დღესა. ეს მათი ანბავი დარჩა მასთანა მოსაგონებლად." (42 v.).

მინაწერი: „ბარამიანი" (1 r.).

(698) **1429**

შესავალი გრამატიკისა. XIX

22 ფ.; 22,1 × 17,9; ქაღალდი; უყდო; მთლიანი; [XIX]; დაუწერელია: 20 v, 21 rv, 22 rv.

„შესავალი ღრამმატიკისა. § 1.—ღრამმატიკა არს ჰსწავლა, განმაცხადებელი კანონისა ქართულის ენისა, რომლისაცა სათანადო არს დამარხვად, ვითარცა უბნობათა, ეგრეთუე წერილთაცა შინა..." 1 r — 20 r.

შენიშვნა: შეიცავს გრამატიკის მხოლოდ პირველ ნაწილს, ლექსთ-წარმოებას ანუ ეტჳმოლოგიას.

(699) **1430**

გეომეტრია. XIX

48 გვ.; 22,2 × 17,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; აკინძული ორ რვეულად; მთლიანი; [XIX]; დაუწერელია: 4,45 — 48 გვ.

[გეომეტრია]. „თავი ა. განსაზღურებანი, აქსიომანი წინადმაუწყებელნი განმარტებანი. საზღუარი პირველი.—§ 1. ღეომეტრია არს ჰსწავლა, რომელიცა გვიჩუენებს ჩუნ თჳსებათა განფენილებათასა, და გვასწავებს ჩუნ განზომასა ყოველსა მის, რასაცა აქუს განფენილებაჲ..." 5 — 44 გვ.

შენიშვნა: ხელნაწერს წინ უძღვის: 1. „განმარტება წინადდებათა ღეომეტრიასა შინა ხმარებულთა..." (გვ. 1 — 2).

2. თავფურცელი: „დასაბამითნი საუჭუნენი ღეომეტრიისანი. განყოფილებაა პლანიმეტრია". (გვ. 3.).

(700) **1431**

კრებული. XIX

12 ფ.; 22,2 × 17,7; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მთლიანი; 1842 წ.—ჰვირნიშანი (ფ. 3,11); [XIX ს.]; დაუწერელია 12 v.

1. „რაჲმე ძალისათჳს მუსიკისა.—მშუენიერი ქმნილება მუსიკის გარმონიისა (ჴმით შეწყობისა) აწარმოებს გამოუთქმელთა მოქმედებათა..." 1 r — 2 r.

2. „კეთილ მოქმედება. აღმოსავლეთის მოთხრობა (თარგმნილი ნემეცურიდამ).—მით ჴმით, ვითარცა მახსოვს მე, შემემთხვნენ ფრიად მრავალნი ჰამბაენი და ცვლილებანი..." 2 v — 6 v.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. „სამინელი ძილი. მოთხრობა. — ერთსა შემოდგომისა ცუდ ტაროსიანსა ღამესა, პირველისა უფროს შთანთქმული ოცნებათა შინა, ვჯდე მე ტახტსა ზედა...“ 6 v — 9 v.

4. „ოცნება მჭვრისა მჭედრისა. — რაოდენნი სურვილნი არიან მომხსენებელნი ჩემდა, რავდენნი გრძნობანი, აღმავსებელნი სულისა ჩემისანი მამულისა ჩემისა სიყვარულის ცეცხლითა...“ 10 r — 12 r.

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია.

701) **1432**

ღვთისმშობლის მოსწავებანი. XIX

8 ფ.; 21,8 × 17; ლურჯი ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; 1818 წ. — ჰვირნიშანი: [XIX ს.]; დაუწერელია: 4 v — 8 v.

„ყოვლად წ[მი]სა ღ[მრ]ის მშობელისა მარიამისა საიდუმლოთა სახით მოსწავებანი ძველთაგან საღმუდელოთა წერილთა. — შექმნა 913... მშვიდობის სახედ. 811 რტოდ ზეთის ხისად...“ 1 r — 4 r.

(702) **1433**

სამოქალაქო დასაბამი სწავლისა. XIX

12 ფ.; 22,3 × 17,5; ქაღალდი; უყდო; მხედრული; [XIX ს.].

„სამოქალაქო დასაბამი სწავლისა. — 1. ყოველი ყრმა იშვების უსწავლელი. 2. მშობელნი თანამდებ არიან ასწაონ შუკლთა. 3. კაცსა აქვს ბუნება კეთილისა მიერ მინიჭებული...“ 1 r — 12 v.

შენიშვნა: ხელნაწერი შეიცავს **209** მუხლს. თითეული მუხლი, უმთავრესად, ერთიან ორი მოკლე წინადადებისაგან შედგება.

(703) **1434**

ჰომეროსი. ილიადა. XIX

16 ფ.; 22 × 16,7; ლურჯი ქაღალდი; უყდო; ნაკლული; მხედრული, სათაურები ასომთავრული.თ; [XIX ს.]; ჰვირნიშანი აქვს: აკინძულია ორ რეფულად; მეორე რეფული დაშლილია.

„ღომერის ილიადა. გალობა ა. — აღმოსთქუ ღმერთად ძლევა-შემოსილი პილოზისა ძის ახილლესისა გულისწყრომა...“ 1 r — 16 v.

წყდება: „... და განიყოს ორად მახვილისაგან და დაეცნენ მრავალნი გარემოსისა თუსტომნი ქვიშასა ზედან გამბძარველნი მიწათა ბაგეთა მიერ...“

შენიშვნა: შეიცავს პირველ და მეორე გალობას.

(704) **1435 ა**

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. XIX

12 ფ.; 22,2 × 17,5; ქაღალდი; უყდო; აკინძულია ერთ რეფულად; მხედრული; 1819 წ. — ჰვირნიშანი (ფ. 6); [XIX ს.];

„იე. ვილ ღელმ ცეცილიოს. — იშვა ჩფკა, გარდაიცვალა ჩფჳ-ოზ. ცეცილიოს მეოთხმეტესა წელსა თუსისა ჰასაკისასა წარვიდა კამბრიჩს...“ 1 r — 12 v.

შენიშვნა: 1. შეიცავს ვილღელმ ცეცილიოსის, იაკობ კრიჩტონის, იუსტ ლიპსიოსის და ტიხო ბრაღეს შესახებ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.

2. ტექსტის ყოველ თავს აჭვს ანბანური სათვალავი (იე, აწ. ით. და კ).

1435 ბ

ძველნი ფილოსოფოსნი. XIX

4 ფ.; 22,5 × 18,3; მოცისფრო ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მხედრული; საწყისი ასოები ასომთავრულით; 1804 წ. — ჰვირნიშანი; [XIX ს.]; დაუწერელია 2 v — 4 v.

„ძუელნი ფილოსოფოსნი. პლატონ. — პლატონ არს ლექსი ელინებრი და ითარგმანების ვრცელად ანუ ფართოდ...“ 1 r — 2 r.

შენიშვნა: შეიცავს მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს პლატონის, არისტოტელეს, პორფირის, ჰომეროსის, ორფეოზის და პროკლეს შესახებ.

1435 გ

ანტიკური ხანის მოღვაწეთა გამონათქვამები. XIX

6 ფ.; 22,3 × 17,6; ჭაღალდი; უყდო; აკინძულია ერთ რვეულად; თავნაკლული; მხედრული; [XIX ს.]; დაუწერელია 6 r — 7 v.

[ანტიკური ხანის მოღვაწეთა გამონათქვამები]. „... რომელიმე კანიოს აღმორჩეულ იყო უზენაეს რომის მმართებლად და იყო ჯარისხსა მას შინა მხოლოდ ერთსა დღესა. ბრძენმან ციცერონ ამისთჳს ჰრქუა...“ 1 r — 4 v.

(705)

1436

ისტორია პირველი მსოფლიო სჯაკლესიო კრებისა. XIX

6 ფ.; 22,2 × 18,2; მოლურჯო ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ნაკლული; მხედრული; [XIX ს.].

[ისტორია პირველი მსოფლიო სჯაკლესიო კრებისა.] „მოთხრობა თითოეულად, თუ ვინა ანუ სადაით იწყო ბოროტმადიდებამან მწუალებელთაგან განთესუად ქრისტიანეთა შორის, რომელთაგან იქმნა შეცთომა ღ̃ისმეტყუელებასა და განგებულებასა შინა და უწყება კრებათთჳს მწუალებელთასა და ამათ ზედა შეკრებულთა შჳდრიცხუჳდთა წმიდათა მსოფლიოთა კრებათა და მათ ჟამთასა კეთილმსახურთა იმპერატორთათჳს...“ 1 r — 6 v.

(706)

1437

კრებული. XIX

17 ფ.; 22,5 × 17,5; ჭაღალდი; უყდო; აკინძულია ორ რვეულად; მხედრული; 1841 წ. — ჰვირნიშანი. (ფ. 14.16); დაუწერელია 16 v, 17 rv;

1. „მ ა რ ხ ვ ი ს ა თ ჳს. — ბრწყინვალისა ამის აწინდელისა დღესასწაულისა და უჩინებულესისა ამის შეკრებილებისა, უფროს ჩვეულებრივისა, რაჲ უკუე არს მიზეზი...“ 1 r — 8 v.

2. [ქადაგება] „რომელსა სირცხვილ უჩნდეს ჩემი და სიტყუათა ჩემთა ნათესაუსა ამას მემრუშესა და ცოდვილსა, ძემანცა კაცისმან არცხვინოს მას, ოდეს მოვიდეს დიდებითა მამისა თჳსისათა ანგელოსთა თანა წმიდათა. მრკ. თ. ი. მ. ლი· — ვინადგან ნათესავი არს მრუშებისა...“ 9 r — 16 r.

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია.

(707) 1438

კრებული. XIX

12 ფ.; 21,8 × 17.8; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; ნაკლული; მხედრული; [XIX ს.]; აქვს ჰეირნაშანი; გადაწერი გიორგი (5 r); დაუწერელია 1 r v;

1. [ვარდ-ბულბულიანი]. — „... თანა მომღერლად ექმნებოდა. და რა ესევითარი ხმოვანება ყურად იღო, ხეტიერმან ამა ხმაზედ დიდათ ცისიამოვნა...“ 2 r—5r.

შენიშვნა: 1. ნაწარმოები დაწერილია პროზად.
2. თავნაკლულია.
3. ბოლოში ტექსტის ხელით: „გიორგი“. (5 r).

2. „ბრძოლა ძლიერი კატისაგან სხვადასხვა თაგუთა მიმართ, რომელი იქმნა მეფობასა ნადირშაისასა(!). და ლექსად თქმული მოთხრობანი ესე არს მოძღვრის ზაქარიას გაბაონის მიერ. —

ყოველს მგრძნობელს ცხოველს შუეა წინ წამოდგა ნაზად კატა,
მას მიუგავს თაჳი ლომსა, სინჯაფს ბეწვი გარდამატა...“ 5 v — 12 v.

წყება: „... ვეღარ ვიპოვე სასადილოსა, სუდარს მოვიხვევ ძველსა ტილოსა,
და მოლას მიმეცით უცხოდ ზრდილოსა, ქაბას დამმარხოს საწადილოსა მე...“

(708) 1439

ბესარიონ გაბაშვილი. რძალ-დედამთილიანი. XIX

8 ფ.; 21,8 × 18; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; მედრული; [XIX]; აქვს ჰეირნიშანი.

„ამბავი ესე რძალთ-დედამთილთ ჩხუბისა, ნათქუამი ლექსად ბესარიონ გაბაშვილის მიერ ქალაქსა ტფილისს.—
ამბაუსა ქეელსა მოგითხრობ, გულსა ამოდ მლხენელსა.
შეგაქცეთ, ამოთ გახარებთ, ამა ამბისა მსმენელსა...“ 1 r — 8 v.

შენიშვნა: ხელნაწერს ნაბეჭდ ტექსტთან შედარებით აკლია 77 — 101 სტროფები (იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ე. თოფურიას რედაქციით, გვ. 48—61.).

(709) 1440

მცნება მამისა ძისა მიმართ. XIX

25 ფ.; 22,3 × 17.8; ქაღალდი; უყდო; დაშლილი; აკინძულია სამ რვეულად; მხედრული; [XIX ს.]. დაუწერელია: 19 v, 25 rv.

„მცნება მამისა ძისა მიმართ, ყრმა მჴედრისა, მიმავალისა ბრ-ლაშჭროდ პირისპირ მტერთა, უცხოებისათჳს სამჴედროს წოდებისა და აღსრულებისათჳს ფიცისა. — უსყოვარლესო(!) ძეო ჩემო! ესრეთ უკუ შეხვედ შენ დიდებულსა ასპარეზსა სამჴედროს სამახე რისასა...“ 1 r — 24 v.

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია.

710) 1441 ა

ქართული ენის გრამატიკა (ფრაგმენტები). XIX

13 ფ.: 22,1 × 17; ქაღალდი (ლურჯი, ცისფერი, თეთრი); შუდო. ნაწყვეტები, მხედრული, სათაურები ასომთავრულით; [XIX ს.]: აქვს ჰვირნიშანი (ფ. 5); დაუწერელია 5 v — 6 v;

[გრამატიკა]. „რიცხჳ განიყოფების ორად: მხოლობითად და მრავლობითად. პირი განიყოფება სამად: პირველ პირად, მეორე პირად და მესამე პირად. ბრუნვანი არიან რომელნიმე ზმიდნი და რომელნიმე რუანი.

საზღუარი ზმნისა. — ზმნა არს ნაწილი სიტყჳსა...“ 1 r — 13 v.

მთავრდება: „... ყოველნი კითხუანი, რომლისანი ძიებისნი ს[ა]თ[ა]ნადო არიან მ[ი]ხრილ-ყოფად, მაგალ. ვინ ხარ, შენ ილია ხარ. კოპ... (დასრულდა, დიდება ღ[მ]ს)! ამინ“.

შენიშვნა: 1. დაწერილია სხვადასხვა ხომის, და ფერის ფურცლებზე, რომლებიც სხვადასხვა ხელნაწერის ფრაგმენტებს წარმოადგენენ.

2. ხელნაწერს ბოლო გვერდზე დართული აქვს სია უცხო ავტორებისა. (დიონოსიოს არეოპაგელი, ათანასე ალექსანდრიელი, ბასილ კესარიელი და სხვ.) და ექვსტრიქონიანი ტექსტი, რომელიც ასე მთავრდება: „ელისაბედ შვა იოანე ნათლისმცემელი, ღვთისმშობელმან შვა იესო ქრისტე“.

3. ზოგ ადგილას ტექსტი ნასწორებია.

1441 ბ

მარკოს ავრელი. საყოფაჴცეო ჰსჯა. XIX

6 ფ.: 22,1 × 16,8; ლურჯი ქაღალდი: შუდო: ნაკლული, დამლილი; მხედრული; სათაური ასომთავრულით; [XIX]: აქვს ჰვირნიშანი; (ფ. 5);

„საყოფაჴცეო ჰსჯა მარკოს ავრელეასი, ჭრომის კეისრისა. წიგნი პირველი. პაპისა ჩემისა ვერუსისაგან ვისწავე სიმდაბლე და უშურველობა...“ 1 r — 6 v.

წყდება: „... გარნა არა ახალი იტულება, იტულება, რომელი ითხოვს დიდსა და...“

1441 გ

ალგებრის სახელმძღვანელო (ფრაგმენტი). XIX

4ფ.: 21,7 × 17; ლურჯი ქაღალდი; შუდო; ფრაგმენტი; მხედრული; სათაურები ასომთავრულით; [XIX]; აქვს ჰვირნიშანი;

[ალგებრის სახელმძღვანელო]. „თავი პირველი. საზოგადო მოგონება ალღებრისათჳს. § 1. — სიდიდედ ანუ რაოდენობად ეწოდების იგი ყოველი, რაჲცა განდიდებად გინა დამცირებად ძალუძსთ...“ 1 r — 4 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... თავი მესამე. განმრავლებისათჳს მარტივთა რაოდენობათა § 23...“ (გადახაზულია).

შენიშვნა: ტექსტი ნასწორებია.

1441 დ

მიუცილებლობითისა მხხვერპლის შეწირვისათვის. XIX

6 ფ.: 22 × 16,7; ლურჯი ქაღალდი; უყდრო; მხედრული; [XIX]; დაუწერელია 4 r — 6 v.

„მიუცილებლობითისა მსხვერპლის შეწირვისათვის ყოველთა საუკუნეთა შინა მჭარედ თვითოეულისა კაცისა. § 1. — კაცი შესული თავისა თვისისა ცნობასა შინა, და განმსჯელი შეილის, დროებითის თვისსა ცხოვრებასა შინა მყოფობასა, თანამდებ იქმნების, რათა მიუცილებელად იცნას დამოკიდება თვისისა მყოფობისა...“ 1 r — 3 v.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი ნასწორებია.
2. ტექსტი შეიცავს 1, 2, 4 და 5 პარაგრაფებს.

1441 ე

ოთხთავი. (ფრაგმენტი). XIX

6 ფ.: 16,99 × 11; ლურჯი ქაღალდი; უყდრო; მხედრული; სათაურები ნუსხურად; [XIX].

„სახარება იოანესი. თავი პირველი. — პირველიდგან იყო სიტყუა და სიტყუა იგი იყო ღ~ის თანა და ღმერთი იყო სიტყუა იგი...“ 1 r — 4 r.

შენიშვნა: ბელნაწერს ერთვის ბოლონაკლული ეპისტოლე ავგაროზ მთავრისა. (4 r — 6 v.)

1441 ვ

ჰომიროსი. ილიადა. (ნაწყვეტი). XIX

4 ფ.; 22 × 17; ლურჯი ქაღალდი; უყდრო; დაშლილი; ფრაგმენტი; მხედრული, სათაური ასომთავრულით; [XIX]; დაუწერელია: 3 rv, 4 v.

[ჰ ო მ ი რ ო ს ი. ი ლ ი ა დ ა]. — „ესრეთ ჰსთქუა: გარნა ვერ აღუსრულა ესე იუპიტერმან; მიიღო რა მსხუერპლი იგი მისგან, განუმრავლა მას დიდი შრომაჲ...“ 1 r — 4 r.

წ ყ დ ე ბ ა: „... მხედრობასა მათსა აქუნდა ოცდაათნი ხომალდნი...“

1441 ზ

ისტორია მარციმირისა. (ფრაგმენტი). XIX

2 ფ.; 22 × 16,8; ქაღალდი; უყდრო; ფრაგმენტი; მხედრული; [XIX];

(ი ს ტ ო რ ი ა მ ა რ ც ი მ ი რ ი ს ა) „... გამბედავნი იყუნეთ, მაინც თქუენგან იქ შესულა არ შეიძლება...“ 1 r — 2 v.

წ ყ დ ე ბ ა: „... რომლის მაგიერადაც დამთმობელი მოგცემ საუკუნოდ გვირგვინსა ჩემსა, რომელიცა იქმნება მემკვიდრე ჩემის...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერის ზედა არშიაზე სწერია: „ისტორია მარციმირიანისა“ (1 v — 2 r).

ანდერძი: „ვინც აჰიდამ გარდაწეროს და სახარება სახელი არ დაწეროს, ღმერთმან მისი სახელი აღმოჴოცოს სასუფეველისაგან“ (166v.).

მინაწერი: 1 (ტექსტის ხელით, სინგურით): „ესე წიგნი იოსებ კლიმაშვილისა არის, ქართლელი რუისელი“ (189r)

2. „ეს ხელნაწერი წიგნი სახარებელიანის შედგენილია სამის ნაწილისაგან, რომელიც მოვიხსენე „სიბრძნე-სიცრუის“ წიგნის წინასიტყვაობაში, 1871 წელს ჩემგან გამოცემულში. ეს წიგნი უნდა კარგათ გამოკვლეული იქნეს, სულხან-საბა ორბელიანის ხელით-ნაწერი ხომ არ არის ნაწერი, 1887 წ., პეტრე უმიკაშვილი“ (5r).

3. (ეს მინაწერიც პ. უმიკაშვილის ხელითაა შესრულებული): „№ 4. შაკრო ხერხეულიძისაგან, მისი მეუღლის ნინო კობახიძისა ყიბლარიდამ მოტანილი ტფილისს 1870 წელსა“ (5r).

4. „ეს სამოთხის კარი არის რომის კათოლიკეთა კატეხიზმო, რომელსაც უწოდებენ საკრისტიანო მოძღვრებას (ხალხში „ვინ დაგბადაბს“). იქნება როან ეს იყოს ნათარგმნი ანუ გადმოკეთებული იტალიანურ ან სომხურ კათოლიკეთ კატეხიზმოსი. 1887. პ. უმიკაშვილი“ (167r).

5. „წაშლილია და შემდეგ დაწერილი; კათოლიკეთა ახსნის შესწორებაა წინაღმდეგ პიოელ ნაწერისა. პეტრე უმიკაშვილი“ (169v).

6. „ეს ფურცელი და ეს პირი ფრიად საჭიროა ვიცოდეთ, რომელ განმარტება Ø, თ, და ი ტიპებისა მრწამსისა (სიმბოლო სარწმუნოებისა); რადგანაც განმარტება ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორც რომის კათოლიკე ეკლესიაა განმარტებს, ამიტომ ამოუხვეიათ. ტფილისი. 1875 წ., პეტრე უმიკაშვილი“ (184r).

(763)

1507

დასტურლამალი. 1821

98 ფ. (II ფ+192 გვ.); 21×16; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა ფერადი ყდის საცავით (ყდა მოვარდნილია და გახეული); გვ. გვ. 173—184 ამოცვენილია; მხედრული, სათაურები სინგურით: ქვირნიშანი 1819 (ფ. II) და 1821 წ. (გვ. 189); გადაწერის ადგილი—ტფილისი (გვ. 169); დაუწერელია 147, 176, 190—192. პ. უმიკაშვილისაგან მიღებული.

(დასტურლამალი მეფის ვახტანგისა).—„ეჰა შენ, ყოველთა მბაძო, დიდება შენდა, რომელმან ყოველნი არაარსნი არსებად მოიყვანენ...“ გვ. 1—175.

შენიშვნა: 1. დასტურლამალი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) დასტურლამალი სამფო (გვ. 1—146) და ბ) დასტურლამალი სადედოფლო (გვ. 148—175). ბოლოში (გვ. 177—188) დართულია ორავეს საძიებელები.

2. ხელნაწერი წარმოადგენს დედანს პ. უმიკაშვილის გამოცემისა (დასტურლამალი მეფის ვახტანგ VI-ისა, რედაქტორობით პეტრე უმიკაშვილისა, ტფილისი, 1886), რასაც მოწმობს თვით პ. უმიკაშვილის მინაწერი (გვ.189), ცენზორის ხელმოწერა (ფ. II, გვ. 189), რიგი სასტამბო შენიშვნებისა ტექსტში (გვ. 146, 148, 173, 174, 175). და ფ. II-ზე დაკრული საღებრო მარკა.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. იხ. Описание... II, გვ. 697—698.

ანდერძი: 1. „დასრულდა მისის უმაღლესობის სრულიად ზემოსა საქართველოს მპყრობელის მეფის ვახტანგ ბაგრატოვანის დასტურლამალი, რომლისა ხსენება იყავნ საუკუნოდ. დიდება ღმერთსა, მომცემსა ყოველისა კეთილისასა“(გვ.146).

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. „აღიწერა ქალაქსა შინა ტფილისს, წელსა განბორციელებიდგან სიტყუსა ღ[ერ]თისა 1821-სა, ხოლო ქართულსა ქორონიკონსა ფთ-სა, მარტსა თჳესა 10-სა“ (გვ. 189).

მინაწერი: 1. „ეს წიგნი განსვენებულის პლატონ ეგნატეს-ძე იოსელიანისა არის. ამ წიგნიდამ (დედნიდამ) დაიბეჭდა პირველად დასტრულამალი 1886 წელსა ჩემის რედაქტორობით. პეტრე უმიკაშვილი, ტფილისი, 1886 წელსა 6 ივლისს.“ (189).

2. „გადავეცი წერა-კითხვის საზოგადოებას ქართველთა შორის. პეტრე უმიკაშვილი“ (გვ. 189).

3. გამოცემასთან დაკავშირებული ტექსტოლოგიური ხასიათის მინაწერები პ. უმიკაშვილის ხელით: გვ. 7, 21, 104, 111, 161.

4. „ესე დასტურლამალი ვიყიდე ალექსანძის იოველისაგან მე, მეფის ძემ ბაგრატმან, 1821, თვესა ივლისის ზ. ს[ანტ] პ[ეტერ]—ბ[ურგს]“ (გვ. 189).

5. „Дозволено Цензурою 29 марта 1886 года. Тифлис. Цензор“ (გვარი გაურკვეველია), ფ. II, გვ. 189.

(764)

1508

კრებული. 1787

(332 გვ.); 33×20; ქაღალდი, ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; დაშლილი; მხედრული, სათაურები სინგურით; სხვადასხვაგვარი ქაღალდი, ჰეირონიშნიანი, ერთ-ერთი სახის ქაღალდზე ჰეირონშანი 1786 (გვ. 281); ხელნაწერში ჩართულია ნაბეჭდი წიგნიდან ამოღებული ილუსტრაცია (გვ. 6); 1787 (7,65, 121 გვ.); გადამწერი გიორგი ავალიშვილი (65, 121 და სხვ.); გადაწერის ადგილი—მოსკოვი (65). დაუწერელია: გვ. 205, 208—210, 268: პეტრე უმიკაშვილისაგან მიღებული.

1. „კარი პირველი. ამა ამბისა დასაწყისი მიჯნურთ ამბავი, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფის თეიმურაზისაგან იოსებიანი და ზილიხანისა და ლექსადე მისგან თქმული...

არსებით ვიტყჳი ცნობილსა, სამებით ერთუფლებულად,
პუნებით განუყოფელად, ღუთაებით შეერთებულად...“ გვ. 7—65.

2. „კარი პირველი ლეილ-მაჯნუნისა, ამბავი სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები ღუთივ გეორგინოსთანისა ჴელმწიფის მეფის თეიმურაზისაგან...

— ღმერთო, რომელი თვით სიბრძნე ხარ სიბრძნის მომცემელობით, არსისა არა არსისა სიტყჳით დამბადელ მჭმნელობით...“ გვ. 67—121.

3. „... ვარდ-ბულბულისა გაბრჭობა, ნათქვამი... მეფის თეიმურაზისა...

—ჰე, არსისა შემოქმედო, შენგან არის ყოველი ფერი,
ცა, ქვეყანა, ზღვა და ჴმელი, დარი მზისა მონაფერი... გვ. 123—142.

4. „შედარება გაზაფხულისა და შემოდგომისა,... თქმული... მეფის თეიმურაზისაგან.

ღმერთო, რომელსა გაქებენ ზეცისა ძალად კრებულნი.
ქვე კაცნი, სამოსელისგან სამოთხით გამოძებულნი...“ გვ. 143—164.

5. [შამი-ფარვანიანი]., შელაპარაკება და ბაასი მათ-მათი შესაფერი, მიჯნუროზა და ფარვანისაგან თავის დაწუის გაწირვა. ლექსად ნათქვამი... მეფის თეიმურაზისაგან.

— ღმერთო, ყოველთა ცხადთა და იდუმალთ დაუფარაო,
ვის სერაბინნი ვერ გხედვენ, პირსა ფრთა-მოუფარაო...“ გვ. 165—178.

6. „[მაჯამა]. ქება და გალობა ჴელმწიფისა მეფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა, ნათქვამი... მეფის თეიმურაზისაგან.

—რადგან არ ვცხრები ქებასა, ვგონიეარ ამათ მისანი,
აწ ჩემთა გულთა ლახვარი სათნო მაქვს სათათ(!)მისანი...“ გვ. 179—185.

7. [მაჯამა] „... ნათქვამი... თეიმურაზისა.

— კვლაც მითქვამს სიტყვა უქმისა, პატიჟმან შემაშინაო,
ყოველნი განვლილთ სოფელსა, არვინ დარჩება შინაო...“ გვ. 187—196.

8. „აქა ხელმწიფეს მეფეს თეიმურაზს გრემის სასახლეზედ ლექსები ეთქვა...

— ღმერთი არს თავი ყოველთა, იგ ვაქოთ, განვადიდოთო,
სამნი ნათელნი ერთად ვთქვათ, მამა, ძე, სული წმიდითო...“ გვ. 196—197.

9. „ანბანთქება, თქმული მისვე მეფის პატრონის თეიმურაზისაგან.

— აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო,
აერსა ზედან საყდართა, დიდებით დამკვიდრებულო...“ გვ. 197—204.

10. „ქება და დიდება წმიდისა და ერთარსისა სამებისა, თქმული მეფის თეიმურაზისაგან.“ გვ. 204.

შენიშვნა: თვით ტექსტი მოყვანილი არაა, გადაწერს ცარიელი ადგილი დატოვებია (გვ. 204-დან 211-მდე), ოღონდ, გვ. 204-ზე სტროფების დასაწყისი სიტყვები სინგურითაა დაწერილი (სულ 3 სიტყვა).

11. „ეს ერთი ლექსი ოდეს მეფე თეიმურაზ დაეით გარეჯას მიბძანებულა, მეფის თამარის სახე უნახავს, მის მუნასიბად უთქვამს.

— მეფენი მოელენ სურვილით, შენსა საკვესა ჰმონებენ,
შეურაცხ-ჰყოფენ მნათობთა, ნათლად არ მოიგონებენ...“ გვ. 211.

12. [თეიმურაზ I]. „წამება წმიდისა ქეთევან დედოფლისა, შაიბაზ ყეენისაგან.

ღმერთო ცისა და ქვეყნისა საბრუნავითა მაქცეო,
ზე ალმართულთა ყოველთა დამცემო, გარდამაქცეო...“ გვ. 211—230.

შენიშვნა: ამ კრებულში მოთავსებული თეიმურაზ I-ის თხზულებანი გამოცემულია (იხ. თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, 1934).

13. „თხრობანი სულთა და ჭორცთანი ურთიერთას თქმული საქართველოს მეფის გიორგის მიერ.

პირველად ღმერთი ვადიდოთ დასაწყის დასაბამისა,
ანუ რას იტყვის პაველ და გრიგოლი დასაბამისა...“ გვ. 231—248.

14. „თავი და საწყისი უსჯულო მაჰმედის და ქრისტიანეთ გაბაასებისა ლექსად ნათქუამი შემოქმედელის იაკობისაგან ბრძანებითა მეფის გიორგისათა, ძისა მეფისა შაჰნაოზისათა...

—სოლომონ თქვა: სიბრძნის პირველ, დასაბამად შენ‘ში ღვთისა,
სამგვამოვნის ღვთაებისა, შემოქმედის მის ერთისა...“ გვ. 249—308.

15. „კიდევ ეს ორი ლექსი იაკობ შემოქმედელის ნათქვამია, წამა-უკუღმა წასაკითხავად მოყვანილია.

— მვნე, ახოვან, ქველ, დიდებულ, ისარ ღესულ ძლიერისა,
ჴმელ სამყაროს, ეთერ ბურჯის, ბრძენთ სუაადის შარავანდისა...“ გვ.308.

16. „ეს ერთი ლექსი სვიმონ კოპაძის თქმულია, წაღმა-უკუღმა წასაკითხავად მოყვანილია ესეც.

— წმინდა არს, წმიდა არს, წმიდა არს, სრა ადმიწ(!), სრა ადმიწ(!), სრა-ადმიწ...“ გვ. 308.

17. „ეს ერთ ლექსად მოყვანილი ანბანთქება სულხან-საბა ორ-ბელიანის ნათქვამი არის:

— ალმას ბასრი გალესული დაჰკვეთს ენათ ვაიმით ზმნათა...“ გვ. 309.

18. „ეს მეფის არჩილის ნათქვამია მისივე პასუხად.

— აღვძრა ბაგე, გული დავდვა, ეს ვის ზე ცე თამამობდეს...“. გვ. 309

19. „ეს ანბანთქებანი არიან თქმულნი მეფის არჩილის მიერ.

— ასულ ასულთა მშვერტნი დასულა, ესე ვინაა ჩემი დასულა...“ გვ. 309—311.

20. „ეს ანბანთქება უცხოდ და ახალშემოღებულნი და არ ადვილად სათარგმანებელნი ბატონისშვილის ვახტანგის მიერ.

— ასრე არის აგებული, ამგებელსა აქაქებდეს...“ გვ. 311—319.

21. [ი ო ს ე ბ] „ტბილელის ნათქვამი.

— სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა გებულო...“ გვ. 319.

22. „ეს ლექსი ვახტანგბატონიშვილის ნათქვამია.

— მე უმცირესმან ამათაგან, ვახტანგად სახელდებულმან...“ 220.

წ ყ დ ე ბ ა: „...მასპინძელს ივი უსინით, რაც გითხრას მაშინ თავს ახლად.“

შენიშვნა: ეს ლექსი სინამდვილეში ეკუთვნის გივი თუმანიშვილს (იხ. ე. მეტრეველი, ვახტანგ მეექვსის ეპიტაფიის ავტორი: „უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 43).

23. [ა ნ ბ ა ნ თ ქ ე ბ ა].

„აწ ბაგით გეტყვი დიონოს ერთს ვისმე ზნესა შენითა...“ გვ. 321.

24. [ლ ე ქ ს ი].

„ვიწყო, შეემზადო სიტყუანი მცირედ რამ ჩემთვის მზეოდა,
შენსა ქებასა მით დავსწერ, ვინ მარად თეისად მწეოდა...“ გვ. 321—322

შენიშვნა: 1. ხელნაწერი აღწერილია, იხ. Е. Такаишвили, Описание... II, გვ. 277—280.

2. გვ. 186 მოთავსებულია არაბულ-ქართულ რიცხვთა ცხრილი.

ანდერძი გადმოწერისა: 1. „ვის გნებავს ამ წიგნის კითხვა, მიირთვით, მე თქვენ გუნდობით,

ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ს ა გ ი ო რ გ ი ს მომიხსენებდეთ შენდობით.
დასრულდა ივნისის 25. კ ე. წელსა ჩ ლ ჯ ზ, მ ო ს კ ო ვ ს, ნ ა პ რ ე ს ნ ა ს.“

2. „დასრულდა წკათათვის პირველს, მ ო ს კ ო ვ ს ა, წელსა ჩლჯზ.
მე დავშუერ ამის წერითა, გარნა ველი დამეღალა,
ორის დღისა ვადის წერით გარდამედგა ესე ბალა,
იქ არ ვარგა მანაცობა, თუნცა კაცსა არ აქვს ძალა,
ესე ორ დღესა დავსწერე, მერე თავს ვარქვი ვალალა.
მოუსწორობისა ტრფიალნო, ოდეს ხედეთ ერთი მილი,
მეც მომიგონეთ თქუენ თანა გ ი ო რ გ ი ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი“ (გვ. 121.)

3. „ვარდ-ბულბულისა გაბრწყობას მოჭკვე ივლისს თთესა ორსა,
მასვე დღესა გარდავსწერე, სრულ ეძნე სადილობის დროსა,
მკითხველნო, მომიხსენებდეთ, ვარდსა ბულბული ებასა,
მე, წიგნის ამის მწერალსა, ნუ მისცემთ დავიწუებასა.
გ ი ო რ გ ი ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი“ (გვ. 142.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. „დასრულდა ივლისს ორს.
ღმერთო, რომელ მოწყალე ხარ, გეაჯები. შემიწყალე.
ვიმუშაე, გარდავსწერე ერთ დღესა და ორსა ნაღე.
ვინც იკითხოთ, ვომიხსენეთ, ეს წიგნი კარგათ იმპარეთ,
გიორგის ავალიშვილისთვის კურთხეულა ჭყოფდეთ მალ-მალე“
(გვ. 164.)

5. „დასრულდა ივლისს ხუთს. ამ წიგნსა სწერდა გიორგი, განა თუ გარდაგიოგი“ (გვ. 248)

მინაწერი: 1. (ს. უმიკაშვილის ხელით): „№ 6. პეტრე უმიკაშვილის მიერ იყალთოდამ ფირუზ მაყაშვილისაგან“ (გვ. 1.)

2. „ბრწყინვალეს თავადს. უმოწყალეს ქელმწიფეს და ბიძას ჩემს კნიაზ დიმიტრი იაგორიჩს, აღმძრავს მე სასაუბროდ თქვენდა სიბერე ნათესაობითი და ცნობად მუჯდობისა თქვენისა თჳსისავე ფამილიით, რომლისათჳსაც ვარ მზრახეული, პირისპირ მოვალ და ფოიდისა სიხარულით მოვეგებები და დაუთვალავს გაკოცებ ხელთა, ჩემთა მოლხენთა, და თქვენისა მშვიდობით მყოფელობისათჳს უფალსაცა მადლობას შევსწირავ. ქელმწიფეო ჩემო, ვითხოვ, რათამცა თქვენს კნინას და ჩემს ძალოს ჩემს მიერ სალამი გადოცადოთ და ჩემს სასამოვნოს პირს მიკოცნოთ. და თქვენის მშვიდობის ამბავსაც, ვინც წამოვიდოდეს, მიბძანებდეთ, რომელისათჳსაც დავშთები ერთგულებით სიყვარულსა ზედა თქვენის მბრწყინვალებისასა თქვენის ბრწყინვალების მარადის ბილეის მსურველი თქვენი დისწულის სოფიოს ქალი კნინა მაკა ბარამოვნა“ (გვ. 1).

3. „ნორჩო ახალო, სოლომონით მოსრულო.
ძმისწულო ჩემო და ძმაო იოვანე,
აღჰყვავილოვენ საკეთილდღეოდ შენდა,
შიშსა ღვთისასა სცევიდე მარად თჳს შორის.
სიხარულო, შენ მწუხარისა გულისა,
დაღათუ იჭნე მორჩილ მშობელთა შენთა,
რომლითა სრულ ჰყოფ ნებასა უფლისასა,
განიმტკიცებ ბით ფერჴსა ცხოვრებისასა.
გეჭნების და შენ ცანნი ყოველნი დატკბობილ.
ეარ(!) ანდრეძი ბიძისა გიორგისა,
დღეს წარსულელისა აჭაით შორით გზისა,
სად მიხვს წარდგომა წინაშე ქელმწიფისა.
მის მიერ თხოვად სათქვენოს კეთილ დღისა
მშვიდობით ჰყებდე დიდხანს მხედველ მხისა.“ გვ. 3.

4. „ზრაკ ბერი აკურთხეს არქიმანდრიტად დეკემბერს იზ, კ-კს უპა, ჩლვგ“ (გვ. 329.)

5. ქართული ასოებით დაწერილი რუსული ლოცვები (გვ. 66, 122). უკანასკნელ გვერდზე ხელმოწერაა: „ნე მონა თქვენი, ავალიშვილი გიორგი, მე მონა თქვენი იაგორ ივანიჩ ავალოვი“.

6. ქართული და სომხური ასოებით დაწერილი თვლა (ქართული, სომხური, სპარსული.) ბელშოწერა: „საქართველოს თავადი იაგორ ივანიჩ ავალოვი“ (გვ. 185.)

7. „სახელი სპეციითაო მამისა და ძისათაო და სულო წმიდაო, აწინ.
გოგია და გიორგასაული ბუთათაებულ ბერთათაო, გორგასალსა თვალში მობედა, თვალი აეცვა სისხლითაო. რა არი ამის წამალი? სამკურ შელოცვა, სამკურ შენერწყვა; ღმერთო, შენ დაწერე შენი ჯვარი.
სამი ხენი იდგნენ ლიბანისანი, სამი ფრინველი შემოჯდა: ერთი თეთრი, ერთი წითელი, ერთი შავი. ღმერთო, როგორც ჩუ პირში მარილი გადვწყ, ისე ამის თვალში ფრჩხილი“ (გვ. 4).

8. „ტაეპი. [...]. იხილე კალამი, შეჭირვებულთა მალამო,
ესეცა ტაეპი: შენცა აიღე, ემალე, არა თუ ეკლე ემალე“ (გვ. 5).

9. „პეტრეს მიერ ლარაძისა ლექსი ესე: აქ შეიდთა მთენია ციაგი ვიხილე ლალის ბუდესა...“ (გვ. 5.)

10. „ესცა მისივე პეტრე ლარაძისა. მჭვრეტნო, იხილეთ, იოსებ ჭელ-
მჭმნელსა ელტვის კელიევით...“ (გვ. 5).

11. „შაირი.

სოფლის მიმყოლნი ყოველნი განცხრობენ, შეება-ლხინობენ,
ჰაბუკნი ხლტიან სიცილით, ლხინში სმენამდი ღვინობენ,
მტერნი უძილნი, ეშმაკნი, ხარობენ, ამას სმინობენ,
არ ეხსენებიან სოფელსა, სოფლის გაშვებას წყინობენ.
მაჯნუნისა სიხარული ჯოჯოხეთამან მწარედ შესვას,
გულსა წყლულსა ლეილის მიერ ფისი შესცხოს, ამოდ ზე სვას.
ლეილისა სიყვარული ამოუღოს, რაცა ესვას,
დაუტეეთ ყოვლთ მოყვარე, ვის ბოროტად სად ვინ გესვას“ (გვ. 66.)

12. [ანბანთქება].

„ეგ ბძანება გესმას დავით, ელლინო ვარდი ზნეთ შეგთენობს,
თუთა ისმენ, კაეთა ლმობენ, მცირის ნდომით ორ პირველობს,
ჟამმან როს სრვა ტანსა უყოს, ფარვა ქებით ღან ყოველობს,
შინ ჩანს ცაებო, ძნელ წარბ ჭერეტით, ხვალ ჯოროხეთით ჯდომა ჰე
[ჰვე]ლობს“ (გვ. 122).

13. [ლექსი]. „წიგნი ესე დაფარული შენ მიერთოს ჩემსა მზესა,
მოწყალესა ხელმჭიფესა, შინ იყოს, თუ გარეთ დგესა,
წაიკითხოს, შეინახოს, ჯიბეს იყოს თუ უბესა“. (გვ. 207.)

14. [ლექსი]. „დილას რა ავდეგ, მომაგონდა საყვარელისა ღაწვები,
მიმოვიხედე აქა-იქ. მუნვე ვნახე, საცა აწ ვები...“ (გვ. 323—324.)

15. [ლექსი]. „სულმან იცნა სახე მისი მთენია...“ (გვ. 324.)

16. [ლექსი]. „მიკვირს, თუ რა გულსა სევდა გესევდა...“ (გვ. 324.)

17. [ლექსი]. „ოოს მოშორდეს საყვარელსა აზნებანი“ (გვ. 324.)

18. „ესმა კ წლისასა პეტრე ლარიძის თქმული. ვინც ეს ანბანთქება
გადასწეროთ, ყოველი პირველი ასო წითლურით შეღებადეთ და ისე აღსწერეთ.—
ასე აღმაცქა, აღნაგსა აკრთობსო, აღვად აოებსა...“ (გვ. 325—327).

19. „პეტრეს მიერ ყარიბისა ჩაბრუნებულად ა წლისა.—
შეგხვრალდე შენი ნათელ დღიერ მკვდარი ყარიბი მთენ ზეციერ...“ (გვ. 328)

20. „მიერ ყარიბისა შაირად ჟამსა კ წლისასა.

ამ ჟამს ვისურვებ, თქვენს არეს ვემსელლობდე, ვითა ფრთიანი,...“ (გვ. 328.)

21. „პეტრესი, ჟამსა იე წლისასა.—

ჰაი, ნოვსთქვამ საყვარელსა, ჰაი, სრულად ია-ვარდი...“ 328.

22. [გამოცანა] „ოთხ ნივთუნი ხუთ სხეულებრ ორნი ერთსა ელვარობენ,
/სამი ერთის შესამკობლად ერთი-ორად მორბედობენ, /ორნი ცანი სამს მნათობსა
ერთსა ორნი შეამკობენ, /ორნი მშვილდნი ახლენი ერთის ისრით მოსწრაფობენ-
თერთა და წითელი, ე. ბ. ა. გ. ა.“ (გვ. 329.)

23. „ქრისტე აღდგა. გიხაროდეს მხიარულებაო, იშვებდ შვებაო...“ (გვ. 330.)

24. „ესე წიგნი წავიკითხე, ყარდ-ბულბულისა ღაიხრობანი,
ათ მუყაგან მიეკო განსვენება ცბოსებანი,
გიორგი ავალიშვილის გადაწერილი მცნებანი,
სახსოვრად მათდა დაბეჭდილი, და წერით მოკიდებული.“

25. [ლექსი]. „იადონი და სუმბული ხარობს შიბასი...“ (გვ. 331.)

26. [ლექსი]. „მეორედ მოსულს მოუალთ ყოველნი...“ (გვ. 331.)

27. [ბესიკი]. „მოდით, მაკვირვონო მსაულიერნო, ვინ ხართ დაგულნი...“(გვ.332)

შენიშვნა: ეს ლექსი ბესიკის თხზულებათა სრულ კრებულში (თბილისი, 1932)
სადაოთა შორის აოის შეტანილი (იხ. გვ. 90).

28. [ლექსი]. „პირველ აღმობდა ცისკარ დაუშრეტელი სანთელი...“ (გვ. 332.)

(765)

1509

სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი. XVIII—XIX

222 ფ.; 32,5×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ფფ. 2—7 დახიანგებული და რესტავრირებული; ნესხური, სათაურები სინგურით; ნახაზები: 126r და 177r; ჰვირნიშანი 1789 (ფ. 13); [XVIII]— XIX]; დაუწერელია: 1r—2v; 3. უმიკაშვილისაგან მიღებული.

„სიტყვის კონა. ქართული ლექსიკონი, რომელსა თანადართვით უწერია ენანი იტალიელთა, თურქთა და [სომეხთა].—[ა]ს. 18 კვეშირში. ანი არს პირველი ასო და ქმ[იანი]...“ 4v—219r.

შენიშვნა: 1. ფ. 40r—75v განსხვავებული უფრო ძველი ხელითაა დაწერილი, ქაღალდიც სხვაა—თეთრია, დანარჩენი კი ცისფერი.

2. ტექსტს წინ უძღვის: „[ანდერძნამაჲი ამის მუშაკისა] ფრიად დაჰმშვრალისა მოსწავლეთათჳს“ (3r—4r.)

მოსდევს: ა) „კ“ეს ის“ოს სამეოცდა ათორმეტთა მოწაფეთა სახელები და ვინაჲ იყვნეს“ (219v—220r.); ბ. „თეეთ სახელები სხვაჲ და სხვა ენათანი“ (220v—221v); გ) „ჩინელნი ათორმეტს წელს ცხოველს აუფლებენ და თვითო წელიწადს თჳოის მიაჩემებენ“... (222r); დ) „ათორმეტთა ხოდიჯოთა(!) სახელები“. (222r); ე) „პოხელეწი ქართულნი და თათრულნი, როგელნი შეემოწმნის“ (222v)

ანდერძი (ძველი ნაწილის გადამწერისა): „კ“ეს შ“ე შეცოდებული იღუმენი გრიგოლ“ (53r).

მინაწერი: 1. (ბ. უმიკაშვილის ხელით): „№ 7. პეტრე უმიკაშვილის მიერ. ივანე გიორგის ძის ჯორჯაძისაგან (ენისელათ). ეს ხელნაწერი ეკუთვნოდა იოანე მაბარებლის მონასტრის საგარეჯოს არქიმანდრიტს იოანე ჯორჯაძეს“ (3r).

2. „არხიმანდრიტი იოანე ჯორჯაძე“ (3r).

(766)

1510

სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი. 1840

296 ფ; 33×21; ქაღალდი; მუყაოს ყდა; მხედრული; 1840 (290v); გადამწერი—სიმონ ბესარიონის-ძე მიქიელი (290v); დაუწერელია: 1r—2v, 272r, 274r, 291r—296v; ბ. უმიკაშვილისაგან მიღებული.

[სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი] „ადრაზაეად: ზავთით; ადრაგუნი და ნასრანი: ყეავილი...“ 3r—290r.

შენიშვნა: 1. ხელნაწერი თავსაკლული არაა, რადგან გადამწერს ხელით გაკეთებული ნუმერაცია რევიზებისა სწორედ 3r-ზე იწყება. როგორც ჩანს, გადამწერს ნაკლული დედანი ჰქონდა. ამავე მიზეზის გამოა დატოვებულია დაუწერლად 272r და verso-ს ნაწილი, 274r და verso-ს ნაწილი.

2. 149r-ზე მოთავსებულია ნათესაობის განსამარტავი სქემატიური ნახაზი. ასეთივე ნახაზისათვის (სიტყვათან კარი) დატოვებულია ადგილი 226v-ზე.

3. ხელნაწერი B რედაქციისაა, იხ. ლ. კუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, გვ. 271.

4. ლექსიკონს ერთვის საბა ორბელიანის curriculum vitae: „ამა წიგნის მომღუაწებელსა სულხან-საბა ორბელიანს ლოცვით მოიხსენებდით. მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის დედის ძმისწულსა, საქართველოს მსაჯულის ბატონის ორბელის ძესა; ამათ მეფეთ პრძანებითა, აღწერა ესე წიგნი ფრიადითა შრომითა და რუდუნებითა, რ“ ქართლის ქვეყანასა ლექსიკონი აღარ იპოებოდა და ოცდაათს წელიწადს ძველ შეწყო განპარტებითი,

რამეთუ ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალოჲ იყოჳა მაშინ კორანიკონი იყო ჩჷპე. ამის შემდგომად მონოზან იქმნა და გარეუკიც მრავალ მთის წმიდის ნათლის მცემელის მონასტერს დადგრა კ"ს ჩჷპს, მარტ. ი"-ს მონაზონ იქმნა კ"ს ჩლი. დეკემბრის ა-ს ბერა ანი წავიდა, მეფე კაი-ხოსრო ეკმა, და ფებერვალს კ-ს გამოისტუმრა მრავალი ნიჭითა. კ"ს ჩლიბ აპრილს კგ-ს ისპაანს წავიდა, მეფე ეახტანგს გაჷყჷა ბ-ს ნოემბერს გამობრუნდა, დეკემბერს კ-ს კართლს მოვიდა, კ"ს ჩლიგ აგვისტოს იზ-ს საფრანგეთს გაიპარა. ფრანცია, ჯუნეია, სიკილია, რომი ნახა. ფრანცისას მეფე, რომპაპი, კრანდეჳა უცხოთ კარგად დაბუდნენ, ყოველი კაცი გაჷკვირდა. რაც იმ ჴუტყნებში უცხო და ძვირი სანახაჲი იყო, ყველა აჩეენა. პაპამ წმიდის ჯუარის ნაწილი, წმინდა კლემენტის მოწამის თავი და სხუა მრავალი ნაწილი უბოძა. ი" მარიამობისთვეს გამოისტუმრა. გზებზე წმიდა სახლი და მრავალი წმიდა ადგილები მოილოცა. ოცს ღუნობისთჳეს მალთას მოვიდა. ჱ დეკემბერს ფრანცისას მეფის ხომალდი მოუვიდა, წამოვიდა. კ"ს ჩლივ-ს იანვრის ით-სა კოსტანტინეპოლეს მოვიდა, იქ დაეგიანა. ის წელიწადი ფრანცისის დუსპანისას(!) იდგა ბერის შეწყობითა. იქ იწყო წერად ლექსიკონი ესე აგვისტოს ი-სა და კ"ს ჩლივ-ს იანვარს ოცს გაასრულა". (290r-v).

ანდერძი (გადაწერისა): „სრულ ვყავ წიგნი ესე მწერლობითა ტფილისის სემინარიის მოწაფემ სიმონ ბესარიონის ძემ მიქიელმა. [თ]უ, მკითხველნო, თუმცა შეცდომა რაიმე იხილოთ, არა ვარ მე მიზეზი შეცდომისა, არამედ დედანი იყო სუსტი, ჩამატებული და ძველი მჭირდა, ჩყმ-ს წელსა, ივნისის კვ-ს" (290v).

მინაწერი: 1. (პეტრე უმიკაშვილის ხელით): „№ 8. პეტრე უმიკაშვილის მიერ გაბრიელ რატიშვილისაგანა სოფელ კსოვრისითგან" (3r.).

2. „ეს ლექსიკონი გულთა საკონი,
ესრეთ სასუფევი, ვით ვარდის კონი. წელსა ჩყმდ სეკდემბერს დ. ბარბარა" (1r.).

(767) **1511**

კრებული. 1821—1823

343 ფ: 30×20; ქაღალდი (ცისფერი და თეთრი); ტეიფრული ტყავგადაკრული მუყაოს ყდა (მთლიანი ხელნაწერი აკინძვის დროს ორად გაეყვეთო, მეორე ნაწილი მოთავსებულია S—1512-ში, ისე, რომ პაგინაცია ორივე კრებულში არეულია, იხ. შენ. 3); პვირნიშანი—1816 (ფ. 5), 1820 (S—1512, ფ. 3), 1821 (S—1512, ფ. 16); გადაწერის თარიღები—1821 (S—1512, 246r), 1823 (310r, 335r); გადამწერი—დავით რექტორი (310r, 335r); მოგებული—გიორგი ეგნატეს-ძე თუმანოვი (S—1512, 246r); გადაწერის ადგილი—თბილისი (S—1512, 246r), დაუწერელია: 1r—2v. 30rv, 40v—41v, 50v, 58v, 68v, 76v, 94rv, 103v, 110rv, 127v—128v, 135v, 144r—145v, 169rv, 172v, 184r—135v, 194v—196v, 226r—228v, 273v, 280v, 335v, 336v—343; პ. უმიკაშვილისაგან მიღებული.

1 „იესეს ძირთაგან აღმოცენებულისა და დავითის რტოდ აღმოფურჩნილისა და სოლომონის ტომად სიბრძნით საჩინოსა ძეა ღ"ის მეტტყმლებისა მადლისა ღირს-ქმნილსა ღ"ე გჳრგჳნოსნისა მეფეთ-მეფისა და თჳთ ჴელმწიფისა. თეიმურაზის მიერ აღმოთქმული წმიდათა ქება ანბანზედ თქმული.—

ადამ ვახსენოთ პირველად, თჳთ ღმერთთან შექმნა რომელი..." 3r—6v.

შენიშვნა: ტექსტი გამოკვლეულია (იხ. თეიმურაზ პირველი, თხუთმეტიათა სრული კრებული, 1934, გვ. 145—149).

2. „ქება დადიდება წმიდისა და ერთარსისა სამებისა და ღთაებისა ბუნებით განუყოფელისა, ხოლო გვამებით განყოფილისა, კრებათაგან დამტკიცებულისა ჩახრუხაულად თქმული მეფის პატრონის თეიმურაზ პირველისაგან, რომლისა ჰკსენება კურთხევით საუკუნო იყავნ.

ჩახრუხაული.—აღვაღო პირი, სიბრძნე და ძჯრი, ზესთა ძალისა ჩემისა მბობად...“ 6v—9r.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 161—167.

3. „მისივე „ანბანთქება, პირველის თეიმურაზ მეფისაგან ნაბრძანები ფისტიკაურად ოც მარცულედი.

— ანო ალეისა, ბანო ბროლ-ვარდი,
განო გარევით ნაყოფად ესხეს...“ 9r-v.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 159—160.

4. [იოანე შავთელი. აბდულ-მესიანი.]. „მეფის არჩილის ქება დავითიან-ბაგრატოვნისა, თქმული ჩახრუხაულად, რომლისა ჰკსენება საუკუნო იყავნ. ოც მარცულედი.

— სამებით ღმერთმან, არსებით ღრთმან,
მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად...“ 10r—20r.

შენიშვნა: არსებობს „აბდულ-მესიანის“ ტექსტის რამოდენიმე გამოცემა..

5. [თეიმურაზ I. სოფლის სამდურავი]. „სხუა გუარნი ღექსნი დაიწყებიან, ჴვგონებ პირუწლის თეიმურაზ მეფისაგან იყოს ნაბრძანები ოთხოთხი ტაეპი ათეჴუსმეტმარცულოვანი შაირად.

— ღმერთო, რომელი შენ ჰსუფევ ჰაერთა თანა ცაშიგან...“ 20v—22v.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 138—141.

6. „შამი-ფარვანას გამიჯნურება, მეფის თეიმურაზ პირუწლისაგან გალექსილი. სპარსულის ენისაგან მისგან გარდმოღებული.

— ღმერთო, ყოველთა ცხადად და იდუმლად დაუფარაო...“ 23r—29r.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 15—23.

7. „ვარდ-ბულბულიანი, მეფის თეიმურაზ პირუწლისაგან გალექსილი, სპარსულის ენისაგან მისგანვე გარდამოღებული ქართულად.

— ჱე, არსისა შემოქმედო, შენგან არი ყოველი ფერი...“ 31r—40r.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 3—14.

8. „შედარება. გაზაფხულისა და შემოდგომისა, ნათქუამი მეფის თეიმურაზ პირუწლისაგან, რომელ არს ენა რიტორი.

— ღმერთო, რომელსა გაჭებენ ზეცისა ძალთა კრებულნი...“ 42r.

შენიშვნა: ხელნაწერში „გაბაასება“ მთავრდება ნაბეჭდი ტექსტის მე-83 სტროფზე.

9. „ღექსი სჯმონ კოპაძისაგან ნათქუამი.

— შევიმოსე ახალი და პირუწლ ძმულ ღ˙თით განვაგდევ,
თორმეტ თუალად ჰაროსნისად და ალმასად, ლალად დაგდევ“... 49v—50r.

10. „ლექსი მუნასიბი და სათარგმანებელი, ქება და მკობა ყელაშფის მეფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან-დარეჯანისა, ნათქუამი მეფის თეიმურაზ პირუელისაგან, სუფევით ჰყოს უფალმან. მაჯამა.— რადგან არ ვჰსცხრები ქებასა, ვჰგონივარ ამათ მისანი...“ 51r—58r.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით—გვ. 121—125.

11. „საქართველოს ზეობა, რომელი ჯერ-არს ესევითარად წურთილება კაცთა, რომელთა ჰნებავს, რათა სრულ იყოს საწუთოსა ამას ზნეკეთილობათა მიერ, ესე ყურად-იხვენ და გულად-მიიხვენ, რომელი-ესე აღუწერია მეფესა არჩილს და ლექსად წარმოუთქუამს, რათა ყოველნი ესრეთ იქცეოდენ. ამა ისმინე ესე, მკითხუელო.

— მოწყალე ხარ მართლის გულით მოქენეთა უხვად, ღმერთო... 54r—68r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, I, 1936. გვ. 3—14. ხელნაწერის ტექსტი ნაბეჭდზე მოკლეა, მთავრდება ნაბ. გამოც. გვ. 13, სტროფი 96).

12. „თქმული მეფის არჩილისა მიერ ბაგრატოვანისა, მეფის ვახტანგის ძისა, ანბან-ლექსი ამოცანად სათარგმანებელი, უცებთოთს მცირედრე საჭიროდ წერტილნი და ბრძენთა ადვლ გულისჴმის-საყოფელნი.

— არსი ყოელთა დამაარსი, სხუა უარსო არსად არი...“ 69r—76r.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 277—285.

13. „დავით გურამიშვილისაგან ნათქუამი სხუა გუარი გაბმული შაირი.

— ეო, მეო, აქეთ მომხედეო,
რას მოგითხრობ სიყუარულსა, ყური მომიგდეო...“ 77 recto-79v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (იხ. დავით გურამიშვილი, დავითიანი. 1955. გვ. 126—129).

14. „დავით მღუდელს ეთქუა ურია-ყოფილსა ზაქარია გაბაშვილს მოძღუარზედ. გითბა უფერული. ქკს უნა.

— ძე ღ[მრ]ისა ქეყნად კაც იქმნა, ადამს მიესმა ძახილი...“ 80r—82r.

15. „ამისი მაგიერი უპასუხეს დავითს. მოძღურის ერთგულთა ეიეთმე.

— ეგ შენი ენა გულთა სატკენა, მესმის, ვეჩვე, მწვირე აღმოგედენა...“ 82r—85r.

16. „მანანას თქმულნი შაირნი.

— ევა გარდაჴდა მცნებასა, ჭამა ურჩების ხილია...“ 85r—91v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. (იხ. ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, 1936, გვ. 80—99).

17. „მანანასაგან ციების ბაასი.

— ციებამ უთხრა:

გაგშორებიავარ, მანანავ, როგორც რომ გაღმა დიცია...“ 91v—93v.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 100—105.

18. „აბლა ამის დამწერს ოსტატი ამხილებს ლექსით.
— კარგად მიწვრთნიხარ, აღნიავ, მეტად გაქებ წარმკითხველი...“ 93v.
19. [მანანა] „ესეც რაღაც ღარიბად თქმული.
— მე ერთი ჩიტი გავზარდე, ელვარე არის წითელი...“ 93v

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 109.

20. „ბრძოლა ძლიერი კატისა„თაგუთა მიმართ და თაგუთა სამთა გუართა ცხოველთა თანა-შეწევნითა კატისა მიმართ, რომელი იქმნა მეფობასა სპარსთა შორის ძლიერისა მეფეთ-მეფისა შაჰუნშაჰისასა, რომელსა ნადირშაობითცა უხმობდენ კაცნი სპარსეთისანი, თქმული შაირად ისაკ მცირისა მიერ, რომელმან დალექსა პირისპირად მოთხრობანი ჰამბავთა მისთანი.
— ყოველს მგრძნობელს ცხოველს შუა წინ წამოდგა ნაზად კატა...“ 95r—103r.

შენიშვნა: ტექსტი ნაწილობრივ გამოქვეყნებულია (იხ. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, 1928, გვ. 232—237). პოემის ავტორად გამოცემაში დასახელებულია ზაქარია გაბაშვილი. პოემის, ავტორობის შესახებ იხ. კიდევ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. II³ გვ. 609; ტ. რუხაძე, XVIII ს. ქართული სატირის ისტორიისათვის: საიუბილეო კრებული კ. კეკელიძის, 1959, გვ. 295—303.

21. „ვოლტერის თქმული, (ტაქტიკაზედ) ხოლო ფრანციცულის ენისაგან თარგმნილი და გარდმოღებული ქართულსა ენასა ზედა თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის ძისა მიერ, ორ-ორ ტაეპად გალექსული.
— მე ამას წინად ვეწვივე ჩვენს მეწიგნეს მათეოზსა...“ 104r—107v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ა. ჭავჭავაძე, თხზულებანი ი. გრიშაშვილის რედაქციით, 1940, გვ. 163—167).

22. „ალექსანდრე ჭავჭავაძისგანვე გარდმოღებული ფრანცულით(!) ქართულსა ჴმასა ზედა დალექსვით მოძღურისა და მოწაფისათჳს.
— ერთსა ვისმე მოხუც პატრსა, პარასკევსა დიდ მარხვისას...“ 107v—108v.

შენიშვნა: გამოცემული ტექსტის მიხედვით გვ. 160—161.

23. „მგლისა და კრავისათჳს, გიორგი ავალოვისაგან(!) თქმული.
— კრავსა ერთსა მოეწყურა და მიმართა წყლისა კიდეს...“ 108r—109r.
24. „თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან ფრანცუცულით ნათარგმნი ჰრიჭინასათჳს. [ლაფონტენიდან].
— ჰრიჭინამ ერთხელ ჰრიჭინით მთელი ხაუხული ატარა...“ 109v.

შენიშვნა: გამოცემული ტექსტის მიხედვით გვ. 156.

25. „მისის ბრწყინჳალების ქალბატონის თავადის ენდრონიკაშვილის ქაიხოსრო მდივანბეგ ელიაღასისაგან თქმული დალექსჳთ, კარი პირწლი წიგნისა ამის შესავალი, რომელსა ეწოდების მიჯნურთ ბადე, ამად რომე მიჯნურსა ბევრი საცთომელი ჰსდევს, და თავის შენახვა მართებს,

რათამცა ბადესა ამას შიგან არა გაებას, თვარა გამოჰჭსნა ძნელიღაა, ამად რომე არა ყოველთაგან შესაძლებელია მიჯნურობა. და თუ ვისმე მიჯნურობა გწადდესთ, ესე წიგნი აღმოიკითხეთ, და ამას წიგნსა შინა რაცა ეწეროს, თუცა სრულად გჰირდესთ, ჴელ-ჰყავთ საქმედ, და თუ არა ღა თავი ჰამოდ შეინახეთ.

— ახლა გამოვჰსჩნდი, დამერქო სახელად მიჯნურთ ბადია...“ 111r—127r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ანთოლოგია, II, გვ. 257—266).

26. „თქმულნი ლექსნი სამიჯნურონი, რომელსა ეწოდების ე შ ა ხ ნ ი ა. ჴ ჩახრუხაული.

— ზამბახის პირი, მნახავთა ჰირი, კეკლუცს უფარავს მაზე წარბებით...“ 129r—136r.

27. (ნ ა რ გ ი ზ ო ვ ა ნ ი.) „კარი პირველი ნარგიზოვანისა.

— ჰე საყვარელო, შენის გონებით ნარგიზოვანო...“ 137r—143r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ნარგიზოვანი, ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს რედაქციით. 1936).

26. „სრულად საქართუ̈ლოს სამეფოთა ქართლ-კახეთ-იმერეთისა და ხუთთა სამთავროთა, და სხუათა მპყრობელისა ბაგრატოვანის მეფის გიორგის ასულის თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს ქ ე ბ ა ჩ ა ხ რ უ ხ ა ს ძ ი ს ა გ ა ნ, რომელი იყო ადგილთაგან არაგუსათა, თემით მოხევე, მისვე მეფის თამარის მდივანი; ესე მან დალექსა ოც მარცუ̈ლოვნად, თითოს ტაეპსა შინა წყობილად და მის გამო უწოდებენ ქართუ̈ლნი ჩახრუხაულსა.

— მო ქ ი ლ ა ს ო ქ ნ ო, სიტყუთა არსნო,

თამარს ეაქებდეთ, გულისჴმიერსა...“ 146r—157r.

შენიშვნა: ტექსტი რამოდენიმეჯერაა გამოცემული.

27. „წ ა მ ე ბ ა ქ ე თ ე ვ ა ნ დ ე დ ო ფ ლ ი ს ა სპარსეთის ჴელმწიფის შაჰაბას მეორისა უღმრთოსაგან ქალაქსა შირაზს, თთ̈ესა სეკდემბერსა ი ჱ, წელსა 1624, ქ ჳ ს ა ქართულსა ზედა 312. ესე ქეთევან იყო დედოფალი კახეთის სამეფოსა და მეუღლე კახთა მეფის დავითისა და ასული ა ზ ო თ ა ნ ბ ე ი ს ბატონისა და დედა კახთ მეფის კეთილმორწ̈მუნისა თეიმურაზ პირველისა. ამან თ ე ი მ უ რ ა ზ მეფემან, ძემან მისმან, წამება და ღვაწლი დედისა თჳსისა. დალექსა პირად-პირად ჰამბავითა მისთანი.

— ღმერთო ცისა და ქ̈ჳ̈ყანისა, საბრუნავითა მაქცეო...“ 159r—168v

შენიშვნა: 1934 წ. გამოცემის მიხედვით გვ. 126—137.

30. „სასწაული მთავარმოწამისა წ̈მიდისა გ ი ო რ გ ი ს ა.

— ჰ დიდო წ̈მიდაე გიორგი, მთავარმოწამეე ღ̈ითისაო...“ 170r—172r

31. „ც ხ ო ვ რ ე ბ ა და მოქალაქობა ა ლ ე ქ ს ი ა ც ი ს ა ღ ̈ი თ ი ს ა, ახლად შაირად გარდათარგმნილი, მარგებელი მსმენელთა და მკითხ̈ველთათჳსცა, თქმული ს ა ა კ ა ძ ი ს ა გ ა ნ ი ო ს ე ბ ტ ფ ი ლ ე ლ ი ს ა გ ა ნ.

— ღმერთო, შენ გაქებ, ყოველთა ვინ უმეტეს ხარ ძლიერი-..“ 173r—183v.

32. „ქება და წამება წმიდისა მარინასი, თქმული შაირად. ხოლო ესე დიდი ქალწული მოწამე წმიდა მარინა აღესრულა თთჳსსა იულისსა, ათშჳდმეტსა, დასაბამითგან წელსა 5770, ხუთი ათას შჳდას სამოცდა ათსა. — დასაწყისია პირუელი წმიდის მარინას ქებისა...“ 186r—194r.

შენიშვნა: კ. კეკელიძეს პოემის ავტორად მიაჩნია იოსებ საბაძე (იხ. ქართ. ლიტ. ისტ., II², გვ. 480). ამავე აზრს იმეორებს გ. ლეონიძე მისი რედაქციით გამოსული „დიდმოურავიანის“ წინასიტყვაობაში (1939, გვ. XXIX). ე. თაყაიშვილი, რომელსაც აღწერილი აქვს ამ პოემის ორი ხელნაწერი (S—1511 და S—1203), ავტორს არ ასახელებს (იხ. Описание, ტ. II, გვ. 194 და 216).

33. (ლეილ-მაჯნუნიანი). „კარი პირუელი ლეილ-მაჯნუნისა, სპარსულისაგან ქართულად გარდმოთარგმნული და გალექსეთ თქმული მეფის თეიმურაზ პირუელისაგან, სასმენელად შესაკცევი მიჯნურთ ლექსი:

— ღ'თო, რომელი თჳთ სიბრძნე ხარ სიბრძნის მამცემელობით...“ 197r—225v.

შენიშვნა: 1934 წ. გამოცემის მიხედვით გვ. 24—59.

34. (იოსებ-ზილიხანიანი). „კარი პირუელი იოსებისა და ზილიხანის გამოჯნურებისა, სპარსულისაგან ქართულად გარდმოთარგმნილი მეფის თეიმურაზ პირუელისაგან.

— არსებით ვიტყჳ ცნობილსა, სამებით შეერთებულად...“ 229r—2[illegible]0v.

შენიშვნა: 1934 წ. გამოცემის მიხედვით გვ. 60—98.

35. „ბესარიონ გაბაშვილის მოძღურის ზაქარიას ძისაგან თქმული რძალ-დედამთილის შუღლი და ბჭობა.

— ჰამბავსა ქებულსა მოგითხრობ, გულსა ჰამოდ მლხენელსა...“ 261r—273r.

შენიშვნა: ტექსტი გამოკვეყნებულია (იხ. ბესარიონ გაბაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, აღ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით, 1932, გვ. 48—61).

36. „მზეჭაბუკ ორბელიანისაგან მიწერილი დედოფლის ღისა მიმართ ანასტასიასადმი ჟამსა ყრმობისა მისისასა და თხრობა ბარათისა თჳსისა, რომელი მიეტაცა, რომელმანცა ჰსთხოვა თჳსგან ნათხზი ბარათი ლექსითა ამით, გარნა მან არ ისმინა მისი და არცაღა მისცა თჳსი მას და იყო ლექსი ესრეთ:

— ეტრფი, ესურვი სურვილით, ბჭრძენთ ნასიბრძნ ნაკაზ თქმულებსა...“ 274r—275r.

37. „სხუა ბაასი ხილთ ქებისა; ყოველი ხილი და ხე აქ შემოკრებულა. თქმული ცხებულის მეფის თეიმურაზ მეორისაგან შაირად.

— მარწყჳმან ჰსთქუა: მოვალ პირუელად, მე ვერ მამისწრობს ხილია“... 275v—280r.

შენიშვნა: 1. ტექსტი გამოკვეყნებულია (იხ. თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული, 1939, გვ. 109—113). 2. დავით რეკტორს ეს ნაწარმოები ორჯერ გადაუწერია თავის კრებულში (იხ. S—1512, 183r—186v).

38. „თავი დასაწყისი უსჯულოს მაჰმადისა და ქრისტიანეთ-მტრობისა, ლექსად ნათქუამი შემოქმედებელის იაკობისაგან ბრძანებითა მეფის გიორგისთა ძისა მეფის შანაოზისათა.

— სოლომონ ჰსთქუა სიბრძნის პირუელ დასაბამად შიში ღ[მრთისა...“ 281r—310r.

39. „ჰამბაიი მაჰხმდისა(!) თარგმანსა შინა ფსალმუნისასა მოყუანილი, და წიგნთაგან მახმადიანთაგან გამოღებული, და ნათესაობა მათი. გალობა, ფსალმუნი ასფისი ჰბ.—ესე ფსალმუნი წინასწარმეტყუელმან აგარიანთა ნათესავისა და ისმაიტელთათჳს ჰსთქუა, რამეთუ წინასწარ ჰხედვიდა სულითა განბრაელებასა მათსა და განფენასა..“ 311r—335r.

40. „თჳს მაშისა მის მონაზონისა, რომელი ჰსძლევდა ტფილისს მახმედიანთა სიბრძნითა თჳსითა.

— ბერიცა იგი მონაზონი ბრძენ საღმრთო,
არაბთა, სპარსთა ენის ზედ მიწყენილი...“ 336r.

შენიშვნა: 1. წარმოადგენს ფრაგმენტს ანტონ I-ის „წყობილსიტყუაობიდან“ (იხ. 1853 წ. გამოც., გვ. 263).

2. ხელნაწერი აღწერილი აქუს ე. თაყაიშვილს, იხ. E. Такаишвили. Описание, II, გვ. 194—238 (შედგენილობა S—1511 და S—1512-ისა ერთადაა გატანილი).

3. S—1511 და S—1512 ნაწილებია ერთი მთლიანი ხელნაწერისა, რომელიც აკინძის დროს ორად გაუყვიათ. S—1511-ში შედის 1—14, 94—119, 382—454 459—494, 497—502, 517—548, 557—858, 969—996, 1026—1179 გვერდები, დანარჩენები S—1512-შია.

ანდერძი: 1. „აღვჰსწერე ალექსიძემან დავით რექტორმან წელსა ჩყკგ, ქორონიკონს ფჟა, თუესა იუნისსა კჲ“ (310r.)

2. „აღვჰსწერე ალექსის ძემან დავით რექტორმან წელსა ჩყკგ, ჰ̃ესს ფჟა, თთუესა დეკემბერსა ა“ (335r.).

მინაწერი: 1. „სხუადასხუა ამბავნი (წოდება ამ წიგნისა). მიბეელ ხაალის ძის ყიფიანისაგან თავად თუმანიშვილის ალექსანდრე გიორგის ძის სახლობიდამ გამოუხაღნელი. ზოგი რამ პრუელია მეორე შეურულ წიგნის ფურცლებთან, რომელსაც ჰქჳან „ნრაელ ყვავილოვანი ლექსნი“. ორივე წიგნი დაწერილია დავით რექტორისაგან (ალექსი მესხიშვილისაგან). პეტრე უმიკაშვილი. 1887 წ.“ (დღის საცავი ფურცლის რ).

2. „ამის შემდეგ მეორე ტომში ნახე“ (9v. პეტრე უმიკაშვილის ხელით).

3. კრიპტოგრამა (310v).

(768) 1512

კრებული. 1821—1823

366 ფ.; 30×20; ქაღალდი (თეთრი და ცისფერი); ტყავგადაკრული შუაკის ყდა; ლილიანი ხელნაწერი აკინძის დროს ორად გაუყვიათ (მეორე ნაწილი მოთავსებულია S—1511-ში) ისე, რომ პაგინაცია ორივე კრებულში ერთულია (იხ. შენ. 2); კვირნიშანი—1816 (S—1511, ფ. 5), 1820 (S—1511, ფ. 3), 1821 (ფ.16); გადაწერის თარიღები: 1821 (246r), 1823 (S:1511, 310r, 335r): გადამწერი—დავით რექტორი (246r); გადაწერის ადგილი—ტფილისი (246r); დამკვეთი—გიორგი გაბაშუტის-ძე თუმანოვი (246r); დაუწერელია: 1r—6v, 54v, 178v, 192rv, 197r—199v, 217rv, 237v—241v, 260v, 362v—366v.

1. „ეს ანბანთქება უცხო და ახალშემოღებული და არა ადგილად სათარგმანებელი, შაჰნაჯახის შვილისშვილის ლევანის ძის ბატონისშვილის ვახტანგისაგან თქმული, რომელ იქმნა შემდგომად მეფედ საქართჳსლოსა ზედა. შეიძად მაჯამა.

— ასრე არის აღგებული, აღმგებელსა აქ აქებდეს...“ 7r—11r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით, 1947, გვ. 56—60).

2. „მეფის თეიმურაზ პირველისაგან გალექსილი გრემის სასახლეზედ, ეს ლექსები ებრძანა და ბაღის სახლებზედ დაწერა. შაირი.
— ღმერთი არს თავი ყოველთა, იგ ვაქოთ, განვადიდოთო...“ 11v—12r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ალ. ბარამიძისა და გ. ჯაჯანიას რედაქციით, 1934, გვ. 142—143).

3. [ვახტანგ VI]. „ეს ერთი შაირი ოთხტაეპოვანი არს, რომელსაც ყოველს ლექსს ანბანი უზი[ს] თავსა და ბოლოს.
შაირი.--არა ბრძანებ გიორგ დედად, ესე ვიყავ ზეზ წეთერად...“ 12r.

შენიშვნა: 1947 წ. გამოცემის მიხედვით გვ. 61.

4. „ეს ანბანთქება წიდის მოწამის ქეთევან დედოფლისაგან არის ნაბრძანები, ოდეს უსჯულომან შაჰ-აბას პირუსლან შირაზს პყრობილად წარგზავნა, მუნ პყრობილებაში მწუხარემან ჰსთქვა ფისტიკაურად.
— ან, ამას ვჰსტირი.-ბან, ბნელსა მჯდომი,
გან, გულთა მდუღრად, დან, დადაგული...“ 12r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, 1936, გვ. 36).

5. „მეორის თეიმურაზ ცხებულის მეფისაგან ნაბრძანები [ქება სრისა] შაირად.
— ჰქმნა ღმერთმან ცანი, ქუეყანა, შეამკო ზეით, ქვეითა...“ 12r—15r.

შენიშვნა: 1939 წ. გამოცემის მიხედვით, გვ. 104—108. სტროფების რაოდენობა ხელნაწერში ნაკლებია.

6. ანბანთქება ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი.
— ანო, აღსთქვი ჩემი ლხინი, თუცა მზესა გავეყარე...“ 15rv.

7. „ანბანთქება ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი.—ანო, არ ვიცი, რას სევდას დაუდგამს ჩემთჳს თვალები...“ 16rv.

8. „ანბანთქება ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი.—ანო, არსთა საქებარი მე ვით გაქო ჯაჭარ სრულად...“ 17rv.

9. „ანბანთქება ცხრა ლექსად ნათქმამი ღარიბი.—ანო, აჰა დრო და ჟამი ჩემზედ მიდგა დასამხობლად...“ 18rv.

10. „ანბანთქება ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი. —ანო, ალვა დანერგული ედემს ნორჩი ტანი ენახე...“ 19rv.

11. „სხუა ანბანთქება, ფისტიკაურად თქმული.
— ან, ამას გეტყჳ, ბან, ბაგე ტკბილო, გან, გამითავე, დან, დანაპირი...“ 20r.

12. „ანბანთქება პირველის თეიმურაზ მეფის თქმული, რომელ არს ენა რიტორი, სასმენელად ფრიად საამო და სასურველი, შაირად.
ეს ფისტიკაურია:—აღმართა მჭვნელმან ჯვარი გოლგოთას, სისხლი დასთხია ადამის ძეალთა...“ 20r—23v.

შენიშვნა: 1934 წ. გამოცემის მიხედვით გვ. 154—159.

13. „ანბანთქება ცხრა ლექსად ნათქუამი, ღარიბი, შაირად.
ანო, აღმოვჰსთქუამ სიტყუასა, ცხელის ცრემლითა მტირალი...“ 24r-v.
14. „ანბანთქება შაირად.
— აღვალს ბედსა გვარით დავით,
ედემს ვრცელად ზის Oე თხემსა...“ 25r.
15. „ანბანთქება შაირად.
— ადამ ბრალ გარე დებული,
ევას ვერ ზევს Oეთერს თმენით...“ 25r.
16. „ანბანთქება ჩახრუხაულად.
— ამისთჳს ბაგე გავჰსძარ დამდაგე,
ესმის ვის ზრდანი Oეთურის თემსა...“ 25r.
17. „ანბანთქება შაირად.
— ამას ბრძენი გულდგმით ერჩდეს,
ვლტოლვით ზმნიდეს Oესრეთ თქმულსა...“ 25rv.
18. „ანბანთქება გაბა შეილის მოძღურის ზაქარიას ძის იოსებისგან თქმული მეორის თემურაზ მეფის ასულს ელისაბედზედ შაირად.
— აღვჰკაზმე არე, ასპიროზ, ამარტა ასად აგეა...“ 25v—26v.
19. „ანბანთქება კახის მდივნის ონანასგან თქმული, რომელმანც რომ ბარამისა და გული-ჯანის ამბავი გალექსა.
— არსთა არე შეუმზადე, სამ თჯითებით მონაშენობს...“ 27r—30v.
20. „ანბანთქება მისვე კახის მდივნის ონანასაგან თქმული შაირად.
— აქ ბარამისთჳს ლახვარი მუნით საკუდავად ვინასა...“ 30v—31r.
21. „ანბანთქება მისვე კახის მდივნის ონანასგან თქმული შაირად.
—ახალსა ყმასა პირმზესა ვიტყოდეთ ტანად საროსა...“ 31r—32r.
22. „ანბანთქება მისვე კახის მდივნის ონანასგანვე თქმული, ოთხტაეპოვანი შაირად.
— ადამ ბადა, გვერდით დაჰხსნა, ევა ვრცელ ზის Oერია...“ 32r.
23. „ანბანთქება მისჳ კახის მდივნის ონანასგანვე თქმული ოთხტაეპოვანი ჩახრუხაულად.
— ახარა ბერწსა გაბრიელ დღესა,
ეს ვინ ზის Oესრეთ, თჯთ ითხოვებსა...“ 32rv.
24. „ანბანთქება მისჳ კახის მდივნის ონანასგან თქმული ოთხტაეპოვანი, ოც მარცულედად ფისტიკაური.
— არამედ ბაგა განათლდებოდა,
დუმილით ექმნენ, ვიეთნი ზრდიდეს...“ 32v.
25. „ანბანთქება მისჳ კახის მდივნის ონანასგანვე თქმული, ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულედი, შაირად.
— აწ ბეთლემს გჳშას დიდებით,
ეს ვინ ზრდის Oესათნოესო...“ 32v.
26. „ანბანთქება მისჳ კახთ მდივნის ონანასგანვე თქმული ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულედი შაირად.
— აღთქმით ბარბაროსთ გულს-დებით
ერთ ვჰრცელად ზრახავს Oეროდეს...“ 33r.

27. „ანბანთქება მისუ კახის მდივნის ონანასგანვე თქმული, ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულოვანი, შაირად.
— არ ბილწუთ გჳრგჳნი დღეს ეკლით,
ვით ზე ჩერთ თჳთ იშოვესო..." 33r.

28. „ანბანთქება მისუ კახის მდივნის ონანასგანვე თქმული, ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულოვანი, შაირად.
— აქუნდათ ბრმათ გჳემა დიადი,
ესმის ვით ზარახავს ჩურვა..." 33v.

29. „ანბანთქება მისუ კახის მდივნის ონანასგანვე თქმული, ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულოვანი, შაირად.
— აღმართთა ბილწი, გაქრა,
დაჯდა ესრეთ ვით ზე ჩერეს...„ 33v.

30. „ანბანთქება მისვე კახის მდივნის ონანასგანვე თქმული, ოთხტაეპოვან-ათექუსმეტმარცულოვანი, შაირად.
— ათორმეტთა ბრძენთა გარე დარჩა, ეს ვინ ზღვას ჩე თომა..." 34r.

31. „ანბანთქება მისვე კახის მდივნის ონანასაგანვე თქმული, ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულოვანი, შაირად.
— ამითჳს ბრძანებს, მეტყოდე,
დიდ ერნი ვრცელ ზედ ჩერითა..." 34r.

32. „ანბანთქება მისუ კახის მდივნის ონანასაგანვე თქმული, ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულოვანი, შაირად.
— აჭ ბრმა გჳდევს, დასვა, ეგ ვერ ხის,
ჩაერს თჳთ იტყჳს კლდოებსა..." 34v.

33. „ანბანთქება მისუ კახის მდივნის ონანასაგანვე თქმული, ოთხ-ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულოვანი, შაირად.
— ანო, ალვა ხარო, ნაძჳ.
ბრს უდგიან სავარდესა..." 34v—35r.

34. „ანბანთქება მისვე კახის მდივნის ონანასაგანვე თქმული, ოთხ-ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულოვანი, შაირად.
— აჭ ბულბულთ გალობისაგან ჴმა აღარ ჩავარდებიან..." 35v—36r.

35. „ანბანთქება მისუ კახის მდივნის ონანასაგან თქმული ოთხ-ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულოვანი, შაირად.
— არსებით სამხატოვანი, ერთ უფლად განთჯებული,
არა არსისა შემქმნელი, მისგან დაბანაკებული..." 36r—39v.

36. „ეს ორი შაირიცა მისვე კახის მდივნის ონანასაგანვე არს თქმული.
— მელანი მჭრქალი უსამყე ცუდმან ქაღალდმან გაისვა,
ფრთის კალამს მოსდის ბეწვი და უმალ წვერზედან გაისვა...." 39v

შენიშვნა: ლეჩხის შემდეგ დავით რეჭტორს მიუწერია: „ამ კახის მდივნის ონანასგან წიგნი გაკეთებული და გალეჩსილია „ვეფხის-ტყაოსნის“ გვარზედ. და ეს ანბანივით გალეჩსვა იმ წიგნის არშიაზედ დაეწერა, საცა მუნასიბად დაესახელებინა. მე აქ ერთად დავჭსწერე, ხოლო წიგნსა მას ეწოდების სახელად ბაღ-ბულჯანიანი“ (39v).

37. „ანი და ჯოი, კუალად პირუწლის თეიმურაზ მეფისაგან თქმული, ოთხტაეპოვანი, ოცმარცულედი, ფისტიკაურად.

— აღმეძრა ბაგე, გულის დადებით,
ეუწყა ვის ზედ წესრეთ თქმულები...“ 40r.

შენიშვნა: სინამდვილეში ეყუთვნის თეიმურაზ მეორეს (იხ. თხზულებათა სრული კრებული, 1939, გვ. 125).

38. „ანბანთქება მეფის დავითისაგან თქმული, პირველის ირაკლი მეფის ძისა (მამა დავითს უწოდდენ იმამ-ყული-ხანს) ოთხტაეპოვანი, ოცმარცულედი, ფისტიკაურად.

— ადამ ბრძანების განგებულებით დაბადა ევა, ვინ ზმნა წერს თანად...“ 40r.

39. „ანბანთქება ჯოი და ანი, რუსთველის ნიკოლაოზისაგან თქმული, ოთხტაეპოვანი, ოცმარცულედი, ფისტიკაურად.

ჯოესნი, ჰაფხაზნი, ჯიქ-ჯადელები, ხედავთ ჭართალელთ, წირდაღს ძრაეს ცაცა...“ 40rv.

40. „ანბანთქება ბოდბლის ონოფრესაგან თქმული, ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულოვანი, შაირად.

— არ ბაღში გამცენ დღე ესე, ვით ზი წეერსა თანადო...“ 40v.

41. „ანბანთქება მეფის არჩილისაგან ნაბრძანები, ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულოვანი, შაირად.

— აღვძრა ბაგე, გული დავდვა, ეს ვის ზე წთ თამაშობდეს...“ 40v.

შენიშვნა: ტექსტი გამოკვეყნებულია (იხ. არჩილიანი, I, 1936, გვ. 273.)

42. „ანბანთქება ორბელიანის საბასაგან თქმული, ოთხტაეპოვანი, ათექუსმეტმარცულოვანი, შაირად.

— ალმას ბასრი, ალესილი, დაჰკუთს ენათ, ვაი მით ზმნათა...“ 40v—41r.

შენიშვნა: ეს ლექსი გამოკვეყნებულია „არჩილიანში“ ამის წინა №-თან ერთად რომელიც წარმოადგენს საბას საპასუხოდ დაწერილ არჩილის ანბანთქებას

43. „ეს ანბანლექსნი, სათარგმანებელნი ამიცანად, მეცნიერთათჳს საამო, ხოლო უცებთათჳს ფრიად საჭიროდ გულისჴმის-საყოფელნი, ნათქუანი პეტრე მგალობლის სიონელის, ტფილისის ქალაქელის ნეკაძის მიერი მაჯამად.

ჩახრუხაული.—არსთა მაარსმან, თჳთ დაუარსმან,
სამოთხე შექმნა აქ ადამისთჳს...“ 41r—44v.

44. „მისის ყოვლად სამღუდელოების დოსითეოს ნეკრესელ ეპისკოპოსისაგან ჩერქეზისაგან თქმული ანბანთქება, ოთხტაეპოვანი ოცმარცულედი, ფისტიკაურად.

— არიოზ ბნელ გულდ ასახავს,
ესრეთ ვერ ზომით წნებს თჳთებათად...“ 44r—45r.

45. „მისუე დოსითეოსისაგანვე თქმული ფისტიკაურად.

— აღვაღო ბაგე, გონებით დავჰსხნე,
ესე ენებული ზე ეთერთასა...“ 45r.

46. [არჩილი]. „პირუწლის თეიმურაზ მეფისაგან თქმული გლოვა დედოფლისათჳს შაირად.

— ჟამი გარდახდა შვებისა, მოვიდა გლოვა-წუხილი..." 45 r—47r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია (ნ. არჩილიანი, ტ. II, 1937, გვ. 45—46).

47. „ეს მეფის ვახტანგის ნაბრძანებია საუკუნო იყავნ საკსენებელი მისი სუფევით) შაირად.
— მე უმცირესმან ძმათაგან, ვახტანგმან სახელდებულად..." 46v.

შენიშვნა: სინამდვილეში ტექსტი ეკუთვნის გ. თუმანიშვილს (იხ. ვ. მეტრეველი, ვახტანგ მეექვსის ეპიტაფიის ავტორი: „უნივერსიტეტის შრომები," ტ.43.

48. „ანბანთქება, თქმული ჩახრუხაულად.
— არს კაცთა ტომი, დიდებით ბჯობი, შორის ჰაერთა ცას სამყაროსა..." 47rv.

49. „გაბასშვილის ზაქარიას მოძღვრისაგან თქმული ათორმეტს ეტლზედ, რომელ არიან ზოდიაქონი, ანუ ბურჯნი, ლექსად თქმულნი, ოთხტაეპოვანი, ათექვსმეტმარცულოვანი.
— ვერძი მარტსა ოცდახუთსა მიითვალეს მზისა სპერას..." 48r.

50. „გაბასშვილის ბესარიონისაგან თქმული ანბანთქება, შაირად.
— არს ბრძენ გნომით, დავლის ეთერს,
ელა ზეურობს სელვა თნობით..." 48v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია (იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, 1932, გვ. 76—77).

51. „გაბაშვილის ბესარიონისაგანვე თქმული ანბანთქებად მეფის ირაკლის ძის ანტონი კათოლიკოსზედ, ხუთ ტაეპოვანი, ათორმეტმარცულოვანი იროიკოდ, ვმა დ სამ-სახეობა.
ანტონი ბნელთა განმკარგა, დღე ერთა ვით ზე..." 48v.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ.77.

52. „ესენიც ბესარიონ გაბაონისაგან არის თქმული იროიკოდ მასზედ კათოლიკოს მეფის ირაკლის ძის ანტონიზედ, ზემორე მარცუალთაე ხუთ-ხუთი ტაეპი.
— სამოთხით წულობს, დავითის ზმარაღდულობს..." 48v—49r.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 77.

53. [ბესიკი. მირიან ბატონიშვილზე].
—„სთენდა მირიან მზეობასა დღობანი..." 49r.

შენიშვნა: ნაბეჭდ ტექსტში გვ. 77.

54. „ბესარიონ გაბაონისაგან თქმული მუსტაზადი თურქთა ჭმასა ზედა გვარისაებრნი. ათოთხმეტმარცულოვანი, თჳთო ხუთ ტაეპოვანი, და ხუთად თქმული მუხლედად, ოდეს მეფის ირაკლისაგან ტფილისით განდეგნილ იქმნა იმერეთად.
— ცრემლთა ისარნო მოსისხარნი ჩუენდა არენით..." 49v—50v.

შენიშვნა: ნაბეჭდ ტექსტში გვ. 12—13.

55. „ესეც ბესარიონ გაბაონისაგან არის თქმული, ათერთმეტ-მარცხლოვანი თითო ტაეპი, და თითო მუხლი ოთხ-ტაეპი, ოთხ შაირად, თურქთა ჭმათა ზედა სათქმელი, რომელსა ეწოდება სახელად ყაფია.
— რა გული დავაგე შენად სარებლად... 50rv.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 12—13.

56. „ესეც ბესარიონ გაბაონისაგან არის ნათქვაში [.....,] ახედ სიკუდილს შემდგომად, საბრალობელი თავის თავს უძახდა, და ბესარიონ მისი მეგობარი იყო, და ეს ერთი შაირი კრემენჩუკს ეთქუა:
— ჰაერი ცივნამიანი, ჩემთჳს აღარა დღიანი..." 50v.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 24.

57. „ესეც ბესარიონ გაბასშვილისაგან არის თქმული, თურქნი ყაფიას უწოდებენ, ესეც მისთა ჭმათა ზედა ითქმის. ოთხი შაჰაირი არის, თითო შაირი ოთხი ტაეპია და თითო ტაეპი ათერთმეტი მარცუალი არს.
— შავნი შაშუნი, შავს გალიას შემსხდარნი..." 51r.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 21.

58. „ესეც ბესარიონ გაბაშვილისგანვე არის თქმული, სხუა გუარი, რომელსა თურქნი ბაიათს უწოდებენ. რვა შაირად არის და ერთი შაირი ოთხი ტაეპი არის, ხოლო ერთი ტაეპი შჳდი მარცუალი არს.
— იადონს ის ევარდა..." 51v—52r.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 22.

59. „ესეც ბესარიონ გაბასშვილისაგანვე არის თქმული, სხუა გუარი, რომელსა თურქნი ბალაი ბანდუმ ლაილას უწოდებენ.
— ვაჲ საბრალო, სტვენს ბულბული ვარდსა ზედა..." 52v—53r.

შენიშვნა: ნაბეჭდი ტექსტის მიხედვით გვ. 23—24.

60. „მისვე ბესარიონ გაბაშვილისაგან არის თქმული, რომელსა თურქნი თეჯნისს უწოდებენ; ხუთი შაირია, თითო შაირი ოთხი ტაეპია და თითო ტაეპი ათსამმეტი მარცუალი არს.
— ჳმა სირინოს, თმა ღულამბარ წინამოს..." 53rv.

შენიშვნა: ნაბეჭდ ტექსტში გვ. 20—21.

61. „მისეუ(!) ბესარიონ გაბაონისაგანვე არის თქმული ჰადრაკზედ, ზმები შაირსა შინა, რომელ არიან ესე. ჰადრაკი, მეფე, ლაზიერი, ეტლი, მჳედარი, კუ, პაიკი, ქონი, შამათი და რუკა. მსმენელნო, გასინჯეთ.
— ნიჭად რა კიდარ უკადრად, მე ფერჳნი შევჰსდგენ ღონითა..." 54r.

შენიშვნა: ნაბეჭდ ტექსტში გვ. 88,

62. „ესეც მისუ(!) ბესარიონ გაბაონისაგანვე არის თქმული, ნარდზედ ზმები შაირსა შინა, რომელ არიან ესენი: ნარდი, ფიცარი, კარი, კაცი, კამათელი, ხასილი, ბაღლუ, დავი. მჰსმენელნო, გასინჯეთ!
ვინ არ დიდ სულობს სულშოკლედ, არს ყოველგან დანაფიცარი.." 54r.

შენიშვნა: ნაბეჭდ ტექსტში გვ. 88.

63. „ბესარიონ გაბაშვილისაგან თქმული, ანბანზედ გალექსილი შაირად.

— ათინად სიბრძნის შემკრები, აზიად ვმგზავრობ არესა...“ 55r—58r.

შენიშვნა: ნაბეჭდ ტექსტში გვ. 71—75.

64. „ვახტანგ ორბელიანისაგან თქმული ანბანთ-ქება უცხო და შუენიერი, ოთხტაეპოვანი, თითო ტაეპი ოცმარცულედი.

ჩახრუხაული.—ალალებს ბაგებს, გულთ დასადაგებს,
ელვარებს, ვფუცავ, ზე ცეთერულად...“ 58v.

65. „ესეც ვახტანგ ორბელიანისაგან არის თქმული ანბანთ-ქება ოთხტაეპოვანი, თითო ტაეპი ათექვსმეტ მარცულოვანი შაირად.

— ათენს ბნელს გულსა დიასებრ ვარდ-ზამბახ, Ცე, თმით იანი...“ 58v.

66. „ეს ანბანთქება ორბელიანის ვახტანგის ნათქუამია იმერეთის მეფეთ-მეფის დიდის სოლომონის დედის თამარის ქებად. მჭსმენელთა გასინჯვეთ გუარი ლექსისა, ვითარ ჰაზრი და ლექსი გაწყობილია, ოთხოთხი ტაეპი და თითო ტაეპი ათექვსმეტმარცლოვანია, შაირად.

— აჰა, ალვად აღვამაღლოთ აწ ალვისა აღნაგობა...“ 58v—60r.

67. „მისის უწმიდესობის საქართუელოს კათოლიკოს-პატრიარხის მეფის იესეს ძის ანტონისაგან ნაბრძანები ანბანთქება შაირად, თითო ტაეპი ათექვსმეტმარცულოვანი, თითო შაირი ოთხ ტაეპოვანი.

— აჭ;რვებს, ადენს ალებსა ალმასი აელეებული..“ 60r—61r.

68. „ქმნილი არს ლექსი ესე მეფის თამარისათჳს ანტონის მიერ არხიეპისკოპოსისა დავითიან-პაყრატიონისა(!), საქართუელოს მეფის იესეს ძისა.

— ამისსა ბროლსა ნათელსა აყიყი შუა ჭრულოდა...“ 61rv.

69. „თამარ მეფემ რომ ხალიფაზედ გაიმარჯუა, ხახულისა ღ˙თისმშობელს დროშა და მანიაკი მიართუა გელათს, თქმული შოთა რუსთველისაგან. ეს იამბიკონი ხუთმუხლედნი ოცდახუთს ტაეპად წარჰწერა.

— ლოცუამან ანნა, ჳმა დ. ცასა ცათასა დამწყები ღმერთ მთაერობა...“ 61v—62v.

70. „ბესარიონ გაბაშვილისაგან არის თქმული თურქთა ჳმათა ზედა სათქმელი, რომელსა ეწოდების თახმისი; ქართულსა შაირებრ ათექუსმეტმარცულოვანია, მაგრამ ერთი შაირი ხუთი ტაეპია, და ხუთ-ხუთეული იქნება თახმისი, რომელ არს ოცდახუთი ტაეპი. თახმისი არაბული ლექსია, რომელ არს ხუთ ტრიქონიანი.

— როს განვიცადე ბედკრულმან გული საკუდავად დარია...“ 62v—63r.

შენიშვნა: ლექსის ავტორობა სადავოა (იხ. ბ ე რ ი ძ ე, თხზულებანი, 1932, გვ. 92).

71. „ბესარიონ გაბაშვილისაგან ნათქუამი მუხამბაზი თურქთა ჳმასა ზედა ხუთს შაირად შემწყობელს იაზეკ, თითო შაირი ცხრა ტაეპია და თითო ტაეპი ათი მარცალია. მუხამბაზი არაბული ლექსია, ხოლო ქართულებრ ითქმის ხუთმუხლიანი.—

სევდის ბაღს შეველ შენაღონები...“ 63r—64v.

შენიშვნა: ნაბეჭდ ტექსტში გვ. 3—4.

72. „ესეც ბესარიონ გაბაშვილისაგან არის თქმული მუხამბაზი.

— მე მივხედი მაგას შენსა ბრალებსა...“ 64v—65r.

— შენ გეტრფის, ვარდო, გლახ, გული...“ 45v—46r.
53. [ა. ჭავჭავაძე]. „თემროო თემროს ჯმა.
— ვაჲ შენგან წყლულსა დაკოდილს გულსა...“ 46rv.
54. [ა. ჭავჭავაძე]. „ნუ დამწუე ცეცხლში შანშეს ხმა.
— გლახ, თუალთა შენი შეენება სრული...“ 46v—47v.
55. [ა. ჭავჭავაძე]. „ჯან ყუში ბუგილარდას ხმა.
— ბალაზ ბეზეკის ბაგით სიტყვა წარმონაშობი...“ 47v—48r.
56. [ა. ჭავჭავაძე]. „გეთმასან ოლდურ ოიარაბამის ხმა.
— ქებით ვხვმოვანებთ, მისმინე მკვდარსა...“ 48v.
57. [ა. ჭავჭავაძე.]. „აღამსანსანის ხმა.
— ვაჲ სუსტსა ავათ ხმა სმენით, გულსავსე წყენითო...“ 48v—49r.
58. [ა. ჭავჭავაძე]. „ბა დისაბაჲ ჩამანის ხმაზედ სათქმელი.
— შენენებანო, სახილვოდ სასურველნო...“ 49rv.
59. [ა. ჭავჭავაძე]. „ოსმალური ყაიდა. ბირ ნახინან ბირ ყახინანის ხმაზე.
— სიყვარულსა შეუპყრივარ აწ შენსა...“ 49v—50v.
60. [ა. ჭავჭავაძე]. „—ვაჲ სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა...“ 50v—51v.
61. [ა. ჭავჭავაძე]. „ეღეების კარი გახაფხულისა...“ 51v—52v.
62. [ა. ჭავჭავაძე]. „ჩი, ვით გვემტყუნვა სოფლისა ბრუნვა...“ 52v.
63. [ა. ჭავჭავაძე]. „რასტის გუშაგულ ჰამანუმ ჯანუმის ხმაზე სათქმელი.
— მსურდა ოხრვა ჩემი დუმით მეკრძალა...“ 52v—53v.
64. [ა. ჭავჭავაძე]. „დუგაის გუშა ხაროზ ბაქაფაშის ხმაზე სათქმელი.
— ვისაც გსურთ ჩემ ამბავთა ცნობა...“ 53v.

წყდება: ... გუშაგნი ბევრნი თითოსა მცველად..." 53v.

შენიშვნა: ეს ლექსი ამ კრებულში ორჯერაა მოთავსებული. იხ. № 38, 36r.

65. „ზღაპრებისა ისტორიისა, ნაწილი ა. თჳს ციორთა(!) ღმერთთა.—ციერად ღუთად აღიარებოდნენ იუპიტერ, აპოლლონ, მარს, მერკური, ბაბუს, ხოლო მდედრად ღუთად ციურად აღიარებოდნენ იუნონა, ვესტა, ლატონა. ბელონა..." 61r—70v.

მთავრდება: „... ყოველნი მეფენი და მპყრობელნი იწოდებოდენ იუპიტერად, ხოლო ცოლნი მათნი იუნონად. იუნონასაგან იუპიტერის მეუღლისა მოლექსენი..." 70v.

შენიშვნა: 54v—60v-ზე, რომლებიც გადაწერს ცარიელი დაუტოვებია, სხვა ხელით ჩაწერილი ლექსები:

ა). „შვილისა მზგავსად აღზარდა მეფემ ირაკლი სვიანნა,
— კოშკი აუგე სალხინოდ მე, თამაზ ორბელიანმა." (54r).

ბ) „ოა გნახე, ციხე ჰაპალე, მაგარსა მაღალ კლდოვანსა.
არტიერელია გარსა ჭარტყავს, უჰყრია მეციხოვანსა,
მიხარია ყოფნა, ველსა ვჭრეტ და ბაღსა ბულბულოვანსა,
გაუძნელდება შემოსვლა მაღალსა ძალგულოვანსა" (54r).

გ) „უცბოს მახით შემკობილი ხარ, შიშით ასტერებ ყოველსა,
უგზულის მისცემ ძალგულსა, შეჯირებაში თმენასა,
თუ კაცი ვარსკვლავსა შეიჭრობა, რა ღირსა აღმოუჩენასა.
აჭ ეს არის საჭიროა, რომ ფეხქერტდეთ წყლისა ჩქერასა" (54r).

დ) „სიბრძნით ნაწერი ეს ლექსი ვიხილე ძნის ჩემისა,
ციხე ჰაპალის უჭია, ქება არა ჩანს თვისია.
მაგრამ პატრონი იმისი ლომი არს ლეძთა ლეშისა.
ჰაერ კეთილთა შემოსვით თვალთ მივსცეთ დრონი თელმისა". (54v).

ე) „ლაჯგარანის ხმაზე იმათზე ნათქვამი.
— ბუნდოვანს გულა შენ აღმიჩნდი დარადა.
აწ არ ეღწყი. რად გაბნორე და რადა..." (55rv).

ვ) „ვის ვეტრფიალე, ან, მიმეფარა,
მზემან განმოჭიდა, ძველმან დამწარა..." (55v-56r).

ზ) „—ვარდა არაშლილსა შეტრფის გული,
მაისს მოელის ნისთის დაგული..." (56rv).

ჱ) „—ხარი მურქაოამას ხმაზე.
— ხელვისა თანა მიწტაცე თვალი, თვით მიწეფარე, მზეო..." (56v—57r).

თ) „მესტან ბალუნის ხმაზე.
— მიკვირს, მზეო, ვით შეგიპყრა ღრუბელმან,
ვითარ დახშ შენთა სხივთა კარები..." (57rv).

ი) სომხური ლექსი. „—იალი აღიაც ჯან აკი აღიაც..." (57v—58v).

ია) „გრაილი:—როს მეტუმრა ეშყი გულსა,
ვერვის ვეტრფე, გარდა შენსა..." (59rv).

იბ) „რაფელ, მხატვართა მთავარო,
დახატე ჩემი ფერია..." (60v).

2) ტექსტს წინ უძღვის ცხრილი (თვეების მიხედვით) საეუღლო და სხვა დღესასწაულებისა; „იანვარს აქვს 31 დღე; 1 იანვარს ახალი წელიწადი, 6 იანვარს ნათლისღება..." (2r—4r).

3) ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს, იხ. Описание, II, გვ. 296—301.

ანდერძი: „დაიწერა თუსა ოქტომბერსა, კგ რიცხვსა, ქალაქსა თბილისსა" (35v).

მინაწერი: 1. „პეტრე უშაკაშვილის მიერ" (მისივე ხელით 1r.).

2. „ოთხი ბაბაი ფასი ამისა არის. ეს ლეკსების წიგნი ეკუთვნის პრინცესწულს გიორგი ბერიძეს. ვინც გასწეროს, მას რისხამდეს მაღალი და ყოვლად წმიდა... შენწე ქრისტესაგან ჩვენ ზედა გამორჭნილი... სამ გზის იყავნ საუკუნოდ პრინცეტნიკი გიორგი ბერიძე“ (1r).

3. „კაცი მე ვარ რუსთველი, სუფრა ძველი, ყურ სქელი,
თუ ძალას იტყვი, ძალა მაქო,
ცას, დედამიწას თავ უკრამ, თუ კუას იტყვი, ზღვას ვწყამ,
ვით სტაქან წყალსა ყლაპს უზამს, თუ დედაკაცი გაანძრა.
არ გეცნები, რას უზამ.“(4v).

4. „მურდარანგი ვისაც უნდა, ასე უნდა გააკეთოს. მიიტანე გროსის კოკი და კირს რომ სწვეედეს, ჩადეც შიგ, რომ ერთად დაიწვას კირი და კოკი, და მურდარანგი იქნება როცა დაიწვის.

ლახუსტაკიც რომ გინდოდეს, ასე დაიწვეს: აგურის კუროში სპილენძის ნაჭრები ჩაყარე და აგური და ის ერთათ რომ დაიწვას, გამოიღე და ლახუსტაკი იქნება.

ლედენეც შაკრის ყინულსა კვიან;
კაცელარნი სემია ჰისფურსა კვიან;
ბერლიკაი ლახურ ღილასა კვიან;
გუში ბალშანი ქალშანასა კვიან;
გუში მასტიკა დანამასტიკსა კვიან;
ავრი პირმენტი წითელა მიწასა კვიან.“ (72v).

სხვა მინაწერები: 2v, 31v, 33v; უწიგნური რუსული მინაწერები 2v, 58v, 60r

(791) **1535**

კრებული. 1818

105 ფ: 16×20: ლურჯი ქაღალდი, მუყაოს ყდა; მშედრული: ჰვირნიშანი—1817 (ფ. 5); 1818 (105r); გადამწერი—იაკობ ქრისტეფორეს-ძე მაისურაძე (105r); გადაწერის ადგილი—ყიზლარი(105r); დაუწერელია 3v; პეტრე უმიკაშვილისაგან მიღებული.

1. [ლექსი]. „—ვაი, შევესწარ დროებსა, კაცს არვინ შეიბრალებსა...“ ყდის საცავი ფ.

2. „თამარ მეფემ რომ ხალიფაზედ გაიმარჯვა, ხახულის ღ[ითისმშობელს დროშა და მანიაკი მიართვა, ეს ამბავი ხუთეული ოცდახუთ ლექსად აღწერა.
— ცასა ცათ დამწყები ღმერთმთავრობა,
ძე საუკუნობს პირველადვე და კვლად...“ 1r.

3. [თამარ მეფის ქება]. „—ხოლო მეფის თამარის ქებანი ვინმე თქვნის, რამეთუ რა დაჯდა საყდართა თჳსთა ზედა...“ 2r—3r.

შენიშვნა: ნაწყვეტი წარმოადგენს კომპილაციას თამარ მეფის ორიენ ისტორიკოსისგან.

4. (ბეჟანიანი). „აქა ამბაჲი დასაწყისი ბეჟან და მანიჟავისა.
— თურანს ტახტი დაიკარგა, ჯორციელი ყველა სცნობდა... “4r—36v.

შენიშვნა: ბოლოში ტექსტის ხელით: „განსრულდა ბეჟანიანი, მაის ია ვწყვე, გავათავე იე“ (36v).

5. (ქალ-ვაჟიანი). „ერთი მდიდარი კაცი იყო დიაღ ჩინებული და მრავლის ცხოვრებისა მჭონე, და ძე არ ესვა და მარადის ღმერთსა ევედრებოდა. და ისმინა ღმერთმან ლოცვა-ვედრება მათი და მისცა ღმერთმა ერთი ძე...“ 37r—50v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „დასრულდა ამბავი ქალისა და ვაჟისა. მკათათვის იე' ჩყიე" (50v).

6. „ამბავი დაცხოვრებაალექსი კაცი ღ'თისა.—იყო კაცი ვინმე დამკვიდრებული ძველსა რომსა შინა, რომლისა სახელი ეფრემ და მეუღლისა მისისა ანნა..." 50v—60v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „დასრულდა ცხოვრება ალექსი კაცი ღ'თისა ყიხლარს წელს ჩყიე, ივლისის 20. 1818" 60v.

7. [ლექსი]. „ვინ შექმნა დასაბამობით ორნი სულად ერთისა..." 61r—65v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „განსრულდა" (65v).

8. (იოსებ მელიქოვი. ციციანოვისაგან აღება განჯისა, ჭარისა და ბელაქნისა.)
„— ოჰ, ვით საოც არს განგება ღ'თისა,
უსაზღროდ ზრუნვა არსთათჳს მისა..." 66r—69r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „დასრულდა ამბავი ციციანოვისაგან აღება განჯისა, ჭარისა და ბელაქნისა აგვისტოს პირველსა" (69r).

9. [დავით გურამიშვილი.] „—ეო, მერო, აქეთ მომხედეო..." 69v—72r.

შენიშვნა: ა) ტექსტი განსხვავდება დაბეჭდილისაგან. შდრ. დ. გურამიშვილი, დავითიანი. 1955, გვ. 126—129.
ბ. ტექსტის ბოლოს: „განსრულდა აგვისტოს სამს" (72r).

10. [ლექსი]. „—ვფიქრობ ზრახვაში, გულის აღთქმაში,
სიტყვას ვეძიებ თვით საუნჯეში..." 72v—73v.
11. [იოსებ თბილელი.] „—სიბრძნემ თავისა თვისისა სახლი იშენა გებული..." 73v.

შენიშვნა: ა) სტროფის ბოლოს: „თბილელის ნათქვამია."
ბ) ავტორისათვის იხ. S—1512:80.

12. [იაკობ შემოქმედელი]. „—სიბრძნე ქრისტეა და სახლი უბიწო მისი მშობელი..." 73v.

შენიშვნა: ა) სტროფის ბოლოს: „შემოქმედის(!) ნათქვამია".
ბ) ავტორისთვის იხ. S—1512; 81.

13. [ლექსი] „—ენა მწარე, ენა ტკბილი, ენა მოკლე, ენა გრძელი..." 73v.

14. [თეიმურაზ I. ანბანთქება]. „—ადამ ეახსენოთ პირველად, თვით ღმერთმან შექმნა რომელი..." 74r—77r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „დასრულდა ანბანთქება წმინდანებისა აგვისტოს შვიდსა" (77r).

15. [ლექსი]. „—ახალ წელიწადს წლის თავსა გიკვლიე ვაზის რჩითამცა..." 77r.

16. [თეიმურაზ I, ანბანთქება]. „—აღახვენ ჩემნი ბაგენი, ღმერთო, სამებით ქებულო...“ 77v—81r.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „დასრულდა ეს ანბანთქება. აგვისტოს ათსა.“ (81r).

17. [ლექსი]. „—ითნე(!) ოქრობირი, ტკბილის სიტყვით კაცის მწვართნელი...“ 81rv.

18. [ანბანთქება]. „—ა, ამას გეტყვი, ბ, ბან გეტკბილოს, გ. განმითავე, დ, დანაპირი...“ 81v.

19. [ლექსი] „ყმაწვილო, სუფრის ვარდი ხარ, ლხინი გიყვარდა, ღიღინი...“ 81v.

20. [ანბანთქება ცხრა ლექსად ნათქვამი ღარიბი].
„—ანო, ალვა დანერგული ედემს ნორჩი ტანი ვნახე...“ 82rv.

შენიშვნა: სათაურისათვის ნ. S—1512; 10.

21. [ლექსი]. „სწავლა ჰგავს წყალსა მდინარსა, რუდ რასმე მომდინარესა...“ 82v.

22. [ანბანთქება]. „—აჰა, ანბანთ აღვამაღლო აწ ალვის ხის აღნაგობა...“ 83rv.

23. [ლექსი]. „—დაუტევე სახლ-სამყოფი, თვისი ტომი, მონაგები...“ 83v.

24. [ანბანთქება] „—ანი ამბობს: შენ, ყმაწვილო, გემინოდეს ოსტატისგან...“ 84rv.

25. [ლექსი]—„ღმერთთან რომ შექმნა ქვეყანა, სახე კაცისა მიწამან...“ 84v—87v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „გათავდა“ 87v.

26. [ლექსი]. „—მინდორსა ველთა ყვავილი აღმოველენ წითელ-მწვანეა...“ 87v—89v.

შენიშვნა: ტექსტის ბოლოს: „გათავდა“ (89v).

27. [სენტენციები]. „—მთერალი კაცი ვნახე, ესრე ეთქვი: ეს ნავი ბოროტი ავსილა...“ 90r.

28. [ლექსი]. „—ამ ზღურდულთა დავით სძლო გოლიათს, არ თუ ზაფხულა...“ 90v.

29. „ცხოვრება, წამება და მოთხრობა. წმიდისა შამისა ჩვენისა კლემენტიოს რომთა პაპისა, ესე იყო მეფობასა დომენტიანესსა, ნათესავით რომ, ხოლო თესლ-ტომი მეფეთა.—უმწვენიერესსა და უგრცელესსა ქალაქსა შინა ქველსა რომსა იყო კაცი ვინმე დამკვიდრებული და სახელოვანი...“ 90v—105r.

30. (დიმიტრი, ბაგრატიონი) [მოსკოვის სტამბაზე].
„ნავთსაყუდელსა მენაე რა მიველენ, განისუნებენ...“ 105v.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს: „დიმიტრი ბაგრატიონის ნათქვამი“ (105v). ლექსს აკუთვნებენ ვახტანგ VI-ს. იხ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აკად. ბარამიძის რედაქციით, 1947, გვ. 7, 173.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. იხ. Описание. I. გვ. 381—383.

ანდერძი: „აღესწერე ესე წიგნი ყოველსა იაკობ ქრისტეფორეს შვილმა მისა სურვილმან ცხოვრება ესე ღირსისა მამისა ჩვენისა კლიმენტი რომთა პაპისა და სხვები, რაც რომ კარგი ვნახე. და ეს კლიმენტი(!) ცხოვრება ეთარგმნ[ნ]ა რუსულადამან ქართულად მუროთხანიანთ დიმიტრის ძეს გიორგი მღვდელ(!), ღმერთმან ადიდოს ორისა სოფლის ცხოვრებასა შინა. და მე იმის გადმოთარგმნილზედ გადმოვწერე. ვინც იხილოთ და აღმოაჩინოთ, გეცოდვინებით, ლოცით გვახსენებდეთ. თუ რამე ნაკლებულობა ჰპოვოთ, ნუ გვწყევეთ, შეძლებისაებრ სიმართლეს ვცდილობდი. წარმკითხველნო ღმერთისა ამისთვის ჰყავთ ლოცვა თქვენი და ღმერთს სთხოვეთ მირიანე ცოდვის შენდობა. ვიწყევ წერად მისის პირველს, გავათავე აგვისტოს პირველს ჩყიე წელსა“ (105r).

მინაწერი: 1. „№ 34. პეტრე უმიკაშვილის მიერ“ (მისივე ხელით, ყდის საცავი ფურცელი).

2. „ციების წამალი ეს არის: მოიტანე ტარიფის ფოთოლი და თითო ფოთოლზე ეს დაწერე: ალი ალა ბალი, იშა თაჰა ბალი, და როდესაცა გაცხელოსა, სამა(!) ფუთოლზე(!) დაწერე და ცხვირში უბოლე“ (103v).

(792) **1536**

კრებული. 1765—1775

123 ფ; 20.5×16,5; ქაღალდი, ტყვიფრულ ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ამოვარდნილია: ფფ. 3,10; ბოლონაკლული, მზედრული, სათაურები სინჯურით; დასურათებული: 73r, 91r; ქაღალდს აქვს ჭვირნიშანი; გადაწერილია სხვადასხვა დროს: 3r—50r—1775 (50r), ფ. 58r—67r—1765 (64v); გადაწერა—იოანე (50 r). ბ. უმიკაშვილისაგან მიღებული.

1. „სწავლანი გამოკრებულნი სულიერნი დიდთა წიგნთაგან მარგალიტისა დაბადებისაგან ღმრთისა.—დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქუყანა...“ 3r—50r.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს: „ვანარულდა ძალითა მღთისათა წიგნი ესე გამოკრებული მარგალიტიანი ივნიას დ. კ[ა]ა ქრისტეს აქეთ ჩლოც. ამინ. და თუ ნამრომი მცირედი არს და კნინ, არამედ სიმართლეს ვეცადე ფრიად ცოდვილი იოანე“ (50r).

2. ტექსტის შედგენილობისა და თარგმნის შესახებ იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I³. გვ. 413—416.

3. ტექსტს ერთვის: [იესო ქრისტეს განჩინებისათვის]. „... ნიკოდიმ თქვა: სჯული გვაძლევს...“ 50v—54v და „საკითხავი ადამ და ევას სამოთხით, გამოსვლისა.—და იყო ოდეს გამოვიდა ადამ და ევა ცოლი მისი სამოთხით...“ 54v—57v.

2. „იგავნი ესოპესნი. იგავი პირველი მელისა და ჩიგვისათვის. უყურეთ ესოპეს.—აღვიდოდა ოდესმე მელი ერთი ღობესა ზედა...“ 58r—64v.

შენიშვნა: 1. ტექსტის ბოლოს: „დასასრული ესოპეს იგავების კრ[ე]ბა უნგ, თ[ვ]ესა ღვ[ინობისთვეს] ოგ“ (64v).

2) ტექსტი გამოცემულია; გამოცემას საუფლოდ სხვებთან ერთად -ეს ხელნაწერიც უდევს. იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს ო ლ. ყუბანეიშვილის მიერ, II, 1949, გვ. 280—289.

3. „ისტორია დარღვევისათჳს უკანასკნელ წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა ჰრომაელთა კესარისა ტიტესაგან მისა ოსპასიანესა.

— ოდეს მიიღო პატივი და ღირსებაჲ კესარობისა ოსპასიანემ და იქმნა დამტკიცებულ მბრძანებელად ყოვლისა სოფლისა...“ 65r—73r.

4. „წიგნი ესოპესი.—მოდგმა იგი საქმეთა, რომელ არიან ქაცთა შორის, ყოველნი გამოვსცადენ და სხვანიცა რაჲმე მრავალნი და მივეცი მისთვის განზრახვასა თვისსა და ვჴონებ მე ამას, ვითარმედ ესოპე(!) არა იყო პრძენი ბუნებით, არამედ განგებითა ღ~თისა სიბრძნისათა...“ 74r—91r.

5. [სააკაძე იოსებ. დიდ-მოურავიანი].

„მეფესა ქართლის ცხოვრება ებრძანა გალექსულობით...“ 92r—120v.

წყდება: „... ერიდები ქვეყნისასა აშლასა და მორევასა, მე მტრად აღარ მოგეწურვი; მალმალ გეტყვი მორევასა...“

შენიშვნა: 1. ტექსტი გამოცემულია. იხ. იოსებ ტფილელი. დიდმოურავიანი. გ. ლეონიძის რედაქციით, 1939.

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს იხ. .. Описание, II, გვ. 514—516.

მინაწერი: 1. „ჩყმთ წელსა პირ დიდმარხვა დადგა თებერვლის თოთხმეტს, დღე იყო ორშაბათი. ღმერთო, მწვიდობით დაბასწარ შენს აღდგომას და თაყვანისცემას შენის წმინდის ჯვარისასა შენი მონანი. ამინ. ნახირი“ (1r).

2. „წიგნსა ესე მარგალიტიანი და დიდმოურავიანი არის ნაკოლოზ ელიოზის ძის ელიოზოვისა, ვინც მოიპაროს, გაუწყრეს ღმერთი დაუსაბამოო. ნაკოლოზ ნახირი ელიოზის-ძე ელიოზოვი.“(121v).

3. „ეს ელიოზის-ძე ნაკოლოზ ვეზირი ძველ ცნობებს აწვდიდა ალ. ორბელიანს, გიორგი ლეონიძე (123v).

4. „№ 35. პეტრე უშიკაშვილის მიერ. 1887 წ.“ (მისივე ხელით, 3r)

სხვა მინაწერები: 128v, ქვედა ყდის შიდა მხარე; 121r-ზე კალმით შესრულებული სურათი მხედრისა.

(793) **1537**

კრებული. 1838.

25 ფ: 35×22; ქაღალდი, უყდო, ნაკლული; ფფ. 24—25 მოკვარდნილია; ტექსტი დასურათებულია გადამწერის მიერ; ჰვირნიშნიანი ქაღალდი; 1838 (25v); მხედრული; გადამწერი—თადეოზ ტერ-ოჰანჯის ძე ტერ-გეურკოვი(25v). პეტრე უშიკაშვილისაგან მიღებული.

1. „აქა შამი-ფარშანის გამოჯნურება მეფის თეიმურაზ მეორისაგან ნათქუამი დროს მას, ოდეს იმყოფებოდა განძებული თჳსის სამეფოს კახეთისაგან იმერეთს რაჭას შინა წელსა ქ~სა 1650. ამ წელს მუნ თ[ქ]უა.

— ღმერთო, ყოველთა ცხადად და იდუმალ დაუფარაო...“ 1r—6v.

შენიშვნა: სინამდვილეში ტექსტის ავტორია თეიმურაზ I.

2. „გაბაასება ვარდისა და ბულბულისა, ლექსად თქმული მეფის თეიმურაზ მეორისაგან, რომელსა ეწოდების ვარდ-ბუდბულიანი.

—უე არსისა შემოქმედო, შენგან არი ყოვლი ფერი...“ 7v—12v.

წყდება: „... მელექსეთაგან ნათქომი სიტყვა მიიღე პირადო...“

შენიშვნა: სინამდვილეში ტექსტის ავტორია თეიმურაზ I.

3. „შედარება გა[ზა]ფხულისა და შემოდგომისა, მისივე მეფის თეიმურაზ პიტულისაგან თქმული.

— ღმერთო, რომელსა გაქებენ ზეცისა ძალთა კრებულნი...“ 13r—18v.

4. [თეიმურაზ I ანბანთქება].

„... ორღანოთი ფსალმუნება ღმერთსა შენის, სხვას არვისა...“ 19r—20v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. თეიმურაზ I. თხზ. სრული კრებული ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობაია რედაქციით, გვ. 156.

5. [არჩილი. გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა]. „უსლთა და ახალთა საქართველოს მოლექსეთა ნათქუამი პირუსლის მეფის თეიმურაზისაგან.

— სხუას ლექსით ჩაბრუხაძემან შეამკო მეფე თამარი...“ 21r—22r.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს ექსცერპტს არჩილის „გაბაასებიდან“, შდრ. არჩილიანი, ტ. II, 1937, გვ. 3—5.

6. „ბესარიონ გაბაშვილისაგან თქმული ჭანდრაკზე და შიგ ზმებად სახელნი გამოყუანილნი.

— ნაჭად(!) რა კიდარ უკადრად მე ფერხნი შევდგენ ღონითა...“ 22r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. იხ. ბესიკი, თხზ. კრებული, 1932, გვ. 88.

7. „ეს ნარდზედ არის თქმული მისგანვე.

— ვინ არ დიდსულობს სულმოკლედ, არს ყოველგან დანა ფიცარი...“ 22r-v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. იხ. ბესიკი, თხზ. კრებ. 1932, გვ. 88.

8. „ბაიათი ბესარიონ გაბაშვილისაგან ნათქუამი, რომელსა თურქნი ბაიათს უწოდებენ, რვა შაირად არის და ერთი შაირი სამი ტაეპი არის.

— იადონს ის ევარდა.
და სუმბულს ის ევარდა...“ 22v—23r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. იხ. ბსენ. გამოც. გვ. 22.

9. „მისივე ბესარიონის ნათქუამი, რომელსა თურქნი ბალაი ბანდულაილას უწოდებენ.

ვაი საბრალო: სტევნს ბულბული ვარდსა ზედა...“ 23r-v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. იხ. ბსენ. გამოც. გვ. 23.

10. „მისივე ბესარიონისაგან ნათქუამი თეჯელისი(!).

— ხმა სირინოზ, თმა ღულამბარ წინამოს...“ 23v—24r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია, იხ. ბსენ. გამოც. გვ. 20.

11. მისივე ბესარიონის ნათქუამი, ამას თურქნი ყაფიას უწოდებენ.

— შავნი შაშვნი, შაელს(!) გალიას შემსხდარნი...“ 24r-v.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. იხ. ბსენ. გამოც. გვ. 21.

12. „ბესარიონისაგანვე ნათქუამი მუსტოფაზადი, თურქთ ხმაზედ თქმული, რომელსაცა იმერეთიდამ ჰსწერს მეგობართა თჳსთა.

— ცრემლთა ისარნი, მოსისხარნი, ჩვენდა არენით...“ 24v—25r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. იხ. ხსენ. გამოც. გვ. 12.

13. „მისივე ბესარიონის ნათქუამი.

— რა გული დაავაგე შენად სარჯბლად...“ 25r-v.

შენიშვნა: 1. ტექსტი გამოცემულია. იხ. ხსენ. გამოც. გვ. 18.

2. ტექსტის პაგინაციის მიხედვით ხელნაწერს აშკარად აკლია გვ. 23—24. 27—30.

3. შამი-ფარავნიანის ტექსტს მოსდევს გადაწერის ხელით: „დასრულდა ამბავი შამი-ფარავნისა მეფის თეიმურაზის მცირე მოთხრობა, თუ რას დროს აღეწერა ესენი. ხოლო ოდეს იძლივა მეფე თეიმურაზ ეს ქართლის მეფის როსტომისაგან თიანეთს, და იელტოდა თეიმურაზ კახეთს და მიეიდა მაღაროს, მოუდგა უკანით როსტომ მეფეცა და იკმნა ვითარცა შემპყრობელი მეფის თეიმურაზისა. ამითურ მოვიდა ხვაოეშან დედოფალი როსტომს თანა, რომელი იყო ბიძის შვილი როსტომ მეფისა და ყეენდრა, რათა განუტეფოს თეიმურაზ ძმეიდობით, რომელმანაც აღესრულა თბილისი და მისცა ცხენნი და ჯორნი და წარჩაზვენა იმერეთს მასუე ღამესა და თვით როსტომმა დაიპყრა იმერეთი ქ-სა 1648 წელსა. ხოლო მეფე თეიმურაზ იმყოფებოდა რაჭას, სამეფოსა თვისისაგან განძებული და მენ აღეწერა ესენი ფიქრისა და კავშანისა და მწუხარებისა განსაცლტოლველად. შემდგომად გარდაცვალა რა მეფე როსტომ და გამეფდა 5 ვახტანგ, შანაოხად წოდებული, ეს ჩვენია იმერეთს სპითა, ვერ წინა აღუდგნენ იმერნი, შემდგომად შემოიკრიბნა სრულიად იმერნი და მოადგა სკანდას ციხესა. ხოლო მეფე თეიმურაზ ყოველგან უღონო ქნილი სკანდას ციხესა შინა მყოფი ვედრა შანაოხ მეფესა ერად, უკეთუ არა ევნების მისგან არა რაიმე, წარავლს წინაშე ყაენისა. ეს აღუთქვა მეფეს შანაოხს კეთილად და მიეშენო პატივითა წარვლინება წინაშე ყაენისა. ამის პირსა ხედა მოვიდა მეფე თეიმურაზ შანაოხისა თანა, რომელმანცა პატივცა დიდად და წარმოავლინა ტფილის და თვით დაიპყრა ყოველი იმერეთი და ციხენი მისნი აღიხვნა, და შეაყენნა გუშაგნი თჳსნი და შემდგომად მოვიდა ტფილისს და წარაყენა მეფე თეიმურაზ დიდითა პატივითა და წარატანა გიორგი ლაზორი წელსა ქვესა 1661-სა" (6v—7r).

ანდერძი: „აღწერილ არს დიაკონი თადეოზ ტეროპანეზა ძის ტერ-გიორქოვისა მიერ წელსა სეკტემბრის ი დღეს ჩყნთ. წამკითხველნო მისნო, ნუ ეწყენეთ, რამეთუ არა მჭონდა გამოცლილება ამისთანას წერილებში და არცა ვარ დაწყლულებული წერილში და მჭატრობაც. ოთხელსაცა ამა წერილსა შინა იხილავეთ, ჩუნის მცირედის გონებით უოსტატოთ ნიშნია, ამაზე მეტი არა ძალმედვა. გევედრებით, რათა მეტსაკლები მომიტეოთ" (25v).

შინაწერი: 1. „ესე წიგნი მსახურებს ჯაჯარია ციციანოვს, ღმერთმა შეიწყნაროს და ბედნიერებაა შინა მოახმაროს ამინ" (25v).

2. „№ 56. პეტრე უშიკაშვილისაგან" (ბისივე ხელით, 1r).

(794) 1538

თეიმურაზ II. თიმსარიანი. XVIII—XIX

82 ფ: 22×17,5; ქაღალდი; ტივიროულ ტყავგადაკრულ, შესკრავებიან ხის ყდაში; ყდა მოცილებულია, ფაღა გაბეული და ჭიანჭყაში; დაშლილი; ბოლონაკლული, მზდრული, სათაურები სინგურით; ჭკონაშანი—179ა (ფ. 78); [XVIII—XIX]; პეტრე უშიკაშვილისაგან მიღებული.

[თიმსარიანი]. „კარი პირველი დასაწყისი ინდოეთ ჯემშიდისა ამბავი და ცხოვრება მისი საპარსულისაგან თარგმნული ქართულად ნეტარად ჴსენებულისა პატრონის მეფის თეიმურაზისაგან; კურთხეულ იყავნ ხსენება მისი, ამინ.—იყო ჯემშიდე ერთი ინდოეთისა სამეფოსა შინა, ნათესავად ჩინგთა ძველთა გვართა ჯემშიდეთა შვილი და სახელად თავყარჩხან ერქვა..." 1r—82v.

წყდება: „... გვირგვინი მოიხადა და თავსა დაახურა, ეგრე უბრძანა ჩემი საკელმწიფო ყოვლის ავის ხაქმისაგან განწმედილი დამიგდია, სამართლითა

სავსე და მტერთაგან შეუფერებელი. აწე ნუმცა დამშვიდებულისა წინაშე გვაქვს ნურცა...“

შენიშვნა: 1. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. იხ. Описание, I. გვ. 390—391.

2. ხელნაწერი საფუძვლად უდევს ე. თაყაიშვილის 1903 წ. გამოცემას.

მინაწერი: 1. „ეს წიგნი ეკუთვნის ქნიაზ გიორგი რატიევს. ღმერთმან ახმაროს...“ (ხუმო ყდის შიდა მხარეზე).

2. „ეს წიგნი გაბრიელ რატიევის [არის]“ (ქვემო ყდის შიდა მხარეზე).

3. „№ 37. პეტრე უმიკაშვილის მიერ ქსოვრისიდამ რატიშვილებისა“ (ხუმო ყდის შიდა მხარეზე).

4. „ს. ქსოვრისიდამ (ქსანის ხევზე) რატიშვილისა ანი“ (პეტრე უმიკაშვილის ხელით, 1r).

5. „გეშმანათ ხემოწერილი ჩემთვის დიდი აუცია,
არვის ძალუძს ეგ მიზოახოს, ნურც თქვენ ბძანებთ, აუცია,
ნუ განკითხავთ სხვისა მონას, ყველა ღმერთსა გაუცია,
მისა მადლი ცანი საყდრად, ქვე ქვარცხლებად დაუცია.
ცუდად ჯდომას ასე სჯობდა, შესაკეცად ესე ვსწერე,
ასე უთქვამთ ხოგთა ვისმე. ცუდად ჯდომას ცუდ იშროშე.
რათ გამკიცხეთ ამისთჳს, ცილს რათ მწამებთ ამისთჳს მე.
თუ გენებოსთ, კვლაცა ბძანეთ, ესე ლექსი დაიხსომე“.
(ქვემო ყდის შიგნითა მხარეს).

(795) **1539**

მილორდიანი. XIX

40 (I+39) ფ: 34,5×21; ქაღალდი: უყდო, დაწლილი, თიხნაკლული, ალია შიგნითაც: მხედრული: [XIX]; პეტრე უმიკაშვილისაგან მიღებული.

[მილორდიანი] „.... და ამბობდა: ეს ძაღლები ამის დახოცილნი არიანო თუ სხვისა რისამეო მიზეზითაო? ცოტა წვიარა, ნახა ერთი თავისი საყვარელი ძაღლი უთავო ეგდო...“ 1r—39v.

მინაწერი: 1. „38-ე, პეტრე უმიკაშვილისაგან, მილორდიანი“. (1r).

2. (ფანქრით): „პეტრე უმიკაშვილს გარდაეცეს ესენი, რადგან ამისი წიგნი ამასთან არის და ეს დარჩომილა შინა“ (14r).

სხვა მინაწერები: 1rv-ზე.

(796) **1540**

კრებული. 1860.

44 ფ: 32,5×22,5; ქაღალდი, უყდო, დაწლილი; მხედრული; 1860 (1r); დაუწერელია: 1v, 44v. პეტრე უმიკაშვილისაგან მიღებული.

1. „ბესარიონ გაბაშვილისაგან თქმული.
— მე მიეხვდი მაგას შენსა ბრალებსა...“ 2r—v.
2. „ბესარიონ გაბაშვილისაგან თქმული.
— მოვედ აწ, ლხინად საკმაო, ვხი ჰირთა მთქმელად...“ 2v—3r.
3. „ბესარიონ გაბაშვილისაგან თქმული.
— მე შენი მგონე ჰირ შემკონე, დამწყი მალ ალა...“ 3r-v.

4. „ბესარიონ გაბაშვილის თქმული.
— ბულბულის შურსა შევსდგომივარ მუდამ მძახველი...“ 4r-v.
5. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქვამი.
— მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა..“ 4v.
6. „ბესარიონისაგან თქმული ჰაბუაზედ.
— დამბალო ლეშო, თვალხენშო, გულ-ღადარაო...“ 5r.
7. „მეფის ძის ლევანისაგან თქმული.
— როს განვიცადე ბედკრულმან გული საკუდავად დარია...“ 5v—6r.
8. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქვამი თეჯლისი.
—ენანე პირშე, ბაგე ვარდობს და ლალობს...“ 6r-v.
9. „ბესარიონისგანვე თქმული თეჯლისი.
— ვაშა მას დღეს, როს განმეღო ცისკარი...“ 6v—7r.
10. „გ. ბესარიონის ნათქვამი მუხამბაზი.
— სევდის ლაშქარი შემოსიხდება...“ 7r-v.

შენიშვნა: ეკუთვნის დ. თუმანიშვილს. შდრ. 1543: 11.

11. „დავით სარდლისაგან ნათქვამი.
— პირზედ გაქვს ხალი და შავი თვალი, ნახვა მსურს შენი...“ 7v—8r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. ანთოლოგია, II, 1928, გვ. 267.

12. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქვამი მუხამბაზი.
— სევდის ბაღს შეველ მენაღონები...“ 8v-9r.
13. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქვამი.
— ტანო, ტატანო, გულ-წამტანო, უცხოდ მარებო...“ 9v-10r.
14. „ბესარიონ გაბაშვილის ნათქვამი.
— შავნი, შაშვნი, შავს გალიას შემსხდარნი...“ 10r.

შენიშვნა: კრებულში შეტანილი ლექსები ბესიკისა გამოქვეყნებულია. იხ. ბესიკი, თხზ. სრული კრებული, 1932.

15. „ბარამ ბარათოვის ნათქვამი შაბადა ანუ გაფი.
— ეჰა, მთიები მთენია...“ 10v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. ტ. რუხაძე, ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 227—228.

16. [ალ. ჭავჭავაძე]. „ვაჲ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად...“ 11r.

შენიშვნა: ხელნაწერში მოყვანილია უკვტოროდ: ლექსის ბოლოს წერია: „№...“

17. „თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათქვამი.
— ლოთებო, ნეტავი ჩვენა...“ 11v—12v.
18. [ლექსი].
„—გამტყორცნა სოფელმან, მოვშორდი მზესა...“ 12v.
19. „ნიკოლაოზ ბარათოვის ნათქვამი.
— სულო ბოროტო! ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად...“ 13r.
20. „თ. სვიმონ მაყაევის ნათქვამი თავის ქალის გარდაცვალებაზედ.
— ჰოჲ რაბამად ვსთქვა ხმა გოდებისა...“ 13v.
21. [ალ. ჭავჭავაძე]. „—უგვანთა ტრფობა, უგრძნოთ გრძნობა თუ ვის სმენია...“ 14r.
22. [გრიგოლ ორბელიანი]. „სააშოა საჭერეტელად, ოდეს ნინას ვარდი ეპყრას...“ 14r.

შენიშვნა: ლექსის შემდეგ ტექსტის ხელით სწერია: „თ. ალექსა.(ნ) ჭავჭავაძე". ამ სახელსა და გვარს ფანქრით ხაზი აქვს გადასმული და ე. თაყაიშვილის ხელით ზევიდან ფანქრით მიწერილი: „გრიგოლ ორბელიანი" 14r.

23. (რაფიელ ერისთავი). „რისთვის მიყვარხარ?
— რისთვის მიყვარხარ? ამის ცნობა შენ გენებებას?..." 14v—15r.

შენიშვნა: ავტორის სახელი და გვარი ლექსის ბოლოში სწერია.

24. (რაფიელ ერისთავი). „დარიგება.
— ერთხელ ველტოდი და ვეტრფოდი არმიყსა ქალსა..." 15r-v.

შენიშვნა: ავტორის სახელი და გვარი ლექსის ბოლოს სწერია.

25. (ერისთავი). „სიმღერა მაზურკის ხმაზედ.
— აგერ ცაში მზე ბრწყინვალებს..." 15v—16r.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს სწერია: „თ. ე. ერისთავი. პოლშა". 16r.

26. (ალექსანდრე ჭავჭავაძე). „№.
— თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ..." 16r-v

შენიშვნა: ავტორის სახელი და გვარი ლექსის ბოლოს სწერია.

27. (რაფიელ ერისთავი). „დედა სჯობია ქალსა.
— შენმა გაზდავ, ისმინე, დედა სჯობია ქალსა..." 16v—17r.

შენიშვნა: ავტორის გვარი და სახელი ლექსის ბოლოს სწერია.

28. (რაფიელ ერისთავი). „ქალებიო ქება.
— უცხოს რასმე წალკოტსა ვის გსურთ სეირნობანი..." 17v – 20r.

შენიშვნა: ავტორის სახელი და გვარი ლექსის ბოლოს სწერია.

29. (რაფიელ ერისთავი). „გამდელთ ქება.
— ვიშ, ვიშ! ერთი შეჰხედეთ ამა გამდელთ ვნებასა..." 20r.

შენიშვნა: ავტორის გვარი და სახელი ლექსის ბოლოს სწერია.

30. (სალომე მაყაშვილი). „№.
— უაღუშტესო კელმწიფევ ჩუქნო,
წმინდის ეშაზით ზეშთა მებრ წმენო..." 20r—21v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს სწერია: „ქნიაგნა სალომე ს.—ა. მაყაევისა".

31. (ივანე მუხრანსკი). „№.
— მინდა ლექსი ვსთქუა, ქალო, მაგნიტიზმური..." 21v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს სწერია ტექსტის ხელით: თ. ივანე მუხრანსკი. გვარის შემდეგ შავი მელნით მინაწერი: „არა". ბრჭრე მხარეს: „1859 წელს მღეროდნენ ტფილისში."

32. (დავით ციციშვილი). „უსარგებლო არშიყობა.— არიან მრავალნი, რომელთაც არა ძალუძთ გამოსთქუან ცხადად სურვჭლნი თჳსნი..." 22r-24v.

შენიშვნა: ავტორის სახელი და გვარი მოთხრობის ბოლოსაა აღნიშნული.

33. (სოლომონ რაზმაძე). „დიანას მეჯლიში.
— ადრე ალეონს განელო კარი,
ზე ოლიმპისა ციერთა ჯარი...“ 24v—27r.

შენიშვნა: პოემის ბოლოსს სწერია: „ს. რაზმაძე“ (27r).

34. (ა. ჭავჭავაძე). „№-სადმი.
— შენს ღირსებას ნატრულობენ ყოველნი ქალნია.,.“ 27v.

შენიშვნა: ავტორის სახელი და გვარი ლექსის ბოლოს სწერია.

35. (ნიკოლოზ ბარათაშვილი). „ქახთა მიმართ.
— ძმანო კახელნო, სამდეიღ ქართველნო, მოლხინე სულით...“ 28r.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს სწერია: „თ. ნ. ბარათოვი“.

36. (ნიკოლოზ ბარათაშვილი). „ბედი ქართლისა.
ქარი პირველი.—მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყოსოს...“ 28r—37v.

შენიშვნა: ავტორის სახელი და გვარი პოემის ბოლოსაა აღნიშნული.

37. (ნიკოლოზ ბარათაშვილი). „ქანტაზია.
— ვჰპოვე ტაძარი, შესაფერი, უდაბნოს მდგარი...“ 38r-v.

შენიშვნა: ავტორის სახელი და გვარი ლექსის ბოლოს სწერია.

38. (ა. ჭავჭავაძე). „აღსარება, ეოლტერისა.
— Oჱ მაღალო! ვის ვერ ვინმე მოგწდომიეს ჯერედ ცნობად...“ 39r.

შენიშვნა: ავტორის სახელი და გვარი ლექსის ბოლოს სწერია.

39. (სალომე მაყაშვილი). „ოცნება.
— სადა არიან, ოცნებაო, ის დრონი, ჟამნი...“ 39r.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს სწერია: „ქნიაფნა სალომე მაყაევისა“.

40. (დავით რექტორი). „გლოვა არმიკისა.
— გრგვინვით ციურნო, მით მზიურნო, რა არს სმინება.,“ 40r-v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს სწერია: „დავით ღვეტორი(!)“

41. (ა. ჭავჭავაძე). „თეჯნისი.
— ვინ არს ესე სრულ თაგთიერებრ მანათი...“ 40v—41r.

შენიშვნა: ავტორის სახელი და გვარი ლექსის ბოლოს სწერია.

42. (მარიამ ერისთავი). „№...
— ვაების უბსკრულს ღრმად განწირულს, სრულად განაწირულს...“ 41r-v.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს სწერია: „ქნიაფნა მარიამ ერისთავისა 1854-სა წელსა მარტის 12-სა დღესა სოფ. ჭ(შემდეგ სხვა ხელით)არელში“ (41v).

43. (ალექსანდრე ჭავჭავაძე). „ვ. მ. ი.
— მოვედ ამ არედ შესამკობელად...“ 42rv.

შენიშვნა: ავტორის სახელი და გვარი ლექსის ბოლოს სწერია.

44. (გიორგი ერისთავი). „არშიკის მოშორება.
— დავკარგე ფერი მდიდრად შემკული...“ 43r.

შენიშვნა: ხელნაწერში ლექსი უავტოროდაა, ბოლოში სწერია: „№№. იქვე მინაწერი პეტრე უმიკაშვილის ხელით: „1830 წლებში მღეროდნენ, სანატორის თავ. გიორგი ერისთავისა.“

45. (ბესიკი). „თეჯლისი.
— ჭმა სირინოს, თმა ღულამჰარ-წინამოს...“ 43v.

შენიშვნა: ლექსს ბოლოს სწერია: „ბესარიონ გაბაშვილი.“

46. (სვიმონ მაყაშვილი). „№.
— ზე თვალნო, ნუ გსურის ჰვრეტა ვარდისა...“ 44r.

შენიშვნა: ლექსის ბოლოს სწერია: „თ. სვიმონ მაყაევი“.

შენიშვნა: 1. 1r-ზე კრებულის სათაური სწერია: „ალბომი. 1860 წლისა“ (ტექსტის ხელით).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. იხ. Описание, II, გვ. 387—391.

მინაწერი: „პეტრე უმიკაშვილის ძიერ. სხვა და სხვა ლექსები ნიკ. ბარათაშვილისა, ალექს. ჭავჭავაძისა, რაფიელ ერისთავისა, მაყაშვილისა, ბესარიონ გაბაშვილისა, კნიაზინა სალომე მაყაევისა და სხვათა. ალექსანდრე ბაკრაძისა (პეტრე უმიკაშვილის ხელით, 1r)

(797)

1541.

რუსუდანიანი. 1847.

279 ფ: 35×22.5; ქაღალდი; ტყავგადაკრული ხის ყდაში; კიდეებშემოცეთილი, ჰიანაპაში; ფფ. 1—18 ამოცვენილია; მხედრული; ჭედრონში—1842 (ფ. 8); 1847—279v; გადამწერი—მღვდელი იოანე ინაური (279v); პეტრე უმიკაშვილისაგან მიღებული.

„წიგნი რუსუდანიანისა.—იყო კვეყანასა ზმირინისა დიდებული და სახელგანთქმული კაცი, რომელსა სახელ ეწოდებოდა აფთიმიანე და ჴელმწიფეთან მიჩნეული და ყაენს ქალი ერთი მზისა დარი და სახელი ეწოდება რუსუდან...“ 1r—279v.

შენიშვნა: 1. პირველი 2 ფ. ტექსტის ძირითადი ხელით არაა ნაწერი: ხელნაწერის თავში ჰკლებია და სხვა პირს დაუკლისი შეუვსია შემოკლებით.

2. ტექსტი გამოცემულია. იხ. რუსუდანიანი ი. აბულაძისა და ი. გიგანეიშვილის რედაქციით. 1957.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. იხ. Описание, I გვ. 406.

ანდერძი: „სრულ იქმნა ძალითა ღ-ისათა მღუდლის იოანე ინაურისაგან ჩუმზ-ს. ივნისის იე-ს დღესა“ (279v).

მინაწერი: 1. „№ 40. რუსუდანიანი კახეთიდამ თავად ივანე ანდრონიკაშვილისაგან პეტრე უმიკაშვილმა“ (უკანასკნელის ხელით) (ზედა ყდის შიდა მხარე, 1r).

2. ეს წიგნი ეკუთვნის მღვდელს ივანე ინაურს. ღმერთმა შეიდოსპაში მაახაროს, ცოცილე არავინ... თუ ქართველმა მოიპაროს, გაუწყრეს წმინდის ნინას მადლი; თუ სომეხთა მოიპაროს, გაუწყრეს სუფსარქისის მადლი; თუ რუსმა მოი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაროს, გაუწყრეს სობოროს ნათლისმცემლის მადლი; თუ თათარმა მოიპაროს, გაუწყრეს ჭაბის და მაშადის მადლი; თუ ლეკმა მოიპაროს, გაუწყრეს მეჩითის მადლი; თუ ოსმალომ მოიპაროს, ყორანი კანიმ ოლასუნ; თუ ფრანგმა მოიპაროს, გაუწყრეს იმათი პატრ... მადლი. ამინ და კირიელეისონ" (კვედა ყდის შიდა მხარეს).

(798)

1542

ომაინიანი. XVIII—XIX

76ფ: 21×16,5; ქაღალდი; უყდო; დაშლილი, გაკეთლებული, თავ-ბოლო ნაკლული; მხედრული, სათურები სინჯურით; ჭვირნიშანი—1787 (ფ. 47.72); [XVIII—XIX]. პეტრე უმიკაშვილისაგან მიღებული.

(ომაინიანი). „აქა ტარიელის ძის საროდან ჭემწიფის შვილის ომაინ ჰაბუკის ცხოერება და ამბავი სიყრმისა ჯამსა.

— ტარიელის ძე უკადრი დაჯდა ჭემწიფე ბრძნობილი..." 1r—76v.

წყდება: „... საყან ჩინელმან თქუა: რაზომცა თუალით მოგშორდებით, გულით მაინც ცოცხალი არ გაეეყრებით. ხუთნიე ესრეთ საყვარელნი ჭემწიფენი ერთმანეთის გასაყრელად მოეხვივნენ და ერთ..."

შენიშვნა: 1. ტექსტი გამოცემულია: იხ. ქ ა ი ხ ო ს რ ო, ომაინიანი, გ. ჯ ა ბ ა ხ ი ს რედაქციით, 1937.

2. ტექსტის ავტორად მიჩნეულია ქ ა ი ხ ო ს რ ო ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი. იხ. კ. ქ ე კ ე ლ ი ძ ე, ძვ. ქართ. მწერლ. ისტ. II, 1952, გვ. 273—275.

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს. იხ.. Описание. I, გვ. 573.

მინაწერი: 1. „№ 41. თავდ ვლადიმერ ჯ ა ნ დ ი ე რ ი ს ა ჯ ა ნ სოფ. ჯ ა ჩ ნ ა ძ ი ა ნ დ ა მ. პეტრე უმიკაშვილის მიერ" (უკანასკნელის ხელით, 1r).

2. „პრტემ დარჩინოვი" (2r).

(799)

1543

კრებული. XIX

112 ფ; 33×21; ცისფერი და თეთრი ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა, ყდის საცავი ფურცელი ჰრელი ქაღალდისა; მხედრული; სათურები სინჯურით; ჭვირნიშანი 1816 (ფ. 5.8); [XIX]; დაუწერელია: 2r—3v. 99v. პეტრე უმიკაშვილისაგან მიღებული.

1. [არჩილი. გ ა ბ ა ა ს ე ბ ა თ ე ი მ ურაზისა და რუსთველისა].

— „სამგვამოვანო ღვთებავ, ერთმანეთს არ შემდგომისო..." 4r—63v.

მთავრდება: „... ომი იყო პირველ ჭმური, გმირული და მართ უდევეს გამოუკლეს ჩვენებურთა კვეშ ცხენები კარგ სადავეს".

შენიშვნა: გამოცემული ტექსტის მიხედვით (იხ. არჩილიანი, ტ. II. 1937) ხელნაწერში მოცემულია 896 სტროფი.

2. [დიმიტრი თუმანიშვილი. ტაფი თაღის ხმაზედ.]

„სიცრუითა დიდებულობ, მზაკვარობით მოგწონს თავი..." 64r.

შენიშვნა: ა) დიმიტრი თუმანიშვილის ლექსები გამოკვეყნებულია კრებულად მთ. ხ ე ლ თ ა ნ ბ ე ლ ი ს რედაქციით, 1938. მითითება აქაც და ქვემოთაც ამ გამოცემის მიხედვით ხდება. ზემოთმოყვანილი ლექსი დაბეჭდილია გვ. 49—50.

ბ) 64r ზევით მხარეა, ტექსტის ზელით წერია: „რაც ჩემგან ნათქუამი ლექსებია, ამის კვემოდ დაიწერება. მდივანი თუმანიშვილი."

3. [დიმიტრი თუმანიშვილი. ფას მუხალითითაც და თახმისითაც]
„— მეკეთა იგი პირმანგი, ატმოსფერაჲთ მოცული..." 64r-v.

შენიშვნა: გაბოც. მიხედვით, გვ. 35—36.

4. [დიმიტრი თუმანიშვილი. მუსტახადი: ვაღუფის ხმაზედ].
„... მნათობთა ზესა, მცხინვარესა, უქებ არესა..." 64v 65r.

შენიშვნა: გამოცემაში გვ. 66—67.

5. [დიმიტრი თუმანიშვილი. თეჯლისის ხმაზედ].
„— გიშრის ნავნი შაეთა ზღუათა აობენ..." 65r-v.

შენიშვნა: გამოცემაში გვ. 29—30.

6. [დიმიტრი თუმანიშვილი. ქართული ბაიათი].
„— სახით მომცა მანათა,
ელვარებით მანათა..." 65v 66r.

შენიშვნა: გამოცემაში გვ. 41—43.

7. [დიმიტრი თუმანიშვილი].
„— ვნახე პირმზე, ბაგე ვარდობს და ლალობს..." 66r-v.

შენიშვნა: გამოცემაში გვ. 39—40.

8. [დიმიტრი თუმანიშვილი. თეჯნიში].
„— ვაშა მას დღეს, როს განმეღო ცის კარი..." 66v 67r.

შენიშვნა: გამოცემაში გვ. 64—65.

9. [დიმიტრი თუმანიშვილი. ვასეთ მიაჩემის ხმაზედ].
— „ტრფიალთ დაიწველი, ტრფიალთ დამწველი.." 67r-v.

შენიშვნა: გამოცემაში გვ. 54—55.

10. [დიმიტრი თუმანიშვილი. გოჭარის ხმაზედ].
„— მოვაშორვა სევდამან მზეს მცხინვარესა..." 67v—68r.

შენიშვნა: გამოცემაში გვ. 62—63.

11. [დიმიტრი თუმანიშვილი. მუხამბაზი].
„— სევდის ლაშქარი შემომიხდება..." 68r.

შენიშვნა: გამოცემაში გვ. 31—32.

12. „[დიმიტრი თუმანიშვილი. ნავაი ნიშაბურის ხმაზედ].
„— დილის ნიავმა მომართვა ჰამბავი სასურველისა..." 68v.

შენიშვნა: გამოცემაში გვ. 103—104.

13. [დიმიტრი თუმანიშვილი. იამბიკო].
„— ოქროს ქალამს ხელი ვყავ მოქრედებად.“ 68v—69r.

შენიშვნა: გამოცემაში გვ. 90—91.

14. [დიმიტრი თუ მანიშვილი. იამბიკო.]
„— უზადო თვალი ლალსა ეთვის-ეზაეა...“ 69v.

შენიშვნა: გამოცემაში გვ. 93.

15. [ანბანთქება].
„— აღვეტრფი ბუნებ გულო დასადუმებ, ელვას ვნახე ესრეთ თხზ...“ 69v.
16. „ეს შაირი ნარდის კაცების აკრებაზედ არის თქმული.
— ოთხ ნივთედნი ხუთ სხეულებს ორნი ერთსა ელვარობენ...“ 69v.
17. [ლექსი].
„— მივედ. უსტარო, სალამი შეჰკადრე ჩემსა მდაგესა...“ 69v.
18. „მზეჭაბუკ ორბელიანისაგან თქმული ბატონიშვილის ქეთევანის ძებაში, გიორგი რომ დაებადა.
— აღმკულო სრად, უცხოდ მზისა, მზეე, შინ შემოდიო...“ 69v—70v.
19. [ლექსი]. — „აჰა, ამბით აღვამაღლოთ ან, ალვისა გარეგნობა...“ 70v—71r.
20. [ბესარიონ გაბაშვილი].
— „ალალებს ბაგებს გულ დასადაგებს, ელვაროსს, ვფუცავ, ზე ეთერულად...“ 71r.

შენიშვნა: ეს ლექსი ბესიკის სადაო თხზულებებს მიეკუთვნება. იხ. ბესიკი თხზულებანი, 1932, გვ. 103. ხელნაწერში მას სათაურად აქვს „მისგანვე თქმული“

21. „გაბაშვილის იოსებისაგან თქმული ნაღვაწი.
აღკაზმე არე, ასპიროზ, ამარტა ასათ აგეა...“ 71r-v.
22. „მეფე ვახტანგისაგან ნაბრძანები.
— არა ბრძანებ გიორგ დედად, ეო ვიყავ ზეხ ცეთერად...“ 71v—72r

შენიშვნა: ტექსტი გამოკვეყნებულია, იხ. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები ალ. ბარამიძის რედაქციითა და შენიშვნებით, 1947, გვ. 61.

23. „დიდი ანტონ კათალიკოზისაგან ნაბრძანები.
— აჰვირვებს, ადენს ალებსა ალმასი აელვებული...“ 72r-v.
24. „მაჯამა ბატონის მეფის თეიმურაზისაგან ნაბრძანები.
— კვლავც მითქვამს: სიტყვა უქმისა პატივმან შემაშინაო...“ 72v.

შენიშვნა: ხელნაწერში მოცემულია მხოლოდ დასაწყისი 3 სტროფი (შესავალი) „მაჯამისა“.

25. „ქეთევან ბატონიშვილის თქმული, ხარი ბექაჯირის ხმაზედ უნდა ითქვას.
— ჰ, ვითა ვსთქუა განსაკრთომელი...“ 72v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია, იხ. ლ. ასათიანი, ძველი საქართველოს პოეტი ქალები, 1936, გვ. 238—240.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26. [ლექსი]. „... შენი სახე ასე რითა მანათა...“ 72v.
27. [დიმიტრი თუმანიშვილი. ფას მუხალიფის ხმაზედ]. „ვისაც რომელს ჭმაზე სურდეს.
— სატრფო მემთხვია სავარდეს, ბუნებით იხატებოდა...“ 73v—74r.

შენიშვნა: ა). ტექსტი გამოკვეყნებულია. იხ. დ. თუმანიშვილი, ლექსები, 1938, გვ. 56—57. ბ) ამ ლექსს ტექსტის ხელით მიწერილი აქვს; „ტაეში. ამ ლექსთ დამწერი მკითხთაგან საქუა დამოსაწონია, თავი თუნდ სუსტი ჰქონოდეს, მაჯა ფულიი ჰქონია“ (73v).

28. „მეფის ვახტანგისაგან ნაბძანები [მაჯამა].
— ჩემთა ნათქვამთა მოწმობა კვლავე ლექსმა მიყო მაჯამა...“ 74r—78r.

შენიშვნა: ხელნაწერის ტექსტი საფუძვლად უდევს გამოცემულს. იხ. ვახტანგ VI. ლექსები, და პოემები, 1947, გვ. 43—50 და 173—174.

29. „კათალიკოსის ანტონისაგან ნაბრძანები ვარდზედ.
— უგრძნო ცხოველი, კეთილ მფშავათ(!) მთოველი ..“ 78r.
30. „ბატონის მეფის ირაკლისაგან ახსნა.
— ვარ დიდ გვარისა. დაუდარისა...“ 78r.
31. „თუმანისშვილის მდივნის დიმიტრისაგან თქმული.
— ამარტა ბაგე, გულსა დამდაგე ეს ვარდი ზენა ეთჯთ იბრწყინვებს..“ 78r.

შენიშვნა: ტექსტი გამოცემულია. იხ. დ. თუმანიშვილი, ლექსები, 1938, გვ. 94.

32. „ამავე მდივნისაგან თქმული პაწაწა ბატონიშვილებზე.
— ღლია მაღალ გონებად დიდგვაროსით დიდებული...“ 78r-v.

შენიშვნა: გამოცემაში გვ. 95.

33. „ზოთასაგან თქმული მაჯამაები.
— ერთგან დასხდეს, ილაღობეს, საუბარი ასადაგეს...“ 78v—79v.

შენიშვნა: ტექსტი წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნიდან“ გამოკრებილ მაჯამურ სტროფებს.

34. „ბარამ გერმანოზისშვილის ნათქვამი.
— აფროდიტო, აღმობრწყინდი,
არიავ, ღრუბლით მობინდდი...“ 80r.
35. „სათნავას(!) ნათქვამი მუხამბაზი.
— გულიდამ არა მშურს სული შენთჳსა...“ 80r—81r.

შენიშვნა: ტექსტი გამოკვეყნებულია. იხ. ი. გრიშაშვილი. საიათნოვა, 1918, გვ. 106. ხელნაწერის ტექსტი უფრო ვრცელია ნაბეჭდზე.

36. „სათნავამ ტაფიტაღში და თქმა ესე.
— გალობს თუთის ყაზალახი, ბულბულის ბაღი მინდოდა...“ 81r.

შენიშვნა: ტექსტი გამოკვეყნებულია. იხ. ი. გრიშაშვილი, საიათნოვა, გვ. 101.

37. „სადათნავამ ტაფი თალად თქუა ესე.
— კოკობო ძუძუთ გარდიღლო(!), ცურისაგან ლამაზი ხარ...“ 81v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. გრიშაშვილი. საითხოვა, გვ. 108.

38. „სათნავამ მუსტაზადი თქვა ესე.
— თვალად ლამაზო, დამანახვე შენი პირი მე...“ 81v—82r.
39. „პაჭუა სტეფანას თქმული.
— მისთვის სხვაზედ არ მიწევს გული,
უცხო თვალადია ჩემი მიჯნური...“ 82r-v.
40. „დავით რეკტორისაგან თქმული მუსტაზადი.
— მოი, მთვარეო, შემიბრალე, სახმილს ვხი მწველსა...“ 82v.
41. [გაბაშვილ] „ბესარიონისაგან თქმული თეჯლისი.
— რა გული დაეაგე შენად სარებლად...“ 82v—83r.
42. „თეჯლისი ბესარიონის [გაბაშვილის] თქმული.
— ხმა სირინოზ ღაწვ ღულამზ წინამოს...“ 83r.
43. „ყაფია ბესარიონის [გაბაშვილის] თქმული.
— შავნი შაშვნი შავს გალიას შემსხდარნი...“ 83v.
44. „ფეშანგიშვილი სტეფანას თქმული.
— აღ ლამაზ უფასო ლალო,
ბადრიო მთვარევ, მობრძანდი...“ 83v—84r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. ტ. რუხაძე. ძვ. ქართ. ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 210—211.

45. [გაბაშვილ] „ბესარიონის თქმული მუსტაზადი.
— ციერთა ისარნი, მოსისხარნი, ჩვენად არენით...“ 84r-v.
46. „მეფის ძის დავითის თქმული.
— გამიფრინდა სიხარულის მფრინველი...“ 84v—85r.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. ტ. რუხაძე, ძვ. ქართული ლირიკის ისტორიიდან, 1954, გვ. 118.

47. „მეფის ძე დავით, ხალუმ ხალუმ.
— ესე ჯელხება მომე ნება...“ 85r-v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. ტ. რუხაძე, ძვ. ქართ. ლირიკის ისტ. 1954, გვ. 120.

48. [გაბაშვილი] „ბესარიონის მუსტაზადი.
— ტანო ტატანო, გულ წარმტანო, უცხოდ მარეგო...“ 85v—86r.
48. „დავით რეკტორის თქმული.
— ჩე მოყვარეო, ხილვი ნარეო, ნარდაინ გველო...“ 86r-v.

შენიშვნა: ტექსტი გამოქვეყნებულია. იხ. ანთოლოგია, II, 1928, გვ. 288.

50. „სოლომონ დეკანოზისაგან თქმული.
— ეტრფის მთიებსა შესამკობლად გული ურვილი...“ 86v—87r.
51. „მეფის ძის ვახტანგის თქმული მუსტაზადი.
— შეყრილან ერთად მკრთოლვარენი უზადო მნათნი...“ 87r.

შენიშვნა: ეს ლექსი დაბეჭდილია ბესიკის თხზულებათა კრებულში (1932 წ. გამ., გვ. 90), სადაც შეტანილია მის სადაო ნაწარმოებთა განყოფილებაში. ხელნაწერის ტექსტში მხოლოდ სამი სტროფია, რომლებიც ამავე დროს რედაქციულადაც განსხვავდებიან ნაბეჭდისაგან.

52. „ლევანისგან თქმული.
— როს განვიცადე ბედკრულმან გულის საკვდავად არია...“ 87r-v.
53. „სათნავასაგან თქმული.
— დიბისა ლობდანისა ბაზაზიანო...“ 87v—88r.

შენიშვნა: ამ ლექსის ტექსტი ნაწილობრივ ემსგავსება ი. გრიშაშვილის „საიათნოვაში“ გამოქვეყნებულს (ც. თ., გვ. 99) მაგრამ ამავე დროს საგრძნობ რედაქციულ სხვაობას გვირჩენებს მასთან.

54. [ლექსი].
„— ვაი მას ვეგლოვ ჩრდილოს წასარანს გული მტირალი...“ 88r.
55. „ბესარიონისაგან თქმული.
— მე მივხვდი მაგას შესაბრალებსა...“ 88r-v.
56. „ვახტანგ ბატონიშვილისაგან თქმული.
— მოდით მოკნურნო მსოფლიურნო, ვინც ხარ დაგული...“ 89r.

შენიშვნა: ტექსტი დაბეჭდილია ბესიკის თხზულებათა კრებულში (1932 წ. გამ., გვ. 90), სადაც იგი შეტანილია ავტორის სადაო ნაწარმოებთა რიცხვში.

57. „დავით სარდლისაგან თქმული.
— პირზე გაქვს ხალი და შავი თვალი, ნახვა მსურს შენი...“ 89r-v.

შენიშვნა: ტექსტი დაბეჭდილია. იხ. ანთოლოგია. II, 1927. გვ. 267. ხელნაწერის ტექსტის ბოლო სამი სტრიქონი წარმოადგენს დავით რეკტორის ლექსის „ვრგვინვით ციურნო“-ს დასაწყისს.

58. [ბესიკი. მე შენი მგონე]
„— მე შენი მგონე ჰირს შემკონე დამწვი მალ, ალო...“ 89v—90r.
59. [ბესიკი. ბულბულის შურსა.]
„— ბულბულის შურსა შევდგომიეარ მუდამ მბახველი...“ 90r.
60. [ბესიკი. მე შენმა ფიქრმა]
„—მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჰირებსა...“ 90v.
61. [ბესიკი. მზეჭაბუკ ორბელიანს.].
„— დამპალო ლეშო, თვალხენეშო, გულღადარაო...“90v—91r.
62. [ბესიკი. სევდის ბაღს შეველ]
„— სევდის ბაღს შეველ შენაღონები...“ 91r-v.
63. [ნაწყვეტები ბიბლიიდან]. „—ტობია 4,5. შვილო, მოიხსენე ყოველთა დღეთა უფალი ღმერთი და ნუ სცოდავ და გარდახვალ მცნებითა...“ 92r—93v.

შენიშვნა: დაწერილია სხვა ხელით.

64. „თქმული იონა მიტროპოლიტის გედეონის ძისა. ლოცვამან ანნა.
— თიფლის ახიით და მოვლე პონტოი ზღვით...“ 94r-v.
65. (იონა გედეონიშვილი) „როდის სვლა, ესე იგი თუსის მშობელთა და სახლისა თუსისა მოთხრობაჲ ანუ სიტყუა.—ნუმცა ვინ ინებებს

საცინელ და საკიცხელ; ყოველთა კაცთა თჳსი სახლი და მშობელნი უყუარსთ, ხოლო მეცა ვიტყჳ: იტყჳან ძენი გედეონისანი სქესობასა ლევისა გუარისასა..“ 94v—97v.

66. „სხუა და სხუა დრო კაცისა, ალექსანდრე ჭავჭავაძისაგან თქმული.

— ეს სოფელი, სამყო ძნელი, მჴეწენებელი ჰმუნჳის ალთა...“ 97v.

67. „აკაკითის საუკეთესო ოტკის ნუსხა, რომელ არს საუკეთესო და საუცხოო.—ჯაოზი მისხალი ლვ 36, დარიჩინი მისხალი ლვ 35, მიხაკი მისხალი იბ 12, ბადიანი მისხალი კზ 27, ... უნდა მოადუღო...“ 98r-v.

68. (მიტროპოლიტი იონა გედეონიშვილი). „წელსა 1807, ნოემბერს 24-სა. უწჱნდესო მეუფეო. მეფის ძეც ანტონი.—ეგრძნობ და განცჴრებასა შინა ვდუმობ; მთიები იგი ბრწყინვალე მსხიებ...“ 99r.

69. [ანბანთქება].

„— აღმოსაელეთით წამოველ, ასურეთს მივალ ნებითა,
აბრამს მიხმობენ სახელად, ასლანს ვემორე ხლებითა...“ 100r—102v.

შენიშვნა: დაწერილია არა ტექსტის ხელით.

70. „ბლაღოჩინის გორის სობოროს მღუდლის პანტელეიმონ წინამძღუარისაგან ნათქუამი პოლკოვნიკის თავადის იასონ ჭავჭავაძის ასულზედ ძიძის ნაცვლად ნანინა.

— მცირე კნიაწნა ნინა, მსურს გითხრა ნანინა..“ 102v—103v.

შენიშვნა: დაწერილია არა ტექსტის ხელით.

71. „წელსა 1817. რუსეთის სრულ შემძლებელის ელჩის (ალექსი პეტროჩისა ერმალოვის) წარვლენილს სპარსეთის ხელმწიფის წინაშე, უფლის ლეონარდ ლეიტენანტის მივიღეთ შემდგომად ეს ჰეშმარიტი უწყება. მისრული ადგილსა სულთანიად წოდებულსა, რომელიცა არს საზაჳხულო სადგომი სპარსთა ხელმწიფისა, სადაც მეიყვანან(!) ამ პატივითა...“ 104r—112v.

შენიშვნა: 1. ტექსტი წარმოადგენს ანგარიშს ერმოლოვის მიღებისა სპარსეთის შაჰის მიერ 1817 წელს. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ოფიციალური (104r—108v) და კერძო (109r—111rv, მთარგმნელის ტერმინოლოგიით „პარტიკულარნი“) მოხსენებისაგან. ნათარგმნია ბატონიშვილ ბაგრატ გიორგის-ძის მიერ და შეიძლება, მის ავტოგრაფს წარმოადგენს (ზდრ. S—4797.2). ტექსტს ერთვის: ა) მთარგმნელის ანდერძი; „ოქტომბერი 9. ითარგმნა ეგე ცერემონის აღწერა მეფის გიორგის ძის ბაგრატისაგან პატრბულაის(!) შინა. წელსა 1817“ (108v). ბ) მისივე შენიშვნა მეორე ბაწილის ბოლოს: „აჲას პარტიკულარნის წიგნით იწერებიან, თორემ სწორე ცერემონია ეს ზემო წერილი არს, რომელიცა

რუსულიდამ ქართულზედ ვთარგმნე. $18\frac{20}{10}17^{\text{“}}$ (112v).

2. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს იხ. Описание, II, გვ. 172—181.

მინაწერი: 1. „პ. ღმიკაშვილისაგან. № 42. არჩილიანი და სხვა ლექსები“ (1r, 4r).

2. „ჩემა წელსა იანვრის კზ ეს წიგნი იყიდა დეკ.ოზმა პარმენ წინამძღვრისშვილ მა. იძისი არის“ (1r).

3. „არქივრმან გაიოზმან სთარგმნა ველისარიონის ცხოვრება რუსულიდამ ქართულსა ზედა ენასა წელსა 1782. თვესა ოქტომბერსსა 24. კრებენჩუკს.“ (93v).

არჩილიანი. 1841.

116 ფ. (II ფ.+228 გვ); 33×21; ქაღალდი; ტყავგადაკრული მუყაოს ყდა; ბეჭდრული, სათაურები და სტროფების დასაწყისი სინგურით; ჭვირნიშანი 1835 (გვ. 115) და 1837 (გვ. 63); გადაწერილი—სოლომონ პაველიევი და არხიმანდრიტი სოფრონიოსი (გვ. 225—226); გადაწერის ადგილი—თბილისი—გვ. 225; გადაწერის წელი—1841 (გვ 226); დაწერილია: Ir—IIv, 224, 227—228; პეტრე უმოკაშვილისგან მიღებული.

1. ქართლისა, იმერეთისა, კახეთისა და სრულიად საქართუელოს მეფის ვახტანგ მაჰვაგანად წოდებულის ძის მეფის არჩილის მიერ თქმული გაბაასება დიდის მეფის თეიმურაზისა და ლექსთ „იტორის შოთა რუსთაველისა.—დასაბამი წიგნისა ამის იქმნა მიზეზ, რ მელექსეთ შედარება მრავალგზის მესმოდა მე, მეფეს არჩილსა...“ გვ. 1—135.

შენიშვნა: ტექსტი იწყება პროზაული შესავლით, რომელიც „არჩილიანის“ გამოცემაში მეორე კარშია ჩართული (იხ. „არჩილიანი“, II, 1937, გვ. 7).

2. „თავი საქართუელოს ზნეობისა.

— მოწყალე ვარ მართლის გულით მოქმედთა და უხვად, ღმერთო...“ გვ. 135—149.

3. „თქმა სიტყუათა საჩინოთა რუათა ასოთა გუამისათა.

— კიდეე ესეც ვჰსთქუა თუალისა და ცხვირსა ორსავ ყურებსა...“ გვ. 149—152.

4. „სიტყუა სანათლისღებო, თუ რავდენი ნათლისღებაა ცოდვის განსაწმენდელი და სხუა შეერდომით ლექსები და სრული ამ წიგნის ბოლო ამაზედ დათავდება ადიდე მეფე არჩილ.

— სიბრძნე მსურს მწურთნელი, არა მყავს, მაშ რა ვჰქმნა, როგორ ვიშოვნო...“ გვ. 152—158.

5. [მეფეთა საქებელნი და სამხილებელნი].

„— ჩაბრუხაძე ბრძენთ ვაბაძნეთ, მაგრამ სახელს გვიმალავსა...“ გვ. 158—173.

6. „თქმული გაბაასება კაცისა და სოფლისა არჩილისაგან. ეს ერთი პირუელი ლექსი დავით მამუკაშვილის ჯაფარიძეს ეთქუა სოფელზედ ასტარხანს, ხოლო ამას ქვეყით სოფლისა და კაცის გაბაასება ამ ერთმანეთ ლექსთან მოახდინა; ასრე არის ყოველს ფერისა კარგისა თუ ავის საქმისა ორისავ მიზეზი, რამეთუ პირუელ ასრე ცოტათი იწყების და შემდგომად რავდენმე განშრავლდების.

— თქუს ჩარხი სოფლის სიმუხთლის სამუდმოდ არის მბრუნავი...“ გვ. 173—223.

შენიშვნა: 1. ტექსტი მთავრდება ნაბეჭდის 344 სტროფზე.

შენიშვნა: 2. ტექსტს ერთვის გადაწერის წერილი: „უსაყვარლესო დაო ჩემო ანნა! ვიხილენ სახლსა შინა შენსა ძისა შენისა განსვენებულის იერომონახის გაბრიელისგან შრომით, ღვწით და საკუთარის სიფასით შეკრებილნი მრავალნი წერილნი საეკლესიონი და წმიდათა მამათა მოთხრობანი და წაშებანი და აგრეთვე მათ შორის წიგნიცა ესე არჩილიანად წოდებული, თჳთ შემთხუეველისა სახელისა გამო. თუმცა ნაწერიც კარგი იყო და ქაღალდიც, განა უწუთლეროობა არა შვენოდა და რომელნიმე შეცთომილებანიც შევნიშენ(!) და სიყუარულისათჳს გაბრიელისა ვისურვე გამართუა მისი; და ვიწყე რა მართუა და ბევრი იშლე-

ბოდა, მომიხდა ბარე ახლად გადმოწერად წიგნი ესე არჩილიანი, რომელისა ქვეყვაცა წერად დროსა ტფილისის ქალაქსა შინა პატიჩობისა რემისასა; გარნა მოწაფეთა ჩემთაჯანმან სოლომონ პავლიევმან, რომელსაც ვასწავლიდი გალობას, როგორც მას, ეგრეთვე სხვათა ვიდრე ოცამდე, მიხილა რა, უკუე ვასწერდი ამას წიგნსა, მათის გალობის სწავლის დრო იკარგებოდა. უკეთე მოწაფენი სწავლას განვაგრძობდი, წიგნი ესე შეიბოდა გადაუწერელი. და მეხოსა მან, რათა მიმცნოდა მისთვის გადაწერა ამა წიგნისა, რომელზედაც გულსავსე მყვს მრავალთა, რომელ კეთილად და უცთომელად შეძლო ამა წიგნის გადაწერა. და მათის წამებისა გამო მივანდე მას გადაწერად. თუმცა თავი ბჭობისაებრ გაფრთხილებით უწერია, გარნა ცმაწვილობისა და ჰაზრის მიუხედველობისა გამო ბევრი შეცთომა მოსლილად; ოდეს შეასრულა და წარმოთქმიდგინე, განვიხარებე, ოთა მისი თავე თანადასწორებითა დედანთან შემეცადნობინა და გამებრთა. ამა განზრახვასა შინა ჩემსა შეედგა უეცარი სნეულება და გარდაცვალება. შემდგომ ვიწყე ხბრევა და მართვა ამა წიგნისა და შემიგდო რომელსამე ადგილს სრულიად მთელი რვეული განრყვნილი და გამოსაცვლელ პირველსავე დაწყობაში ორი რვეული და მასთან დაშთენილი ათი ტროიჭონი სხვა, და ეგრეთვე სხვანი და სხვანი ცთომანი და თვითოეულნი ლეჭნი ოთ-ოთი ტროიჭონნი, რომელთა გამართულობას და ჩემ მიერ შრომილს აღვთმაკითხტკბილნი იხილვენ, და ვრჩები თავსა ჩემსა: ჲ უბადრუკო, რასთვის თვით არა მიიღე შრომა და ნაშრომსა სხვისასა არა არსად ქნილსა გნებავს არსებაში მოყვანა; გარნა ვიხილოგან ცთომა გულსმოდგინებით ცწერა და შრომა გაცწია შესაწყალის სოლომონს, რომელიც გარდაიცვალა მეთქვსმეტეს წელსა, ვერც იმისი შრომა გავაუქმე და ესოდენ ხასა განგრძელებითაცა მცდიმებიდა: როგორ შეიძლო იყო, გასწორებას ვეცადე და ესოეთ შესრულებული შევკრთენი და ეძღვნი ძვთა თქვენთა არა ღე, აოცნებულ ვითარმედ ძმა მათი განსვენებული გაბრიელ იგი არს მიზეზი და თავი ყოველისა კეთილობისა ამის წიგნის აღწერასა ზედა. მხოლოდ მე, მთხოვნელი ცოდვაჲ! ბანს დაყოვნებისათვის მოტევებისა, მოქნე ვარ და რაცა და რაოდენიცა ცთომილება იხილოთ, მუშაკსა ამისსა ყუდრებითა და ჭირდეთ ნუ შეუოაცხვეყოფთ, ძმილველნო და აღმომკითხველნო, არამედ სთქუთ სიყვარულისათვის თვისობისა და მოყვასობისა შენდობა ბრალთა არხიმანდრიტის სოფრონიოსისა განკორციელებითგან სიტკვისა ღთსა ჩყმა-ს წელსა ოქტომბრის დ-ს დღესა" (გვ. 225—226).

3. ხელნაწერი აღწერილი აქვს ე. თაყაიშვილს. იხ. Описание, II, გვ. 238—241.

მიბაწერა: „№ 43. არჩილიანი თავად შაყაშვილისაჲ სოფ. იყალთოდაბ. პეტრე უგრიკაშვილი" (ფც. 1).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძიებლები

1. ხელნაწერთა ქრონოლოგიური ცხრილი

საუკუნე ან წელი	ხელნაწერის №
930—940	1139 ეტრატი ნ *
